


K 23493
4

სადაბთურალტსა-ცოდნობატი რნიზუბსეციატი
ანტიცოდცოდნობატი რნიცოდცოდნობატი

ლანდშაფტუცუატი ანტიცოდცოდნობატი



177266
4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ე. თევზაძე

ლანდშაფტური არქიტექტურა



დამტკიცებულია სტუ-ს
სასწავლო-მეთოდური
საბჭოს მიერ

თბილისი
2005

განხილულია ლანდშაფტური არქიტექტურის თეორიული საფუძვლები, მისი განვითარების ეტაპები, ლანდშაფტის დაპროექტება, ქალაქის გამწვანების სისტემები და მათი განთავსების პრინციპები, ასევე მათი სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქცია და სხვ.

დამხმარე სახელმძღვანელოს ერთვის ილუსტრაციები და სპეციალური ტერმინების განმარტებები.

განკუთვნილია სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებისათვის. იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ლანდშაფტური არქიტექტურის საკითხებით.


რეცენზენტები: პროფ. ნ. თევზაძე,
პროფ. გ. ბერიძე

K 23493



© გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2005

ISBN 99940-40-88-X



წინასიტყვაობა

ლანდშაფტური არქიტექტურა - კაცობრიობის მხატვრული და ზოგადკულტურული მემკვიდრეობის უზარმაზარი და უსაზღვრო სფეროა, ამიტომ მოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში სრულად ვერ იქნება წარმოდგენილი ლანდშაფტური არქიტექტურის საკითხების მთელი სპექტრი. ჩვენ შევეცადეთ ზოგადად წარმოგვეჩინა ლანდშაფტური არქიტექტურის საკითხების ძირითადი ასპექტები, რომელთა ცოდნა აუცილებელია არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტების საერთო პროფესიული განათლებისათვის.

დამხმარე სახელმძღვანელო „ლანდშაფტური არქიტექტურა“ მომზადდა სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის ურბანისტიკის კათედრაზე. კათედრის სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია ქალაქთმშენებლობითი ასპექტების მიმოხილვაზე. დამხმარე სახელმძღვანელო შედგება 3 თავისა და ქვეთავებისაგან და მოიცავს ლანდშაფტური არქიტექტურის *ისტორიის*, *თეორიის* და *დაპროექტების* საკითხებს. არქიტექტურის ინსტიტუტის სასწავლო პროგრამის თანახმად, თეორიული საგანი „ლანდშაფტური არქიტექტურა“ ეკითხებათ II კურსის სტუდენტების მთელ კონტინგენტს II სემესტრში. ამასთან, დამატებით უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები საკურსო პროექტის შესასრულებლად. ყოველი ლექციის მსვლელობის დროს, თეორიული ნაწილთან ერთად, სტუდენტებს მიეწოდება სადემონსტრაციო მასალა სლაიდების სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ლანდშაფტურ არქიტექტურაში სპეციალური და დამხმარე ლიტერატურა ძირითადად უცხო ენებზეა და, ამასთან, სტუდენტებისათვის ძნელად მოსაპოვებელი. მისასაღმებელია, რომ ბოლო წლებში გარკვეულწილად მოხდა ამ ვაკუუმის შევსება ახალი შრომების და სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემით, რომლებიც ეძღვნება ლანდშაფტური არქიტექტურის ცალკეულ ასპექტებს. კერძოდ, გამოქვეყნებულია ვაფციაურის, ჯ. გიორგბერიძის, ვ. ბეროშვილის, შ. ისაკაძის და სხვათა შრომები. დამხმარე სახელმძღვანელოში კი პირველად არის მცდელობა ლანდშაფტური არქიტექტურის საკითხები განხილულ იქნეს ქალაქგანვითარების, ქალაქთმშენებლობისა და ურბანიზაციის პროცესების ჭრილში. ამდენად, იგი დაზღვეული ვერ იქნება ხარვეზებისაგან. ყოველგვარი საქმიანი რჩევა თუ შენიშვნა სიამოვნებით იქნება მიღებული ავტორის მიერ და გათვალისწინებული შემდგომ გამოცემაში.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელია ყოველმომცველი და ინტენსიური ურბანიზაცია. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მსხვილ და უმსხვილეს ქალაქებში ამ პროცესს თან ახლდა მოსახლეობის მკვეთრი კონცენტრაცია და აგლომერაციების სწრაფი ზრდა, რასაც შედეგად მოჰყვა ბუნებრივი გარემოს გამოდევნა ურბანიზებული სივრცეებიდან. მსოფლიოს მსხვილ და უმსხვილეს ქალაქებში დისკომფორტული პირობები ყალიბდება საერთო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუარესების ფონზე – საჰაერო ბაზინის, წყალსატევების და ნიადაგის დაბინძურების, ყველა სახის ხმაურის ზრდის, რადიაციულ-თერმული პირობების გამწვავების და სხვა ნეგატიური მოვლენების შედეგად. იმ დროს, როდესაც ქალაქის მთავარი ფუნქციაა ემსახურებოდეს ადამიანს, ფაქტიურად იგი წინააღმდეგობაში მოდის ადამიანთან და ბუნებრივ გარემოსთან.

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების ოპტიმიზაცია სცილდება წმინდა ეკოლოგიური პრობლემის ჩარჩოებს და მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანას წარმოადგენს. აი რას წერდა ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში ლე კორბუზიე: *„ქალაქი უკვე აღარ პასუხობს თავის ფუნქციას – დაიცვას ადამიანი და დაიცვას კარგად“* და კიდევ *„ქალაქი შედის ჩიხში, იმიტომ, რომ დაიწყეს მისი შელამაზება, მაშინ, როდესაც სასიკვდილოდ არის დაავადებული მისი ფილტვები და გული“*.¹

XX საუკუნის ბოლოს ეს პრობლემა კიდევ უფრო გამძაფრდა მსოფლიო ქალაქების წინაშე და გლობალური მასშტაბის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გადაიქცა. ლანდშაფტური არქიტექტურის ამოცანები განუყოფელია იმ რთულ და მრავალფეროვან ამოცანათა კომპლექსისა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანსაღი სასიცოცხლო გარემოს ფორმირების საკითხებთან. ლანდშაფტური არქიტექტურა წარსულში განიხილებოდა შედარებით შეზღუდული ამოცანების მქონე ესთეტიკური ხასიათის ხელოვნების სპეციფიკურ სახეობად, მაგრამ გასული საუკუნის მანძილზე მან განვლო განვითარების მნიშვნელოვანი გზა და დღეს ლანდშაფტური არქიტექტურა, ერთი მხრივ სავსებით ჩამოყალიბებული, თუმცა ვიწრო სპეციალობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი სფეროა, რომელსაც მეტ-ნაკლებად ეხება ყველა *არქიტექტორი და ქალაქმშენებელი*, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესში ისინი მუდმივად მუშაობენ გარემო ლანდშაფტთან. ბოლო პერიოდში ლანდშაფტურმა არქიტექტურამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა გარემოს დაცვის ამოცანებთან და ეკოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებით. სწორედ ამის გამო დღეს ლანდშაფტური არქიტექტურის კურსი არქიტექტურული და სამშენებლო სპეციალობების მქონე მსოფლიოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება.

¹ Ле Корбюзье. Архитектура XX века. М.: Прогресс, 1970.

ტერმინი „*ლანდშაფტური არქიტექტურა*“ პირველად XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1872 წელს გაჩნდა ამერიკაში, *იელოუსტონის* სახელწოდებით ცნობილი პირველი ეროვნული პარკის გახსნასთან დაკავშირებით, ხოლო ლანდშაფტური არქიტექტურა, როგორც მეცნიერება, აღიარებულ იქნა 1899 წელს პარკარდის უნივერსიტეტში (თავდაპირველად, დეკლარაციის სახით), სადაც პარალელურად გამოცხადებულ იქნა *ლანდშაფტის არქიტექტორის* პროფესიაც. ნიშანდობლივია, რომ თითქმის იმავედროულად დასავლეთის სამყაროში ჩამოყალიბდა საკმაოდ სერიოზული მეცნიერება *სივრცის თეორიის* სახელწოდებით, რომელიც განიხილავდა ურთიერთდამოკიდებულებას ქალაქურ და ბუნებრივ გარემოს შორის. მართალია, ევროპაში ტერმინი „*ლანდშაფტური არქიტექტურა*“ შევიდა მოგვიანებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ლანდშაფტურ არქიტექტურას ხანმოკლე ისტორია აქვს, რადგან არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი მოღვაწეობა შეესაბამება გარემოსეული დაპროექტების არსით საუკუნეების სიღრმეში მიდის.

ლანდშაფტური არქიტექტურის ისტორია ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი. ძირითადად მას განიხილავენ, როგორც საბადე-საპარკო ხელოვნებას რეგიონალური კუთვნილების საფუძველზე, ამასთან თითქოს გვერდს უვლიან საზოგადოების განვითარების კონკრეტულ პირობებს, სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობებს და საზოგადოების ესთეტიკური განვითარების საკითხებს. სათანადოდ არ შუქდება ისტორიული თანმიმდევრობა, მემკვიდრეობითობა და ფაქტების ურთიერთკავშირი და საბადე-საპარკო ხელოვნება გვესახება, როგორც ერთმანეთისაგან და სამყაროსგან იზოლირებული მოვლენების ნაკრები. სინამდვილეში კი საბადე-საპარკო ხელოვნება ერთ კალაპოტში ვითარდებოდა მატერიალური და მხატვრული კულტურის ყველა სფეროსთან, ყოველი ისტორიული ეპოქისა და ფორმაციისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიით, არქიტექტურისა და ხელოვნების თავისეული გაგებითა და დანიშნულებით. ლანდშაფტურ არქიტექტურას ყველა ფორმაციის პირობებში ჰქონდა თავისი სპეციფიკა და შესაბამისი გამოსახვის ფორმა - ძველ მონათმფლობელურ და ფეოდალიზმის ეპოქაში, რომელიც აღმოსავლეთში გრძელდებოდა თითქმის XX საუკუნემდე, კაპიტალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში, დასასრულს, ჩვენ დროში მზარდი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეტაპზე.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების გზები, საჭიროა განვსაზღვროთ თვით ტერმინის არსი, გავიაზროთ, რას ქმნის ლანდშაფტის არქიტექტორი და რა ადგილი უჭირავს ამ პროფესიას არქიტექტურის უკიდევანო სამყაროში. თითქმის ორი ათასი წლის წინ, არქიტექტურის თეორეტიკოსმა, რომაელმა *მარკოს ვიტრუვის პოლიონმა* განმარტა, რომ ხუროთმოძღვრების უცილობელი თვისებაა - *სარგებლიანობა, სიმყარე და სილამაზე*. თანამედროვე ტერმინებით რომ გამოვხატოთ, არქიტექტურული შემოქმედება, ე.ი. სივრცული გარემოს ფორმირება მიმდინარეობს - ფუნქციურად, ტექნიკურად და ესთეტიკურად, ანუ

არქიტექტურა აერთიანებს საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამ უმნიშვნელოვანეს სფეროს – *მეცნიერებას, ტექნიკას და ხელოვნებას*. განსაკუთრებული ადგილი ამ ტრიადაში უჭირავს ხელოვნებას. სწორედ ობიექტის ესთეტიკური თავისებურებები განსაზღვრავს მის ადგილს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა სისტემაში და გამოყოფს მას უტილიტარულ-ფუნქციური ან ტექნიკური დანიშნულების ობიექტების რიგიდან. ამასთან, გარემოს მხოლოდ ესთეტიკური ორგანიზაცია, ტექნიკური საშუალებების და თუნდაც ელემენტარული ფუნქციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

იმისათვის, რომ ჩავევდეთ მსოფლიო ხალხების და მსოფლიო ცივილიზაციის ქალაქმშენებლობის არსს, საჭიროა მის საფუძველში ჩადებული ფილოსოფიური ორიენტაციის გაგება. ეს შეიძლება დავინახოთ *ათენისა და ეგვიპტის* კულტურების მაგალითზე.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, ბერძნებს ესმოდათ ფუნქციის სარგებლიანობა, სიმყარისა და სილამაზის არსი და სწამდათ მისი. თავისი ყოველდღიური ცხოვრებისთვის ისინი აპროექტებდნენ ქუჩებისა და მოედნის სივრცეებს და ნაგებობებს, ფუნქციის სისადავით და მაღალი ესთეტიკით, რელიეფთან სრულ ჰარმონიაში. ყოველი ფორმა, ყოველი სივრცე და ყოველი ნაგებობა დაპროექტებული იყო ისე, რომ მკაფიოდ აღქმულიყო მისი დანიშნულება და მაქსიმალურად შერწყმულიყო მიმდებარე ფორმებთან, სივრცეებთან და გარემო ლანდშაფტთან. რაც შეეხება საცხოვრისს, ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ოჯახი არის მათი შინაგანი სამყაროს ცენტრი, ამიტომ მათი სახლები იყო სრულიად ლოგიკურად ორიენტირებული შიგნით. სახლში შესასვლელი კარი წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო დიობს კედლებს შორის, რომელიც გარეთ ორიენტირებული იყო ვიწრო კლანილ ქუჩაზე, შიგნით კი სიმშვიდისა და კმაყოფილების შიდა სამყაროში – შიდა სასუფეველებში, სადაც ცხოვრების წესი, საუბრები და სწავლა ყალიბდებოდა, როგორც უმაღლესი ხელოვნება.

საზოგადოებრივი შენობები და ტაძრები, ბერძნებს ჩაფიქრებული ჰქონდათ უკვე სხვა პოზიციიდან. ისინი წარმოადგენდნენ ამაღლებულის და მედიდურობის სიმბოლოებს, მათ ათავსებდნენ გარკვეული მანძილით უკან დაწეულს ან სიმაღლეზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი დანახვა და აღქმა ყველა მხრიდან. მათ აპროექტებდნენ ისე, რომ შეექმნათ სიმწყობრის იდეალური და აღმატებული ხარისხი. მათ შეგნებულად დგამდნენ ფოკუსურ წერტილებში, რომ მათზე იდუმალად ორიენტირებული ყოფილიყო მთელი ქალაქი. ყოველივე ეს უნდა გავიაზროთ, რომ გავიგოთ ძველი ბერძნული ქალაქების დაგეგმარების პრინციპი.

ეგვიპტელის ცხოვრება ფილოსოფიური თვალთახედვით, წარმოადგენდა პროცესიას წმინდა და შეუდრეკელ გზაზე, რათა ბოლოს და ბოლოს იგი წარმსდგარიყო სიკვდილის მართლმსაჯულების წინაშე. ეს „ბედისწერის იდეა“ აკონტროლებდა მის აზროვნებას, მის ხელოვნებას და მოქმედება მისი სახლის გეგმარებაზეც კი. მთელი მისი არსებობა დაკავშირებული იყო იმ მოქმედებებთან,

რომლებიც ორიენტირებული იყო ერთი ფიქსირებული მიმართულებით – მიმართულებით პროცესისა, რომლის გასწვრივ რიოძული სიმწყობრიოთა და მედიდური სიმშვენიერით განთავსებული იყო ქვის უზარმაზარი სიბრტყეები, კოლონები და თაღები. მის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა, წაწულიყო რაც შეიძლება წინ ამ მიმართულებით. იმისათვის, რომ გავაცნობიეროთ ეგვიპტელი და მისი ქალაქი, სასახლეები, ტაძრები და სამარხები, ჩვენ უნდა გავითავისოთ ეს ძირითადი კონცეფცია, რომელიც მათი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ოსვალდო შპენგლერმა,¹ როდესაც ერთმანეთს შეუპირისპირა ეგვიპტური და ჩინური კულტურა, თავის ნაშრომში „ევროპის დაცემა“ წერდა: „მაშინ, როდესაც ეგვიპტელი მიაბიჯებს გზის დასასრულისაკენ, რომელიც განსაზღვრულია მისთვის უმოწყალო აუცილებლობით, ჩინელი მოგზაურობს და დასეირნობს თავის სამყაროში: შედეგად იგი მიყვანილია თავის ღმერთთან ან წინაპრების საფლავებთან არა ქვის დერეფნების გავლით, არამედ მეგობრულად განწყობილი ბუნების მეშვეობით. არსად ხდება ლანდშაფტი ასე არქიტექტურის ნამდვილად ჭეშმარიტი მასალა“, და კიდევ: „ტაძარი – ეს არ არის ჩაკეტილი ნაგებობა, არამედ ანსამბლია, რომელშიც ბორცვები, წყალი, ხეები, ყვავილები და ქვები, განთავსებული სიმწყობრივით, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კარიბჭე, კედლები, ხიდები და შენობები. ეს კულტურა ერთადერთია, სადაც მებაღეობის ხელოვნება რელიგიური კულტია. არსებობენ ბაღები, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული ბუდისტური სექტების სიმბოლურ გამოხატულებას. ეს – ლანდშაფტის არქიტექტურაა და მხოლოდ ის ხსნის შენობათა არქიტექტურას“.

ოსვალდო შპენგლერის ამ აზრს შემდეგნაირად ავითარებს *ჯონ საიმონდსი*² თავის წიგნში „ლანდშაფტი და არქიტექტურა“: „იმისათვის, რომ გავიგოთ ჩვენი ამერიკული დაპროექტება, ჩვენ უნდა შევიგრძნოთ, რომ თუ გზა იყო ეგვიპტელების მნიშვნელოვანი სიმბოლო, *სხეული ან ფორმა* – კლასიკური პერიოდის სიმბოლო *ადამიანი-ბუნება* – აღმოსავლეთის სიმბოლო, ჩვენ ევროპიდან მემკვიდრეობით მივიღეთ, როგორც ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი სიმბოლო, – *უსასრულო სივრცის იდეა*. ჩვენ უნდა გამოვიგონოთ ფორმათა ჩვენი სამყარო, რომელსაც ვაპროექტებთ ამ უსასრულო სივრცეში“. შემდეგ იგი წერს: „პლატონი ამბობდა, რომ *ბედნიერება* – მეტი არაფერია თუ არა ჰარმონიაში მყოფი ურთიერთკავშირების აღქმა. თუკი ეს ასეა, მაშინ საბოლოო შედეგი რაციონალური დაპროექტებისა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს. მაგრამ ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ დაპროექტება არ არის საბოლოო შედეგი. ყველა დამპროექტებლის მიზანს წარმოადგენს დაპროექტების კვალიფიციური პროცესი და ისევე ამ დებულების განსამარტავად ჩვენ შეგვიძლია მივუბრუნდეთ აღმოსავლეთის უძველეს და ბერძნულ კულტურებს, რომლებმაც გვიჩვენეს, რომ მათი ფილოსოფიური

¹ Освальдо Шпенглер – (1880-1936) Немецкий философ идеалист, историк (Закат Европы);
² Джон Саймондс. Ландшафт и Архитектура. М.: Издательство литературы по строительству, 1965.

იდეის დინამიკური ხასიათის წყალობით მათ გადაჰქონდათ მეტი აქცენტი პროცესზე, რომლის შედეგად იძებნებოდა სრულყოფილება. < . . . > სიცოცხლის ხელოვნება იმალება ბუნებასთან და გარემოსთან შეგუების მუდმივ შესწავლაში. ნუ აპროექტებთ ცივი ფორმებისა და უაზრო ნაქარგების ენაზე - დააპროექტეთ უწინარესად ყოველისა ადამიანის განცდა! ცოცხალი, მსქეფავი, ენერგიული განცდა, თუკი მას ჩავიფიქრებთ, როგორც ჰარმონიული ურთიერთობების სქემას, იგი განავითარებს თავის საკუთარ გამომსახველობით ფორმებს.“ . . . „სილამაზე - ეს შედეგია, ეს მოვლენაა, რომელიც წარმოიქმნება გარკვეულ მომენტში ან გარკვეულ ადგილზე და მხოლოდ მაშინ, როცა ჰარმონიულია ყველა კავშირი.“¹

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ პოსტულატებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლანდშაფტური არქიტექტურა - არქიტექტურული მოღვაწეობის სწორედ ის თავისებური სფეროა, რომლის მიზანია, შექმნას ადამიანისათვის ჯანსაღი, მაღალმხატვრული და ჰარმონიული გარემო. ლანდშაფტის არქიტექტორი მუშაობს ცოცხალ ბუნებასთან, თუკი ერთ შემთხვევაში იგი იყენებს ბუნებრივ გარემოს მასში მინიმალური ჩარევით, სხვა შემთხვევაში იგი ქმნის „ხელოვნურ ბუნებას“ ანუ გახსნილი სივრცეების ახალ გარემოს. ეს ორივე ტენდენცია სხვადასხვა შეთანაწყოებით ვლინდება ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების მთელი პროცესის განმავლობაში, როგორც შედეგი არქიტექტურული შემოქმედებისა. ამ მიზნის მისაღწევად ლანდშაფტური არქიტექტურა იყენებს ისეთ მატერიალურ საშუალებებს, რომლებიც ყოველთვის არსებობდა ბუნებაში, კერძოდ: რელიეფი, წყალი, მცენარეული საფარი, ქვა და სხვა ბუნებრივი კომპონენტები, რომელთაც ახასიათებთ ფორმათა მრავალფეროვნება, ფერთა უმდიდრესი პალიტრა და პლასტიკურობა. ყველა ეს კომპონენტი, გამოცდილი არქიტექტორის ხელში, გვევლინება იმ ქალაქგეგმარებით მასალად, რომელიც საშუალებას იძლევა, ურბანიზებულ გარემოში შეიქმნას სიმყუდროვე, შერბილდეს სწორხაზოვანი მკაცრი გეომეტრიული გეგმარებითი ფორმები, ქალაქის რელიეფის თავისებურებათა გათვალისწინებით გამოიკვეთოს მრავალფეროვანი არქიტექტურული ანსამბლები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები შეერწყას როგორც ბუნებრივ, ასევე ხელთქმნილი - ბულვარების, სკვერების, ბაღებისა და პარკების სივრცეებს, რაც მთლიანობაში ქალაქის მწყობრ გეგმარებით სისტემას აყალიბებს.

არქიტექტურა და ლანდშაფტური არქიტექტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ურთიერთშორის, თუმცა ამასთან ისინი განსხვავდებიან სივრცითი გარემოს ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებით. მათი განვითარება საზოგადოებრივი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ერთ კალაპოტში ვითარდებოდა.

1 Джон Саймондс. Ландшафт и Архитектура. М.: Издательство литературы по строительству, 1965.

არქიტექტურა, ისევე როგორც ლანდშაფტური არქიტექტურა, ემსახურებოდა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას და ყოველთვის ეყრდნობოდა და ასახავდა თავისი დროის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

სივრცითი გარემო, რომელსაც ქმნის არქიტექტორი, შესაძლებელია იყოს ხარისხობრივად განსხვავებული ხასიათის და სხვადასხვა შინაარსის. უპირველესად, ეს ხელოვნურად შექმნილი სივრცეა მეტ-ნაკლებად იზოლირებული გარემოსგან. იგი შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმის, შინაარსისა და ზომის შენობა-ნაგებობებით. ყველა ის შენობა-ნაგებობა (მათ შორის, მიწისქვეშა, წყალქვეშა, მოძრავი და ა.შ.), რომელთაც აქვთ სივრცეები კედლების და სხვა სახის შემომზღუდავი კონსტრუქციების შიგნით, მიეკუთვნება არქიტექტურას. ხელოვნური გარემოს სხვა ნაირსახეობას წარმოადგენს, გახსნილი სივრცეების გარემო ანუ გარემო, რომელიც არ არის შემოფარგლული შემომზღუდავი კონსტრუქციებით, მაგალითად: ქუჩა, სკვერი, ბულვარი, სანაპირო, მოედანი, სპეციალიზებული და ნაციონალური პარკი და სხვა მიეკუთვნება გახსნილი სივრცეების კატეგორიას. გახსნილი სივრცეების დიაპაზონი ვრცელია და მათი ჩამოთვლა უსასრულოდ არის შესაძლებელი. სწორედ გახსნილი სივრცეების ფორმირების საკითხები წარმოადგენს ლანდშაფტური არქიტექტურის მოღვაწეობის სფეროს.

ლანდშაფტური არქიტექტურის ნაწარმოებებს მიეკუთვნება ანტიკური პერიოდის აგორები, ფორუმები, საქვეითო ქუჩები, აღორძინების, ბაროკოს და კლასიციზმის პერიოდების მოედნები მონუმენტებით, შადრევნებითა და კოლონადებით. არქიტექტურისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ზღვარზე აღმოცენდა უამრავი უნიკალური ნაგებობა მაგ., ბერძნული თეატრი, რომაული აკვედუკი, შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობები, ქალაქის თავდაცვითი კედლები, საგზაო ნაგებობები და სხვ.

ქალაქის გახსნილ სივრცეებს სხვადასხვა პერიოდში ქმნიდნენ ცნობილი ხუროთმოძღვრები და ქალაქთმშენებლები. მაგალითად, ლანდშაფტური არქიტექტურის რჩეულ ნაწარმოებთა შორისაა წარსული საუკუნეების უნიკალური არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი ნიმუშები, როგორებიცაა: მიქელანჯელოს გენიალური ქმნილება კაპიტოლიუმის მოედანი რომში თავისი გრანდიოზული კიბეებით, შადრევნებითა და სკულპტურებით ანდა პეტერბურგის სანაპიროები თავისი მრავალრიცხოვანი ხიდებით, ცნობილი ხუროთმოძღვრის ფელტენის ქმნილება და სხვ.

არასწორია, როდესაც ლანდშაფტური არქიტექტურა მოიხრება მხოლოდ როგორც საბაღე-საპარკო ხელოვნება, როგორც ამას, არცთუ იშვიათად, თვლიან თვით სპეციალისტებიც, განსაკუთრებით წარსული ეპოქების მიმართ. ბოლო დრომდე, მრავალი არქიტექტორის მიერ ლანდშაფტური არქიტექტურა გაურკვეველ სპეციალობად აღიქმებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლანდშაფტის არქიტექტორის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, ქალაქის გახსნილი სივრცეების ორგანიზაცია

შეადგენს. უკანასკნელ დრომდე ეს ითვლებოდა არქიტექტურული შემოქმედების თითქოსდა დამატებით პრობლემად, რომელიც გამოწვეული იყო აუცილებლობით, შენობა-ნაგებობებისათვის შექმნილიყო მიკროგარემო. მას უწოდებდნენ (და დღესაც უწოდებენ) კეთილმოწყობას. ხშირად ამ სამუშაოს ასრულებენ ადამიანები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური პროფესიული განათლება.

საუკუნეების მანძილზე ლანდშაფტური არქიტექტურა ყალიბდებოდა საბადე-საპარკო ხელოვნების, ქალაქგეგმარებითი კომპოზიციების და სივრცითი ელემენტების შექმნის ხელოვნების ურთიერთშეხამებით, ამასთან ყოველთვის სივრცის შედგენაში პარალელურად არსებობდა ორი მიმართულება – რეგულარულ-გეომეტრიული და მხატვრულ-პეიზაჟური. ისინი თითქმის არასდროს არ გამორიცხავდნენ ერთმანეთს, რადგან ყველაზე მკაცრი გეომეტრიული გეგმარებითი კომპოზიციები ეწერება ცოცხალ ბუნებრივ გარემოში და, პირიქით, არც ერთი ყველაზე თავისუფალი მხატვრული გეგმა გვერდს ვერ უვლის თუნდაც მცირე ზომის სწორ გეომეტრიულ ელემენტს.

ლანდშაფტური დაპროექტება ანუ გარემოსეული დაპროექტება, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურული შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ლანდშაფტური დაპროექტების სწავლების მიზანია, სტუდენტებს გამოუმუშავდეს შემოქმედების გარემოსეული მიდგომა ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით და მომავალ პროფესიონალებს შეექმნათ სწორი წარმოდგენა ბუნებრივი ელემენტების ესთეტიკურ და ფუნქციურ შესაძლებლობებზე.

პროექტზე მუშაობისას, ლანდშაფტის არქიტექტორს არა მარტო ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მის წინაშე დასმულ ამოცანაზე, არამედ სრულად უნდა აცნობიერებდეს თავისი პროფესიის არსს, იცნობდეს ამ პროფესიის ისტორიული განვითარების ეტაპებს, ფლობდეს კომპოზიციისა და ტექნიკური ხერხების მთელ არსენალს, რომელიც შემუშავებულია წინამორბედი თაობების მიერ. ნათელია, რომ არქიტექტურული ობიექტის ბუნებასთან კავშირში ზედმიწევნითი შესწავლა, ტერიტორიის ანალიზი და ყველა მრავალფეროვნების, მაგალითად: სამშენებლო მასალის, ფერის, ფორმის, სივრცის, და სხვა შემადგენელი ელემენტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი და დახვეწილი გადაწყვეტილებების მიღება. დამპროექტებელი, რომელიც სრულად არ ფლობს ლანდშაფტური დაპროექტების საფუძვლებს, თავისი არასწორი და არაკვალიფიციური გადაწყვეტილებებით ხშირ შემთხვევაში ზიანს აყენებს ან დუპავს ბუნებრივ ლანდშაფტს.

თუ დავაზუსტებთ ლანდშაფტური არქიტექტურის ცნებას, ენციკლოპედიაში მოცემული განმარტების შესაბამისად – ლანდშაფტური არქიტექტურა არის ბუნებრივ ლანდშაფტსა და ანთროპოგენურ გარემოს შორის, კერძოდ, დასახლებულ პუნქტებს, არქიტექტურულ კომპლექსებს და ნაგებობებს შორის *ჰარმონიისა და წონასწორობის* შექმნის *ხელოვნება*. ლანდშაფტური არქიტექტურის ამოცანებში შედის: ბუნებრივი

ლანდშაფტების დაცვა, ახალი ლანდშაფტების შექმნა და ბუნებრივი და ხელთქმნილი ლანდშაფტების ჰარმონიული განვითარება ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლანდშაფტური არქიტექტურა ძირითადად იყენებს ლანდშაფტის ბუნებრივ კომპონენტებს და გარდაქმნის მათ დაპროექტების პროცესში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლანდშაფტის ყველა კომპონენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ურთიერთშორის, მათი მდგომარეობა და განვითარება დამოკიდებულია როგორც კონკრეტულ ბუნებრივ პირობებზე, ასევე ადამიანის მხარდ სამეურნეო და სოციალურ მოღვაწეობაზე.

ბოლო პერიოდში ლანდშაფტური არქიტექტურის მოღვაწეობის სფერო საკმაოდ გაფართოვდა. მასში შედის უფრო ვრცელი ტერიტორიები და ლანდშაფტური არქიტექტურა უკავშირდება არქიტექტურული შემოქმედების მესამე მნიშვნელოვან განხრას რაიონულ დაგეგმარებას. სწორედ ამ საფეხურზე ლანდშაფტის არქიტექტორის მოღვაწეობა ხდება არაეფექტური – ეკონომიკური გეოგრაფიის, ეკოლოგიის და სხვა ფუნდამენტური მეცნიერებების შესწავლის გარეშე. რაიონული დაგეგმარების განმასხვავებელი ნიშანია ვრცელი ტერიტორიების სივრცითი ორგანიზაცია, რომელშიც ვერტიკალური განზომილება უმნიშვნელოა გეგმების მასშტაბებთან. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში რაიონული დაგეგმარება გამოიყო არქიტექტურის დამოუკიდებელ მიმართულებად და ჩამოყალიბდა არქიტექტორის სამი დამოუკიდებელი პროფესია – არქიტექტორი, ლანდშაფტის არქიტექტორი და ქალაქგეგმარებელი. ეს პროფესიები დაფიქსირებულია *გაეროს* შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. მართალია, ძალიან ძნელია გაატარო ზღვარი ამ პროფესიებს შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანის თავისებურებები აშკარაა. იგი დევს სივრცითი გარემოს ხასიათის იმ განსხვავებულობაში, რასთანაც თითოეულ მათგანს აქვს საქმე.

ვრცელი ტერიტორიების სივრცის ორგანიზაციის ასეთი აქტუალობა გამოწვეულია მოსახლეობის ზრდის ტემპებით და ადამიანის მოღვაწეობის საყოველთაო განვითარებით, რაც, თავის მხრივ, ურთიერთკავშირშია გარემოს განვითარებისა და გარდაქმნის პროცესთან. ბუნებრივი რესურსები, რომელთაც იყენებს ქალაქი, ისევე როგორც მისი გავლენის სფერო, სცილდება ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებს. აქედან გამომდინარე, ქალაქის გარემოს ცნება, მისი შინაარსი არ ემთხვევა მის ტერიტორიულ საზღვრებს, უფრო მეტიც, მსხვილი ქალაქის გარემოს გავლენის სფერო ზოგ შემთხვევაში ვრცელდება აგლომერაციის საზღვრებს იქითაც.

ქალაქისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედების დონე ვლინდება ასევე ადამიანის მიერ ლანდშაფტის ესთეტიკური აღქმის პროცესში და ლანდშაფტური დაპროექტების ამოცანებში. ეს ჩანს ასევე ლანდშაფტური დაპროექტების

ტერმინოლოგიაშიც, სადაც არსებობს *პეიზაჟის ცნება* უფრო კონკრეტულის, ვიდრე *ლანდშაფტის ცნება*.

ლანდშაფტი და *პეიზაჟი* აღებულია პირობითად. მიღებულ ტერმინოლოგიაში ეს ცნებები, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ სინონიმებს, რომლებიც შემოსულია გერმანული (*Landschaft*) და ფრანგული (*pay-sage*) ენებიდან.

გეოგრაფიულ ლანდშაფტმცოდნეობაში ლანდშაფტი – ტერიტორიული ცნებაა; იგი გამოხატავს ეკოლოგიის პროცესში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური კავშირების გარკვეულ სტრუქტურას.

პეიზაჟი – განსაზღვრული სივრცეა, რომელიც იხსნება გარკვეული წერტილიდან, ის ბუნების ცალკეული ფრაგმენტებია, რომლებიც იწვევენ სხვადასხვა შეგრძნებებსა და ხასიათს. ისევე, როგორც პეიზაჟურ ფერწერაში, მხატვრის მიერ გადმოცემული ბუნება გამოხატავს მის დამოკიდებულებას ბუნებისადმი, მის გრძნობებს, აზრებს, მსოფლმხედველობას, ასევე ლანდშაფტურ ხელოვნებაში ბუნების შეცვლა, შესრულებული ნატურაში გარკვეული ჩანაფიქრით, ქმნის გარკვეულ პეიზაჟურ სურათს.

პეიზაჟები, თავის მხრივ, იყოფა უმნიშვნელო სივრცით ხედებად. ლანდშაფტური სურათი მთელი რიგი პეიზაჟებისა და ხედების ერთობლიობაა. კარგად ტრასირებულმა გზამ შეიძლება შეგვაგრძნობინოს ლანდშაფტი მთლიანობაში, პეიზაჟებისა და ხედების თანდათანობით გახსნით.

ლანდშაფტურ დაპროექტებაში არსებობს თავისებური *ტიპოლოგია*:

– ქალაქის ტერიტორიის გამწვანების საერთო სისტემა; ქალაქგარე ტერიტორიის ან ქალაქგარე დასასვენებელი ზონის გამწვანების სისტემა; გამწვანების ცალკეული ელემენტების დაპროექტება, კერძოდ: ქალაქის ტიპის პარკის, რაიონული მნიშვნელობის პარკის, ბულვარების, სანიტარული დამცავი ზონების და ბევრი სხვა ობიექტის დაპროექტება.

ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მაინც არის *ქალაქის ტერიტორიის გამწვანების სისტემის დაპროექტება*, რაც განუყოფლად არის დაკავშირებული მისი გენერალური გეგმის დაპროექტებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის *ლანდშაფტური დაპროექტების* ცნების თანამედროვე გაგება, თავისი მოცულობითა და შინაარსით თანდათანობით იზრდება. გარდა იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ტარდება რელიეფის გარდაქმნისა და აღდგენის საქმეში, ქალაქის ტერიტორიის გაწვლვანების კომპლექსურ ორგანიზაციაში და ტერიტორიის გამწვანებაში, ლანდშაფტური არქიტექტურა დღეს გულისხმობს დასაგეგმარებელი ტერიტორიის წინასაპროექტო ანალიზს, რაც მიზნად ისახავს გარემო ლანდშაფტის ზედმიწევნით შესწავლას და ლანდშაფტის დაცვითი ზონების საზღვრების დადგენას. გენერალურ გეგმაში ასევე ისახება ქალაქის გარემოს სივრცით კომპოზიციური გადაწყვეტის ძირითადი კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად ედება არქიტექტურული და ლანდშაფტური ელემენტების ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთგაველეა, რაც შესაძლებელია იყოს

ბუნებრივი ან ხელოვნურად შექმნილი ადამიანის მიერ ბუნებრივი გარემოს გარდაქმნის საფუძველზე.

ლანდშაფტური არქიტექტურის მემკვიდრეობა მართლაცდა ამოუწურავია. ყველა ეპოქამ დატოვა და ყოველი ქვეყანა აგრძელებს ლანდშაფტური არქიტექტურის ნაწარმოებთა შექმნას. ისინი გამოხატავენ ადამიანის უწყვეტ და ცოცხალ კავშირს ბუნებრივ გარემოსთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უწყვეტ კავშირს გახსნილ სივრცეებთან, რადგან დიდი ქალაქის პირობებში ლანდშაფტურ არქიტექტურას ხშირად ხაქმე აქვს ქუჩების, მოედნების, ბაღების და წყლის სივრცეების ხელთქმნილ სივრცეებთან და ამ კავშირს გააჩნია თავისებური და განსაკუთრებული ხასიათი. იგი მდგომარეობს ლანდშაფტური არქიტექტურის უწყვეტ სახეცვლილებაში. ყოველ წუთში ხდება რაღაც, იცვლება გახსნილი სივრცის გამოსახულება, რადგან მასში მოძრაობენ ადამიანები, ცხოველები, მანქანები და ა.შ. სეზონური ცვლილებები მოქმედებს წყლისა და მცენარის გამომსახველობაზე, ყოველ წუთს იცვლება სივრცითი აღქმა მზარდი ხეების, ბუჩქების და ყვავილების. ამ ცვალებადობას შეაქვს გარკვეული თეატრალობა ადამიანის მიერ ათვისებულ ლანდშაფტში, და ეს არასტაბილურობა და ცვალებადობა დროში და სივრცეში ქმნის თავისებურ სილამაზეს ბუნებრივ და ხელთქმნილ ლანდშაფტებში, მითუმეტეს, თუკი ეს აღქმის ეფექტი წინასწარ აქვს ჩაფიქრებული კომპოზიციის ავტორს. ამიტომ ლექციების მსვლელობის დროს მიწოდებული მრავალრიცხოვანი ილუსტრაცია საფუძველია იმისა, რომ სტუდენტს შეექმნას ნათელი წარმოდგენა ლანდშაფტური არქიტექტურის შემოქმედების პოეტური ფორმის მრავალფეროვნებაზე.

တမ္ဘာ I

အာရှတိုက်နှင့် အာဖရိကတိုက်
နယ်များတွင်



1.1. ლანდშაფტის დაპროექტება

• თანამედროვე გარემოს პრობლემები

XX საუკუნეში მომხდარმა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კაცობრიობას სოციალური პროგრესის არნახული შესაძლებლობა გადაუშალა, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ სერიოზული და უპრეცედენტო პრობლემებიც წარმოშვა. ანთროპოგენური გავლენის გამო სიცოცხლეს დედამიწაზე ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე შეექმნა. ზოგი მეცნიერი ბიოსფეროს გაჭუჭყიანების პრობლემას ტექნოლოგიების მიერ მოსახლეობისადმი მიმართულ ქიმიურ ომსაც კი ადარებს. დაავადებათა მნიშვნელოვანი ნაწილი /80%-ზე მეტი/ პათოლოგიური ფეხმძიმობა და მშობიარობა, ავთვისებიანი სიმსივნეები, ფსიქიკური დარღვევები და ა.შ. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შედეგია.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქიმიურ ველში, სადაც უკვე აღარ არის სუფთა არც საკვები, არც წყალი და არც ჰაერი. რადიაციამ თუ მომწამლავ ნივთიერებათა მიგარციამ, ოკეანეთა დაბინძურებამ თუ ოზონური ფენის რღვევამ, ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წინაშე დააყენა მთელი ჩვენი პლანეტა.

ტერმინი „ეკოლოგია“ – ორი ბერძნული სიტყვიდან არის ნაწარმოები „oikos“ – სახლი, საცხოვრისი, ადგილსამყოფელი და „logos“ – მოძღვრება. მაშასადამე, ეკოლოგია სახლთმცოდნეობას ნიშნავს, მოძღვრებას დედამიწის – ჩვენი საერთო სახლის შესახებ. მართალია, ეკოლოგია ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთობას შეისწავლის, მაგრამ თავისი მნიშვნელობით იგი უკვე გასცდა წმინდა ბიოლოგიის საზღვრებს. შეიქმნა ისეთი დარგები, როგორებიცაა: „ქიმიური ეკოლოგია“, „გეოგრაფიული ეკოლოგია“, „ქალაქის ეკოლოგია“, „ადამიანის ეკოლოგია“, „საზოგადოების ეკოლოგია“ და ა.შ. მაგალითად, „საზოგადოების ეკოლოგია“ შეისწავლის გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის კანონზომიერებას.

ტერმინი „ეკოსისტემა“ – იგივე ძირიდანაა ნაწარმოები და აღნიშნავს ერთიან ბუნებრივ კომპლექსს, რომელიც წარმოქმნილია ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი ადგილსამყოფელის, მათი საცხოვრებელი გარემოს ერთიანობით /ეს შეიძლება იყოს ატმოსფერო, ნიადაგი, წყალი და სხვ./, სადაც ცოცხალი და ძვლოვანი კომპონენტები დაკავშირებულია ურთიერთშორის ნივთიერებათა ცვლით და ენერგიით. ხშირად ეკოსისტემის ნაცვლად იხმარება ტერმინი „ბიოგეოცენოზი“, როგორც სინონიმი. ეკოსისტემის ცნებას იყენებენ სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა ზომის ბუნებრივი ობიექტების მიმართ, მაგალითად: მთელი ოკეანის ან ტბის, ტაიგის და არყის ჭალების მიმართ. ხელოვნურ ეკოსისტემებს, ბუნებრივისაგან განსხვავებით უწოდებენ ეკოლოგიურ სისტემებს. ტერმინი „ეკოსისტემა“ პირველად შემოიღო ინგლისელმა ფიტოცენოლოგმა ატენსლიმ 1935 წელს /ფიტოცენოლოგია ბოტანიკის ნაწილია და სწავლობს მცენარეულ ჯგუფებს/.

1.2
• ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები

თანამედროვე ლანდშაფტურ არქიტექტურაში ცნობილია ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტის ცნებები.

ბუნებრივი ლანდშაფტი გეოგრაფიული გაგებით – ეს არის ბუნებრივი საზღვრებით შემოფარგლული ხმელეთის ერთგვაროვანი მონაკვეთი, რომლის შიგნით ბუნებრივი კომპონენტები /კლიმატი, რელიეფი, წყალი, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო/ ქმნიან ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ ერთიანობას. ბუნებრივ ლანდშაფტს შეიძლება მივაკუთვნოთ ყველა სახის ლანდშაფტი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბუნებრივი განვითარების შედეგად და არ ატარებს ადამიანის ზემოქმედების რაიმე ნიშნებს.

თანამედროვე გეოგრაფების უმრავლესობა აღიარებს ხუთი ძირითადი ლანდშაფტური კომპონენტის არსებობას, ესენია: დედამიწის ზედაპირი, ჰაერი, წყალი, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო. ცალკეული მკვლევარები ასახელებენ კიდევ ადამიანსაც, როგორც მეექვსე კომპონენტს, რაც გარკვეულწილად გამართლებულია ბუნებრივ ეკოლოგიურ სტრუქტურულ დინამიკაში ანთროპოგენური ჩარევის გაზრდილი გავლენით.

სამწუხაროდ, დედამიწაზე დღესდღეობით ძალიან ცოტაა დარჩენილი ბუნებრივი ლანდშაფტები ანუ ის ადგილები, სადაც ადამიანის მოღვაწეობის კვალი არ შეიმჩნევა. სამეურნეო საქმიანობის დროს ადამიანი ცვლის ცალკეულ ბუნებრივ კომპონენტს – პირველ რიგში, მცენარეულ საფარს, გრუნტს, წყლის რეჟიმს, ფაუნას. ასეთი ცვლილებები არღვევს ლანდშაფტში ჩამოყალიბებულ კავშირებს და ბუნებრივი კომპონენტების ურთიერთგავლენას, რაც იწვევს ეკოლოგიური წონასწორობის მოშლას. სწორედ ასეთ ლანდშაფტებს ეწოდება ანთროპოგენური ლანდშაფტები.

ადამიანის ბუნებრივ გარემოში შეჭრისა და მის მიერ ტერიტორიის გარდაქმნის აუცილებლობამ გამოიწვია ბუნებრივ ლანდშაფტებში ცვლილებები – გაჩნდა გზების, ელექტროსახლების, ქარხნების ქსელი, დასახლებული პუნქტების სისტემა და სხვ. სწორედ თანამედროვე ცივილიზაციამ წარმოშვა ახალი სახის ლანდშაფტები, როგორებიცაა: სამრეწველო, სასოფლო, სარეკრეაციო, ქალაქის, ურბანიზებული ლანდშაფტები და სხვ.

როგორც ცნობილია, ანთროპოგენური ლანდშაფტები უკვე დიდი ხანია არსებობს, მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო სამეურნეო საქმიანობა. მაგრამ თავიდან ეს თითქოს დიდ გავლენას არ ახდენდა დედამიწის ლანდშაფტის ფორმირებაზე. ცვლილებები, რომლებიც შეჭქონდა ადამიანებს ბუნებაში, ხდებოდა მცირე მონაკვეთებზე და ზიანი არც ისე საგრძნობი იყო, რადგან, მაგალითად, გათოხნილი მიწა სამეურნეო მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ სწრაფად აღადგენს თავის პირვანდელ თვისებებს. დღეს კი ადამიანის მოღვაწეობის ზრდის შედეგები უკვე საგრძნობი გახდა და ზოგ შემთხვევაში გამოუსწორებელიც. XX საუკუნის მანძილზე მთელ მსოფლიოში სოფლის

მეურნეობა სტიქიური ემპირიული გზით ვითარდებოდა. მეღიორაციის და ქიმიზაციის გამოყენებას, ნიადაგურ-კლიმატური, ჰიდროგეოლოგიური, რელიეფური სხვა ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლად, თან ახლავს ტერიტორიის წყლის რეჟიმის დარღვევა, დაშლამვა, შემჟავება და ნიადაგის სხვა ნეგატიური მოვლენებით გადატვირთვა. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ გამოიწვია ჰუმუსის დარღვევა, ამას გარდა, ნიადაგის დაბინძურება პესტიციდებით, რომლებიც ჩამდინარე წყლებით ხვდებოდა წყალსატევებში, ამასთან ნიტრატების - აზოტიან სასუქთა რაოდენობის მოხმარების გაზრდით ხშირია შინაურ ცხოველთა დაავადებებისა და დაღუპვის ფაქტებიც.

იმ ქიმიურ ნივთიერებებს შორის, რასაც ადამიანი ხვდება ჰაერში, წყალსა და საკვებში, ყველაზე საშიშია პესტიციდები. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადამიანისთვის უვნებელი პესტიციდი არ არსებობს. ამასთან, მათი ყოველწლიური წარმოება 5 მილიონ ტონას აღწევს. მცენარეთა და ცხოველთა პარაზიტების მრავალი სახეობა შეეგუა არსებულ პესტიციდებს, ამიტომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო ძლიერი შხამების გამოყენებაა საჭირო. საზოგადოებას ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს შეგნებული მიწათმოქმედების გადაჭარბებული ქიმიზაციის საშიშროება. მოსახლეობის არაინფორმირებულობას ეკოლოგიის სფეროში დიდი ზიანი მოაქვს. მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია გარემოს საერთო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ის ძნელად აღწევს ფართო მასებამდე.

XX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებული ინფორმაციით ატმოსფეროში 1600 სხვადასხვა სახეობის გაზი იყო გაფრქვეული, რაც მანვე გავლენას ახდენს კლიმატზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, მთელ ჩვენს ეკოსისტემაზე. იუნესკოს მონაცემებით XX საუკუნის ბოლოს, თბურ ელექტროსადგურთა და მეტალურგიულ ქარხანათა საკვამლე მიწებიდან 150 მილიონ ტონაზე მეტი გოგირდის ოქსიდი და 50 მილიონ ტონამდე სხვა მჟავური გაზი იყო გაფრქვეული ატმოსფეროში. შავ ზღვაში ნავთობპროდუქტთა შემცველობა 30-ჯერ აღემატებოდა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას. მჟავიანი წვიმების შედეგად გაჩანაგება იწყებს ტყეებმა, მატერიალური კულტურის ძეგლებმა, მკვეთრად გაიზარდა პათოლოგიური გადახრები ახალშობილთა შორის და ა.შ. მჟავური სტრესი ბუნების წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი აგრესიის გამოვლენაა.¹

ეკოლოგიური პრობლემები, რომელთაც ადრე ლოკალური ხასიათი ჰქონდა, დღეს მსოფლიოს მომცველ გლობალურ პრობლემად იქცა. ამის გამო, ბოლო საუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი *ეროვნული პარკების* შექმნის იდეას, რომელიც მიზნად ისახავს ფასეული ბუნებრივი კომპლექსების დაცვას და მოსახლეობისათვის სარეკრეაციო ზონების გეოგრაფიის ზრდას. *ნაკრძალებისაგან* განსხვავებით, რომლებიც ბუნების ეტალონებია, ისინი ემსახურებიან სამეცნიერო-კვლევით მიზნებს და ბუნებრივ გენეტიკური ბანკის შექმნა-შენარჩუნებას. *ეროვნული პარკები* პასუხობს ადამიანების მოთხოვნას ტურიზმისა და ბუნებასთან ურთიერთობის

¹ რ.გახოკიძე. „ბუნება მბრძანებელია“, გაზ. „თბილისი“, 1989.

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუთხით, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეროვნული პარკებით სარგებლობა შეუძლია ყველას, მაშინ როდესაც ნაკრძალის ტერიტორიით სარგებლობა შედარებით შეზღუდულია.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ ეკოსისტემებს აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს არასახარბიელო ზემოქმედებას და შეუძლია აღადგინოს თავისი სტრუქტურა, მაინც არსებობს გარკვეული ზღვარი, როდესაც ზემოქმედი ფაქტორები ჭარბობს ეკოსისტემების თვითაღდგენის უნარს, იგი ირღვევა, რაც მასში შემავალი ორგანიზმების დაღუპვას იწვევს. ეკოლოგიური პრობლემები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში რთული და მრავალმხრივია. ეკოლოგიური კავშირების გამოუსწორებელი რღვევის შედეგად ბუნებრივი ლანდშაფტები თანდათანობით გარდაიქმნება და ქრება. მთელ რიგ რაიონებში უკვე წამოიჭრა ლანდშაფტების აღდგენის პრობლემა. ეს თავისებურ და რთულ ამოცანებს სვამს ლანდშაფტის არქიტექტორის წინაშე. ერთ-ერთ ასეთ რთულ პრობლემას მიეკუთვნება *ლანდშაფტის რეკულტივაცია*.

ინდუსტრიულ ლანდშაფტებში არსებობს მოუხერხებელი მიწის ნაკვეთები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ საგრძნობია. ასეთი მიწები გამოიყენება მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში. მსგავსი კატეგორიის მიწებს ეკუთვნის რთული რელიეფის მქონე მიწები, ყოფილი სანაგვე ადგილები, კარიერები, უნაყოფო მიწები. ასეთი ტერიტორიებიდან მოდის მტვერი, ჩნდება მეწყრები, რაც უმეტესწილად წყაროების გატუჭყიანების მიზეზი ხდება. ასეთ ტერიტორიებს უწოდებენ მოუხერხებელს, დარღვეულს, გაფუჭებულს. ეს ტერმინები ხაზს უსვამს მოცემული ლანდშაფტის აღდგენისა და გარდაქმნის აუცილებლობას ადამიანის საკეთილდღეოდ.

მსგავსი უნაყოფო და დაზიანებული მიწების აღდგენის საქმე ტექნიკურად და ბიოლოგიურად მეტად რთულია და ლანდშაფტური არქიტექტურის პრობლემას წარმოადგენს.

ლანდშაფტის რეკულტივაციის სამუშაოები XX საუკუნეში ფართოდ ხორციელდებოდა რუსეთსა და უკრაინაში, ესტონეთში, ყაზახეთში, გერმანიაში, აშშ-ს მთელ რიგ რაიონებში. განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა რეკულტივაციის სფეროში ინგლისში, რადგან იქ განსაკუთრებით მწვავედ იდგა მიტოვებული სამრეწველო და უმოქმედო კარიერების გამოყენების საკითხი. ასეთი რაიონები ინგლისში საკმაოდ ბევრი იყო, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ლანდშაფტის რეკულტივაციის საკითხში ინგლისმა ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწია.

მსგავსი ტერიტორიების გამოყენება რეკულტივაციის გზით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის, დასვენების ზონების მოსაწყობად, წყლის სივრცეების ორგანიზაციისთვის და სამრეწველო განაშენიანებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ ტერიტორიაზე ნიადაგი იმდენად დაზიანებულია, რომ მცენარეები

მასზე ვერ ხარობენ, პარკების მოწყობის აუცილებლობის შემთხვევაში, უხდებათ მიწის დიდი ფენის შეტანა, რაც მეტად შრომატევადი და ძვირად ღირებული ღონისძიებია. ლანდშაფტურ დაპროექტებას მოუხერხებელ ტერიტორიებზე ისტორიული ტრადიციები აქვს. კვლევის შედეგად გამოვლენილია, რომ ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლების 1/3 ევროპაში შეადგენს იმ საპარკო ანსამბლებს, რომლებიც შექმნილია რეკულტივაციის გზით ლანდშაფტის სრული გარდაქმნის საფუძველზე.

1.2. ბუნება, მისი ფორმები და თავისებურებანი

დედამიწაზე ადამიანის განვითარების ისტორია – ეს ბუნების ძალებისა და მათი უდიდესი ენერჯის მარაგის გაცნობიერების ისტორიაა. ჩვენი წინაპრების სიბრძნე სხვა არაფერია, თუ არა ბუნების ელემენტარული კანონების ცოდნა. ჩვენი მეცნიერების განვითარება – ეს არის ბუნების საოცრებათა განჭვრეტის უნარი. ამიტომ, ჩვენი განვითარება იმ მეცნიერებათა განვითარების შედეგია, რომლებიც დაგვიანახებენ ჩვენი ცხოვრების წესს უფრო თანხვედრილს ბუნების კანონებთან.

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ჯუნგლებში ან ზღვაზე, განსაკუთრებით მძაფრად განიცდიან და შეიგრძნობენ ბუნებას და ინსტიქტურად მიჰყვებიან მისი განვითარების რიტმს, ციკლს, წესს და მასთან ჰარმონიაში ვითარდებიან. ამ ადამიანებმა შეითვისეს, რომ ბუნების კანონების დარღვევა მათ მხოლოდ უბედურებას მოუტანს.

თუკი ჩვენი დაპროექტება არსებითად წარმოადგენს მცდელობას, გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემო, მაშინ თითქოს ლოგიკურია დაპროექტება წარმართოს ბუნების ძალების, ფორმების, მზის, მცენარეების, ტბების, მდინარეების, ჩამდინარე წყლების, მთების, კლდეების და ა.შ. ყოველმხრივი გათვალისწინებით და მოხდეს ყველა ამ კომპონენტის ჰარმონიული დაპროექტება. მაგრამ, თუ უგულებელვყოფთ ყოველივე ამას, ჩვენ გამოვიწვევთ მთელ რიგ გართულებებს და შევუშლით ხელს იმ ჰარმონიის შეგრძნებას, რომელიც ესოდენ დიდ სიამოვნებასა და კმაყოფილებას გვანიჭებს.

• ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტები

ლანდშაფტურ გარემოში არსებობენ მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფორმები, თავისებურებები და ძალები, რომელთა შეცვლა თითქმის არ შეგვიძლია. ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ ისინი როგორებიც არიან, მოვერგოთ მათ და გავითვალისწინოთ დაპროექტებისას. ასეთ მუდმივ ელემენტებს მიეკუთვნება ისეთი *ფორმები*, როგორებიცაა: *მთების ჯაჭვი, მდინარის ხეობები, ტბის და ოკეანის ნაპირები* და სხვა მნიშვნელოვანი ტოპოგრაფიული დომინანტები; ისეთი *თავისებურებები*, როგორებიცაა: *ნალექები, ყინვა, ნისლი, მიწისქვეშა წყლების დონე და სეზონური ტემპერატურები*; ისეთი *ძალები*, როგორებიცაა: *ქარი, ზღვის და ჰაერის ნაკადები, ეროზია, განვითარების ციკლი, მზის რადიაცია, ელვა და მიზიდულობის ძალა*.

• *ლანდშაფტის მეორეხარისხოვანი ელემენტები*

ბუნებაში ასევე არსებობს ლანდშაფტის მეორეხარისხოვანი ელემენტები, რომლებიც დაპროექტებისას ჩვენ შეგვიძლია უგულებელვყოთ ან შევცვალოთ.

მაგალითად: ბორცვი, ტყე, მდინარის და ტბის კალაპოტი. ლანდშაფტის ამ ბუნებრივი ელემენტების ან მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შეცვლა შესაძლებელია ძირითადად 4 მიმართულებით:

- ბუნებრივი ფორმის შენარჩუნება;
- ბუნებრივი ფორმის ნგრევა;
- ბუნებრივი ფორმის შეცვლა;
- ბუნებრივი ფორმის ხაზგასმა.

ლანდშაფტის ეს ელემენტები შეგვიძლია შევისწავლოთ იმ კუთხით, რომ დავადგინოთ მათი შესაძლებლობების პოტენციური შესაბამისობა საპროექტო ობიექტთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ელემენტების შესწავლა და გათვალისწინება ქალაქების განთავსებისას, სამოსახლო ტერიტორიის ზონირებისას, ავტოსტრადების ან სარკინიგზო ხაზების დაპროექტებისას, ინდუსტრიული ნაგებობების განთავსებისას, ნებისმიერი შენობის ორიენტაციისა და ყველა სახის გეგმარებითი სამუშაოს ჩატარებისას.

• *ლანდშაფტური ხასიათი*

დედამიწაზე ჯერ კიდევ მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც თვალნათლივ შეიმჩნევა ბუნების ყველა ელემენტის სრული ჰარმონია – დედამიწის ზედაპირის, წყლის სივრცეების, ხეობების, კლდეების, ნარგაობის და ცხოველთა სიცოცხლეს შორის. ასეთ ადგილებზე შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ *ბუნებრივად შექმნილი ჰარმონიული ლანდშაფტური ხასიათი*. რამდენადაც უფრო სრული და გამოკვეთილია ეს ერთიანობა, მით უფრო ძლიერი და სრულყოფილია ლანდშაფტური ხასიათი. ამასთან, ბუნებაში არსებობს ურთიერთშეუსაბამო ელემენტებიც. დაპროექტებისას ასეთი შეუსაბამო ელემენტების გამორიცხვას, როგორც წესი, მივყავართ გარემოს გაუმჯობესებისაკენ. თუკი მართლაც ზოგიერთი ელემენტის გამორიცხვას შეუძლია გააუმჯობესოს ნაკვეთის ლანდშაფტური ხასიათი, მაშინ ასეთივე წარმატებით შესაძლებელია მასში შეყვანილ იქნეს ისეთი ელემენტები, რომელიც თავისი შინაარსით ხაზს გაუსვამს და გამოკვეთს მის ხასიათს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მონაკვეთის ლანდშაფტური ხასიათი შესაძლებელია განვითარებული ან გაუმჯობესებულ იქნეს უარყოფითი ელემენტების გამორიცხვით, მისი დადებითი მახასიათებლების გამოვლენითა და აქცენტირებით.

ჩინეთში მინების დინასტიის დროს ხელოვნება იმდენად მაღალი და იმდენად დახვეწილი იყო, რომ ერთი ბაღის საზღვრებში შეიძლება გვენახა მედიდური მთის პეიზაჟი, ტბის დანისლული ნაპირი, ბამბუკის ტყე, წყალსატყვის იდუმალი ნაპირი, ნაძვის ტყის მასივი და ჩანჩქერი. უმეტესად ასეთი ბაღის ფართობი რამდენიმე აკრს არ

აღმატებოდა. ამასთან, დამპროექტებლის ოსტატობის წყალობით გადასვლები ერთი ხასიათის პეიზაჟიდან მეორეზე თავისი სრულფასოვნებით, ტოლს არ უდებდა მათ როგორც ოსტატობით, ასევე გამომსახველობით.

სამყარო ხდება მდიდარი იმ ჰარმონიული ადგილების წყალობით, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ბუნების ძალებთან და ფორმებთან სრულ შესაბამისობაში. გასული საუკუნეების ცნობილი გეგმარებითი პროექტების უმეტესობა შენობა-ნაგებობათა კომპლექსების და ბუნებრივი ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტების ურთიერთმორგების საუკეთესო მაგალითებია. ისინი დაპროექტებულია ისეთნაირად, რომ ამ ელემენტების საუკეთესო თვისებები და ლანდშაფტში შეყვანილი ფუნქცია ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. ასეთ პროექტებში არა მარტო ლანდშაფტში შეყვანილი ფორმა, არამედ მისი ბუნებრივი ელემენტებიც გამოიყურება ისე, თითქოს ისინი ერთიანად იყვნენ შექმნილი პროექტის ავტორის ჩანაფიქრით. ისინი წარმოსახულნი არიან „ერთ გასაღებში“ და წარმოადგენენ გეგმის საერთო იდეის შემადგენელ ნაწილს. ამ შემთხვევაში ხდება სივრცის სწორი ორგანიზაცია და საქმე გვაქვს ლანდშაფტური არქიტექტურის სრულყოფილ ნაწარმოებთან, მაგალითად:

- გატყიანებული ფერდობების ტერასებზე განთავსებული მიმზიდველი იტალიური ვილები, თავისი თვალისმომჭრელი ქათქათა ქვიშით და მდინარე კომის ფირუზისფერი წყლით.
- შევიცარიის ალპური სოფლები, მიწებებული მთის კლდოვან ფერდობებს.
- მცხეთის ჯვარი გვირგვინით მორგებული მთის წვერს.
- ხევსურეთის და ფშავეთის ციხეები, რომლებიც ერწყმიან და ამთავრებენ კლდოვან ბორცვებს.
- ათენის ცენტრში მედიდურად აღმართული აკროპოლისი და ა.შ.

მართალია, ძალიან დიდია ლანდშაფტის ბუნებრივი ელემენტები და მათი როლი დაპროექტების პროცესში, მაგრამ დაპროექტებაზე არანაკლებ გავლენას ახდენს არსებული შენობა-ნაგებობები და მოძრაობის არტერიები და ზოგ შემთხვევაში უფრო მეტ გავლენასაც, ვიდრე ნაკეთის ბუნებრივი ელემენტები. თუკი ჩვენ დავხედავთ ნებისმიერ სატრანსპორტო რუკას, დავინახავთ, რომ იგი დასერილია სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ფერის ხაზებით. ეს ხაზები აღნიშნავს შოსეებს, მაგისტრალებს, ავტობანებს, მეორეხარისხოვან გზებს, ტრამვაის, საბარჯო, მეტროპოლიტენის და რკინიგზის ხაზებს. ქაღალდზე ისინი საკმაოდ უვნებლად გამოიყურებიან, მაგრამ რეალობაში წარმოადგენენ ტრანსპორტის მძლავრ ნაკადებს, რომლებიც უდავოდ დიდ გავლენას ახდენენ გარემოზე. მსოფლიოში ყოველ თხუთმეტ წუთში ვინმე იღუპება სატრანსპორტო საშუალებების მიზეზით, ამასთან, კიდევ უფრო მაღალია სერიოზული დაზიანებების პროცენტი. თუკი ჩვენ გავიაზრებთ ამ რეალობას, ნათელი გახდება, რომ დამპროექტებლები, სათანადო ყურადღებით და წინდახედულობით არ ეპყრობიან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაპროექტების პროცესს.

ლანდშაფტურ გარემოში არსებობს უამრავი, შედარებით შეუმჩნეველი ფაქტორი, რომლებიც ასევე კოლოსალურ გავლენას ახდენს დაპროექტებაზე. იმისათვის, რომ უკეთ გაეანალიზოთ ამ ფაქტორთა მნიშვნელობა, შევადგინოთ იმ ტექნიკურ ნაგებობათა ნუსხა, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ შენობების დაპროექტებისა და მათი ადგილზე მიბმის პროცესში.

მაგალითად, განვიხილოთ სასტუმროს პროექტი ქალაქის საქმიან ნაწილში. ამ შემთხვევაში ზემოქმედ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი:

- ქუჩის სიგანე და მისი პორიზონტალური პროექცია;
- ქუჩის დადგენილი ქანობი და მისი სავარაუდო გაუმჯობესების პერსპექტივა;
- გახსადენის ქსელში წნევა და სიმძლავრე;
- სანიაღვრე კანალიზაციის კოლექტორის ადგილმდებარეობა და მისი ზომები;
- საზოგადოებრივი საქალაქო თუ ქალაქგარე ტრანსპორტის მარშრუტების მიმართულებები;
- ავტობუსების სადგურთან, სარკინიგზო სადგურთან და აეროპორტთან სიახლოვე;
- გასწვრივ გამავალი ტრანსპორტის ხმაური და გამონაბოლქვი გაზების ემისია;
- გვერდით განთავსებული შენობების სიმაღლე, ტიპი, დანიშნულება, მასალა და საერთო ხასიათი;
- მიმდებარე ტერიტორიების ხასიათი და ფუნქციური დატვირთვა;
- პერსპექტიული ან პანორამული ხედები და სხვ.

ჩამოთვლილი ფაქტორების ნუსხა მეტ-ნაკლებად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა დანიშნულების მატარებელია საპროექტო ობიექტი. ეს იქნება მოტელი, ხორცკომბინატი, სკოლა, საბავშვო ბაღი, თუ საქალაქო სამაყურებლო დარბაზი და ა.შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ზემოქმედ ფაქტორთა როლი და მნიშვნელობა დაპროექტების პროცესის სწორად წარმართვისათვის.

• ლანდშაფტის გამოყენება

როდესაც ჩვენ ვიხილავთ ბუნებრივ ლანდშაფტს, როგორც აღქმის ობიექტს, ასეთ შემთხვევაში ადამიანი ხდება ლანდშაფტის შეუმჩნეველი დამთვალიერებელი, რომელსაც უფლება ეძლევა შევიდეს მასში ჩუმად და თაყვანი სცეს მას. მართალია, ადამიანი ჩვეულებრივ აღიქვამს ლანდშაფტურ გარემოს მისი გამოყენების პოზიციიდან, მაგრამ დამპროექტებლის ვალია, შეიგრძნოს გარემომცველი გარემოს ფიზიკური მახასიათებლები მანამ, სანამ იგი შეასრულებს შემდეგ დებულებებს:

- განსაზღვროს და გამორიცხოს გამოყენების ის სახეობები, რომლებიც აშკარად შეუფერებელია არა მარტო ამ ნაკვეთისთვის, არამედ გარემომცველი ლანდშაფტისთვისაც;
- განსაზღვროს ამ მონაკვეთისთვის შესაფერისი გამოყენების სახეობები;

- დააკონკრეტოს გამოყენების სახეობა და განავითაროს იგი გონივრულად ლანდშაფტის ელემენტების ურთიერთდაკავშირებულ საზღვრებში;
 - საპროექტო ვარიანტი უნდა მოიცავდეს და აკმაყოფილებდეს ფუნქციონალურ კომპლექსს, რომელიც სრულად ასახავს ნაკვეთის საუკეთესო მახასიათებლებს;
- ყველაფერი, რაც არ უნდა დაპროექტდეს მოცემულ ლანდშაფტში, იმოქმედებს მასზე ყოველი ახალი საპროექტო წინადადება წარმოაჩენს მთელ რიგ რეაქციებს და კონტრეაქციებს არა მარტო ნაკვეთის, არამედ მთლიანად გარემოს მიმართ.

• **ლანდშაფტის ორგანიზაცია**

ბუნებრივი ლანდშაფტი მშვიდ წონასწორობაშია და მას ახასიათებს საკუთარი ჰარმონიული სიმწკობრე, რომელშიც ყველა ფორმა გამოსატყვევებს რელიეფისა და კლიმატის თავისებურებებს და ბუნების ძალების ბუნებრივ განვითარებას. პირველქმნილ ხელუხლებელ ტყეში ან გახსნილ მდელოზე, ადამიანი დაუპატიჟებელი სტუმარია. იმ შემთხვევაში თუ იგი შედის ველურ ბუნებაში, იგი ან „შეერწყმება“ მას, ან „შეიჭრება“ მასში, რამაც შეიძლება დამანგრეველი გართულებები გამოიწვიოს. ადამიანის აქტიურობის განვითარებასთან ერთად ლანდშაფტი შესაძლოა გახდეს უფრო ორგანიზებული – „კარგად“ ორგანიზებული, თუკი ეს ორგანიზაცია თანმიმდევრულია, „ცუდად“ ორგანიზებული, თუკი ეს ორგანიზაცია ქაოსური და არალოგიკურია.

• **საპროექტო ლანდშაფტი**

ყველას გვინახავს ლანდშაფტის ბუნებრივი მონაკვეთები, რომლებსაც აქვს ხელოვნურად შექმნილი ცალკეული ჰარმონიული ნაწილები. ასეთ მონაკვეთებზე ან მასთან სიახლოვეში, ჩვენ სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა გვეუფლება. აღვნიშნავთ, რომ ასეთი ქალაქი, ავტოსტრადა ან პარკი სასიამოვნოა, არანეულებრივია, შთამბეჭდავია, ფერწერულია . . . ამის ქვეშ იგულისხმება ჩვენი ქვეცნობიერი შეგრძნება ლანდშაფტთან გარკვეული შესაბამისობის, სიმწკობრისა და ჰარმონიისა, რომელიც გვსიამოვნებს. იქ, სადაც მსგავსი შეგრძნება არ გვეუფლება, ჩვენ ვღიზიანდებით. ასეთი რაიონების დაპროექტებისას ჩვენ უნდა შევეცადოთ გამოვრიცხოთ მისი უარყოფითი თვისებები, დადებითი კი შევეუნარუნოთ და ვავაძლიეროთ.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სიტყვა „ჰარმონიას“. რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა ერწყმოდეს ან იკარგებოდეს ლანდშაფტში. ლანდშაფტის ნებისმიერი მონაკვეთის დაპროექტებისას, დაწყებული პატარა მდელოთი და დამთავრებული მიწის ვრცელი მონაკვეთით, უნდა გაანალიზდეს გამოყენების ნებისმიერი შესაძლებელი ვარიანტი და შემდგომ მაქსიმალურად გამოიკვეთოს მისი დადებითი თვისებები. თუკი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დასრულებული ნაგებობა შეესაბამება ლანდშაფტს, მაშინ ეს შემოქმედებითი ძიების ბედნიერი შედეგია.

• *ნაკვეთის შეგრძნება*

უდავოა, რომ საყრდენის გრაფიკულ მონაცემებს არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სასურველია ამას თან ახლდეს ნაკვეთის მრავალჯერადი ვიზუალური შესწავლა. თანამედროვე სტატისტიკისა და ტექნიკის ეპოქაში, დაპროექტების უმნიშვნელოვანესი მეთოდი მაინც მიწასთან თანხმობაშია. ეს არის მიწის შესწავლა, მისი აღქმა, საპროექტო ტერიტორიის ანალიზი, რაც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. ამიტომაც, რომ უმეტესად დასრულებული ნაგებობა წარმოაჩენს დამპროექტებლის უპასუხისმგებლობისა და შეცდომების საგალალო შედეგს.

იაპონიაში დაპროექტების მაღალი კულტურის ქვეყანაში, დაპროექტების პროცესში ნაკვეთის ეს დრმა შეგრძნება იძენს დიდ მნიშვნელობას. ყველა ნაგებობა გამოხატავს ნაკვეთის განვითარების ბუნებრივ შედეგს, რომელიც ინარჩუნებს, აძლიერებს ან აფართოებს მის საუკეთესო თავისებურებებს. *ჯონ საიმონდსი* აღნიშნავს, რომ, როდესაც იგი სწავლობდა იაპონიაში, გაკვირვებული იყო დაპროექტების ამ შეუცვლელი ხარისხით და თავის წიგნში “*ლანდშაფტი და არქიტექტურა*” წერს: „ერთხელ შევეკითხე ერთ არქიტექტორს, თუ როგორ აღწევს ის ამ ეფექტს თავის მუშაობაში. – სრულიად უბრალოდ, – მიპასუხა არქიტექტორმა, – მაგალითად, საადგილმამულო სახლის დაპროექტებისას, მე მივიღივარ ყოველდღე ამ ნაკვეთზე. სადაც ეს სახლი უნდა აშენდეს. ზოგჯერ – მე დიდ დროს ვატარებ იქ, მიმაქვს რა თან საუზმე და ჩაი. ზოგჯერ სადამოს სინუმეში, როდესაც ჩრდილები დაგრძელდება. ზოგჯერ – სამუშაო საათებში, როდესაც ქუჩებში ხალხმრავლობაა და მზე ანათებს კაშკაშად, ზოგჯერ თოვლსა და წვიმაში, რადგან რაც შეიძლება მეტი გავიგო ამ ნაკვეთის შესახებ. ამით მე ვახერხებ სიღრმისეულად შევიგრძნო მისი ავი და კარგი, მხოლოდ მაშინ მე მივიღივარ ამ პატარა მიწის ნაკვეთის შეგრძნებამდე, მისი შესაძლებლობების გაგებამდე. ამის შემდეგ მე შემიძლია ავიღო ხელში ფუნჯი და ტუში და დავიწყო ამ პროექტის შესრულება. მაგრამ, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემს გონებაში შენობა უკვე სრულად არის დაპროექტებული, სრულიად შეუგნებლად, მაგრამ დასრულებული ყველა მის დეტალში. მან მიიღო თავისი ფორმა და ხასიათი ნაკვეთის ხასიათისგან და მის გასწვრივ გამავლი ქუჩისგან, ნიავისგან, კლდის ფრაგმენტისგან, მოცურავე მზისგან და ჩანჩქერის ხმაურისგან, რომელიც ისმის სადღაც შორიდან. ვიცნობდი რა ამ სახლის პატრონის ოჯახს, ვიცოდი რა თუ რა უყვართ მათ და როგორი ცხოვრებით ჰქონდათ სურვილი რომ ეცხოვრათ, მე მოვძებნე აქ მათთვის ცხოვრების ის წესი, რომელიც მიიყვანდა მათ ცხოვრებას თანხმობაში გარემოსთან. აბა სხვანაირად როგორ შეიძლება დააპროექტო საუკეთესო სახლი ამ კონკრეტული ნაკვეთისთვის.“ . . . „სხვა გზა არც შეიძლება იყოს! ასეთია, უმარტივესად რომ ვთქვათ, დაპროექტების პროცესი, სახლის, ეკლესიის, ქალაქის, ნაციონალური პარკის თუ ავტოსტრადისა, იაპონიაში“.

1.3. ნაგებობები ლანდშაფტში

• ტერიტორიაზე ნაგებობის განთავსება

ნაგებობების დაპროექტებისას კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის თავიდანვე უნდა გაგაანალიზოთ და დაგადგინოთ ნაკვეთის ყველა თავისებურება. მაგალითად, საშუალო სკოლისათვის ტოპოგრაფიულ გეგმაზე უნდა დავაზუსტოთ – ძირითადი ზონების, ავტოსადგომების, ღია საკლასო ოთახების, ბაღების, სათამაშო მოედნების, ბაქნების, გზების, ღია ტრიბუნების და ა.შ. განლაგება, სკოლის კომპლექსის პერსპექტიული გაფართოების შესაძლებლობა, მისი მიახლოებითი ზომები და მოხაზულობა. ამის შემდეგ ჩვენ უნდა მოვხაზოთ ფუნქციური ზონები შესაბამის ზომებსა და ფორმებში, რომლებიც გააზრებული უნდა იყოს როგორც ერთმანეთთან თანაფარდობაში, ასევე ნაკვეთის ხელოვნურ და ბუნებრივ ელემენტებთან. ასე და ამგვარად, შავად მოხაზულ ფუნქციურ ზონებში ჩვენ ბოლოს და ბოლოს შეგვიძლია ჩავსვათ არქიტექტურული პროექტის ელემენტები. შედეგად ჩვენ მივიღებთ ნაკვეთზე ნაგებობის მდებარეობის სქემას. ამის შემდეგ ჩვენ ვიწყებთ დაპროექტების პროცესს დეტალების ხელმეორე ანალიზითა და მათი დაზუსტებით.

დაპროექტების პროცესი – ეს არის პროცედურა განმეორებითი ანალიზისა დეტალების დაზუსტებით ანუ ლოგიკური აზროვნების პროცესი, პროცესი აღმშენებლობითი სინთეზისა. კარგი პროექტი სხვა არაფერია თუ არა ლოგიკური აზროვნების ფიქსაცია. ბრწყინვალე პროექტი მეტყველებს ნაკვეთისა და ნაგებობის ყველა ფაქტორის გაბედულ ანალიზზე, მთელი ნაკვეთის ფუნქციის გამოხატვის შეგრძნებაზე, გაერთიანებულს ისე, რომ ერთი მეორეს ავსებდეს და ერთად ჰარმონიულად მუშაობდეს.

• გაერთიანებული დაპროექტება

ნაკვეთზე ნაგებობის განთავსების სქემის ანალიზიდან შეიძლება დავინახოთ, რომ ნაკვეთის ბუნებრივი ელემენტები მთლიანობაში ძლიერ გავლენას ახდენს ნაგებობის ფუნქციური ელემენტების განთავსებასა და ფორმაზე. პროექტის დაზუსტებისას ან კონსტრუქციების დამუშავებისას თითოეული ელემენტი ღრმად უნდა იქნეს გააზრებული ნაკვეთთან მიმართებაში.

როდესაც ხორციელდება ნაგებობის მიბმა ნაკვეთზე, ამ ნაკვეთის ხასიათში ჩნდება გარკვეული ცვლილებები. მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილებები იყოს დამპროექტებლის კონტროლის ქვეშ. მაგალითად, დაწყებითი სკოლა არ უნდა იყოს უბრალოდ „ჩასმული“ საქალაქო კვარტალში ან ქალაქგარე დასახლების შუაგულში. ის იდეალურ შემთხვევაში „ჩაწერილი“ უნდა იყოს საქალაქო მფლობელობაში და ჩაფიქრებული მთელ განაშენიანებასთან ჰარმონიაში ისეთი ოსტატობით, რომ ემოციურად და აღსაქმელად ხელმეორედ შექმნილი ლანდშაფტი წარმოადგენდეს ადრინდელთან შედარებით გაუმჯობესებულს. იმისათვის, რომ ვისწავლოთ, თუ როგორ

დავადგინოთ ნაგებობისა და ნაკვეთის ურთიერთკავშირი, ჩვენ შეგვიძლია მივუბრუნდეთ აღორძინების ეპოქის დამპროექტებელთა ნამუშევრებს. ბრწყინვალე *სან მარკოს მოედნის* მშენებლობისას ვენეციაში, არქიტექტორს, რომელსაც მიენდობოდა ხოლმე დაროექტება ტაძრის, სამრეკლოს, დოჟების სასახლის ან მემორიალური კოლონების, არც ერთ მათგანს არ ჩუფიქრებია თავისი ნაწარმოები როგორც იზოლირებული ნაგებობა. ყოველი მათგანი ინსტიტუტურად განიხილავდა თავის ნაწარმოებს, მთლიანობაში, მასთან მისასვლელი ქუჩების თუ წყლის მხრიდან, როგორც მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. კეთდებოდა მოედნის ხელმეორე შეფასება სავარაუდო საპროექტო შენობის გათვალისწინებით. არქიტექტორი ქმნიდა ნაწარმოებს, დაწყებულს საერთო გეგმიდან უმცირეს დეტალამდე, ნაგებობათა გავლენის თუ ზემოქმედების თვალსაზრისიდან მოედნის სივრცეზე და პირიქით. ყოველი არქიტექტორი აპროექტებდა არა მარტო ნაგებობას, არამედ ახლიდან აგებმარებდა მთელ მოედანს და ამით მთელ ვენეციას. ასე და მხოლოდ ასე ახორციელებდა ხელოვანი თავის მოვალეობას დამკვეთისა და თავისი ქალაქის წინაშე. უმეტესი, დიდი თუ პატარა ევროპული ქალაქის სილამაზისა და უნიკალობის საიდუმლოება იმალება სწორედ ასეთი დაპროექტების აქსიომაში. ბევრი არასასურველი რამ ქალაქის იერსახეში სწორედ იმის გამო ჩნდება, რომ ხშირად საერთო საქალაქო ანსამბლის სრული იგნორირება ხდება.

• *მიწის ნაკვეთისა და ნაგებობის ერთიანობა*

ჩვენ განვიხილეთ ნაგებობის ფუნქციური სქემის განვითარების მნიშვნელობა ნაკვეთთან მიმართებაში. ახლა განვიხილოთ სხვა საშუალებები, რომელთა დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ნაგებობისა და ნაკვეთის ერთიანობას მივაღწიოთ. მაგალითად, ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტის განვითარება შესაძლებელია ისე, რომ გამოყენებულ და ხაზგასმულ იქნეს მიწის ზედაპირის ფორმა. მაგალითად, შუქურა წარმოდგენს გამოწეული კონცხის გაგრძელებას. არქიტექტურული თვალსაზრისით, ძველებური ციხესიმაგრე ან სასახლე თითქოს ამთავრებს მთის კლდოვან ბორცვს. თანამდროვე სატრანსლაციო კოშკები, აღმართული მაღალ ტოპოგრაფიულ ნიშნულზე, უფრო მეტად ხაზს უსვამს მას, რესტორნის ბაქნები, რომლებიც ბუნებრივ ტერასებით თანდათანობით ჩადის მდინარის ნაპირისკენ, წყალში მოცურავე და კლდეში შეჭრილი ნაგებობები და ა.შ. – ყველა ისინი საზრდოლობენ ნაკვეთის ხასიათისაგან და თავისი მხრიდან ამძაფრებენ ამ ნაკვეთის გამომსახველობას.

მიწის ნაკვეთი და ნაგებობა შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ურთიერთშორის ნაკვეთისა და მისი ელემენტების არქიტექტურული დამუშავების ხარჯზე. გაკრეჭილი ხეივნები და ცოცხალი დობეები, წყლის ზედაპირები, ქვის სანაპიროები და ტერასები – ყველა ისინი აფართოებენ და ზრდიან ბუნებაზე ადამიანის კონტროლის შესაძლებლობას. რენესანსის ეპოქის ფრანგული და იტალიური ვილების უმეტესობა, თავისი დამუშავების ხარისხით, იმდენად არქიტექტონიკული იყვნენ, რომ

ვილა ბაღთან ერთად საზღვრიდან საზღვრამდე წარმოადგენდა შიდა თუ გარე არქიტექტურული სივრცეების ერთიან ბრწყინვალე კომპოზიციას. გრანდიოზული საბალო დარბაზები, დამუშავებული კედლებით და ბალუსტრადებით, ავარაყებდნენ მონუმენტურ სკულპტურულ შადრევნებს და პარტერულ ბალებს მდიდრული ნაქარგებით ან გემოვნებით შესრულებული ბზის ცოცხალი კედლის ლაბირინთებით. შენობებისა და გარემოს ერთიანობა იყო სრულყოფილი და დამთავრებული. ამასთან, შედეგი ხშირად იყო უაზროც - უაზრო ვარჯიში გამოყენებით გეომეტრიაში - ბუნებაზე კონტროლი თვით კონტროლისათვის. მაგრამ სხვა მხრივ, ვილების უმეტესობა იყო და რჩება შესანიშნავ არქიტექტურულ ნაწარმოებად, რომლებიც განსხვავდებიან მუსიკალური ტონალობით და სილამაზით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით და ნაკვეთის ბუნებრივი ელემენტების ხასიათით. მცენარეების, რელიეფის, წყლის ერთიანობა იყო გათვალისწინებული დამპროექტებლის მიერ. იშვიათად თუ სადმე ნახავთ მაგალითად, რომ წყალი, როგორც ლანდშაფტის ელემენტი, იყოს დამუშავებული მეტი წარმოსახვითა და ფანტაზიით, ვიდრე ვილა დ'ესტეში. მასთან მოყვანილი მთის წყალი მოედინება ვილის ციცაბო ფერდობებზე, იღვრება ბალებში ლამაზი ჩანჩქერების, დედეებისა და კასკადების სახით და კაშკაშდება ღრმა ქვის ფიალებში. ვილა დ'ესტეში წყალი, ფერდობები და მცენარეული საფარი არქიტექტურულად დამუშავებული იყო ისე, რომ გაეძლიერებინა ნაგებობებისა და გარემოს არქიტექტონიკა და გააერთიანებინა ისინი ერთ მთლიანობაში.

???

ნაკვეთი და ნაგებობა უფრო მეტად შეიძლება იქნეს დაკავშირებული ერთმანეთთან შუალედური ზონების საშუალებით, ტერასებითა და პატარა ეზოებით. მაგალითად: ლანდშაფტური დეტალი შეყვანილი ასეთ ეზოში ან ისე, რომ გამოჩნდეს ამ ეზოდან, დებულობს ახალ უღერადობას. ლანდშაფტი კიდევ უფრო მჭიდროდ შეიძლება იყოს დაკავშირებული ნაგებობასთან ოთახების ან დამატებითი ღია სივრცეების პერსპექტიულ ხედებზე ორიენტაციის ხარჯზე. ხედი შეიძლება დამუშავებულ იქნეს, როგორც ფრესკა, რომელიც გააფართოებს ოთახის სივრცეს ბაღის ბოლომდე.

უცხოელი დამოვალიერებლისათვის იაპონური სახლების იმ დამახასიათებელი თავისებურებებიდან, რომლებიც მათ აქვთ ყველაზე მიმზიდველია ხისა და ქაღალდისაგან გაკეთებული რბილად მოცურავე ეკრანები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ოთახის რომელიმე მხარის სივრცის გაზრდა ისე, რომ „ოთახში შემოყვანილ“ იქნეს, მაგალითად, აყვავებული ქლიავის, ქვის, ქვიშის და მზით განათებული ნაძვის კომპოზიცია და ა.შ. ყოველი დეტალი გააზრებულია საოცარი ოსტატობით, როგორც ოთახის ნაწილი. იაპონელები, ჩვეულებისამებრ, ამბობენ, რომ მათ აქვთ უფრო ღრმა მიზნები - განახორციელონ სრული ურთიერთკავშირი ადამიანისა ბუნებასთან და აქციონ ბუნების შეგრძნება მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად.

ამავე ხერხით ჩვენც შეგვიძლია დავუკავშიროთ ნაგებობები ბუნებრივ გარემოს შუშის ფართო ღიობების გამოყენებით. მისასვლელები და მოძრაობის გრაფიკი დავამუშაოთ ისე, რომ მივიღოთ სასურველი თანაფარდობა გარე და შიდა სივრცეებს შორის. ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ უშუალო კავშირები ლანდშაფტთან იატაკის გარკვეული მონაკვეთების, ასევე კედლის ან გადახურვის კონსტრუქციების გაგრძელების საშუალებით.

იდეალურია ჩაფიქრებული პროექტი, რომელშიც პროგრამა შედგენილია ნაკვეთის საუკეთესო პოტენციური შესაძლებლობების სრული ცოდნითა და გააზრებით. ამ პროგრამის განხორციელება მიღწევადაა ნაგებობისა და ლანდშაფტის სრული ჰარმონიის ან კონტრასტის საშუალებით. ნაკვეთისთვის შეუფერებელი ფაქტორები უნდა შეიცვალოს, გაუმჯობესდეს ან სავსებით გამოირიცხოს, ხოლო ნაკვეთის დადებითი ფაქტორები განვითარდეს და გაძლიერდეს. ნაგებობა და ნაკვეთის გეგმარება ჩაფიქრებული უნდა იყოს როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი.

დაპროექტების სწავლების დაწყებისას ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ობიექტის საუკეთესო თვისებები შესაძლებელია გაძლიერებულ იქნეს კონტრასტის წყალობით. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლანდშაფტის დაპროექტებისას. მსგავსი საპროექტო გადაწყვეტა ხორცშესხმულია შესანიშნავი შვედი ინჟინრის *მეილარტის* მიერ დაპროექტებულ ხიდებში. ყველა, ვისაც უნახავს ისინი, აღფრთოვანებულია რკინაბეტონის თეთრი თაღების სინატიფითა და დახვეწილობით, რომლებიც კონტრასტს ქმნიან და ამავე დროს ავსებენ ველური ტყის ხეობებს შვეიცარულ ბავარიაში.

თუ ჩვენ გვინდა, რომ შევინარჩუნოთ ან შევქმნათ რომელიმე ნაკვეთის ან ლანდშაფტის გარკვეული ფრაგმენტის სასიამოვნო ხასიათი, ვაღდებულნი ვართ განვათავსოთ ის ისე, რომ ყველა მისი ელემენტი ჰარმონიულად მუშაობდეს და ქმნიდეს მედიდურ ერთიანობას. არქიტექტურულ პრაქტიკაში მოიპოვება ბევრი მაგალითი, რომლებიც თითქოს არღვევენ ამ პრინციპს. მსგავსი ნაგებობები პირველი შეფასებისას თითქოს სრულიად უცხონი არიან ლანდშაფტურ გარემოში. მიუხედავად ამისა, მათი შესწავლისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგრძნობა ბუნებასთან გარკვეული შესატყვისობა. ღრმა ანალიზისას შესაძლოა აღმოვაჩინოთ ამ შესაბამისობის განწყობის ფესვები, გამომდინარე მიზნიდან, მასალიდან ან ფორმიდან, რომლებმაც მოიყვანეს ნაგებობა და გარემო ჰარმონიულ ერთიანობაში. მაგ., *მეილარტის ხიდები, რაიტის სახლი ჩანჩქერზე ბეი-რანში, ვილა გამბერაია* და სხვ.

ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ერთი ისტორიული არქიტექტურული ნიმუშის განხილვა, რომელიც აშენებული იყო XVII საუკუნის დასაწყისში. ფლორენციისაგან აღმოსავლეთით შემორჩენილია ომის დროს დანგრეული ლამაზი სოფლური *ვილა გამბერაიას* ნაშთები, რომელიც აშენდა 1610 წელს არქიტექტორ *გამბარელის* მიერ. დღემდე ვილა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნაგებობად იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე, როდესაც გამბარელი იწყებდა

პროექტზე მუშაობას, ამბობდნენ, რომ ეს მიწის ნაკვეთი ყველა თვალსაზრისით გამოუსადეგარია ვილის ასაშენებლად. კრიტიკოსები ბევრ რამეში, რა თქმა უნდა, მართლანი იყვნენ, რადგან ლანდშაფტის ბუნებრივი და ხელოვნური ელემენტები მართლაც უვარგისად გამოიყურებოდა. მიწის ნაკვეთი საოცრად პატარა იყო და შუაზე გაყოფილი გადატვირთული სავაჭრო გზით. გზის ჩრდილოეთით ეს ნაკვეთი იყო ქანობიანი და კლდოვანი, მაგრამ ჰერცოგს, რომელსაც ეკუთვნოდა ეს მიწა, პირადი მოსაზრებების გამო, სწორედ აქ ესაჭიროებოდა ვილის აშენება.

თავდაპირველად გამბარელიმ დიდი ყურადღებით შეისწავლა ეს მიწის ნაკვეთი, ლანდშაფტის ყველა წახნაგის აღნიშვნით და ზედმიწევნით ყურადღებით დათვალიერა ყველა ხე, ქვა ყოველი ფორმა, შეისწავლა პერსპექტივაში ყველა ცვალებადი წერტილი და ბოლოს მან გააცნობიერა, რომ შესაძლებელი იყო ნაკვეთის არასახარბიელო ელემენტების შემცირების და მათი დამუშავების ხარჯზე და ასევე ამ ნაკვეთის თავისებურებების, რომლებიც შექების ღირსიც კი იყო, კიდევ უფრო გაძლიერებით შექმნილიყო სრულყოფილი, აღტაცებაში მომყვანი ვილა. მისი აზრით, ნაკვეთზე გამავალი გზა აკმაყოფილებდა შესანიშნავ კავშირს ფლორენციასთან და ვიზულურ ხედებს ქალაქზე. დადებით ფაქტორებს შორის იყო ის შესაძლებლობა, რომ გაჭრილიყო კალაპორტი მთის ნაკადულისათვის, რათა უზრუნველყოფილიყო ყველაზე მნიშვნელოვანი – ცივი სუფთა წყლის ნაკადის მიღება და იგი შეუდგა მუშაობას.

იმისათვის, რომ დაეკავშირებინა შუაზე გახლეჩილი ნაკვეთი და შეექმნა გზაზე ხედი, მან ააშენა სიგანეზე კედლით გამაგრებული მიწაყრილი, რომელიც ეყრდნობოდა მაღალ ფართო თაღს. თაღის ძირთან მოაწყო შადრევანი, სადაც მგზავრებს შეეძლოთ დაესვენათ და გაგრილებულიყვნენ. ამ დანრდილულ ეზოში, რომელიც წარმოიშვა კედლებისა და გზის ნაპირას, დააყენა შესასვლელი ჭიშკარი, თვით შენობა კი დასვა მაღალ წერტილზე იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო განმარტოება და მეტი ღამაში ხედების გახსნა.

შენობიდან სამხრეთით ბაღის მოსაწყობად მან შეძლო გაესწორებინა მიწის ნაკვეთი, რომელიც თავდებოდა მოკლედ გაკრეჭილი ხეების მოხვეული კედლით. ამით მან დაფარა არასახარბიელო ხედი და შეინარჩუნა სასურველი სამხრეთის ხედი. აღმოსავლეთით ამ მიმართულების პარალელურად გამბარელიმ განავითარა გრძელი – გრძივი ღერძი გზის გადაღმა წყნარი ტბორის ნაპირებისაკენ, რომელსაც საზღვართან გარს ერტყა ღამაში მაღალი კვიპაროსები. ეს წავგრძელებული ღერძული პერსპექტივა არა მარტო ამთავრებდა ნაკვეთს, არამედ ქმნიდა მის საზღვრებში დიდი მანძილის და დიდი სივრცის შთაბეჭდილებას. ასე მოახერხა გამბარელიმ ერთი შეხედვით გამოუსადეგარი მიწის ნაკვეთის და ლანდშაფტის ელემენტების დამუშავება და ისეთი ვილის აშენება, რომელსაც აღფთოვანებაში მოჰყავდა მნახველები. სწორედ ამაშია ჭეშმარიტი არქიტექტორის ოსტატობის საიდუმლოება.

- *ნაგებობისა და სივრცის კომპოზიცია*

ფიზიკური გარემოს დამპროექტებლებს, სივრცის ორგანიზაციისას აბნევენ სრულიად უბრალო საკითხები, კერძოდ: შენობისა და გარემომცველი სივრცის თანაფარდობა, სივრცის დანაწევრება და შენობათა კომპოზიცია მოცემულ სივრცეში, ორი შენობისა და მასთან მისასვლელი გზების თანაფარდობა, ორი შენობის ფასადის თანაფარდობა ანდა შენობათა ჯგუფის და იმ სივრცის ურთიერთშეფარდება, რომლებსაც ისინი საზღვრავენ. ჩვენს წინამორბედებს ამ საკითხებზე ჰქონდათ თავიანთი თეორიები და პრინციპები. მათი შემოქმედების უამრავი შესანიშნავი მაგალითი ჩვენ დრომდეც არის შემორჩენილი, ასეთებია: ათენის აკროპოლისი, კაპიტოლიუმის შენობა რომში, ვერსალის საპარკო ანსამბლი, აღორძინების პერიოდის ვილები და სხვ. ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, ხშირად უგულებელვყოფთ ისტორიის გაკვეთილებს. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ჭეშმარიტება პირველი წყაროდან, რადგან ჩვენ გარშემო არის როგორც კარგი, ასევე ცუდი მაგალითები. ჩვენ უნდა შევძლოთ შევიგრძნოთ ჭეშმარიტი ხელოვნება და გამოვიმუშაოთ ჩვენი საკუთარი სახელმძღვანელო აქსიომები.

ყოველი შენობა ან ნაგებობა, როდესაც იგი მასაა, თავისი სრული გამოსახვისათვის მოითხოვს გამაწონასწორებელ ნეგატიურ გახსნილ სივრცეს. ეს ჭეშმარიტებაა. შესაძლებელია, საპროექტო ჭეშმარიტებებს შორის ყველაზე რთული ჭეშმარიტება მისი სრული გაგებისათვის. ეს ჭეშმარიტება ესმოდათ და მას ფლობდნენ მაგალითად კარნაკის ტაძრის, კოტოს საიმპერატორო ტაძრის ან სოხოს ბაღების მშენებლები. ჩვენ დღესაც მიგვაჩნია, რომ ამ შენობათა ჯგუფებს და მათთან დამაკავშირებელ სივრცეებს ახასიათებთ უმაღლესი მომაჯადოებელი ჰარმონია და გაწონასწორებულობა. ყოველ შენობას აქვს მისი შესაბამისი სივრცითი მოცულობა და ყოველ მასას – შესაბამისი სიცარიელე.

თუკი საჭიროა ნაგებობის განთავსება მიწის ბრტყელ ზედაპირზე, მაშინ უნდა განვსაზღვროთ, თუ რა ზომის სივრცე უნდა შეუფარდოთ მას, რომ იგი კარგად ჩანდეს მისასვლელებიდან. სივრცე, რომელიც გარშემო აკრავს მას, უნდა იყოს არა მარტო საკმაოდ ვრცელი ან, პირიქით, მცირე, არამედ ასევე მას უნდა ჰქონდეს სწორად შერჩეული ფორმა და შესაბამისი კომპოზიციური გადაწყვეტა, იმისათვის, რომ წარმოვაჩინოთ ნაგებობა ყველაზე მომგებიან ხარისხში. ხშირად ნაგებობის მოხაზულობა არც იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც მის მიერ შექმნილი ან განვითარებული გარე სივრცის ნახატი. ნაგებობები შესაძლოა განთავსებულ იქნეს ლანდშაფტში ისე, რომ მოხდეს მათი სრული ან ნაწილობრივი შერწყმა სხვა ნაგებობებთან და ლანდშაფტურ სივრცესთან.

- *შემოსაზღვრული - გახსნილი სივრცე*

გახსნილი სივრცე იძენს არქიტექტურულ ხასიათს, როდესაც იგი ნაწილობრივ ან მთლიანად შემოსაზღვრულია ნაგებობებით ან კონსტრუქციული ელემენტებით. ხშირად,

ასეთი სივრცე შენობის გავრძელებას წარმოადგენს, ზოგჯერ კი მთლიანი სივრცე შენობის წინა პლანი ან ფოკუსური წერტილია.

თუკი სივრცე შემოსაზღვრულია ნაგებობებით და გახსნილია გვერდიდან, იგი ხდება შენობასა და ლანდშაფტს შორის დამაკავშირებელი ფოკუსი. როდესაც იგი გახსნილია პანორამის მიმართ, მას ავითარებენ როგორც ბაქანს, პერსპექტივის ვიზუალური აღქმისათვის და, პირიქით, როგორც ჩარჩოს იმ პერსპექტივისა, რომელიც იხსნება თვით შენობაზე სხვადასხვა წერტილიდან.

შემოსაზღვრული – ღია სივრცე, ჩვეულებრივ, გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის. მას შეუძლია გააფართოოს შენობის ფუნქცია, მაგალითად, გამოყენებულ იქნეს შესასვლელის გასაფართოებლად როგორც მანქანების სადგომი ეზო ან გამოყენებულ იქნეს როგორც დამაკავშირებელი ეზო, მაგ., სამზარეულოსა და სასადილოს შორის, საძილე კორპუსსა და სასწავლო კორპუსებს შორის და ა.შ. მას შეუძლია შეასრულოს აგრეთვე დამოუკიდებელი როლიც როგორც სარეკრეაციო ზონამ სხვადასხვა შენობებს შორის და სხვა მიზნებისათვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა უშუალოდ ეს სივრცე თავისი ფუნქციური დანიშნულებით შესაბამის ნაგებობასთან, იგი მაინც უნდა იქნეს დაკავშირებული მასთან თავისი ხიასიათით და ხარისხით. ასეთი სივრცეები - შიდა და გარე ეზოები, მოედნები, საზოგადოებრივი სკვერები, არცთუ ისე იშვიათად, ხდება რამდენადმე დომინირებული, რადგან მასში ხშირად თავს იყრის ნაგებობის არსი.

• ავანმოედანი

ავანმოედანი – შენობის ან შენობების წინ არსებული სივრცეა, რომელიც უკვე ესკიზურ სტადიაშივე უნდა დაპროექტდეს შენობასთან ერთად, როგორც ამ შენობის ნაწილი. ეს სივრცე ორგანიზებული უნდა იქნეს ისე, რომ *მიიზიდოს, განათავსოს და დაიტოვოს* ქვეითად მოსიარულეთა და სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტის ნაკადი. ამავე ხერხით უნდა იქნეს ორგანიზებული საპარკო მისასვლელებიც. ეს სივრცე იღებს სტუმარს და წარმართავს მას, ახდენს ყურადღების კონცენტრაციას შესასვლელზე, ამზადებს შენობაში შესასვლელად და ქმნის შესაბამის განწყობილებას.

ავანმოედანი წარმოადგენს შენობის ან შენობათა ჯგუფის წინა პლანს. იგი ავსებს და ხაზს უსვამს თვით ობიექტს. სწორად ჩაფიქრებული და დაპროექტებული ავანმოედანი კარგად აკავშირებს ნაგებობას ახლო და შორ მისასვლელებთან, აერთიანებს ახლოს განთავსებულ ნაგებობებთან, განაშენიანებასთან და გარემო ლანდშაფტთან.

ავანმოედანი ასევე უნდა იკითხებოდეს გასწვრივ გამავალი სატრანსპორტო გზებიდანაც. მასში განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ნიშნები, სიმბოლოები, საგნები ან სივრცეები, რომლებიც მიიზიდავენ თვალს და მიიპყრობენ ყურადღებას. მათი საშუალებით გასაგები უნდა გახდეს, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის ობიექტი, რომელზედაც ისინი მიუთითებენ. ავანმოედანი შეიძლება ჩაფიქრებულ იქნეს როგორც

ერთი ან რამდენიმე ფუნქციური ზონა. მან შეიძლება გააფართოს ქუჩის ან ავტოსტრადის ფუნქცია, ასევე – მიმდებარე ტროტუარების ფუნქციაც, თუ მასში ჩართული იქნება მოკირწყლული ბაქნები ან ტერასები. მას შეუძლია გააფართოს შენობის ფუნქციაც შიდა სივრცის დაკავშირებით გარე სივრცესთან. ავანმოედანმა ზოგჯერ შეიძლება შეასრულოს შენობის ფუნქციაც, როგორც ეს არის რიგ ევროპულ ქალაქებში, სადაც ხალხმრავალ ქუჩებში განთავსებული კაფეები ასრულებს უმეტესად სამზარეულოს ფუნქციას, ხოლო ქუჩებში გამოტანილი მაგიდები და სკამები – კაფეს ფუნქციას.

ავანმოედანმა შეიძლება მიიზიდოს მომსვენელთა გარკვეული ნაწილი, ნაწილი კი, პირიქით, უკუაგდოს. მაგალითად, საბავშვო ბაღის ავანმოედანი თავისი ვარდისფერი კარით, დაბალი ყვავილნარებით ფერადი მაგიდებით, სკამებით და სათამაშოებით აღფრთოვანებას იწვევს და განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს პატარებზე, მაშინ, როდესაც, ვთქვათ, უფრო დიდი ასაკის ბავშვები მას გულგრილად უვლიან გვერდს. ზოგიერთი მისასვლელი დაპროექტებულია ისე, რომ უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურება, ზოგი კი ვერ უზრუნველყოფს მას. ავანმოედნიდან ხდება ყურადღების გადატანა უშუალოდ ნაგებობაზე ან მის შესასვლელზე. ის მოცულობები და ფორმები, რომლებიც განთავსებულია მისასვლელი გზების გასწვრივ, უნდა გამოხატავდნენ ჩვენი გადაადგილების ლოგიკურ თანამიმდევრობას. ჩვენ უნდა შევიგრძნოთ გადასვლა გარე სამყაროდან შიდა სამყაროში.

• შენობათა ჯგუფი

როდესაც ორი ან რამდენიმე შენობა დაკავშირებულია ურთიერთშორის როგორც ჯგუფი, მათ შორის არსებული სივრცის ჩართვით ისინი ყალიბდებიან არქიტექტურულ ორგანიზმად. ასეთ პირობებში ყოველ ნაგებობას, მისი სივრცითი ფუნქციის გარდა, აქვს ბევრი მეორეხარისხოვანი ფუნქციაც, დაკავშირებული თვით ჯგუფთან. შენობები შეიძლება იყოს ლანდშაფტის ელემენტების შემომსახვრავი, დამფარავი, ფონის შემქმნელი, გაბატონებული ლანდშაფტზე, ლანდშაფტის მაორგანიზებელი, ცალკეული თვისებების მატკენტირებელი, გამყოფი ან მის შიგნით ცალკეული დეტალის ფუნქციის გამაძლიერებელი.

ხშირად შენობა გამოიყურება არა მარტო როგორც ნაწილი მთლიანისა, არამედ ფუნქციონირებს კიდევ, როგორც მთელი კომპლექსის ნაწილი. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც შენობა არის ელემენტი არქიტექტურული ჯგუფისა, მისი გადაწყვეტა ხორციელდება როგორც ურთიერთდაკავშირებული ერთიანი კომპოზიციის ნაწილისა. ამასთან, ყოველი ნაგებობა, რომელიც ამ ჯგუფის ფარგლებშია, გამოხატავს მთლიანისადმი მის დაქვემდებარებას.

ნაგებობები შესაძლებელია განთავსდეს ლანდშაფტში თავისუფლად, როგორც ინდივიდუალური ელემენტი. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის აუცილებელი ნაგებობის დაპროექტება როგორც ჯგუფის ნაწილისა, იგი, ისევე როგორც სივრცე, მის

გარშემო შესაძლებელია დაპროექტდეს უფრო თავისუფლად. მისი დამოკიდებულება არ არის დამოკიდებულება შენობისა შენობასთან, არამედ იგი განიხილება როგორც შენობის დამოკიდებულება ლანდშაფტთან და მის ელემენტებთან. ხასიათით ან მოხაზულობით ერთმანეთის მსგავსი შენობები შესაძლებელია განთავსდეს ერთმანეთის მიმართ შორ მანძილზე, მაგრამ ისე, რომ დომინირებდნენ ლანდშაფტში და აერთიანებდნენ მას. ასეთი განთავსება შესაძლებელია იყოს არქიტექტურული ან იყოს თავისუფალი. ასეთმა გადაწყვეტამ ვრცელ ლანდშაფტებს შესაძლოა მრავალფეროვნება მიანიჭოს.

ნაგებობას ხშირად აკავშირებენ არა მარტო ბუნებრივ, არამედ ხელოვნური ფორმების ფაქტორებთან, მაგალითად, როგორებიცაა: ავტოსტრადა, რკინიგზა, მდინარე, ტბა ან ხეობა, საკურორტო კომპლექსი, განთავსებული ტბის მახლობლად და ა.შ., როგორც ჰარმონიულად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს. გზისპირა რესტორანი დაპროექტებული უნდა იყოს ავტოსტრადასთან ერთად, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი – ლანდშაფტის ხასიათის, აღქმის მანძილების, მისასვლელების, მოძრაობის გრაფიკის, სივრცისა და ფორმის კომპოზიციის თვალსაზრისით.

ლანდშაფტში გაფანტულად განთავსებული ნაგებობები შესაძლებელია მოყვანილ იქნეს მოხერხებულ და აღსაქმელად უფრო სასიამოვნო თანაფარდობაში მოკირწყლული მონაკვეთების შეერთებისა ან მოძრაობის ზუსტი გრაფიკის გამოკვეთის ხარჯზე. ეს გამოლიანება შესაძლებელია მიღწეულ იქნეს აგრეთვე ისეთი კონსტრუქციული ელემენტების დამატებით, როგორებიცაა: კედლები, ღობეები, ხეების რიგი ან ცოცხალი ღობეები, რომლებიც შეკრავენ და გაამთლიანებენ მათ. ზოგ შემთხვევაში ამ ელემენტებმა, რომლებიც აერთიანებს ნაგებობებს შორის სივრცეებს, შეიძლება ასევე მაიზოლირებლის და გამყოფის როლი შეასრულოს.

ხშირად, ნაგებობებისა და მასთან დაკავშირებული სივრცეების დაჯგუფება მოძრაობის ზონების შესაბამისად ხორციელდება, რადგან ადამიანებს მოსწონთ მოძრაობის თავისუფლების არჩევანი. გეგმარებითი სქემების კომპოზიციური სრულყოფა არაფერს არ ნიშნავს მანამ, სანამ ისინი არ გაისინჯებიან ტრილებში, პერპექტივაში მაკეტში, დაბოლოს, მისი დამთავრებისას. მისი აღქმის უმაღლესი შემოწმება ხდება ნატურაში.

ნაგებობათა განთავსების შესწავლისას საგულისხმოა, რომ პეკინის შექმნისას მისი დამპროექტებლების მიზანი ის კი არ იყო, რომ აშენებულიყო პარკები ქალაქის საზღვრებში, არამედ პარკების საზღვრებში აშენებულიყო ქალაქი. შესაძლოა ეს აზრი ნაგებობების განთავსებისას სივრცეში ყველაზე კარგად არის გამოხატული *ჯონ ნოკს შიარის* გამონათქვამში „*იდეალში მთელი სამყარო უნდა იყოს ბაღი, მასში ღამაზად მიმოზნეული ნაგებობებით*“.

აღმოსავლეთის ხალხს აქვს მაღალგანვითარებული გეგმარებითი დისციპლინა, რომელსაც ხსნიან „დაძაბულობის“ და „სიმშვიდის“ ცნებებიდან. მიუხედავად იმისა,

რომ ეს პრინციპები გამომდინარეობს რელიგიური მისტიციზმიდან, მათი გამოყენება დაპროექტებისას ძალიან სასარგებლოა. *ეს არის მიზანმიმართული ძალისხმევა, მიღწეულ იქნეს სიმშვიდის შეგრძნება კომპოზიციის მთელ სისტემაში პროექტის ელემენტის იდუმალი წონასწორობის მიგნების გზით.* ასეთ შემთხვევაში ურთიერთწონასწორობაში მოდის *ახლო - შორეულთან, მკვრივი - ცარიელთან, სინათლე - სიბნელესთან, მხიარული - მოსაწყენთან, ნაცნობი - უცნობთან, აქტიური - პასიურთან, მოძრავი - უძრავთან* და ა.შ. და მაინც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს ყველაზე გამომსახველი დინამიკური დაძაბულობა, რათა ყველა საპირისპირო ელემენტს და მთელ სქემას მაქსიმალური მნიშვნელობა მიენიჭოს.

შენობათა ჯგუფი შესაძლებელია დაპროექტდეს კონსტრასტში როგორც ურთიერთშორის, ასევე ადგილის მიმართ. ამასთან, მოძრაობისას იქმნება ურთიერთდაპირისპირებული ელემენტების კომპოზიციური განვითარების, *ერთი მხრივ, დაძაბულობის* და, *მეორე მხრივ, დინამიკური სიმშვიდის* შეგრძნება. ერთი ხე შესაძლებელია განთავსდეს ისე და მისი ზრდა წარიმართოს ისე, რომ მან დაიჭიროს ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, გააწონასწოროს შორს განთავსებული ხეების ჯგუფი ან მთელი ტყე და, იმავდროულად, მიანიჭოს მას უფრო მეტი მნიშვნელობა.

უოლტერ ბეკი, რომელიც დიდი ხანი სწავლობდა აღმოსავლეთის კულტურას და კომპოზიციის საკითხებს, მის მიერ დაპროექტებულ მდიდრულ ბაღებზე ასე წერდა: „ტბის ნაპირას განთავსებულ კლდეს მე ვუწოდებ დრაკონის კლდეს - იგი არის წამყვანი, ქვების დაჯგუფებაში, რომელთა დანიშნულებაა ტბისა და მასთან ახლოს განთავსებული ბორცვების გაწონასწორება, ამასთან, ცისა და შორი ლანდშაფტის მნიშვნელობის შესუსტება“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ ობიექტებზე როგორებიცაა: კლდე, სკულპტურა, ნაგებობა ან სხვა მნიშვნელოვანი რაიმე ლანდშაფტური კომპონენტი, შესაძლებელია მოხდეს ძლიერი კომპოზიციური და ვიზუალური აქცენტის კონცენტრირება. ასეთ ობიექტებს შეუძლია დაიჭიროს მაწონასწორებელ დაძაბულობაში ელემენტების ვრცელი სისტემა.

ევროპული და აღმოსავლური სისტემების შედარების საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთში შენობების და სხვა ტიპის ნაგებობების განთავსებისას ტრადიციისამებრ ყურადღებას აქცევენ ძირითადად იმას, თუ როგორ გამოიყურება ესა თუ ის ნაგებობა სივრცეში, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთში მას განიხილავენ, როგორც *სივრცის დანაწევრების* ან *მისი გაძლიერების საშუალებას*. ამასთან დაკავშირებით, *რასმუსენმა* თავის წიგნში *„ქალაქები და შენობები“* ჩაატარა ორი მნიშვნელოვანი საპარკო ანსამბლის - *ვერსალის პარკისა* და *პეკინის საიმპერატორო პარკის* გრაფიკული ანალიზი. ეს ორივე ანსამბლი დამთავრებული იყო XVII საუკუნის შუა პერიოდში. ორივეში იყო მოწყობილი გრანდიოზული წყლის სივრცეები და ორივე იყო ბრწყინვალე, მაგრამ მხოლოდ ამით შემოიფარგლება მათი მსგავსება. ზედმიწევნითი ანალიზი ამ დიამეტრულად საპირისპირო გეგმარებითი

სისტემის მქონე ობიექტებისა, საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად გავიგოთ როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის დაგეგმარების ფილოსოფია ისტორიის მოცემულ ეტაპზე.

ნაგებობების განთავსებისას სივრცეში ან მათი დაჯგუფებისას ხშირად მიმართავენ ცივ გეომეტრიას. პროექტი გადაწყვეტილი ორ განზომილებაში, წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების ფიქსაციას სამ განზომილებაში. პროფესიონალი დამპროექტებელი ყოველთვის ფიქრობს იმაზე, თუ რა განცდა დაეუფლებათ ან როგორ აღიქმება ნაგებობა სივრცულ კომპოზიციაში, მისკენ ან მის გარშემო მოძრაობისას. მისი ზრუნვა დაკავშირებულია არა ობიექტის ფორმასთან და სივრცესთან იმ სახით, როგორც ის არის გადმოცემული ნახაზზე, არამედ ამ ფორმისა და სივრცის ურთიერთდამოკიდებულებით, თუ როგორი იქნება იგი ნატურაში, რეალურ სივრცეში.

აღორძინების ეპოქის მთელი რიგი მოედნები, სასახლეები, პარკები წარმოადგენენ მსოფლიო მოსაწყენ გეომეტრიას. ასეთი აზრი და საყვედურები, ამ უანყოფო დაპროექტების მიმართ, პირველად გაისმა ავსტრიელი არქიტექტორის *კამილ ზიტეს* მხრიდან, რომლის 1889 წელს გამოქვეყნებული სტატიები ქალაქთმშენებლობაზე დასაბუთებული და მართებულია დღემდე. სწორედ ზიტემ მიუთითა, რომ ძველი პერიოდის ოსტატები სწორად იყენებდნენ თავიანთ საზოგადოებრივ სივრცეებს და რომ ამ სივრცეების და მათ გარშემო განთავსებული ნაგებობების დაპროექტება ხორციელდებოდა ერთდროულად. იმ პერიოდის სავაჭრო და რელიგიური დანიშნულების მოედნები, სამთავრობო, საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილები, არასდროს არ იყო გეომეტრიული, მათთან არასდროს არ მიდიოდა ფართო ღერძული გზა, რაც დაანგრევდა ამ მოედნების ძირითად თავისებურებას - ჩაკეტილობას. ისინი იყვნენ ასიმეტრიულიები, მათზე მოხვედრა ხდებოდა ვიწრო კლაკნილი ქუჩებიდან. ყოველი ნაგებობა ან ობიექტი ამ სივრცის ფარგლებში დაპროექტებული იყო ამ სივრცესთან თანაფარდობაში, მომსვლელი ხალხის ნაკადის გათვალსიწინებით. ასეთი სივრცეების ცენტრები თავისუფალი იყო მონუმენტების, სკულპტურების და შადრევნებისაგან და წარმოადგენდა ამ სივრცეების ორგანულ ნაწილს. მცირე ფორმებსა და სკულპტურებს ანთავსებდნენ პატარა კუნძულებზე ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ნაკადებს შორის, მაგრამ იშვიათად ერთ ღერძზე შენობის შესასვლელებთან, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს ხელს შეუშლიდა შენობის სრულფასოვან აღქმას მასთან მიახლოებისას. ზიტემ ყურადღება მიაქცია, რომ ძირითადი შენობის ღერძი იშვიათად ემთხვეოდა ღია სივრცის ცენტრს, ისე როგორც უმეტესად კედლება დღეს. ამის მაგივრად ისინი მიიწვედნენ სხვა შენობებისაკენ ან გვერდზე, რომ მაყურებლისათვის გაეხსნათ უკეთესი ხედი მთავარ შენობაზე მის შპილზე ან პორტალზე როგორც თვით მოედნიდან, ასევე მასზე შემავალი მიხვეულ-მოხვეული ქუჩებიდან. ძველი ევროპული ქალაქების მოედნის საშუალო ზომა დაახლოებით 465X190 ფუტს შეადგენდა.

• კომპოზიციის კანონები

საუკუნეების მანძილზე დიდი ყურადღება ექცეოდა შენობის პროპორციის და მიმდებარე სივრცესთან მისი თანაფარდობის ზუსტი ფორმულირების ან წესების დადგენას. *ხევემანის და პიტის* სამეცნიერო ნაშრომის თანახმად – „სახოვადობრივი ხელოვნება“ – ირკვევა, რომ „დამიანის თვალი მოწყობილია ისე, რომ ობიექტის დეტალს იგი აღიქვამს გარკვეული მანძილიდან, რაც შეესაბამება თითქმის მის უდიდეს განზომილებას (შენობის სიმაღლეს ან სიგანეს)“. შენობებში სიმაღლეს, სიგანესთან შედარებით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც დამკვირვებელს გააჩნია უდიდესი თავისუფლება მისი მზერის გადაადგილებისა ჰორიზონტალური მიმართულებით, ვიდრე ზევადან ქვევით. თუკი მანძილი დამკვირვებელსა და შენობას შორის თითქმის ტოლია შენობის სიმაღლისა, ხედვის 45⁰-იანი კუთხე შეესაბამება (ხედვის კუთხე იზომება თვალთან გატარებულ ხაზსა და ობიექტის უმაღლეს წერტილს შორის). იმისთვის, რომ უკეთესად დაეინახოთ შენობა მთლიანობაში (თუკი მის დეტალებს არ ვაქცევთ ყურადღებას) დამკვირვებელი უნდა დაშორდეს შენობას იმ მანძილზე, რაც შეესაბამება მის გაორმაგებულ სიმაღლეს. ეს კი ნიშნავს, რომ იგი უნდა ხედავდეს მას 27⁰-იანი კუთხით. ასეთ შემთხვევაში შენობა შეავსებს მისი მხედველობის არეს მთლიანად თავის გაუნძრევლად. თუკი დამკვირვებელს მოუნდება დაინახოს მეტი, ვიდრე ერთი შენობა, მაგალითად, ეს შენობა, როგორც შენობათა ჯგუფის ნაწილი, მან უნდა შეხედოს მას დაახლოებით 18⁰-იანი კუთხით. ეს კი ნიშნავს, რომ იგი უნდა დაშორდეს ამ შენობას მანძილით, რაც შეესაბამება დაახლოებით შენობის გასამაგებულ სიმაღლეს. თუკი მანძილი დამკვირვებელსა და შენობას შორის კიდევ უფრო იზრდება ანუ კუთხე შენობის უმაღლეს წერტილსა და თვალთან გატარებულ ჰორიზონტალურ ხაზს შორის ხდება ნაკლები ვიდრე 18⁰, შენობა კარგავს თავის მნიშვნელობას მხედველობის არეში. მოედანი ფართო ან უფრო გრძელი, ვიდრე შენობის სამმაგი სიმაღლე, ქმნის საშიშროებას, რომ შენობები დაკარგავს თავის მნიშვნელობას ამ სივრცეში. ასეთი მოედნის პროპორციები იცვლება, თუკი არქიტექტორის მიერ შერჩეული შედარებით საპასუხისმგებლო წერტილები ძირითადი შენობის აღქმისათვის დევს მოედნის არა პერიფერიულ ნაწილში, არამედ მის შიგნით. ასეთ შემთხვევაში უფრო მომგებიანია გამოიყოს მოედნის ის ნაწილი, საიდანაც იშლება უკეთესი ხედი ძირითად შენობაზე.

ასეთი მსჯელობით კამილ ზიტე ამტკიცებდა, რომ „ძნელია დაადგინო ზუსტი თანაფარდობა მოედნის სივრცეს, შენობასა და მის გარემომცველ გარემოს შორის, მაგრამ ნათელია, რომ იგი უნდა იმყოფებოდეს ჰარმონიულ თანაფარდობაში“. პატარა მოედანი არ ვარგა მონუმენტური ნაგებობისთვის, ძალიან დიდი მოედანი ზოგ შემთხვევაში უფრო უარესია, რადგან ქმნის შენობის ზომების დაპატარავების ილუზიას, რაც არ უნდა დიდი იყოს იგი სინამდვილეში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოედნის ყველაზე მცირე ზომა უნდა იყოს არანაკლები, ვიდრე ძირითადი შენობა, ხოლო მისი

უდიდესი ზომა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი შენობის გაორმაგებულ სიმაღლეს, თუკი თვით შენობის მოხაზულობა, ფუნქცია და ჩანაფიქრი არ ამართლებს მოედნის უფრო დიდ ზომებს.

14. კომპოზიციის საკითხები საბაღე-საპარკო ხელოვნებაში

ბაღი, როგორც ხელოვნების უმაღლესი და ურთულესი ფორმა, უმჯობესია ჩაფიქრებულ იქნეს, როგორც სერია წინასწარ დაგეგმილი ურთიერთკავშირისა ადამიანისა - ადამიანთან, ადამიანისა - ნაგებობასთან, ადამიანისა - ბუნებასთან და მის ცალკეულ ელემენტებთან. ეს იქნება ყვაილებისა თუ ხის ჯგუფებზე მოთამაშე მზის სხივები, თუ სიმაღლიდან დანახული სივრცული პერსპექტივა, თუ სხვა მიღებული სიამოვნება. ბაღი არ იქნება ფუნქციურად და ესთეტიკურად სწორად დაპროექტებული, თუკი ის გამოიყურება როგორც გეომეტრიის სავარჯიშო აკრობატიკა. ეს არ არის ნაგებობა წრეების, კუბების, პრიზმებისა და პანელების. ფორმის ასეთ გეომეტრიულ სტრუქტურაში დაიკარგება ქვის, წყლის და მცენარეთა ფორმების არსებითი თვისებები. გეგმის ძირითადი და გადამწყვეტი ფორმები შესაძლებელია იყოს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მკაცრად გეომეტრიული, მაგრამ იმისათვის, რომ ჰქონდეს სიძლიერე, ფორმამ უნდა მიიღოს თავისი მოხაზულობა იმ განცდიდან, რომელიც ჩადებულია დაპროექტების დროს.

ბაღი ჩაფიქრებული უნდა იქნეს, როგორც გარემო, რომელშიც ადამიანის ცხოვრების წესი იდეალურად უკავშირდება ბუნებას და ხელოვნურ ელემენტებს. ასეთ იდეალურ ბაღში ადამიანი იშვიათად აღიქვამს მისი გეგმის თავისებურ ფორმებს, იგი უფრო მეტად გრძნობს ჰარმონიულად დაპროექტებული გარემოსგან გამოწვეულს სასიამოვნო სივრცულ ურთიერთკავშირებს.

• საპარკო სივრცეების ლანდშაფტური ორგანიზაცია

მცენარეთა შეხამების მხატვრული გამომსახველობა რელიეფთან, არქიტექტურულ ნაგებობებთან და გარემო ლანდშაფტთან, მიიღწევა მოცულობით-სივრცული კომპოზიციების შექმნით, სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ერთიან ჰარმონიულ სივრცით სურათს ქმნის.

მცენარეთა კომპოზიციური სისტემა ზედმიწევნით თავისებურია. პირველ ყოვლისა, აქ ძირითად კომპონენტებად გვევლინება მცენარეები, რომლებიც იზრდებიან, ვითარდებიან და კვდებიან. მთელი ეს პროცესი სავსეა ცვლილებებით, რომლებიც მოქმედებს ლანდშაფტის გარეგნულ მხატვრულ იერზე, ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათ საერთო კომპოზიციურ გადაწყვეტაზე. მეორეს მხრივ, ყოველი კომპოზიციური გადაწყვეტა, რელიეფის, მცენარეების და გარემოს მრავალფეროვნების წყალობით, აღქმის სხვადასხვა წერტილიდან, შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. ეს სპეციფიკა ზედმიწევნით სრულად ვლინდება ლანდშაფტურ პარკებში, ბაღებში, რაც

განაპირობებს პარკების დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში სიღრმისეული, მრავალმხრივი მიდგომის აუცილებლობას.

ლანდშაფტური კომპოზიციების შექმნაში უნდა გამოვიდეთ ძირითადი კომპოზიციური კომპონენტების საერთო მახასიათებლების თავისებურებებიდან. ამდენად, საპარკო კომპოზიციების დაპროექტება და მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს წლის სხვადასხვა დროის მონაკვეთში, მცენარეების დეკორატიული თავისებურებების გათვალისწინებით. პარკის ან ბაღის სივრცითი გადაწყვეტა ხდება ტერიტორიის მოცემულ საზღვრებში, რომლის ამოსავალი წერტილი არის სივრცე, სიღრმე, მისი კომპოზიციური ღერძი და დაბოლოება, რაც, თავის მხრივ, გვეკარნახობს მცენარეების სხვადასხვაგვარად განლაგების კომპოზიციურ გადაწყვეტას.

• დახურული და გახსნილი სივრცეები

ლანდშაფტის სივრცით-კომპოზიციურ გადაწყვეტაში ერთ-ერთი ძირითადი და უმთავრესი საკითხია დახურული და გახსნილი სივრცეების თანაფარდობა და მათი სწორი განაწილება. დახურული სივრცეები იქმნება ხის მსხვილფარჯიანი მასივების, ცალკეული ჯგუფების და შენობების განთავსებით, გახსნილი სივრცეები კი - გაზონების, ყვავილნარების და წყლის სივრცეების საშუალებით.

გახსნილი სივრცეების არასაკმარისი რაოდენობის და დახურული სივრცეების სიჭარბის შემთხვევაში, იკარგება შიდა პარკული პერსპექტივების გახსნის საშუალება, ამავე დროს, მცენარეთა კომპოზიციის და საპარკო ნაგებობების არქიტექტურის, მაღალმხატვრული გაზონების, ხის ჯგუფების და ცალკე მდგომი ხეების აღქმის საშუალება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოცხალი ღობის მსგავსად, გზის გასწვრივ ხეების მჭიდრო რიგია დარგული.

მწვანე მასივები, ხის ჯგუფები, გახსნილი სივრცეები და პარკის საჭკვეითო ბილიკების ქსელი, უნდა ქმნიდნენ ერთიან ურთიერთდაკავშირებულ კომპოზიციურ სისტემას. კარგად გააზრებული გახსნილი და დახურული სივრცეების თანაფარდობა, შიდაპარკული და შორეული პერსპექტივების აღქმის შესაძლებლობას და ადამიანის მხედველობის არეში ლანდშაფტის ჩართვის საშუალებას იძლევა.

თუ განვიხილავთ საქართველოს საპარკო მშენებლობის თანამედროვე ობიექტებს, საპარკო მშენებლობის პრაქტიკაში ხშირად ირღვევა ზემოთ ხსენებული პრინციპები. უპირველეს მიზეზად შეიძლება დავასახელოთ მწვანე მშენებლობის ობიექტებში მცენარეთა მოჭარბებული რაოდენობა, რაც მცენარეთა გადანაწილების არასწორ მიდგომაზე მიუთითებს.

• გახსნილი საპარკო სივრცეების გაფორმება

გახსნილი და დახურული სივრცეების მასშტაბის დაცვა მცენარეთა კომპოზიციური სისტემის აგებისას მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. გახსნილი სივრცეების არასწორი განაწილებისას, აგრეთვე მცენარეების ფორმისა და

მოცულობის არასწორი შერჩევისას სივრცე აღიქმება არასრულფასოვნად ან საერთოდ ვერ აღიქმება.

გახსნილი საპარკო სივრცეების ფორმირებაში და დასახლებული პუნქტების გამწვანებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გაზონების მოწყობას. გაზონები არა მარტო ალამაზებს გამწვანებულ ტერიტორიებს, არამედ საგრძნობლად აუმჯობესებს ამ ტერიტორიების სანიტარულ-ჰიგიენურ მახასიათებლებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ქალაქმშენებლობაში ბალახის გაზონების გამოყენებასა და გაშენებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საბადე-საპარკო მშენებლობაში ძნელად თუ მოიძებნება მაგალითები, სადაც ფართოდ იყოს დანერგილი გაზონების გაშენება. იმ არგუმენტით რომ სამხრეთის რაიონებში უპირველესი მნიშვნელობა ჩრდილის და სივრილის შექმნას ენიჭება, ორიენტაცია უმთავრესად აღებულია დაბურული მწვანე მასივების შექმნაზე. ასეთი მიდგომა უკიდურესად ცალმხრივია ლანდშაფტური ობიექტების მშენებლობისას. გახსნილი სივრცეების როლის იგნორირებას მინიმუმამდე დაჰყავს მცენარეთა შეხამების არქიტექტურულ-კომპოზიციური გამომსახველობა. კარგად დრენირებული გაზონების ვრცელი ტერიტორიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსახლეობის მიერ უფრო რაციონალურად, ვიდრე მჭიდროდ გამწვანებული ტერიტორიები. ამას გარდა, მცენარეების მოჭარბებული რაოდენობის გამოყენება გამორიცხავს საღამოს საათებში, სწორედ დროის იმ მონაკვეთში, როდესაც პარკებისა და მწვანე კუთხეების დატვირთვა უფრო ინტენსიურია, დასვენებისათვის სასურველი პირობების შექმნას.

ამ თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოს გლეხების ტრადიციული საკარმიდამო ეზოები კარგ მაგალითს წარმოადგენს სუფთა მწვანემოლიან ეზოს და ხალხური ტიპის საცხოვრებელ „ოღას“ ყოველთვის აღრფროვანებაში მოჰყავდა მოგზაურები. ეზოში მოწყობილი მთლი შესანიშნავი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ხალხურ საცხოვრებლებში აქა იქ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი. მცენარეების შერჩევისას და გაზონების მოწყობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემული რაიონის კლიმატური მახასიათებლები. მაგ., დასავლეთ საქართველოს ტენიან რაიონებში გაზონების მასიური გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე აღმოსავლეთში, თუმცა აქაც სწორად უნდა იქნეს დაცული მწვანე ნარგავებისა და გაზონების თანაფარდობა.

გახსნილი საპარკო სივრცეების ფორმირებაში, როგორც ცნობილია, უდიდეს მნიშვნელობას იძენს წყალსატევების მოწყობა. წყლის სივრცეები მნიშვნელოვნად ამდიდრებს ქალაქის განაშენიანებას. განსაკუთრებით ღამაზია, როდესაც წყლის სივრცეში ირეკლება მწვანე ნარგავებისა და მადლივი შენობების სილუეტები, ამასთან, წყალი დადებითად მოქმედებს მიკროკლიმატის გაუმჯობესებაზე.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს საპარკო ხელოვნებაში წარმოადგენს გახსნილი სივრცეებში ყვავილნარების მოწყობა. ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის

შემორჩენილი როულად ორნამენტირებული კლუმბები, ცხოველების გამოსახულებებისა და გეომეტრიული ფორმების სახით. ზოგჯერ ყვავილების საშუალებით ორნამენტული ტილოები იქმნება, რომელთა მოსაწყობად ათეულ ათასობით ხავერდოვან მცენარეს იყენებენ. ეს საკმაოდ შრომატევადი, ძვირად ღირებული და მოძველებული ხერხია. ამ ხერხზე უკვე უარი თქვეს მთელ რიგ ქვეყნებში. დღეს გავრცელებულია უფრო თავისუფალი დაგეგმარების ხერხები. მაგ., თავისუფალ სივრცეებში, სკვერებში, ბაღებში და პარკებში ეწყობა გაზონები, სადაც უმთავრესად ნაპირებში თავისუფალ ჯგუფებად ირგვება მრავალწლიანი ყვავილოვანი მცენარეები და ზაფხულის ყვავილები, რომელშიც დომინირებს მწვანე მოლი.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს ქალაქების გამწვანების პრაქტიკაში მიღებული იყო პატარა პეიზაჟური კუთხეების შექმნის გამოცდილება ყვავილოვანი ბუჩქნარების ფართო გამოყენებით, ასევე მრავალწლიანი ორნამენტული ნახევარბუჩქნარების და ღია გრუნტში მოხამთრე მრავალწლიანი ხავერდოვანი მცენარეების დარგვა, დაბალი ცოცხალი დობეების, ყვავილოვანი ქოთნების, კალათების მოწყობა და სხვ. ასეთი სახის მინიატურული პეიზაჟების მოწყობა ნამოყალიბებული განაშენიანების სისტემისა და რეგულარული გამწვანების დროს კომპოზიციური გადაწყვეტის თვალსაზრისით შემთხვევით ხასიათს ატარებდა. რელიეფის სწორი გამოყენებისას, გაფორმების ასეთი ხერხი შეიძლება განხილულ იქნეს გარემოსთან ჰარმონიულად შეხამებული ლანდშაფტური კომპოზიციის დეტალად. ადრეულ პერიოდებში ასევე იხერგებოდა მცირე ზომის სკვერების მოწყობის პრაქტიკა, მცირე არქიტექტურული ფორმების გამოყენებით (წყლის სარკეები, საბაღე სკამები, სტილიზებული სკულპტურები, დეკორატიული ნათურები და სხვ.). ეს შესანიშნავი წამოწყება ფართოდ იყო დანერგილი საბჭოური ქალაქების გამწვანების სისტემაში.

• **ვერტიკალური გამწვანება**

მწვანე ნარგავების კომპოზიციური გადაწყვეტის უკვე განხილულ საკითხებთან ერთად აუცილებელია გაშუქებულ იქნეს გამწვანების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხერხი – ვერტიკალური გამწვანება.

გამწვანების ეს სპეციალური მეთოდი არა მარტო დეკორატიული ხერხია, არამედ მას აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს. მწვანე ნარგავებით დაფარული კედლები არა მარტო ალამაზებს შენობას, არამედ ამდიდრებს ქანგბადით ჰაერს, რომელიც აღწევს შენობაში. თუ ამას დაუმატებთ, რომ მხვიარა მცენარეების ნუსხაში, რომელთაც აქვთ ორნამენტული ფოთოლი, კიდევ არის ყვავილოვანი მცენარეებიც, მათ მიერ შენობების გაფორმების დეკორატიულობის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდება.

დღეს ევროპის ქალაქებში ფართოდ არის გავრცელებული როგორც ვერტიკალური გამწვანება, ასევე სახურავებზე ბაღების მოწყობის პრაქტიკა. მსხვილ ქალაქებში მიწის სიმცირის გამო ეს ხერხი ფართო გამოიყენება ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ, არცთუ იშვიათად, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რეგიონის ძველ ქალაქებში ვიწრო ქუჩების პირობებში ვერტიკალური გამწვანება გამწვანების ერთადერთ ხერხს წარმოადგენდა. დღესდღეობით, ვერტიკალური გამწვანების ნაკლებად გამოყენების ერთ-ერთ მიზეზთაგანს ის მცდარი შეხედულება წარმოადგენს, რომ თითქოსდა მხვიარა მცენარეები აფუჭებს შენობების კედლებს და ხელს უწყობს სინესტის წარმოქმნას.



თავი II



ლანდმართვითი ანდოცოდცუთის
განუითარების რეაგობი

2.1. ძველი ხანა

საბაღე-საპარკო ხელოვნების ისტორიული განვითარება უძველესი დროიდან იწყება. იგი ბევრად უფრო ადრე ჩაისახა, ვიდრე თანამედროვე წელთაღრიცხვა. ბაღები გაჩნდა მაშინ, როდესაც ადამიანებმა მომთაბარეობიდან მიწაზე დამკვიდრება დაიწყეს. ბაღი გაჩნდა უფრო ადრე, ვიდრე სოფლის მეურნეობა, რადგან ადამიანებმა, პირველ რიგში შემოღობეს რა თავიანთი ტერიტორიები, დაიწყეს მათთვის სასარგებლო მცენარეების გაზრდა. რაც შეეხება დეკორატიულ მებაღეობას, ეს არის ხალხის კულტურის, მისი გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნების ნიშანი. ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბაღე-საპარკო კულტურას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც მსოფლიო ცივილიზაციას.

დღეს ბაღ-პარკების კულტურას, უმეტესწილად, არქიტექტურის ისტორიკოსები სწავლობენ, რადგან ბაღი თავისებური ფორმაა სხვადასხვა ხელოვნების სინთეზისა, რომელიც უმჭიდროესად არის დაკავშირებული არსებულ დიად სტილებთან: ფილოსოფიის, ლიტერატურის, პოეზიის, ყოფის ესთეტიკური ფორმების, ფერწერის, არქიტექტურის, მუსიკის და მათი განვითარების პარალელურად ვითარდება. ბაღის ესთეტიკური აღქმისათვის აუცილებელია მთელი არსებით ჩაღრმავება ბაღის არსებობის ეპოქის კულტურაში. ბევრი მცენარე და ყვავილი, რომელიც თავის დროზე ძვირფას და ეგზოტიკურ მცენარეებად ითვლებოდა, კარგა ხანია უკვე ასეთად აღარ გვეჩვენება. ბაღის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების, სწორი აღქმა თანამედროვე პირობებში, ხელოვნების და ყოფის ისტორიის სფეროთა საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს.

სწრაფად ცვალებად ცოცხალ ბუნებრივ გარემოში, რამდენიმე წელიწადში შეიძლება მოხდეს სერიოზული ცვლილებები პირველად მდგომარეობასთან შედარებით, მითუმეტეს, საუკუნეების მანძილზე მომხდარმა უამრავმა ომებმა, მმართველი წრეების და საზოგადოებრივი ფორმაციების ცვალებადობამ განაპირობა ის გარემოება, რომ სადღეისოდ არ შემოგვენახა არც ერთი უძველესი პერიოდის ბაღი და პარკი. წარმოდგენა იმაზე, თუ როგორები იყვნენ ისინი ძველ ხანაში, შესაძლებელი ხდება მხოლოდ ფრესკული ნახატებისა და არქეოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მასალებიდან.

საბაღე-საპარკო მშენებლობის განვითარება მიმდინარეობდა სხვადასხვაგვარი ფაქტორების ზეგავლენით, რაც დაკავშირებული იყო საზოგადოების ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებთან, ქვეყნის კულტურულ დონესთან, სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების ხარისხსა და საზოგადოებრივ წყობილებასთან.

საბაღე-საპარკო მშენებლობის ძირითად და სრულყოფილი ისტორიულ ეტაპებად მიღებულია: აღორძინების პერიოდის იტალიური სტილი, აბსოლუტიზმის ეპოქის ფრანგული რევულარული სტილი და XVIII საუკუნის პეიზაჟური სტილი.

• ეგვიპტე

ეგვიპტური სამეფოს დესპოტურმა წყობილებამ წარმოშვა სტატიკური გეომეტრიული ფორმის ბაღი, რომელიც ძირითადად გასდევს ამ ხელოვნების განვითარებას ყველა ეტაპზე და მთავრდება ფრანგული აბსოლუტიზმის ეპოქით.

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, ყველაზე ადრეული დეკორატიული ბაღები შექმნილი იყო ძველ ეგვიპტეში მდინარე ნილოსის ნაპირებზე მენტუხოტების /2160 - 2000 ძვ.წ./ და დედოფალ ხატშეფსუტის /1520 - 1500 ძვ.წ./ სატაძრო კომპლექსებში. აქ მოზრდილ მცენარეებს რგავდნენ გამზადებულ ორმოებში წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. მცენარეებს რგავდნენ ტაძრის ტერასებზე ნაყოფიერი მიწის გრუნტში, რომელიც მოჰქონდათ ნილოსის ნაპირებიდან. ასეთი ბაღების კომპოზიციურ ცენტრს უმეტესად წარმოადგენდა სწორკუთხა ფორმის ბასეინი. ეგვიპტური ბაღის დაგეგმარების დამახასიათებელ თავისებურებას „მათემატიკური რეგულარობა“ და „აბსოლუტური სიმეტრიულობა“ წარმოადგენდა. იგი ოთკუთხა ფორმისა იყო და ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა პალმების ან სხვა პირამიდული ხეების გასაოცარი სიზუსტითა და სიმეტრიულობით მოწყობილი ხეივნები. ბაღის შუაგულში იყო სწორკუთხა აუზი-საგუბარი, რომლის მახლობლად იდგმებოდა მრავალფეროვანი მცენარეებითა და ყვავილნარებით მორთული ფანჩატურები. ასეთი ტიპის ბაღია გამოსახული რეხმირის სამარხზე /1475 ძვ.წ. /. ბაღის შუაგულში წყლის ოთხკუთხა ფორმის აუზია, რომლის ცენტრში, ნავში სხედან რეხმირი და მისი ცოლი. აქვეა გამოსახული: წყალმცენარეები - ლოტოსი და პაპურუსი, თევზები და წყლის ფრინველები. ეგვიპტეში სატაძრო ბაღებთან ერთად იქმნებოდა ბაღები დიდგვაროვანთა სასახლეებთანაც. მათთვის ასევე დამახასიათებელი იყო მკაცრი გეომეტრიული დაგეგმარება. მთავარი შენობა - სასახლე ძირითადად განთავსებული იყო ბაღის კომპოზიციურ ღერძზე და ბაღს გარს ერტყა მაღალი გალავანი. ასეთ ბაღებში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენლებს. მნიშვნელოვან განვითარებას საბაღე-საპარკო ხელოვნებამ ეგვიპტეში ძველი დედაქალაქის - თებეს აყვავების პერიოდში მიაღწია.

• ასურეთი

რამდენიმე საუკუნით გვიან, ვიდრე ეგვიპტეში, საბაღე-საპარკო ხელოვნება განვითარდა ასურეთსა და ბაბილონში, მდინარეების ტიგრისა და ეფრატის ნაყოფიერ ხეობაში. ეს ზონა მდიდარი იყო მცენარეული საფარით, რეალურად იძლეოდა საშუალებას შექმნილიყო მრავალფეროვანი ბაღები და სანადირო ტყე-პარკები სასახლეებისა და ტაძრების მახლობლად. ამასთან ცნობილია, რომ ასირიელები ტყეს თვლიდნენ წმინდა ადგილად და ყველაზე დიდ სასჯელად დამპყრობლების მხრიდან

ყო ტყის გაჩეხვა ან მისი გადაწვა. მთა, რომელიც შემოსილი იყო კედრით, ითვლებოდა წმინდა ადგილად და მას თაყვანს სცემდნენ.

ერთ-ერთი პირველი პარკი, რომელიც შეიქმნა ასურეთში, გაშენებული იყო სარგონ II სასახლის მახლობლად, ქალაქ *დურ-შარუკინში* / ძვ.წ. 711 – 707 წწ. /. ასევე ცნობილია, რომ ძვ.წ. VII საუკუნეში სარგონ II შვილმა *სინახერიბმა* წარმოუდგენელი სიმდიდრით ააშენა ახალი დედაქალაქი *ნინეია*, მდიდრული ბალებით ხელოვნური წყალსატევებით, პავილიონებით, ფანხატურებით, სხვადასხვა ჯიშის ხეებით, ყვავილებითა და ბუჩქებით, რომლებიც სპეციალურად ჩამოჰქონდა მას სხვადასხვა ქვეყნიბიდან საომარი ღაშქრობების შემდეგ. პარკის ფაუნა გამდიდრებული იყო სხვადასხვა სახეობის ცხოველებითა და ფრინველებით. ამრიგად, ქალაქ ნინეიაში შექმნილი იყო ბოტანიკური ბაღის პროტოტიპი. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი ბაღის ტერიტორიაზე აშენებული იყო საფეხურებიანი პირამიდა *ზიკურატი*, რომლის ტერასები გამწვანებული იყო მრავალნაირი ყვავილნარებითა და ბუჩქებით, ხოლო მწვერვალში იდგა პატარა ტაძარი სათვალთვალო ბაქნით. გამწვანების ამ ხერხმა შემდგომში ფართო გავრცელება პოვა სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ კი ეს ხერხი გამოყენებული იყო ბაბილონში VII საუკუნეში *სემირამიდას დაკიდებული ბაღების* მშენებლობის დროს.

• ბაბილონი

ამ პერიოდში ბაბილონი ყველაზე მსხვილ ქალაქად ითვლებოდა შუამდინარეთში. იგი განთავსებულია 90 კმ-ში ბაღდადიდან მდინარე ეფრატის ნაპირას. ქალაქმა სახელი გაითქვა უძველესი დროიდან მასში ძვ.წ. VI-VII საუკუნეში აშენებული დაკიდებული ბაღების გამო /ერთ-ერთი მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგანი /.

უკვე ანტიკურ პერიოდშივე აღარ არსებობდა სარწმუნო წყაროები, თუ ვის მიერ იყო ეს ბაღები აშენებული. მაგ., *დიოდორი* ამტკიცებდა, რომ ბაღები აშენებული იყო არა სემირამიდას მიერ, არამედ ერთ-ერთი ასირიელი მეფის მიერ თავისი საყვარლისთვის, რომელიც სპარსეთიდან ჰყავდა ჩამოყვანილი, რათა ამ შენობას მოეგონებინა მისთვის მისი სამშობლოს მთები. ისტორიკოსი *სტრაბონი* კი თვლიდა, რომ ამ ბაღების მშენებლობა ეკუთვნოდა *ნაუქოდონოსერს*, რომელმაც იგი მისი მიდიელი მეუღლის პატივსაცემად ააგო. მართალია, ამ ორი ისტორიკოსის აზრი ამ ასპექტში განსხვავდება, მაგრამ მათი აზრები ერთ რამეში მაინც თანხვდება, კერძოდ, იმაში, რომ ეს შენობა ოთხკუთხა ფორმისა იყო და ერთი გვერდი პირველ დონეზე 48 მ-ს უდრიდა, საიდანაც ტერასები საფეხურებად აღიოდა ზევით და ეყრდნობოდა თაღებს, ამ ტერასების ქვეშ კი განთავსებული იყო ოთახები, რომლებიც ნათვლებოდა ზევიდან. ამ სათავსებიდან შესაძლებელი იყო მოხვედრა ტერასულ ბაღებში.

სტრაბონისა და დიოდორის აღწერით, ეს ბაღი წარმოადგენდა ხელოვნურად აგებულ ქვის ხევტებზე და თაღებზე მოწყობილ პირამიდის მსგავს რამდენიმე ოროკოს /ტერასებს/, რომლებიც მნახველზე შორიდან ჰაერში დაკიდებულის შთაბეჭდილებას ახდენდა. ოროკოები დაფარული ყოფილა მიწის სქელი ფენით, რომელთაც

სინესტისაგან დასაცავად ქვეშ უფენდნენ ლერწმისა და თაბაშირის სქელ ფენას, გამომწვარი აგურისა და ტყვიის ფირფიტებს. ნაყოფიერი მიწის ფენა ისე სქელი ყოფილა, რომ თავისუფლად ასაზრდოებდა მოზრდილ ორმოცდაათი ფუტის¹ სიმაღლის ხეებს. ოროკოების ფართობი ზემოთ თანდათანობით მცირდებოდა და სულ ზედა ოროკო ეყრდნობოდა მხოლოდ ერთ ბურჯს, რომლის სისქე 13 საუენს² უდრიდა. ტერასების ბაქნებსა და დერეფნებში დარგული იყო იშვიათი სილამაზის უცხო და საკვირველი მცენარეები და ყვავილები. ბურჯებსა და სვეტებში ჩაყოლებული მიწების საშუალებით ზევით ქანავდნენ წყალს მდინარე ევფრატიდან, საიდანაც წყალი ეშვებოდა ტერასებზე შადრევნებისა და კასკადების სახით, რომლებიც რწყავდნენ, აგრილებდნენ და ამასთან ალამაზებდნენ ამ საოცარ ორიგინალურ „დაკიდებულ სამოთხეს“. ფრანგი მკვლევარი პუბლიკაციაში, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა, აზუსტებს ადრე ჩამოყალიბებულ შეხედულებას ამ ბაღების შესახებ და ამბობს, რომ ქვედა ტერასის ზომა იყო 45X40, ხოლო ზედა ტერასისა 40X30. პირველი სართულის სიმაღლე 8 მეტრი იყო, აქედან 2 მეტრი მიწის საფარს შეადგენდა, შემდეგი ტერასის 13 მეტრი, ასევე 2 მეტრის მიწის ფენით, ხოლო ზედა ტერასაზე მიწის ფენა მხოლოდ 1 მეტრს უდრიდა.

• ანტიკური საბერძნეთისა და რომის ბაღები

საბაღე-საპარკო ხელოვნება საბერძნეთსა და რომში ჩაისახა 1000 წლით ადრე ძვ.წ. მისი ჩამოყალიბების თავისებურება და გაფურცქნა ძვ.წ. VI-IV სს. დაკავშირებული იყო ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სისტემასთან. ამტანობისა და სხეულის ჰარმონიული განვითარებისთვის მეცადინეობა ტარდებოდა ჰაერზე მწვანე ნარგავთა გარემოცვაში.

ამ პერიოდში ფართო მასშტაბით შენდებოდა სტადიონები ოლიმპიური თამაშებისთვის, გიმნასიები, იპოდრომები მარხილით შეჯიბრებისთვის, ხოლო ბორცვების ქანობებზე ეწყობოდა ამფითეატრები და ირგებოდა მწვანე ნარგავები.

ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ბაღის ნიმუშს საბერძნეთში წარმოადგენდა გმირების წმინდა ბაღები, რომლებიც შენდებოდა გამოსწორებული ადამიანების საპატივცემლოდ. მათ ეწოდებოდათ *გეროონები*. თუ თავიდან გეროონების მოწყობა დაკავშირებული იყო რელიგიურ კულტთან, უფრო მოგვიანებით, ისინი გადაიქცნენ საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღებად, გამიზნული ახალგაზრდობის სხეულის ჰარმონიული განვითარებისთვის. პარკის სწორხაზოვანი ბილიკები გათვალისწინებული იყო სპორტული თამაშებისა და შეჯიბრებების მოსაწყობად.

ბერძნულ ბაღებში ეწყობოდა ფილოსოფოსთა დისპუტებიც. ასე მაგალითად გადმოცემებით ცნობილია, რომ ფილოსოფოსი *პლატონი* /ძვ.წ.427-347 წწ./ ბაღებში, სუფთა ჰაერზე ხეების ჩრდილის ქვეშ ატარებდა თავის მეცადინეობებს. ერთ-ერთი მისი

¹ ფუტი - ინგლისური საზომი ერთეული = 30,5 სმ.
² საუენი - რუსული საზომი ერთეული და უდრის 2,13 მეტრს.

მოწაფეთაგანი იყო ფილოსოფოსი *არისტოტელე*. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ *ალექსანდრე მაკედონელმა* თავისი აღმზრდელის არისტოტელისათვის ათენში ააშენა შესანიშნავი ბაღი - „*ლიცეო*“. მის მოსაწყობად ალექსანდრე მაკედონელს ყველა ლაშქრობიდან პირადად ჩამოჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის მცენარეთა და ცხოველთა ძვირფასი კოლექცია.

ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივი სარგებლობის ბაღებში „*აკადემია*“ „*ფილოსოფოსთა ხეივანი*“ და სხვ. მცენარეები განაწილებული იყო სიმეტრიული წესით და ბაღის დაგეგმარება ატარებდა სწორხაზოვან გეომეტრიულ ხასიათს. ხეივნები და გზები მდიდრულად იყო მორთული - ქანდაკებებით, ღარნაკებით, შადრევნებით, აუზებით, ძეგლებით, კოლონადებით, კოშკებულვედერებით და სხვ. ბაღების მოსაწყობად არჩევდნენ ღამაზ და მოხერხებულ ადგილებს, საიდანაც კარგად იშლებოდა ბუნების საუცხოო პეიზაჟები.

საბერძნეთის განვითარების ელენისტურ პერიოდში ძვ.წ. IV-I სს. პარკები კარგავს თავის საზოგადოებრივ აღმზრდელობით მნიშვნელობას და იძენენ გართობა-დასვენების ფუნქციას.

ბერძნული საბაღე-საპარკო ხელოვნების გავლენით / ძვ.წ. II ს. / იწყება რომაული ბაღებისა და პარკების ჩასახვა და განვითარება. რომის იმპერიის ქალაქების სიახლეს წარმოადგენდა ბაღები და პარკები გარეშემორტყმული კოლონადებით. ბაღების კომპოზიცია ორგანულად ერწყმოდა იმ პერიოდის არქიტექტურულ და ბუნებრივ ფორმებს. ბაღები იყო დაგეგმარებული რეგულარული სისტემით, სადაც უხვად იყო წყლის სივრცეები და შადრევნები. აღწერებისა და გამოსახულებების მიხედვით დადგენილია ბაღის ორი ტიპი - ბრტყელი ბაღი, ე.წ. *ჟისტი* ყვავილნარებითა და მცირე ფორმებით და *დიდი ბაღი* - მაღალი ხეებით, მინდვრებით და ფართო ხეივნებით. ამავე პერიოდში გაჩნდა ბაღის ახალი ტიპი საცხოვრებელ სახლებთან. იგი წარმოადგენდა გეომეტრიული ფორმის სწორ გამწვანებულ ეზოს, რომელსაც გარს ერტყა კოლონების რიგი, ხოლო მის შიგნით მოწყობილი იყო ყვავილნარები, გახსნილი მოლიანი სივრცეები, მცირე ზომის ხეები და ბუჩქები. ბილიკები და მოედნები მოკირწყლული იყო ქვის ფილებით. ასეთ ეზო-ბაღებს უწოდებდნენ *პერისტილებს*, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ რომში და განსაკუთრებით ბევრი აღმოაჩინეს *პომპეისა და ვერკულანუმში*.

ძველი რომაული ქალაქების ტერიტორიათა შეზღუდულობის გამო / ახ.წ. I-II სს. / დიდგვაროვანი მდიდარი რომაელები იძენდნენ ქალაქგარე ტერიტორიებს და აშენებდნენ იქ ვილებს. ვილები, რომლებსაც ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება, ეწოდებოდა *ვილა რუსტიკა*, ხოლო ქალაქის ტიპის ვილებს - *ვილა ურბანა*. დროთა განმავლობაში ასეთი ვილებით გაშენდა ადრიატიკის ზღვის მთელი ნეაპოლიტანური ყურის უღამაზესი სანაპირო. ამ ვილების ტერიტორიების დაგეგმარება ექვემდებარებოდა სწორ გეომეტრიულ გეგმარებით სისტემას და პირადად ღერძი

ყოველთვის მთავრდებოდა მდიდრული არქიტექტურული აქცენტით – სასახლით. სწორედ ამ ვილების აღწერისას ჩნდება ახალი ტერმინი „ტოპიარული ხელოვნება“, რომელიც დაკავშირებულია მცენარეების ხელოვნური გაკრეჭის ხერხთან. არსებობს ვერსია, რომ ეს ტერმინი ამ პერიოდის მეზადის ტოპიარიუსის სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო თვით ეს ხერხი მოიგონა იმპერატორ ავგუსტის მეგობარმა, მხედართმთავარმა *გაი მასტიამ*.

ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვილა იყო *ადრიანეს ვილა ტიბერში* /114-138 წწ. ახ.წ. II სს. /, ხოლო პირველი საზოგადოებრივი პარკი რომში – „მარსოვო პოლე“, რომელიც იმპერატორის თანაშემწემ *ავგუსტ აგრიპამ* ააშენა /63 წ. ახ.წ. /.

2.2. აღმოსავლეთის საბაღე-საპარკო ხელოვნება

• სპარსეთი

სპარსეთის სახელმწიფოს გაფურჩქვნა იწყება ძვ.წ. VII ს. და გრძელდება 651 წლამდე, როდესაც არაბებმა დაიპყრეს იგი და დაამკვიდრეს იქ ისლამის რელიგია. ძვ.წ. VI საუკუნეში სპარსეთის მეფემ კიროს II დაიპყრო შუამდინარეთი, მიდია, ლიდია, პალესტინა, ფინიკია, თანამედროვე ამიერკავკასია და ბაბილონი. მან შექმნა მძლავრი მონათმფლობელური სპარსეთის სახელმწიფო. სწორედ იმ შორეულ წლებში შეიქმნა პირველი ბაღები და პარკები სასახლეებთან, რომელთაც ვრცელი ტერიტორიები ეკავა და ტყე-პარკებს წარმოადგენდა. აქ მრავალფეროვანი მცენარეების გარდა ამრავლებდნენ აგრეთვე ცხოველებს ნადირობისათვის. ასეთ პარკებს უწოდებდნენ „*პარადიზებს*“. სპარსული სიტყვა *pairi-daeza* თარგმანში ნიშნავს „ღობეს“, შემდგომში ევროპულ ენებში სამთხის სინონიმად იყენებდნენ. მაგ., ინგლისურში *paradize* ნიშნავს „სამთხეს“. ასეთი სანადირო ტყე-პარკები, სპარსული ბაღების მსგავსად, იქმნებოდა ძველი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვ.

სამწუხაროდ, ამ პარკების სიდიადეზე და მრავალფეროვნებაზე მხოლოდ ნოხებისა და მინიატურების გამოსახულებები მეტყველებენ. ასეთი პარკების დაგეგმარება შედარებით თავისუფალი იყო, მაგრამ ბაღები სასახლეების სიახლოვეში იქმნებოდა რეგულარული დაგეგმარების პრინციპით, ამავე დროს შესანიშნავად იყენებდნენ რელიეფს და საპარკო კომპლექსებში ძალიან მოხერხებულად რთავდნენ ბასეინებს, არხებს, შადრევნებს, კასკადებს. ამასთან, აფართოებდნენ დეკორატიული ხეებისა და ყვავილების ასორტიმენტს. შემთხვევით არ არის, რომ ირანი ითვლება სხვადასხვა სახეობის ვარდის, ტიტების და ზამბახების სამშობლოდ.

ისლამის ეპოქიდან 622 წელს არაბთა პოლიტიკური ცენტრი გადატანილი იყო დამასკოში /სირია/. საბაღე-საპარკო ხელოვნების სფეროში არაბებმა დაპყრობილი ხალხების კულტურის ასიმილირება მოახდინეს და ფართოდ იყენებდნენ საცხოვრებელ სახლებთან გამწვანებულ ეზო-პატიოებს, ხოლო საზოგადოებრივი ნაგებობების კომპლექსებში – რეგულარულ ბაღებს. მუსულმანური ბაღები, რომელთაც მიიღეს

სახელწოდება სამოთხის ბაღი - „პარადიზი“ იქცა მუსულმანური სამოთხის სიმბოლოდ, რომელიც აღწერილია ყორანში.

განსაკუთრებით საყურადღებოა, სამოთხის ბაღის რელიგიურ-ფილოსოფიური სიმბოლიკა, რომელიც განხილულია *S.E. Petersen. The paradise garden and the desert - 1995* წლის გამოცემაში.

სამოთხის ბაღის ფილოსოფიური კონცეფცია გამოყოფს ბაღის შემდეგ ელემენტებს და განსაზღვრავს მათ სიმბოლურ ხასიათს:

- ბაღის ტერიტორია შემოსაზღვრულია გალაენით, აქვს სწორკუთხა ფორმა და მოშენებულია ყველა მხრიდან შენობებით.
- ბაღის ძირითად ელემენტს წარმოადგენს წყალი ორი ურთიერთგადამკვეთი არხის სახით მის ცენტრალურ ნაწილში. არხების გადაკვეთის ადგილზე მოწყობილია შადრევანი, რომელიც სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენს.
- ცენტრალურ ნაწილში განთავსებული ვერტიკალი, მიმართული კოსმოსისაკენ სიმბოლოა ღვთიური საწყისისა, ხოლო ვერტიკალი მიმართული ქვევით მიუთითებს 4 მიწისქვეშა წყლის, ღვინის, რძის და თაფლის მდინარისაკენ.
- ცენტრალური ღერძის მიმართ სიმეტრიულად განთავსებული ოთხი კვადრატი, დაფარული ბალახით ან ყვავილებით, წარმოადგენს მუდმივი ყვავილობის სიმბოლოს. საინტერესოა, რომ ეს კოსმოლოგიური მოტივები ასახვას პოულობენ ასევე აღმოსავლეთის თანამედროვე საბაღო ხელოვნებაშიც.

• ინდოეთი

განსაკუთრებული სიმდიდრითა და ნაირფეროვნებით გამოირჩევა პარკები და ბაღები ინდოეთში. მრავალფეროვანი მცენარეული საფარი ხელს უწყობდა ამ ქვეყანაში საბაღე-საპარკო ხელოვნების განვითარებას. ამასთან უნდა აღინიშნოს, არც ერთი ადრეული პერიოდის ბაღი ინდოეთში არ არის შემორჩენილი, მხოლოდ გადმოცემები და ლეგენდები, ლიტერატურული წყაროები, ცალკეული სკულპტურულ გამოსახულებები და ნახატები საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ მათი სიმშვენიერე და სილამაზე. ჩვენ დრომდე მიაღწივს მხოლოდ უფრო გვიანდელმა XVI და XVII სს. პარკებმა.

ინდოეთის ბუნების ნაირფეროვნება, მდინარეთა და ტბათა სიუხვე, ხელს უწყობდა ბაღების თავისებური სახის შექმნას, სადაც უმთავრესად იყენებდნენ დეკორატიულ მცენარეებს. სწორედ მდინარეთა და ტბათა სიუხვემ განაპირობა თავისებური ტიპის ბაღის შექმნა მოცურობა ტივის ტიპის კუნძულური ბაღისა, რომელზედაც ირგვებოდა დეკორატიული მცენარეები, ძირითადად ყვავილები და ზოგ შემთხვევაში - ბოსტნეულიც. ინდოეთი ასევე ცნობილია სამკურნალო მცენარეებით და მცენარეული მედიცინით.

ინდოეთში დიადი მოგოლების იმპერია შეიქმნა 1526 წელს. უკანასკნელი იმპერატორის სიკვდილის შემდეგ 1707 წელს ეს იმპერია დაიშალა სხვადასხვა სამთავროებად. ინდოეთის დაქუცმაცებით ისარგებლეს ევროპულმა ქვეყნებმა და თანდათან გააფართოვეს თავიანთი კოლონიური სამფლობელოები ინდოეთში. ამაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ინგლისმა, ჰოლანდიამ, პორტუგალიამ და საფრანგეთმა.

მოგოლთა სახელმწიფოს აყვავების პერიოდში XVI ს. ბოლოს და XVII ს. პირველ ნახევარში, მიმდინარეობდა ინტენსიური მშენებლობა და არქიტექტურამ თავისი განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ამ პერიოდში იქმნებოდა მონუმენტური ტაძრები, მენეთები, ციხე-სასახლეები, მავზოლეუმები, სამხედრო ყაზარმები, სპეციალური სამთავრობო და ადმინისტრაციული შენობები, ქალაქში შესასვლელი პარადული კარიბჭეები. მშენებლობა მიმდინარეობდა ძირითადად *დელსა და აგრაში* და მათ გარეუბნებში. ბევრმა ნაგებობამ და კომპლექსმა, რომლებიც ამ პერიოდში შეიქმნა, დღემდე ვერ მოაღწია. შემორჩენილა მხოლოდ რამდენიმე მათგანი, კერძოდ, *უდაიპურის ანსამბლი* და *ტაჯმაჰლის მავზოლეუმი*. *ტაჯ მაჰალის მავზოლეუმი* (1632 – 1654 წწ.), განთავსებულია აგრის გარეუბანში მდინარე *ჯამნის* მარჯვენა სანაპიროზე. აღნიშნული შენობა შახის – *ჯახანის* და მისი მეუღლის მავზოლეუმი. ამ მავზოლეუმის ავტორი ფრანგი არქიტექტორი ბორდოდან გვარად *აუსტინი*, რომელიც დასაფლავებულია აგრაში.

მავზოლეუმი აშენებულია შესანიშნავი თეთრი მარმარილოსაგან, თეთრი გუმბათებით მინარეთებზე. მაღალი გუმბათი სიმბოლოა დემეტის სავარძლის, რომლის ქვეშ მოთავსებულია შახის და მისი მეუღლის სარკოფაგები. მავზოლეუმი მაღალ პლატფორმაზეა განთავსებული, საიდანაც იშლება ხედი ვრცელი ხეხილის ბაღებზე პლატფორმაზე, რომლის სიმაღლე 18 მეტრია, ადის მარმარილოს ორმარშიანი კიბე პლატფორმის ცენტრში აღმართულია თეთრგუმბათიანი შენობა აკლდამა, რომელიც ოთხივე მხრიდან გარშემორტყმულია ასევე გუმბათიანი კოშკებით, დასავლეთის და აღმოსავლეთის მხარეს სიმეტრიულად განთავსებულია ორი მენეთი წითელი ქვიშა ქვისაგან და გადახურული სამი გუმბათით. შენობა სამხრეთის მხრიდან ეკერის სწორკუთხა ფორმის რეგულარული ბაღი, ზომით 350X350 მეტრზე, არხებით გაყოფილი ჯვარედინად 4 ტოლ ნაწილად. ყოველ ნაწილში ოთხი ბოსკეტია. სივრცე ძირითადი არხის გასწვრივ 50 მეტრის სიგანისაა და გაფორმებულია გაზონების ფართო ზოლით. შესასვლელიდან, რომელსაც აქვს შესანიშნავი თაღოვანი კარიბჭე, მავზოლეუმის მიმართულებით მიემართება გრძელი ჩრდილიანი ხეივანი, რომელიც ბოლოში მთავრდება თეთრი მარმარილოს კიბეებით. პლატფორმის იატაკი ასევე თეთრი მარმარილოსაგანაა, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს შავი მარმარილოს არშია. ბაღი გაფორმებულია მარმარილოს შადრევნებითა და ბასეინებით, ყვავილოვანი

პარტერებით და საუკუნოვანი კვიპაროსებით, რომელთა სიმწვანე კონტრასტს ქმნის შენობის თეთრ ფერთან.

2.3. ფეოდალური პერიოდის ბაღები და პარკები

• კორდოვას ხალიფატის ბაღები

ფეოდალიზმის ეპოქა კონტინენტის ევროპულ ნაწილში მოიცავს ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს, რომელიც ათას წელს აღემატება. ეს ეპოქა ხასიათდება საბაღე - საპარკო ხელოვნების დაცემით, რაც დაკავშირებული იყო რომის იმპერიის ნგრევასთან. „ველურების“ შემოსევა, მუდმივი ომები და ხალხების გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეზე უარყოფითად მოქმედებდა ამ ხელოვნების განვითარებაზე. ევროპაში ადრეული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქების მჭიდრო განაშენიანება, ვიწრო და კლაკნილი ქუჩები, არ იძლეოდა ბაღების მოწყობისა და ქალაქის ტერიტორიის გამწვანების საშუალებას. მხოლოდ მონასტრებსა და ფეოდალთა რეზიდენციებს ჰქონდათ ბაღები მათ კუთვნილ ტერიტორიებზე. თავდაპირველად სამონასტრო ბაღებში მხოლოდ სამკურნალო და ხეხილოვანი მცენარეები ირგვებოდა, მოგვიანებით კი წინა ეზოებში გაჩნდა მცირე ზომის დეკორატიული ბაღებიც. 900-იან წლებში გამოვიდა *სენ-გალენის* მონასტრის ტიპური გეგმა, რომელზედაც გეომეტრიული თანამიმდევრობით იყო ნახევრები: ბაღები ხეხილოვანი და სამკურნალო მცენარეებით, ბოსტნები, სასაფლაო, ბაღი აბატის სახლთან და დეკორატიული ბაღი წყაროთი ან ჭით. იმ პერიოდში ყვავილებიდან კულტივირებული იყო იები, შროშანი და ვარდები. რომის პერიოდის ტრადიციებიდან მონასტრებში შემორჩენილი იყო მხოლოდ კარგად გამწვანებული ეზოები, დაგეგმარებული რომაული სახლის შიდა ეზოს ტიპზე.

ამ პერიოდის მცირე ზომის შიდა ბაღები საცხოვრებელთან მოგვაგონებს რომაულ პერისტილურ ეზოებს, რომლებიც მემკვიდრეობით შევიდნენ ახალი ეპოქის ყოფაში. მოგვიანებით გაჩნდა მწვანე ნარგავებიც მონასტრებისა და ფეოდალთა ციხე-კოშკების ტერიტორიებზე, რომელთაც ძირითადად უტილიტარული დანიშნულება ჰქონდათ და მათ მხატვრულ მხარეს არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

ამავე პერიოდში, კერძოდ კი VIII საუკუნეში, ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ძლიერი არაბული სახელმწიფო, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპული საბაღე-საპარკო ხელოვნების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი ესპანეთის დაპყრობის შემდეგ, სადაც შედარებით მცირე პერიოდში XIII-XIV საუკუნეების მანძილზე იყო შექმნილი ბაღებისა და სასახლეების შესანიშნავი ანსამბლები *ალგამაბრა*, *ვენერალიფი*, *ალკაზარის ბაღები* და *სხვ.*

შუა საუკუნეების ბაღები არაბეთის ქვეყნებში, კერძოდ კი ირანში, გამოირჩეოდა დახვეწილი ფორმებითა და განსაკუთრებული სიმდიდრით. მათი გეომეტრიული წყობა ხაზგასმული იყო არხების ქსელითა და სწორკუთხა ფორმის გაზონებით. ნარგავების ფაქტურა გამოირჩეოდა ფერთა კონტრასტულობით. ბაღები შემოდგომილი იყო მაღალი

გალავნებით. ნარგავების სპეციალური ჯიშები შესაძლებლობას იძლეოდა შექმნილიყო ბაღები დღის და ღამის დასვენებისათვის. ამ მიზნით ხდებოდა ყვავილოვანი და ბუჩქოვანი ნარგავების სპეციალური შერჩევა. განსაკუთრებული სიმდიდრითა და ფუფუნებით გამოირჩეოდნენ ხალიფთა ბაღები. ყველაფერი ძვირფასი, რაც შეიძლებოდა გამოეყენებინათ, შეჰქონდათ ბაღებში. არაბი მებაღეები ფართოდ იყენებდნენ ფერად ქვებს და სხვა ფერადოვან მასალებს, რაც მეტ სიჭრელეს და კონტრასტულობას მატებდა ბაღის კომპოზიციას. მაგალითად, ყვავილებს შორის ვერცხლისფერი ზოლით ბრწყინავდა არხი შევსებული თითბრით, საგუბრებში წყლის მაგივრად შეიძლება ყოფილიყო ვერცხლის წყალი, ხეებზე კიდებდნენ ფერადი ქვების გირლიანდებს და ა.შ.

არაბების მიერ იბერიის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ XII-XIV სს. ჩამოყალიბდა *ესპანურ-მაკრიტანული ბაღის ტიპი*. მათ დეკორატიულ ელემენტებს წარმოადგენდნენ მცირე ზომის ბასეინები, კასკადები, ფერადი ქვებით შემკული კედლები და სხვ. არაბული ბაღების *კომპოზიციურ და ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა ბუნების მუდმივი განახლების იდეა*.

მკაცრი გეომეტრიული დაგეგმარება, ცალკეული სივრცეების ჩაკეტილობა, წყლის და მარადმწვანე ნარგავების სიუხვე, ფერების სიმკვეთრე და მაიოლიკა – ეს არის აღმოსავლეთის ბაღების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. არაბი მებაღეები კარგად უხამებდნენ ხელოვნურ ლანდშაფტს არსებულ ბუნებრივ ფასეულობებს. არაბებისაგან ესპანეთის განთავისყუფლების შემდეგ, მათ მიერ შექმნილი სასახლები, მენეთები, ბაღები და სხვა ფასეულობანი გადავიდა ესპანელების ხელში, რომელთაც დღემდე უფრთხილდებიან, როგორც ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ საგანძურს.

არაბული პერიოდის ისლამურმა ბაღებმა უდიდესი გავლენა იქონიეს ევროპული ბაღის ესთეტიკაზე. ასეთი ტიპის ბაღი განსხვავებულია თავისი კომპოზიციურ-სივრცული გადაწყვეტით, გამწვანების ხერხებით, წყალსატევების ხასიათით, გზების დეკორატიული მოპირკეთებით და, პირველ რიგში, ასახავს ისლამის რელიგიურ პრინციპებს და რეგიონის კლიმატურ თავისებურებებს.

X საუკუნის დასაწყისში, არაბეთის ძალაუფლება ესპანეთში ძლიერი იყო. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა კორდოვას ხალიფატი. არაბთა ბატონობის პერიოდში პირინეის ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდა ქვეყნის საწარმოო ძალების ინტენსიური განვითარება. ესპანეთში ერთმანეთს შეხვდა ორი განსხვავებული კულტურა – *შუა საუკუნეების ევროპული კულტურა და მაღალ განვითარებული აღმოსავლეთის კულტურა*.

არაბები ესპანეთში ფართოდ იყენებდნენ ხელოვნურ სარწყავ სისტემებს. მათ შეიტანეს მთელი რიგი ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები: ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, თუთის ხე, ფორთოხალი, ლიმონი. ხალიფატი ვაჭრობით დაკავშირებული იყო მთელ მუსულმანურ სამყაროსთან. ამდენად, რომის იმპერიის დროინდელი ესპანური ქალაქები – *კორდოვა, სევილია, გრანადა და ვალენსია*, არაბების ბატონობის

პერიოდში გადაიქცნენ მსხვილ სამრეწველო-კულტურულ ცენტრებად. ამ პერიოდში ხალიფატის დედაქალაქი იყო კორდოვა, რომელიც 500 ათას მაცხოვრებლით XI ს. უმსხვილეს ქალაქად ითვლებოდა ევროპაში.

სწორედ ესპანეთში შეიქმნა ბაღის ახალი ტიპი *ესპანურ-მაგრიტანული ბაღი - ბაღი-პატიო*. ამ ბაღის განმასხვავებელი ნიშანია ნაკეტილი ინტერიერული ხასიათი /ბაღები გარშემოტყმული იყო შენობებით ან კედლებით/ გეგმის რეგულარობა, ნაკეთის სიმცირე, წყლის ნაგებობთა სისტემები - არხები, ბასეინები და შადრევნები წარმოადგენდნენ ამ ბაღების ძირითად ელემენტებს. არაბი მებაღეები მარადმწვანე ნარგავებს, ისეთებს როგორებიცაა: ბზა მირტი, ტუია, დაფნა, ფორთოხლის და ლიმონის ხეები. ზოგ შემთხვევაში, მცენარეთა ერთფეროვნება ქმნიდა საერთო კომპოზიციის სიმშვიდეს. *კორდოვაში* - ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ამ პერიოდის ბაღები.

XIII ს. ბოლოს, ხალიფატის გაფურჩქნის პერიოდში, *გრანადაში* შეიქმნა 14 ათასამდე მდიდრული ვილა, რომელთა უმშვენიერესი ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს *ალგამბრას* სასახლის ბაღები, რომლებიც აშენებული იყო *გრანადას* მმართველის *მუხამედ I-ის* და *მისი შთამომავლების მიერ XIII-XIV სს.*

სასახლე აშენებული იყო ბორცვის თავზე *ალკასაბას* ციხესიმაგრის ადგილზე. ამ ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულია ქალაქგარე რეზიდენცია *გენერალიფი*. როდესაც ესპანეთის ჯარმა ქალაქი დაიბრუნა, ამ კომპლექსის უდიდესი ნაწილი იქნა დანგრეული. გარკვეული პერიოდის მანძილზე ალგამბრა იყო სამეფო რეზიდენცია და კარლ V-ის პერიოდში აქ დაიწყო გრანდიოზული სასახლის მშენებლობა რენესანსის სტილში, თუმცა იგი ვერ დამთავრდა. 1845 წლამდე ალგამბრა იყო ციხესიმაგრე და სახელმწიფო ციხე და მხოლოდ 1890 წლის ხანძრის შემდეგ სახელმწიფომ გამოყო თანხები სასახლის და ბაღების აღსადგენად.

ალგამბრას სასახლე წარმოადგენს სხვადასხვა სახის სათავსების კომპლექსს, რომლებიც კომპოზიციურად გაერთიანებულია ორი მთავარი ეზო-პატიოების ირგვლივ. დასავლეთის ეზო ე.წ. *მირტის ეზო* - იყო მმართველთა და მაღალი წრის შეკრებების ცენტრი. მისი ზომებია 23X37 მ, ორიენტირებული ჩრდილო-სამხრეთზე. ეზოს ჩრდილოეთ მხარეზე აღმართულია კოშკი *კომარესი*, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია *ელჩების დარბაზი* ზომით 9X9 მ-ზე, ხოლო გადახურული გუმბათით კოშკის წინ განთავსებულია პარადული დარბაზი - *დე ლა ბარკა*; მისგან დასავლეთით მუხეთია. მირტის ეზო ყველა მხრიდან შემოსაზღვრულია შენობებით და ქმნის შიდა ბაღს, რომლის ცენტრშია არხი და შადრევანი. არხის გასწვრივ დარგულია მირტის ბუჩქები და მოწყობილია ყვავილნარები. ამ ბაღზე ორიენტირებულია სათავსები. მირტის დარბაზის აღმოსავლეთით, *ლომის დარბაზი*, რომლის ზომები 16X28 მ-ია. ამ დარბაზის მთავარი ღერძი აღმოსავლეთ-დასავლეთითაა მიმართული, ხოლო დარბაზის

ცენტრში ორი ურთიერთგაადამკვეთი არხია. ამ არხების გადაკვეთაზე ქვაბის ფორმის შადრევანია განთავსებული, რომელიც ოთხი ღომის ზურგზე დევს. არხები და შადრევანი ამ დარბაზის ძირითადი ელემენტები. კომპლექსის ჩრდილო ნაწილში განთავსებულია - *ლინდარახის* მცირე ზომის რეგულარული ბაღი შადრევნით მსხვილვარჯიანი ხეებით და გაკრეჭილი ბუჩქებით, რომელიც უფრო ინტიმური ხასიათისაა. დედოფლის პირადი ოთახების წინ მცირე ზომის ეზო-ბაღია განთავსებული. ამ ბაღშია შადრევანი, ოთხი პირამიდული ფორმის ხე და გეომეტრიულად ორნამენტირებული ფილებით მოკირწყლული იატაკი.

სახაფხულო რეზიდენცია *გენერალიფი* (გენერალიფი ნიშნავს მაღალ ბაღს). განთავსებულია ამავე ბორცვის ზედა ნაწილში ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ლეგენდის მიხედვით, მავრიტანელ მეფეს უწინასწარმეტყველეს, რომ მისი შვილი დაიღუპება, როდესაც იგი შეხვდება და შეიყვარებს ქალს. ამიტომ, მეფემ ეს სასახლე აუშენა თავის ვაჟიშვილისთვის, რათა იზოლაციაში ჰყოლოდა და ქალებს არ შეხვედროდა. სასახლე აშენებული იყო 1319 წელს და შემდგომში მრავალჯერ გადაკეთდა. კომპლექსის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ეზო-პატიო გარშემორტყმული სათავსებით. კომპოზიციის ძირითადი ელემენტია ვიწრო არხი, რომელიც მიმართულია ჩრდილო-სამხრეთით და იკვეთება ცენტრში მოკირწყლული გზით. მოედანი გადაკვეთის ადგილზე დაბალია. არხის გასწვრივ მარცხნიდან და მარჯვნიდან მოწყობილია შადრევნები, ეზოს ნაწილი არხსა და კედელს შორის მორთულია ბუჩქებით და ყვავილნარებით. პარკის საერთო კომპოზიცია რეგულარულია და ექვემდებარება არხის ღერძულ კომპოზიციას. გარდა ეზო-პატიოსი, კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია ტერასული ბაღები, რომლებიც გაფორმებულია საყრდენი კედლებით და კიბეებით. ალგამბრა და გენერალიფი ერთმანეთთან დაკავშირებულია მსხვილვარჯიანი მაღალი ხეების ხეივანით. ალგამბრას და გენერალიფის ანსამბლი წარმოადგენს ბაღების ბრწყინვალე ნიმუშებს ბრწყინვალე არქიტექტურით.

2.4. იტალიური აღორძინების პერიოდის რეგულარული სტილის ბაღები

• აღორძინება და ბაროკო

საბაღე-საპარკო ხელოვნების შესწავლა შეძლებისდაგვარად სრულად არის შესაძლებელი იტალიური აღორძინების ეპოქაში, რადგან ამ ეპოქამ შემოგვინახა ბაღებისა და პარკების ნიმუშები არა მარტო აღწერილობით და გამოსახულებებით, არამედ ნატურაში ბუნებრივი ფორმით. იტალიაში ხელოვნების ყველა სფერომ ამ პერიოდში აყვავებას მიაღწია. აღორძინების ეპოქა როგორც ხელოვნებისა და კულტურის ყველა სფეროს, ასევე საბაღე-საპარკო ხელოვნების აღორძინებითაც ხასიათდება. ამ პერიოდში იქმნებოდა ვილა-ბაღები, რომლებიც მსოფლიო საპარკო ხელოვნების საგანძურში შედიან. ჩნდება შენობების ახალი ტიპები - საქალაქო

სასახლეები, ოსობნიაკები, ქალაქგარე ვილები ბაღებით, რომლებიც სწორედ ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენენ.

შუა საუკუნეებში გაბატონებულ მკაცრ რელიგიურ ფანატიზმს, რომელიც ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებას, საზოგადოების მიერ ახალი პროგრესული იდეების ძიებას შეენაცვლა აღორძინება, რომლის დროსაც ჩაისახა ახალი კაპიტალისტური ურთიერთობები. რენესანსმა თავისებურად მოხსნა წინააღმდეგობა ადამიანსა და ბუნებას შორის. რენესანსის ბაღებში ერთმანეთს შეერწყა გარდაქმნილი ბუნება და გარდაქმნილი თავისუფალი ადამიანი. ამ პერიოდის ბაღებში მთავარი გახდა ადამიანი, მისდამი მისი გონებისადმი დამორჩილებული ბუნების ფონზე. ადამიანი არა მხოლოდ აიდეალურ ბუნებას, არამედ თელის, რომ მას აქვს მისი გაუმჯობესების, მისი იდეალური თავისებურებების გამოვლენის უნარი. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რენესანსის ეპოქის ჰუმანისტური მოძრაობა დაიწყო ბაღებში, რომელთა ორგანიზაცია ხდებოდა ძველი რომის ბაღებზე შემორჩენილ ცნობებზე დაყრდნობით.

რენესანსის ბაღებს სამი დამახასიათებელი თავისებურება გამოარჩევს:

პირველი – ახალი მიმართება ანტიკურობასთან;

მეორე – საბაღე-საპარკო ხელოვნების *სიმბოლურ-ალეგორიული* სისტემის მნიშვნელოვანი *სეკულარიზაცია* (სეკულარიზაცია – საზოგადოების და ინდივიდუალური შეგნების განთავისუფლება რელიგიის გავლენისაგან);

მესამე – ბაღების არქიტექტურული მხარის მნიშვნელობის გაზრდა.

სწორედ ეს სამი ნიშანი აისახა ევროპული საბაღე-საპარკო ხელოვნების ყველა მომდევნო სტილურში.

რენესანსის ბაღებში ანტიკური ქანდაკებების შერჩევა მათი შინაარსის მიხედვით მეტ-ნაკლებად შემთხვევითი იყო, მაგრამ მაინც ანტიკური ქანდაკებები წმინდა ფორმალური სამკაულები არ ყოფილა, ისინი რენესანსისა და მისი მომდევნო ბაროკოს ეპოქისათვის ძალზე მნიშვნელოვან ისტორიულ პერსპექტივას ქმნიდნენ.

ახალი მსოფლმხედველობა, ეყრდნობოდა რა ანტიკური საბერძნეთის და რომის მატერიალური კულტურის მიღწევებს, რომელმაც შეითვისა იქედან ყველაფერი ფასეული, რაც ეთანადებოდა ახალ ეპოქას, თავის მხრივ ხელი შეუწყო ხელოვნებისა და კულტურის აღორძინებას, საზოგადოების განვითარებას და, საბოლოოდ, ჩამოაყალიბა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ახალი პროგრესული ეტაპი.

აღორძინების ეპოქა (ფრანგულად რენესანსი) ყველაზე ადრე XIV საუკუნის ბოლოს დაიწყო იტალიაში, თავდაპირველად ყველაზე მდიდარ ქალაქ ფლორენციაში, რომელსაც *ყვავილების ქალაქს* უწოდებდნენ. იტალიაში ხელოვნების ყველა სფეროში ამ პერიოდში აყვავებას მიაღწია. ისტორიამ შემოგვინახა არქიტექტურისა და ხელოვნების უბადლო შედეგები, *ასევე – საბაღე-საპარკო ხელოვნების სრულყოფილი ნიმუშები.* XV საუკუნის დასაწყისში იტალიაში ძალიან აქტიურად შენდებოდა ქალაქგარე ვილები

ტერასული ბალებით, სადაც შესანიშნავად იყენებდნენ წყლის სივრცეებს, ლამაზ მწვანე ნარგავებს, მცირე არქიტექტურულ ფორმებს, სკულპტურებს და ა.შ. იტალიური ბაღი ჩახურული და ინტიმურია. ამ ეპოქაში აღორძინდა ძველი რომის ტრადიციები. იტალიური ბაღის ნიმუშებით ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მკაცრად და არქიტექტონიკულად წყდება სივრცე, და როგორ არის დამორჩილებული მთლიანი კომპოზიცია ავტორის ერთიან ჩანაფიქრს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად ფლორენციაში დაიწყო ბაღების იტალიური სტილით მშენებლობა. იტალიურ ბაღებს დახრილ რელიეფზე, მთაგორიან ადგილებში აშენებდნენ, სადაც აწობდნენ ოროკოებს, გამოქვაბულებს, მღვიმეებს, შადრევნებს, სწორკუთხა წყალსატევებს, კასკადებს და დიდი რაოდენობით დგამდნენ რომაულ და ბერძნულ ქანდაკებებს, ლარნაკებს და კოლონებს. ბაღის დაგეგმარება რეგულარულ ხასიათს ატარებდა, რომელიც ხაზგასმული იყო - კვიპაროსების პირდაპირი ხეივნებით, სწორკუთხა ტევრებით, ყვავილებითა და გაზონებით. იტალიური პარკებისა და ბაღების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მათი კომპლექსური გადაწყვეტა ბორცვის თავზე განთავსებულ ძირითად არქიტექტურულ ნაგებობასთან ერთად. მასთან დასაკავშირებლად ეწყობოდა გრანდიოზული პარადული კიბეები, საყრდენი კედლები, პანდუსები, ბალუსტრადები, კასკადები, შადრევნები, ბასეინები, ხოლო პარკის ქვედა ნაწილში იშლებოდა ჭრელი ყვავილოვანი ხალიჩები.

საბაღე-საპარკო ხელოვნების განვითარებაზე იტალიაში უდიდესი გავლენა იქონიეს ისეთმა გამონაგონებმა არქიტექტორებმა და მხატვრებმა, როგორებიც იყვნენ ბრამანტე, რაფაელი, პალადიო, ვინიოლა, პირო ლიგორიო, ანტონიო სანგალი, ჯაკომო დელა პორტა, მიქელანჯელო და სხვები.

იტალიური აღორძინების საბაღე-საპარკო ხელოვნება იყოფა ადრეული და მაღალი რენესანსის პერიოდებად. ადრეული რენესანსის პერიოდში (XIV ს.) არქიტექტორი ემორჩილება ადგილის რელიეფს და ირჩევს შედარებით სწორ ტერიტორიებს, შემოსახლვრულს თავისუფლად მდგომი ხეებით. თვით ბაღის გეგმარება ჩვეულებრივად არ უკავშირდება ვილას. სადა ბრტყელი პარტერები, მცირე ზომის შადრევნები წყლის წერილი ჭავლით, გამჭვირვალე ვარჯიანი ხეები და დამოუკიდებლად გადაწყვეტილი პარკის ნაწილები, რომლებიც არ ქმნის ერთიან კომპოზიციას - ეს არის ადრეული რენესანსის დამახასიათებელი ნიშნები. ამ პერიოდის ბაღების ნიმუშებია - ვილა კასტელი ფლორენციაში, ვილა მადამა რომში.

მაღალი რენესანსი (XVI ს.) უკვე გვაძლევს ვილა-ბაღის ნიმუშებს, რომლებიც გადაწყვეტილია ერთიან ანსამბლში. ვინიოლამ, პირო ლიგორიომ და სხვა იტალიური აღორძინების პერიოდის ხუროთმოძღვრებმა შეიმუშავეს ბაღის რეგულარული დაგეგმარების კომპოზიციური ხერხები რთულ რელიეფზე. მდიდრული პარადული კიბეები გაფორმებული იყო მითოლოგიურ თემებზე შექმნილი სკულპტურებით. პარკის პორიზონტალური პერსპექტივა უმეტესად მთავრდებოდა მწვანე თეატრით, გაკრეჭილი

ხეების კედლის ნიშით. აქ ეწყობოდა თეატრალური სანახაობები, სადაც თეატრის ბუნებრივი გარემოცვა წარმოადგენდა სცენის დეკორაციას. საპარკო ანსამბლის გრძივი ღერძის ცენტრალური პერსპექტივა უმეტესად მთავრდებოდა მთავარი ნაგებობით. ასეთი ბაღების მაგალითებია XVI საუკუნის ვილა ბაღები: ვილა ლანტე, ვილა ბობოლი, კაპაროლას ბაღები, ვილა დესტე, რომლებიც განთავსებულია რთულ რელიეფზე და მათში გამოყენებული იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი.

მართალია, აღორძინების ხანის პირველი ბაღი ფლორენციაში გაჩნდა, მაგრამ მან სრულ განვითარებას რომსა და მის მიდამოებში მიაღწია. მე-16 საუკუნეში რომის ირგვლივ შეიქმნა ცნობილი ვილები, რომელთა უმეტესმა ნაწილმა დღემდეც მოაღწია.

განვიხილოთ მაღალი რენესანსის პერიოდის ბაღის სამი მაგალითი: ვილა ლანტე, კაპაროლას ბაღები და ვილა დესტე. *კანდახა!*

1) ვილა ლანტე რომის გარეუბანში ბანიანში მდებარეობს. მისი მშენებლობის პერიოდია 1566-88 წწ. ამ კომპლექსის ძირითადი ჩანაფიქრი ეკუთვნოდა ვინიოლას, მაგრამ ამ ბაღის მშენებლობა დამთავრდა მისი გარდაცვალების შემდეგ. ბაღს უჭირავს 14 ჰა და გარშემორტყმულია მსხვილვარჯიანი ხეების დიდი პარკით, რომელიც ავარაყებს ჰარმონიულ და მკაცრ ანსამბლს.

ვილა-ბაღი განთავსებულია რთულ რელიეფზე 16 მ ნიშნულების სხვაობით და განაწილებულია 5 ტერასაზე. ვილა მდებარეობს მეოთხე ტერასაზე და ორგანიულად არის დაკავშირებული ბაღის გეგმარებასთან. იგი წარმოდგენილია ორი ერთნაირი ზომის კვადრატული ნაგებობის სახით, რომელთა შუაში გადის ბაღის ძირითადი ღერძი. ეს ღერძი ხაზგასმულია წყლის სისტემებით, რომლებიც გადაწყვეტილია სხვადასხვა არქიტექტურული ხერხით. წყალი ვიწრო კასკადიდან, რომელიც მიედინება ბორცვის ფერდობზე, ხვდება მცირე ზომის ბასეინში, რომელიც მდებარეობს ზედა ტერასის ორ საპარკო პავილიონს შორის. ბასეინიდან წყალი ჩადის ამ ტერასის მრგვალი ფორმის შადრევანში, შემდეგ კი მიედინება ბრტყელი კასკადის საფეხურებზე და იღვრება მეორე ტერასაზე განთავსებულ საყრდენ კედელზე მიშენებულ ნახევარწრიულ ბასეინში და თანდათან იღვრება ერთი ფიალიდან მეორეში. ამ კასკადის კიდეებში განთავსებულია წყლის ღეთაებების სკულპტურები. შემდეგ წყალი ხვდება ვიწრო კიუვეტში და ჩნდება მხოლოდ მეოთხე ტერასის მრგვალ შადრევანში, მერე ისევ იკარგება და ჩნდება წყლის სარკეების სახით ქვედა ტერასის მშვიდი წყლის პარტერებში. ამ აუზის შუაგულში არის დიდი შადრევანი, რომლის შიგნით ოთხი ახალგაზრდა ყმაწვილის ფიგურებს ხელში უჭირავთ ამ სასახლის მფლობელის მენტალტოს ვერბი. ამ ბაღისთვის დამახასიათებელია მკაცრი ლოგიკური გეგმა, წყლის სისტემების მრავალფეროვნება, არქიტექტურული ნაგებობების ჰარმონიულობა, სადაც ტერასები, კიბეები, ნიშები, სკულპტურები და გამწვანება განიხილება როგორც ერთიანი სისტემის დეტალები, რაც ამ ვილას განსაკუთრებულ მომხიბლველობას ანიჭებს.

2) მცირე ზომის ბაღი პავილიონით განთავსებულია კაპაროლას ციხესიმაგრის ტერიტორიაზე ბორცვის ერთ-ერთ ფერდობზე და გამოყოფილია ციხე-კოშკიდან წაბლის ტყით. ბაღს უჭირავს 1 ჰა და დაკავშირებულია შენობასთან ერთიანი დერძით. მთელ ეს კომპოზიცია შესრულებულია 1583 წელს, როდესაც ვინიოლა უკვე აღარ იყო ცოცხალი. იგი დაამთავრეს არქიტექტორებმა რეინალდმა და პეტერელიმ. პავილიონთან მისასვლელი იწყება ქვის მონუმენტური მღვიმეებით, მათ შორის ადის ფართო კიბე რომელიც გაყოფილია კასკადების ვიწრო ზოლით. კასკადიდან წყალი ხვდება ქვედა შადრევანში. კიბის თავზე მღვიმის ღრმა ნიშაა, რომელიც შემოსაზღვრულია საყრდენ კედელთან განთავსებული ზღვის დმერთების სკულპტურებით, რომლებიც ასხამენ წყალს ყანებიდან. ნახევარწრიულ კიბეებს აყვავართ პავილიონის წინ მდებარე ბაქანზე, რომელიც ყველაზე მკაცრი და ჰარმონიულია მთელ ანსამბლში. პარტერ გეომეტრიული ნახატებით გაკრეჭილი ბზისგან და შადრევნები პერიმეტრზე შემოსაზღვრული ბალუსტრადით თითქოს ქმნიან პირველ ხედს და ჩარჩოს მიმდებარე ლანდშაფტზე. ზედა ტერასაზე განთავსებულია ოთხი ბასეინი. მასზე მოხვედრა შესაძლებელია გვერდითი კიბეებიდან. ბალუსტრადებზე დგას დელფინების ფიგურები რომლებიც ასხამენ წყალს ბრტყელ თასებში. ამ ბაღის არქიტექტურული და სკულპტურული ელემენტები შესრულებულია დიდი ოსტატობით და შესანიშნავად ერწყმინა ბორდიურების, გაკრეჭილი ბუჩქების მკაცრ ხაზებს. ბაღი გარშემორტყმულია მცენარეთა მკვირივი მასივით, რომლებიც ამ ხელოვნურ კომპოზიციას შესანიშნავ ფონს უქმნის.

3) იტალიური სტილის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ვილა დ'ესტე. იგი 1540-1559 წლებში აშენდა ტივოლში (რომის აღმოსავლეთით 25 კმ-ზე) რომის იმპერატორ ადრიანეს ცნობილი ვილის ადგილზე. იგი კარდინალ იპოლიტე დ'ესტეს ეკუთვნოდა. კარდინალმა ვილის ასაგებად არქიტექტორი პირო ლიგორიო მოიწვია, ჰიდროტექნიკური ნაგებობები დააპროექტა და ააშენა ოლივერმა. ამ ადგილზე ვილის აგება იმითაც იყო საინტერესო, რომ აქ ჩამარხული იყო ადრიანეს დროინდელი ვილის რომაული და ბერძნული ქანდაკებები, რომლებიც დიდი რაოდენობით ამოიღეს და ვილა დ'ესტე ბაღში, გალერეებში, ბალუსტრადებზე, ნიშებში და გაკრეჭილ ხეებს შორის სიმწვანეში განათავსეს.

ვილა დ'ესტე გაშენებულია საბინას გორაკის დამრეც ფერდობზე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: ქვედა - ვაკე ნაწილისა და ზედა - სასახლის წინ ხუთ ოროკოზე აგებული ბაღებისაგან. ზედა ნაწილის ცალკეული ოროკო ერთმანეთთან დაკავშირებულია დიაგონალური ხეივანებით და პირდაპირი კიბეებით. შესასვლელშივე ჩანს მთელ მსოფლიოში უხნესი კვიპაროსების ხეივანი. ამ კვიპაროსების სისქი გარშემოწერილობა 3 მზე მეტია, ხოლო სიმაღლე 65 მ. მუქი მწვანე ხეივანი და თეთრი მარმარილოს კიბეები სულ მაღლა მიემართება. გამოქვაბულებისა და მღვიმეების ფონზე მრავალი შადრევანი ჩქეფს. მესამე ოროკო განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იქ

შრომანის ფორმის უზარმაზარი შადრევანია. ოროკოდან ოროკოზე სხვადასხვა ფორმის კიბეები ეშვება და მათი მარმარილოს მოაჯირებიდან მოწუხნუხე ნაკადულები მოედინება. მეოთხე ოროკოს გამოქვაბულებთან მოწყობილია საშუალო ზომის შადრევანი, რომელშიც დ'ესტეს საჰერცოგო გერბია და შრომანისა და არწივის სტილიზებულ ფორმას წარმოადგენს. პირქუში მღვიმეების ფონზე მეხუთე ოროკოდან დაშვებულ ნახევარწრიულ მარმარილოს კიბეებზე, რომლებიც ლარნაკებითაა მორთული, ოთხი დრაკონიდან ჩქეფს წყლის ჭავლი. ვიწრო და დაბურული ხეივნის გასწვრივ ასი სკულპტურული შადრევნის ხეივანია. ყველაზე საინტერესო და მასშტაბურია სივილას შადრევანი. ამ შადრევნების შექმნის იდეა მიქელანჯელოს ეკუთვნის. საბალო ხელოვნების ამ საუცხოო ნიმუშმა ჩვენამდე სრულყოფილი სახით მოაღწია.

ფლორენციაში ყველაზე ვრცელი და მდიდრულად გაფორმებული იყო ბობოლის ბაღი პალაცო პიტისთან, რომელიც მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში გაშენდა მოქანდაკე ტრიბოლის პროექტით. ბობოლის პარკის ტერიტორია, გორაკებითა და ბორცვებით 35 ჰექტარს შეადგენდა. პარკში იყო დიდი ამფითეატრი, ოროკოებზე განლაგებული მცენარეები, იშვიათი მოხაზულობის ტბორები და კუნძულები, დაკლანილი ხეივნები. ხშირი ტევრებითა და ბოსკეტებით დაბურული პარკის ზოგიერთი ადგილი ბუნებრივი უღრანი ტყის შთაბეჭდილებას ახდენდა. ტბაში ჩამდინარე მოწუხნუხე წყაროები და ნაკადულები, დეკორატიულ ნაგებობათა და სკულპტურულ მორთულობათა სიმდიდრე, უზარმაზარი კვიპაროსების ხეივანი, ბალუსტრადებზე მრავალრიცხოვანი ქანდაკებები, შადრევნები და სხვ. ბობოლის პარკი არქიტექტურისა და საპარკო ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

ფლორენციის სხვა ბაღებიდან აღსანიშნავია: პერცოვ კოზიმო პირველის ბაღი ვილა კასტელო, ბაღი-ვილა კამბარია, პეტრია, პლატოლინო და სხვ.

XVI საუკუნის დასასრულს იტალიის საბაღე-საპარკო ხელოვნებაში დამკვიდრდა ახალი მიმართულება – ბაროკო, რომელიც შეიქმნა მდიდარი საეკლესიო მსახურთა და დიდგვაროვანთა წრის მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ფორმების სირთულით. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითებს წარმოადგენენ ვილა ალდობრანდისი (1598–1603), ვილა ბორგეზე (1608), ვილა ალბანი (1746), ვილა გარცონი.

მე-18 საუკუნის პარკებიდან ყურადღებას იპყრობს ვილა ალბანი. იგი რომის მახლობლად 1746-1860 წლებში კარდინალ ალექსანდრე ალბანისათვის ააგო ბადომშენებელმა ანტონიო ნოლმა. ზედა ოროკოზე აგებული სასახლე ბუნების დიდებულ პეიზაჟებს გასცქერის. სასახლის ღია და დაბურული გალერეები მორთულია ანტიკური ქანდაკებებით. ტრიუმფალურ თაღთან მოედნის ცენტრში შადრევანია, რომელიც ლარნაკებით და ქანდაკებებითაა მორთული. პარტერში ყვავილნარებთან ერთად მოლს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. გაკრეჭილი კვიპაროსების კედლის

ფონზე ჩინებულად გამოიყურება მარმარილოს თეთრი სვეტები. პარკს ირგვლივ გაუვალი ტყე აკრავს. იტალიის იმ პერიოდის ბალებიდან ასევე აღსანიშნავია კოლონას ბაღი და ფარნეზის ბაღი რომში.

ბაროკოს პერიოდში რენესანსის ჰუმანური ხელოვნების იდეურ-მხატვრული შინაარსი, მისი სიღრმე დაკარგულ იქნა, რამაც გავლენა იქონია საბაღე-საპარკო მშენებლობაზე, გართულდა პარკების გეგმარებითი სტრუქტურა, სწორხაზოვან გადაკვეთებთან ერთად გაჩნდა დიაგონალური გადაკვეთებიც. შადრევნებისა და ჩანჩქერების სკულპტურული კომპოზიცია უფრო გართულდა არქიტექტურული ფორმების შეყვანით და პარტერული ყვავილნარის მოხაზულობამ უფრო დახვეწილი სახე მიიღო.

ბაროკოს პერიოდი გრძელდებოდა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნემდე. აღორძინებისა და ბაროკოს პერიოდის სტილებმა გავრცელება პოვეს სხვა ევროპულ ქვეყნებში, კერძოდ კი დიდი გავლენა იქონიეს საფრანგეთის საბაღე-საპარკო ხელოვნების განვითარებაზე.

2.5. საფრანგეთის რეგულარული ბაღები

• აღორძინება და კლასიციზმი

იტალიური რენესანსის გავლენა ევროპაში ძლიერ დიდი იყო, მაგრამ ეს ხელოვნება ევროპაში სხვადასხვა გზით შეიჭრა. ფრანგებმა გადმოიღეს იტალიური ბაღების კომპოზიციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ კი - ღერძული პერსპექტივა, პარტერი წყლის ეფექტით, ყვავილნარები, ბოსკეტები, შადრევნები და სხვ. პარიზსა და მის გარეუბნებში იგრძნობოდა რენესანსის პირველდაწყებითი ფორმები. ფრანგული აბსოლუტიზმი, თავისი სიმწობრიოთა და ცენტრალიზმის პრინციპით, უფრო მეტად, ვიდრე იტალიური რენესანსი, დაუპირისპირდა ფეოდალიზმის ქაოსურ და დანაწევრებულ ეპოქას.

აღორძინების ხანაში, საფრანგეთში ფართოდ მისდევდნენ დეკორატიული ბაღების მშენებლობას. ისინი იტალიური ბაღებისაგან ფართობის სიდიდითა და საბაღო მშენებლობის ბევრი ახალი მოტივით განსხვავდებოდნენ. ფრანგულ საბაღე-საპარკო ხელოვნებას თავისი საკუთარი აღორძინების ხანა ჰქონდა, რომელიც ანდრე ლენოტრის შემოქმედებით აღინიშნა.

სახელოვანმა ფრანგმა პარკომშენებლებმა და თეორეტიკოსებმა ბერნარ პალისმა, ოლივე და სერმა, ჟან ბუასემ, მოლემ, ღებრენმა, ლენოტრმა და სხვებმა შექმნეს შედევრები: შანტილი (1662), სენ-კლუ (1660), ტრიანონი (1687), მარლი (1679), შარლევილი, ვო-ლე ვიკონტი, ტიუილრი, მედონო, სო და - ერთადერთი და შეუდარებელი ვერსალის პარკი (1662-1700). დედოფალი XIV რეზიდენცია. რეგულარული პარკის კომპოზიციას საფუძვლად დაედო ბრწყინვალე სადღესასწაულო განწყობის შექმნის იდეა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი საფრანგეთის საბაღე-საპარკო ხელოვნებაში იყო XVII საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც მოღვაწეობდა უდიდესი ოსტატი ანდრე ლენოტრი (1613–1700). მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე შექმნა უამრავი შესანიშნავი პარკი კლასიციისტურ სტილში და დაიხია ბაროკოს პრინციპებისაგან. ასეთებია ცნობილი პარკები ვოლუ-ვიკონტი, სო, მედონი, შანტილი, შუაზი და სხვ. ამ პერიოდის საპარკო სტილის ძირითად კომპოზიციას წარმოადგენს პერპექტივის გახსნა და მასშტაბების გრანდიოზულობა. პარკის მოლიან კომპოზიციას აქვს ღერძული გადაწყვეტა, მაგრამ, იტალიური აღორძინების პერიოდის ბაღებისაგან განსხვავებით, ეს ღერძი თითქოს გრძელდება სადღაც უსასრულობაში და პარკის ლანდშაფტი ხდება მოლიანი ლანდშაფტის ნაწილი. სხივური ხეივნები აკავშირებს პარკს გარემო ლანდშაფტთან. პარკი იწყება ცენტრალური ნაგებობიდან, რეგულარობა და გარკვეული ერთფეროვნება თითქოს ირღვევა მოულოდენლად გამოჩენილი ხელებით. ფრანგული პარკის ტერიტორია ჩვეულებრივად ბრტყელია. მცირე სახის რელიეფი გამოიყენება ფართო ტერასების შესაქმნელად, ქანობები დაფარულია გაზონით. პარკის ძირითადი ელემენტებია წყლის სარკეები, ბასეინები და არხები. შადრევნებში წყლის ჭავლი უფრო წვრილია და ქმნის გარკვეულ ნახატს.

ანდრე ლენოტრი დაიბადა 1613 წელს პარიზში, ტიუილრის მებაღის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე დაინტერესდა ბაღის ხალიჩოვანი პარტერებით და ძალზე შეიყვარა ეს საქმე. ჭაბუკობაში ფერწერა და არქიტექტურა მხატვარ სიმონ ვუეს სახელოსნოში შეისწავლა და იქვე დაუმეგობრდა ლეპერენს. მამის გარდაცვალების შემდეგ, 24 წლის ანდრემ მეფის პარკის – ტიუილრის ზედამხედველის თანამდებობა დაიკავა. ექვსი წლის შემდეგ ლენოტრი სამეფო სახელოსნოს მხაზველად და ბაღის პარტერების მხატვრად დაინიშნა. მხატვარ ვუეს სახელოსნოში მან სწრაფად გაუსწრო საუკეთესო ოსტატებს და პარტერების ისეთ ნახაზებს ადგენდა, რომლებიც ბაღთმშენებლობის ხელოვნების შეუდარებელ ნიმუშებად დარჩა.

სახელმძოხვეჭილი მხატვარი ანდრე ლენოტრი მეფის ფინანსთა მინისტრმა ფუკემ თავის მამულში ვო-ლე ვიკონტში მიიწვია, სადაც ლენოტრმა ბაღის ბრწყინვალე პარტერები შექმნა. ვო-ლე ვიკონტის მშვენიერი პარკი, თავისი კასკადებით, შადრევნებითა და სასახლით ზღაპრული სილამაზისა იყო. საოცარი სანახავი იყო სასახლის წინ გადაშლილი ბაღის პარტერები და ფართო პერსპექტივები დაბურული შორეული ტევრებისაკენ.

პარკს 100 ჰექტარი ეჭირა მედონის მახლობლად. მისი განაპირა ტერიტორიები ტყე-პარკს წარმოადგენდა. სასახლის წინ ყვავილოვან პარტერში 1000 მ სიგრძისა და 40მ სიგანის წყლის არხი იყო გაყვანილი. იტალიური პარკის მსგავსად, მოწყობილი იყო ოროკოები და ბალუსტრადები ქანდაკებებით. ფუკეს სასახლესა და ბაღს აღწერს ა.

დიუმა (მამა) თავის რომანებში „ვიკონტ დე ბრაჟელონი ანუ ათი წლის შემდეგ“, და „ლუი XVI და მისი საუკუნე“.

ვო-ლე ვიკონტის პარკის მშენებლობის დამთავრების ერთი წლის შემდეგ ლენოტრი (ფუკეს დაპატიმრებამდე 7 წლით ადრე) 1654 წ. შეუდგა ვერსალის პარკის (პარიზიდან 17 კმ-ის მოშორებით) დაპროექტებას. პარკის გასაშენებლად უდაბურ დაჭაობებულ ადგილზე საჭირო იყო ლენოტრის გენიალური იდეები, რათა შექმნილიყო ასეთი ბრწყინვალე ნაწარმოები. ლენოტრმა შეძლო სრულიად უინტერესო დაჭაობებული და დანგრეული ლანდშაფტის გარდაქმნა საპარკო ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშად. დადაბლებული ადგილი გამოყენებულ იქნა ღერძულ პერსპექტივის შესაქმნელად, ხოლო სასახლის ირგვლივ ხელოვნურმა მიწაყრილმა მცირე საფეხური გააჩინა ამ პერსპექტივაში. ცენტრალური ღერძი ხაზგასმულია ორი წყლის პარტერით, სიბრტყეზე ორი წყლის სარკეა, რომელიც გადადის მწვანე მოლის და არხის პერსპექტივაში. ამ არხმა, დეკორატიული მნიშვნელობის გარდა, ტექნიკური როლიც შეასრულა. მისი საშუალებით იქნა დაშრობილი ჭაობი. სასახლის წინ დაბალი ტყე ამოძირკვეს და ფართო გზა გაიყვანეს. ნორმანდიიდან მოხიდეს 4-5 მ სიმაღლის რცხილები, რომელთა საშუალებით შეიქმნა მაღალი გაკრეჭილი კედლები, ხეივნები ბოსკეტები, ბაღში დროებით დადგეს თაბაშირის ქანდაკებები. პარკი 6 ათას ჰექტარ ფართობს მოიცავდა. მას 1400 შადრევანი, 2000-ზე მეტი ლარნაკი და ქანდაკება ამშვენებდა. სასახლესთან, ქვიშით დაფარულ მოედანზე მშვიდობისა და ბრძოლის ლარნაკი დგას. მარმარილოს ორი ფართო კიბე ეშვება მარმარილოს გაზონის ვიწრო ზოლით გარშემოვლებულ ორ აუზთან, რომლებიც ქანდაკებებითაა მორთული. ლენოტრი ოცი წლის განმავლობაში აშენებდა ვერსალის პარკს.

არანეველებრივია პარკის მასშტაბი: ტყის მასივების ჩართვით პარკის ტერიტორია - 1700 ჰა, წინა ბოსკეტური ნაწილის ფართობი (ე.წ. პატარა პარკის) - 10 ჰა, გრძივი არხის სიგრძე - 1,5 კმ, ხოლო განივი არხის 1 კმ, მწვანე მოლის სიგრძე - 300 მ, სასახლის სიგრძე კი - 400 მ. მიუხედავად ასეთი მასშტაბებისა, ლენოტრმა მიაღწია მთელი ანსამბლის მკაცრ ლოგიკურ თანაფარდობას პარკისა და სასახლის ნაწილებს შორის. პარკის სიღრმიდან სასახლისკენ მიახლოებისას თანდათანობით იხსნება ახალი და ახალი დეტალები და იცვლება სხვადასხვა ნაწილების აღქმა.

ვერსალი მდიდარია შადრევნებით, რომელთა წყლის შხეფები მწვანე ნარგავების ფონზე ქმნის ულამაზეს მხატვრულ სურათს. ამ პარკის შექმნაზე მუშაობდნენ აგრეთვე ცნობილი არქიტექტორები ლეუო და მანსარი, სკულპტორები მარსი, ტიუბო, ლორვი და ჟირარდენი, შადრევნების ოსტატი პიერ დე ფრანსი, მხატვრები ლეზრენი და მოგვიანებით, გიუბერ-რობერი, რომლებმაც მომავალ თაობებს დაუტოვეს ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები. ვერსალის პარკი შესანიშნავად გამოხატავს XVII საუკუნის არქიტექტურთა და ხელოვნთა დამოკიდებულებას ბუნებისადმი. აქ ხელოვნება სჭარბობს ბუნებას და ჯობნის მას. იგი თამამად ცვლის და იმორჩილებს მას მკაცრ

გეომეტრიული და პლასტიკური ფორმების გარკვეული ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ვერსალში, ისევე როგორც XVI-XVII სს. პარკებში, ახალი ლანდშაფტის საფუძველს რელიეფის სრული გარდაქმნა წარმოადგენს. ამ პარკის კომპოზიციურ გადაწყვეტაში მიღწეული იყო არქიტექტურული ფორმებისა და წყლის სივრცეების, სკულპტურის და მწვანე ნარგავთა სისტემის ერთიანობა.

ლატონის შადრევნის წინ, 600 მეტრზე გაშლილი იყო 60 მ სიგანის მწვანე ხალისა, რომელსაც სწორკუთხა გაკრეჭილი ხეების კედლებითა და ქანდაკებებით მორთული ორი ვიწრო გზა უვლიდა გარს. აპოლონის ოვალურ აუზთან არხის ფართო, ცისფერი ხალისა იშლებოდა. ლენოტრმა პირველმა ჩაუროთ პარტერებში წყალი და ბალახი. მოულოდნელად მარჯვნივ და მარცხნივ იხსნებოდა გზები ბოსკეტებისაკენ. „წყლის ხეივნის ბოსკეტი“ და მისი მოგრობო არხი მორთული იყო 24 ანტიკური ქანდაკებით, ციტრუსოვანი მცენარეებით. ამ ბოსკეტის კედლებად გამოყენებული იყო ცხენის წაბლა. საინტერესო იყო აგრეთვე ბოსკეტი „ლაბირინთი“, რომელსაც შადრევანი და ეზოპეს იგავის ცხოველთა ქანდაკებები ამშვენებდა. „აპოლონის“ შადრევნის წინ ჯვარედინად გაჭრილ არხში ვენეციიდან ჩამოყვანილი გონდოლები დაცურავდა.

საბაღო ხელოვნების ამ გენიალურმა შემოქმედმა თავის სკოლაში გამოზარდა ბაღის არქიტექტორები, რომლებმაც განაგრძეს მისი საქმე. ლენოტრის მოწაფეები ბაღებითა და პარკებით აღამაზებდნენ ქალაქებსა და მეფის რეზიდენციებს. ლენოტრის სტილის პარკები განსაკუთრებით გავრცელდა ავსტრიაში. შენბრუნი (ვენის მახლობლად), სანსუხი გერმანიაში (ბერლინის მახლობლად) და სხვ.

ამგვარად, საფრანგეთში მე-17 საუკუნეში მხატვარ ბაღთმშენებლის ა. ლენოტრის მიერ შეიქმნა საპარკო არქიტექტურის ახალი, ე.წ. რეგულარული ანუ ფრანგული სტილი. 1701 წ. ლენოტრი გარდაიცვალა და ვერსალის პარკიც უწყურადღებოდ დარჩა. გაკრეჭილი ხეები გაიზარდა. მათ დაკარგეს პირვანდელი სახე. მე-18 საუკუნის ბოლოს პარკი კიდევ უფრო გაველურდა. რცხილის მაღალი კედლები მუხებით, ნეკერჩხლებითა და ცაცხვით შეცვალეს. ლაბირინთის ბოსკეტების კვალი გაქრა. ქანდაკებები, შადრევნები და სხვა მრავალი პარკის მორთულობა ნაწილობრივ დაიმტვრა და განადგურდა.

ლენოტრის მიერ შექმნილმა ვერსალის პარკმა თავისი პირვანდელი სახით დღემდე ვერ მოაღწია, მაგრამ იგი მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ჩანაფიქრის გრანდიოზულობით, დაგეგმარების პროპორციულობითა და სიდიადით. ამ პარკის სილამაზე ახლაც აღაფრთოვანებს მნახველებს. პარკის რეგულარულ სტილს დღესაც დიდი მოწონება და გამოყენება აქვს თანამედროვე ქალაქთმშენებლობაში.

ნიშანდობლივია, რომ თუ შევადარებთ შემორჩენილ და დაზარეულ ისტორიულ პარკებს, დავინახავთ, რომ პირველ რიგში იღუპება და ბერდება მცენარეები, შემდეგ

წელის სისტემა, მაგრამ რელიეფი და საპარკო ანსამბლის არქიტექტურა ხშირ შემთხვევაში თავის სახეს ინარჩუნებს.

საფრანგეთში ბალ-პარკების ხელოვნების განვითარებამ უმაღლეს მწვერვალს მუჟე ლუი XIV-ის დროს მიაღწია. ლენოტრს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში იწვევდნენ. მან დაიწყო ახალი პარკების მშენებლობა გრინეზში, სენჯემსში, ჰეპტონ-კორტში, რომლებიც შემდეგ მისმა მოწაფეებმა დაამთავრეს. თვით საფრანგეთში კი თითქმის ყველა პარკი ლენოტრის შექმნილი ან გადაკეთებული იყო. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მშვენიერი პარკი ტიუილრი, რომელიც ლუვრიდან თანხმობის მოედნამდგა გადაჭიმული. პარიზის საგარეუბნო პარკებიდან შეიძლება დავასახელოთ (მარლი, სენ-კლუ, შანტილი, სო) და სხვ. საგულისხმოა, რომ ამ პარკებიდან არც ერთი არ წააგავს ვერსაღის პარკს. ისინი არც ერთმანეთს ჰგვანან. ვერსაღის პარკის კომპოზიცია სხვადასხვა ვარიანტში გამოყენებულ იქნა დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, რუსეთშიც XVIII საუკუნეში.

2.6. XVIII საუკუნის რუსეთის საპარკო ანსამბლები

რეგულარული ბაღების მშენებლობა რუსეთში დაიწყო პეტრე I მეფობის პერიოდში /1672–1725/. 1710 წელს მან დაარსა მცენარეთა შერჩევისა და აკლიმატიზაციის საბაღო კანტორა, რომელიც გამიზნული იყო მოსკოვისა და პეტერბურგის ბაღებისა და პარკების გასამწვანებლად.

ცნობილი «*Темный сад*» პეტერბურგში, პეტრე I სასახლესთან, შექმნილი იყო 1704–1725 წწ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაღის დაგეგმარების პირველი პროექტი შედგენილი იყო თვით პეტრე I მიერ. მართალია, დღეს ეს ბაღი სრულებითაც არ წააგავს იმას, რაც პეტრე I-მა დააპროექტა, რადგან მოღიანად შეიცვალა ბაღს მწვანე სამოსელი, მაგრამ თვით პარკის გეგმარება ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის პირვანდელ სახეს. თავდაპირველად ბაღში იყო გაკრეჭილი მწვანე ბოსკეტური ნაწილი, დიდი რაოდენობით შადრევნები და სკულპტურები /ამ ბაღის ავტორებია ანდრე ლენოტრის მოწაფე ლებლონი, შემდგომ პერიოდებში კი მოღვაწეობდა რასტრელი /.

XVIII საუკუნეში რუსეთის პარკებში ძალიან გავრცელებული იყო სკულპტურები ანტიკურ მითოლოგიურ თემებზე. საპარკო სკულპტურის ეს თემატიკა შემთხვევით არ ჩაისახა, რადგან ანტიკურ მითოლოგიას ზედმიწევნით სწავლობდა იმ პერიოდის რუსეთის თავადაზნაურობა. XVIII საუკუნეში, თავიდაპირველად იტალიასა და საფრანგეთში, ხოლო შემდგომ რუსეთშიც დიდი განვითარება პოვა ალეგორიულმა სკულპტურამ, რომელიც გამოსატავდა ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროებს და მათ სულიერ თვისებებს, წარმოდგენილს უმეტესად ქალის ფიგურით. მაგალითად, სამართალი გამოსატული იყო თვალეზივებული ქალის ფიგურით სასწორით ხელში, მოსავლიანობა ან დოვლათი – ქალი ბავშვებით ან ჭირნახულით ხელში, არქიტექტურა ქალი ქაღალდით და ფანქრით ხელში და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვანია თავისი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით და ზღაპრული სილამაზით საშადრევნო კომპლექსი *პეტერგოფი*, გაშენებული ფინეთის ყურის სამხრეთ სანაპიროზე. პეტერგოფის ანსამბლი შექმნილია პეტრე I-ის ჩანაფიქრით და განახორციელა იგი არქიტექტორმა *ლებლონმა*. ამ გრანდიოზული ანსამბლის შესაქმნელად მოწვეული იყო გამოჩენილი არქიტექტორები: მამა-შვილი *რასტრელი და ჟორნიხინი*. პეტერგოფში მუშაობდა მრავალი რუსი და უცხოელი მხატვარი და სკულპტორი. სწორედ აქ მიიღო დიდი განვითარება სკულპტურის ალექსანდრეოვური სკოლა. ოფიციალურად ეს ანსამბლი გაიხსნა პეტრე I-ის სიცოცხლეში 1723 წელს. პეტერგოფის პარკის დაგეგმარება იყო რეგულარული ხერხით და შექმნილი ევროპის პოპულარული ნიმუშების გავლენით. აქ გამოყენებულ იქნა ევროპაში იმ პერიოდში გავრცელებული საპარკო ნიმუშების გადაწყვეტის სინთეზური ფორმა, რომელიც მოიცავდა როგორც იტალიური ტერასული პარკების, ასევე ფრანგული რეგულარული პარკების კომპოზიციებს. პეტერგოფში, შადრევნებისათვის წყალი მიყვანილ იქნა ბუნებრივი წყაროებიდან, რომელიც პეტრე I-მა აღმოაჩინა *როკშინის* მთებში. 22 კმ-ის მანძილზე გაჭიმული მიწების საშუალებით თვითდინებით წყალი ჩადიოდა წყალშემკრებში, რომელიც 2000 შადრევნის ჭავლს ყოფნის მთელი დღის განმავლობაში, მაშინ როდესაც ვერსალში წყალი ყოფნის მხოლოდ 2 საათს. პეტერგოფის ქვედა ტერასას 102 ჰა უჭირავს, ხოლო ზედას 15 ჰა. აქვეა *სამსონის* ცნობილი სკულპტურა /მოქანდაკე *კოზლოვსკი* /, რომელიც ხახას უხსნის ღომს საიდანაც გადმოსჩქევს 20მ სიმაღლის ძლიერი წყლის ჭავლი. სამსონი პეტრეს სახეა, რომელმაც გაიმარჯვა შვედებზე. პეტერგოფის საპარკო ანსამბლი, განთავსებული მთის თხემზე, გამოხატავდა პეტრე I-ის ჩანაფიქრს, ხაზი გაესვა რუსეთის იმპერიის სიდიადისა და ზღვაზე მისი სიძლიერისთვის.

პეტერგოფის ანსამბლის მახლობლად, ფინეთის ყურის სანაპიროზე XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი იყო პარკები *სტრელნი* და ქალაქ *ლომონოსოვში* /ყოფილი *ორანიბაუმი* /, რომლებშიც ასევე იყო გამოყენებული დაგეგმარების გეომეტრიული ხერხი. ეს პარკები შემორჩენილია დღესაც, თუმცა საკმაოდ სახეშეცვლილი.

2.7. XVIII საუკუნის ევროპის ლანდშაფტური პარკები

XVII საუკუნის დასასრულს, ევროპაში რეგულარულმა სტილმა თავისი არსებობა დაასრულა. პროტესტი რეგულარული სტილის მიმართ გაჩნდა როგორც ინგლისში, ასევე საფრანგეთში. XVIII საუკუნის დასაწყისში ევროპაში ფართოდ გავრცელდა ლანდშაფტური ბუნებრივი სტილის პარკები, რომლის წინამორბედად თვლიან ძველი ჩინეთის ბაღის ტიპს.

საფრანგეთში პეიზაჟური სტილი წარმოიშვა, როგორც პროტესტი რეგულარული სტილისა და ლუდოვიკო XIV ეპოქის წინააღმდეგ. ლუდოვიკო XIV-ის ავტორიტეტის

დაცემამ, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას იყენებდა, როგორც საშუალებას თავისი სურვილების დასაკმაყოფილებლად, ხელი შეუწყო ოპოზიციის გაძლიერებას აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ჩამოყალიბებას. ოპოზიცია პროტესტს გამოხატავდა სამეფო კარის უანგარიშო ხარჯებისა და ზედმეტ ფუფუნებად მიჩნეული რეგულარული ბაღების მიმართ, რამაც განაპირობა საფრანგეთში რეგულარული ბაღების პოპულარობის დაცემა.

ინგლისში ამავე პერიოდში დიდი განვითარება პოვა საფეიქრო მრეწველობამ, რაც მეცხვარეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვდა საძოვრების გაფართოებას. საფეიქრო მრეწველობის მომგებიანობა ფერმერ-კაპიტალისტს უბიძგებდა, რომ ლეგალური თუ არალეგალური გზით გაეფართოებინა საძოვრები, ამიტომ XVIII საუკუნის ბოლოს თვით ინგლისურმა პეიზაჟმა მიიღო არა სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტის ხასიათი, არამედ ერთი დიდი პეიზაჟური პარკის ხასიათი, სადაც ბუნებრივი ტყის მასივების ფონზე გაჩნდა დიდი მინდვრები და მდელოები. სწორედ ეს პეიზაჟი დაედო შემდგომში საფუძვლად ამ ახალ საბაღე-საპარკო სტილს.

კომპოზიციური მეთოდებით პეიზაჟური სტილი, რეგულარული სტილის საპირისპიროა. ლანდშაფტური პარკების შექმნის დროს ცდილობდნენ დაეცვათ რელიეფის, მცენარეთა ფორმისა და შინაარსის ბუნებრივი კოლორიტი და განედევნათ ყოველივე ის, რაც ხელს შეუშლიდა ბუნების სიახლოვის განცდას. ასეთ პარკებში მტკიცედ იცავდნენ ნაირგვარი რელიეფის, კლაკნილი გზებისა და მცენარეების ბუნებრივ ფორმებს, ხოლო იქ, სადაც ასეთი მრავალფეროვნება არ იყო, ქმნიდნენ ხელოვნურ წინააღმდეგობებს, რათა ბაღი ბუნების ხელშეუხებელ სურათს დამსგავსებოდა. ამ სტილის ძირითადი კომპოზიციური ხერხი სწორი ხაზებისა და ზუსტი სიმეტრიულობის უარყოფაა. პირდაპირი ხეივნები, ბილიკები და შადრევნები ასეთ პარკებში მიუღებელია, მათ ნაცვლად პარკის ტერიტორიაზე ღამაზი პეიზაჟების შესაქმნელად აწეობდნენ წყალსატევებს და რუებს უსწორმასწორო ნაპირებით, მიხვეულ-მოხვეულ გზებს, ქმნიდნენ მოულოდნელ არქიტექტურულ ეფექტებს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნეში ევროპაში უკვე იცოდნენ ჩინური და იაპონური პეიზაჟური პარკების არსებობის შესახებ, მაინც საკმაოდ ცალმხრივად და ზერელედ უყურებდნენ ამ პარკების კომპოზიციის ძირითად არსს და იყენებდნენ მხოლოდ მის ცალკეულ ელემენტებს, კერძოდ, ამოხნექილ ხიდებს, ჩინურ საჩრდილობლებს, პავილიონებს და სხვ. ევროპაში ამ ელემენტებს იყენებდნენ ფორმალურად, მათი სიღრმისეული შინაარსის სრული გაგების გარეშე. ამის გამო ჩინურმა საბაღე-საპარკო ხელოვნებამ მისი სრული სახით ევროპაში ვერ მოიკიდა ფეხი, არ მიიღო სათანადო განვითარება-გავრცელება.

კიდევ იყო ერთი გარემოება, რომელმაც გავლენა იქონია ამ ახალი სტილის შემოღებასთან დაკავშირებით. საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი საფრანგეთში

ფართოდ გავრცელებული მცენარეთა გაკრეჭის პოპულარული ხერხის მიმართ, რომელიც უკარგავდა მცენარეს თავის ბუნებრივ სახეს. ამის წინააღმდეგ მწვავედ გაილაშქრეს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთის ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და განმანათლებლებმა *ჟან-ჟაკ რუსომ, დენი დიდრომ* და სხვებმა. ისინი ბუნების ნატურალურობისა და ბუნებრივი ფორმების შენარჩუნებისაკენ მოუხმობდნენ. ყოველივე ამან რადიკალური გავლენა იქონია XVIII საუკუნის ევროპული საბადე-საპარკო არქიტექტურის განვითარებაზე.

ევროპაში პეიზაჟური პარკები პირველად გავრცელდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ყველაზე განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ინგლისში. ინგლისის პეიზაჟური გარემო კარგად ერწყმოდა ინგლისური კლასიციზმის მკაცრ არქიტექტურულ ფორმებს. ინგლისური პარკის გეგმა მთლიანად ეფუძნებოდა ბუნებრივ გარემოს. თუმცა ბუნების მიბაძვა XVIII საუკუნის ინგლისურ პარკებში ძალიან პირობითი იყო, რადგან პარკის ტერიტორია სავსე იყო ხელოვნურად შექმნილი სხვადასხვა სახის სენტიმენტალური და რომანტიკული არქიტექტურული ფორმებით.

პეიზაჟური სტილის პარკის ტერიტორია უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად ტალღოვანი; თუკი არსებული რელიეფი არ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს, მაშინ მას ხელოვნურად ქმნიდნენ. რელიეფის ტერასირების ხერხი შეიცვალა მისი თანდათანობით ვარდნით, გზები აუცილებლად კეთდებოდა მრუდხაზოვანი და ხშირად ხელოვნურად ღრმავდებოდა. ხელოვნურად შექმნილი მიწის ან ქვის ბორცვებში ეწყობოდა გამოქვაბულები, წყლის კონტურები დებულობდა ბუნებრივ მოხაზულობას, წყლის ვარდნის ადგილები ფორმდებოდა როგორც ბუნებრივი ჩანჩქერები. პეიზაჟურ პარკში სრულიად გაქრა მდიდრულად გაფორმებული კასკადები, წყლის პარტერები და შადრევნები. მცენარეები ჯგუფდებოდა ბუნებრივი მასივების სახით. ინგლისურ პარკებში არსებითი ხდებოდა გახსნილი სივრცეების გათვალისწინება და უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ხეებისა და ბუჩქების მხატვრული ჯგუფებით გარშემორტყმულ მინდორს. ყვავილებს იყენებენ ბუჩქების ან ყვავილოვანი ნიშების სახით. მოგვიანებით, მეყვავილეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ხორციელდება მრავალწლიანი ყვავილების დარგვა თავისუფლად, ჯგუფურად ან ბორდიურების სახით. მცენარეთა ჯიშების, ხეებისა და ბუჩქების ასორტიმენტის გაფართოებისაკენ სწრაფვამ ინგლისში გააფართოვა უცხო მცენარეების აკლიმატიზაციის პროცესი.

საბადე-საპარკო ხელოვნების ახალი სტილის ძირითადი დებულებები მრავალმა თეორიტიკოსმა და პრაქტიკოსმა შემოუშავა როგორც ინგლისში, ასევე საფრანგეთში. „პეიზაჟური პარკის“ ცნება ყველაზე ადრე და მკაფიოდ ჩამოაყალიბა XVIII საუკუნის საბადე-საპარკო ხელოვნების გამოჩენილმა ინგლისელმა მკვლევარმა, თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა პროფესორმა ჰემპრი რეატონმა (1752-1817), რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა დეკორატიული მეზაღეობის განვითარებაზე ინგლისში. მისი შრომები დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას.

აქვე შეიძლება გამოყოფილ რეპტონის მიერ დასაბუთებული ზოგიერთი დებულება.
ცოცხალი ბუნების ყოველ პეიზაჟურ სურათში, ისევე როგორც ფერწერაში, რეპტონი გამოყოფს სამ ხედს:

- პირველი ხედი ლანდშაფტის არქიტექტორის მიერ გამოიყენება უფრო აქტიურად, მისი შეცვლა და გარდაქმნა შესაძლებელია;
- მეორე ხედი, შუალედური, რომელიც ქმნის სიღრმეს და პერსპექტივას, წყდება უფრო მსხვილ მასშტაბში და თავისუფლად;
- მესამე ხედი – ეს არის ფონი, რომლის შეცვლა არ შეიძლება.
- თავშეკავებულობა, თანამასშტაბურობა, მასშტაბურობა და კომპოზიციის თანამიმდევრობა ინგლისური პარკის აგების ძირითადი კანონებია.
- რეპტონი ასახელებს ოთხ ძირითად მასალას, რომლებიც ქმნიან ლანდშაფტის ბუნებრივ სილამაზეს, ესენია: რთული რელიეფი, ქვა, წყალი და ტყე.
- რეპტონი ამბობს, რომ ბუნებრივი სილამაზე ხშირად დამალულია ადამიანის თვალისაგან და ლანდშაფტის არქიტექტორის ამოცანაა მათი გახსნა და წარმოჩენა, რადგან ხშირად ხეების ზრდასთან ერთად იმალება რელიეფისა და წყლის სივრცეების სილამაზეც. იმისათვის, რომ გახსნათ ეს ჩამალული სილამაზე, საკმარისია მოვაშოროთ იმ ადგილიდან დიდი ზომის ხეები, რომლებიც ფარავენ მის უკან არსებულ ბუნებრივ სილამაზეს. რამდენიმე ხის მოჭრა ზოგჯერ საკმარისია, რომ დაინახო მთელი ტყე.
- რეპტონს მიაჩნია, რომ ტყის სწორხაზოვანი კონტურები არ იძლევა პერსპექტივას, ამიტომ ტყის მასივის ნაწილობრივი გაჩეხითა და კულისების შექმნით შესაძლებელია შესანიშნავი ღრმა პერსპექტივის გაჩენა.
- რეპტონი დიდ ყურადღებას უთმობდა სიღრმის თემას პეიზაჟში და იძლეოდა უკანა პლანზე დაბალი ხეების დარგვის რეკომენდაციას, რაც შორი პერსპექტივის აღქმის შესაძლებლობას იძლევა. რეპტონს მიაჩნდა, რომ შენობის წინ პირველი ხედი ან გზა, საიდანაც იხსნება პეიზაჟი, მოითხოვს ზოგიერთი ელემენტის გეომეტრიულ გადაწყვეტას, რაც შესაძლებელია გაკეთდეს სწორხაზოვანი პარტერის ან მხვიარა მცენარეებით გაფორმებული პერგოლის მოწყობის საშუალებით. რეგულარული პარკის ეს ელემენტები პეიზაჟურ პარკში, თითქოს ხაზს უსვამს მიუთითებს არქიტექტორის მონაწილეობის ფაქტზე ბუნების გარდაქმნაში. მისი აზრით ბუნება წარმოადგენს მოდელს, რომელსაც მიჰყვება ხელოვანი, მაგრამ მის ზუსტ კოპირებას არ აკეთებს.

თავისი დებულებების საილუსტრაციოდ, რეპტონმა შექმნა ნამუშევრების ალბომი, რომელშიც გამოსახულია, თუ როგორ იცვლება ლანდშაფტი მწვანე ნარგავთა დაპროექტების სხვადასხვა ხერხის გამოყენებით.

ამავე პერიოდში ინგლისში ჩნდება პარკომშენებელთა ახალი სახელები - *უილიამ ჩემბერსი, უილიამ კენტი, ლენსელე ბრაუნი და სხვ.*

უილიამ ჩემბერსი მოღვაწეობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ინგლისში. მან ახალგაზრდობაში იმოგზაურა ჩინეთსა და იაპონიაში, შემდეგ საფრანგეთსა და იტალიაში, რამაც უდიდესი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. ჩემბერსმა ინგლისურ პარკომშენებლობაში და გამოყენებით ხელოვნებაში შეიტანა ეგზოტიკური მოტივები, კერძოდ, ჩინური მოტივები. ჩინურმა მოტივებმა გამოყენება პოვა მის მიერ 1758-1759 წლებში შექმნილ პარკში, სახელწოდებით კიუ გარდენ (ამჟამად ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სახელგანთქმული ბოტანიკური პარკი), რომელიც მდებარეობს ტემზის სანაპიროზე ლონდონის გარეუბანში რიჩმონდში. იგი ასევე ცნობილია კიუ-რიჩმონდ პარკის სახელწოდებით.

თავდაპირველად ამ პარკის ტერიტორია ეკუთვნოდა უელსის პრინცის საგვარეულოს, 1760 წელს კი მეფე გეორგ III-ის კუთვნილებაში გადავიდა. მცენარეების უნიკალური კოლექციის გამო, რომელიც წარმოდგენილია ამ პარკში, 1838 წელს იგი გადაკეთდა სამეფო გვარის სამეცნიერო დაწესებულებად, ბოტანიკურ ბაღად. აქ მოიპოვება მარტო ფოთლოვანი ხის ჯიშების 2000 სახეობა.

პარკი კიუს გეგმარება არ იყო უბრალო გამეორება ჩინური სტილისა, რადგან იგი გამოხატავდა სხვადასხვა ეპოქებისა და სხვადასხვა ქვეყნების მრავალფეროვან მოტივებს. მან შექმნა განსჯისა და აღქმის გარემო, რომელიც დაუპისპირა პარკის გარემოს ბუნებრიობასა და სისადავეს. ამ პარკს უწოდებენ აგრეთვე „სიურპრიზების პარკს“. ამ ახალმა ინგლისურმა სტილმა უდიდესი გავლენა იქონია მოელ ევროპაზე. ჩემბერსის ამ სტილმა ინგლისურ-ჩინური სტილის სახელწოდება მიიღო.

უილიამ ჩემბერსი ცნობილია აგრეთვე როგორც თეორიული ნაშრომების ავტორი. ჩემბერსი თავის სტატიებში ილაშქრებს ინგლისური პარკის ერთფეროვნების წინააღმდეგ და ხაზს უსვამს ჩინური საბაღე-საპარკო ხელოვნების მაღალ კულტურას. იგი აღნიშნავდა, რომ ჩინელები თავიანთი მაღალი ხელოვნებისა და გემოვნების წყალობით, ბაძავენ რა ბუნებას, ქმნიან მდიდრულად გაფორმებულ ნაწარმოებებს.

ღანდშავტური არქიტექტურის კიდევ ერთი გამოჩენილი პიროვნება უილიამ კენტი, რომელიც პროფესიით ფერმწერი იყო და ეკავა სამეფო კარის მთავარი მხატვრის თანამდებობა. უილიამ კენტმა ისწავლა ბუნების აღქმა პეიზაჟური ფერწერიდან, საიდანაც იგი იღებდა ნიმუშებს თავისი კომპოზიციების შესაქმნელად.

1730 წლიდან იწყება კენტის, როგორც პარკომშენებლის კარიერა. უილიამ კენტს სძულდა სწორი ხაზები და იგი ცდილობდა გზები მაქსიმალურად ტაღლოვანი გაეკეთებინა. მისი პირველი დიდი ნამუშევარია პარკი სტოუ ბაკინგემშირში ლორდ კობხემის რეზიდენცია. ამ პარკის შექმნაზე მუშაობდნენ აგრეთვე მებაღე ბრიდეკემნი და ლანსელეტ ბრაუნი.

უილიამ კენტის პრინციპი იყო „ბუნება გაურბის სწორ ხაზებს“, ამიტომ ისიც გაურბოდა გზების, ხელოვნური წყალსატევების, მადრეენების სწორხაზობრიობას. იგი ძირითადად მუშაობდა მსხვილი ხის ჯგუფებთან და ხეების საშუალებით ქმნიდა როგორც ჯგუფურ კომპოზიციებს, ასევე კომპოზიციებს ერთი ხის საშუალებით, რომელიც შესანიშნავად იკითხებოდა მიწღვრის ფონზე. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ასეთი კომპოზიციების დომინირებული როლი ინგლისური პარკის სივრცულ-კომპოზიციურ გადაწყვეტაში. უილიამ კენტი არის ავტორი პარკებისა *ჩიზვიკში* და *შეფილდში*.

XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან ინგლისური პარკის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია საბაღე არქიტექტორმა ლანსელეტ ბრაუნმა (უილიამ კენტის მოწაფე). იგი, ისევე, როგორც უმეტესი თუნდაც კონსერვატიულად განწყობილი ინგლისელი, იყო მოწინააღმდეგე ძველი რეგულარული სტილისა. ამ პერიოდში თითქმის ყველა გეომეტრიული სტილის ბაღი ინგლისში გადაკეთებული იყო პეიზაჟურ ბაღებად.

ბრაუნი განსაკუთრებით გამოირჩეოდა წყლის ნაპირების, მისი კონტურების მოხაზულობის გადაწყვეტის ხელოვნებით. იგი ხელოვნურ წყალსატევებს აძლევდა თითქოსდა ბუნებრივ, ამავე დროს როგორც მოხაზულობას. ბრაუნის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მან შექმნა თეორიული ნაშრომი, სადაც იგი ასაბუთებდა განსხვავებას საპარკო ლანდშაფტსა და პეიზაჟურ ფერწერას შორის. იგი ასაბუთებდა პეიზაჟური სურათის, რომელზეც დაფიქსირებულია ერთი პეიზაჟური კადრი, და ბუნებრივი პეიზაჟის აღქმის არაიდენტურობას. იგი აღნიშნავდა, რომ ბუნებრივი პეიზაჟის აღქმა ხდება დინამიკაში და სხვადასხვა განათებულობის დროს, რაც სხვადასხვა ემოციურ დატვირთვას იძლევა.

XVIII საუკუნის ინგლისური პეიზაჟური პარკის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს პარკი სტოუ ბეკინგემის ახლოს, რომლის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1714 წელს (ავტორი ბრიდჟემენი), ხოლო 1738 წელს იგი გადაკეთებულ იქნა უილიამ კენტისა და მისი მოწაფის ლანსელეტ ბრაუნის მიერ.

ამ პარკს უჭირავს 200 ჰა და მოიცავს ბორცვებს მდელოებს და წყლის სარკეს, რაც ხელს უწყობდა პარკის თავისუფალი გეგმარების შექმნას. სასახლესთან დაწყებული პერსპექტივა სამხრეთის მიმართულებით გვირგვინდება მეფე გეორგ I-ის ქანდაკებით, ხოლო ჩრდილოეთით წყალსატევით. პარკის კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს სასახლე, რომლის წინ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ორგანიზებულია გახსნილი სივრცეები. გეგმაზე ნაჩვენებია მრავალფეროვანი დეკორატიული ელემენტები: ფანჩატურები, პავილიონები – ვენერას, მეგობრობის, ბახუსის და სხვ., ასევე სკულპტურები, გამოქვაბულებულები და ა.შ. მის ტეიტორიაზე აშენებულია მრგვალი პავილიონი „ანტიკური ღვთაების ტაძრის“ სახელწოდებით, რომელიც შემდგომ პერიოდებში გავრცელდა მთელ კონტინენტზე და მის გამეორებას ყველგან შეიძლება

შეხვედეთ. პარკის არსებობის პირველ პერიოდში იგი შემოსაზღვრული იყო რეგულარული ნარგაობით, რომლებიც შემდგომში შეიცვალა.

ინგლისში დიდი პოპულარობით სარგებლობს პარკი სტოურხერდი, რომელიც შექმნა არაპროფესიონალმა პარკომშენებელმა ჰენრი ხოერმა. პარკის მთელი კომპოზიციის საფუძველს წარმოადგენს ხელოვნური წყალსატევის სისტემა, რომლის სანაპიროები დასერილია მხატვრული მოხაზულობის ბილიკებით. აქ განთავსებული სასახლე არ ასრულებს არსებით როლს პარკის საერთო კომპოზიციაში. ეს ხერხი გამოარჩევს ამ პარკს სხვა მრავალი ინგლისური პარკისაგან.

ინგლისური პარკებიდან აღსანიშნავია დიდი ზომის პარკი რიჯენს პარკი ლონდონში, რომლის ფართობი 987 ჰა-ს უდრის. იგი აშენებულია არქიტექტორ ბრიდჟემენის მიერ.

ინგლისელი პარკომშენებლების შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებზე. განსაკუთრებით ბევრი პარკი ამ სტილში იყო შექმნილი საფრანგეთსა და გერმანიაში. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საპარკო ანსამბლ სან-სუსის, პოტსდამში (ბერლინის ახლოს). მისი ფართობი 290 ჰა-ს შეადგენს.

სან-სუსი გაშენდა XVIII საუკუნის შუა პერიოდში. მისი ავტორი იყო ზალცმანი, ხოლო სასახლე და პარტერი, რომელიც ექვს ტერასაზეა განთავსებული, დააპროექტა არქიტექტორმა ენობელსდორფმა. სასახლე გრანდიოზული კიბეებით უკავშირდება პარკის მთავარ ღერძს, მთავარ ბუღვარს, რომლის სიგრძე 2,5 კმ-ს უდრის. ეს ბუღვარი კვეთს მთელს პარკს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. პარკში უამრავი არქიტექტურული ნაგებობაა. განსაკუთრებით საინტერესოა სამხატვრო გალერეა, რომელიც პირველ სამხატვრო გალერეას წარმოადგენდა მსოფლიოში, რომელშიც ფერწერული ტილოების უმდიდრესი კოლექციაა. აქ არის მარტო რუბენის 124 ნამუშევარი, ასევე ვან-დეიკის, ლუკას კრანახის, გვიდო რენის და სხვა სახელოვან მხატვართა ნამუშევრები.

საფრანგეთი, გატაცებული რუსოს იდეებით და ინგლისური მიმართულების გავლენით ასევე მიმართავს პეიზაჟურ სტილს, მაგრამ ფრანგები, ინგლისელებისაგან განსხვავებით, კი არ ანადგურებდნენ ძველ პარკებს, არამედ აღარ აშენებენ ახალ პარკებს რეგულარულ სტილში. ისინი ქმნიდნენ ახალ პარკებს ძველი პარკების სიახლოვეში. მაგალითად, არსებობდა ვერსალი, ამავე დროს მის გვერდით აშენდა მცირე ტრიანონი. მცირე ტრიანონი აშენდა მარია ანტუანეტასთვის 1782 წელს, არქიტექტორ მიკის და მეზაჟე ანტუან რიშარის მიერ. ამ პარკის მხატვარია გიუბერ რობერი. პარკი დაგეგმარებულია პეიზაჟურ სტილში, კლაკნილი გზები, დედეები და წყალსატევები, თავისუფლად მდგომი ხის ჯგუფები, ქოხები პავილიონების ნაცვლად, ამ პარკის დამახასიათებელი ელემენტებია. აქ ძალიან მყუდრო და ინტიმური გარემო იყო შექმნილი ვერსალის დიდი ხეივნებისა და უზარმაზარი ბოსკეტების ფონზე.

1774 წელს პარიზიდან 12 კმ-ში *შარტრის პერცოვისთვის* აშენდა პარკი *მონსო*, რომელიც დღეს ქალაქის საზღვრებშია მოქცეული. ამ პარკს ჰქონდა ფაქიზად დახატული გეგმა. მხატვარმა *კარმონტელმა* შესანიშნავად შეუხამა სასახლის წინ უკვე არსებული პარკის რეგულარული ნაწილი პარკის პეიზაჟურ ნაწილს. პეიზაჟურ ნაწილში უხვად იყო სოფლური მდელოები, ვენახები, ქარის წისკვილები, ტაძრის ნანგრევები, ჩინური ხიდები, დიანას თეატრი და სხვა რომანტიული გასართობი ადგილები. შთაბეჭდილებების განუწყვეტელი ცვალებადობა, თეატრალურობა, რომანტიკულობით გამსჭვალული დეკორაციების ეფექტს ქმნიდა.

XVIII საუკუნის ფრანგული პეიზაჟური ბაღის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ბაღი *ბაგატელი* (Безделушка, ქართ. სამშენისი) პარიზში ბულონის ტყის ტერიტორიაზე სასახლე აშენებული იყო *გრაფ არტუასთვის*, არქიტექტორ *ბელანჟეს* მიერ. ბაღის არქიტექტორი იყო *ბლეკი*, მცირე ფორმების მხატვარი *გიუბურ რობერი*. ეს ბაღი მართლაც სამშენისს წააგავდა, სადაც მუდმივად იცვლებოდა შთაბეჭდილებები ჩინური ბაღის მსგავსად.

დიდი ბაღებიდან შეიძლება დავასახელოთ *ერმენონვილი*, ერთ-ერთი პირველი პეიზაჟური პარკი, რომელიც შეიქმნა 1775 წელს ძველი ტაძრის გარშემო. იგი ძალიან დიდი მასშტაბების (დაახლოებით 900 ჰა) იყო და მოიცავდა ტყის მასივებს, მდელოებს, ტყეებს, ბორცვებს. ამ პარკში ცხოვრობდა და დასაფლავებულია დიდი საზოგადო მოღვაწე ჟან-ჟაკ რუსო.

XVIII საუკუნეში ევროპაში უმეტესად იქმნებოდა შერეული ტიპის პარკები, როდესაც რეგულარული პარკების მიმდებარე ტერიტორიებზე ან მის ირგვლივ აშენებდნენ პეიზაჟურ პარკებს. ასეთი პარკებია *შენბური* ვენაში, *შარლოტენბურგი* გერმანიაში და სხვ.

XVIII საუკუნის ბოლოს რეგულარული სტილის ბაღებსა და პარკებს, რომლებიც დაკავშირებულია რუსული პერიოდის ბაროკოს სტილთან, კლასიციზმის იდუალებების ქვეშ გაჩნდა ახალი სტილის ლანდშაფტური ანუ პეიზაჟური პარკები, რის შემდეგაც, ისევე როგორც საფრანგეთში, დაიწყო მათი გაერთიანება ადრე შექმნილ რეგულარულ პარკებთან, აფართოებდნენ რა ამ პარკების ტერიტორიებს მიმდებარე ტყეების და ბუნებრივ გარემოსთან შერწყმით. ამგვარად, გაჩნდა ბაღის შერეული ტიპი. მოსკოვის ახლოს განთავსებული ადრეული პერიოდის საადგილმამულო პარკებში *კუსკოვო*, *ოსტანკინო*, *არხანგელსკოე* შემორჩენილია პარკის რეგულარული ნაწილები. ლანდშაფტური პარკების შექმნა რუსეთში დაიწყო XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამ პერიოდის ერთ-ერთი ასეთი პარკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს *პავლოვსკის პარკი* ლენინგრადთან, შექმნილი XVIII საუკუნის 80-იან წლებში. პარკის ავტორებია არქიტექტორები *კამერონი* და *გონზაგო*. პარკის მშენებლობაში აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდნენ *კვარენგი*, *როსი*, *ვორონიხინი* და *სკულპტორები: გორდევვი* და *კოზლოვსკი*. პეიზაჟური პარკებიდან აღსანიშნავია

პარკები ცარიცინოში მოსკოვის ახლოს, ტროსტიანეცში /უკრაინა/, სოფიევკაში და სხვ.

2.8. ლანდშაფტური სტილი ჩინეთის საპარკო ხელოვნებაში

დიდ ინტერესს იწვევს ჩინეთის საპარკო ხელოვნება დაწვებული ძვ.წ. XII ს., რაც ემთხვევა ასურეთის საბალო ხელოვნების აყვავების პერიოდს. ჩინეთში საბაღე-საპარკო ხელოვნების განვითარება დაკავშირებული იყო რელიგიური მოძღვრებების კულტთან და ფილოსოფიასთან. ამის გამო, ჩინური ბაღები იქმნებოდა ლანდშაფტურ კონცეფციაზე. ჩინელები შთაგონებას უფრო წინ აყენებდნენ, ვიდრე სეირნობას, ამიტომ მათი ბაღების საფუძველს წარმოადგენდა შთაბეჭდილებების ცვალებადობა სხვადასხვა სახის პეიზაჟების აღქმით. მათ ეკავათ ვრცელი ტერიტორიები, რომლებიც მოიცავდნენ, როგორც რთულ რელიეფს, მთებს, ასევე ბორცვებს მდინარეებს და ფართო მდელოებს.

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, პირველი ჩინური პარკი შექმნილი იყო უკვე ძვ.წ. XII საუკუნეში, რომელიც იმპერატორ ჩეუ-ს პარკის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს პარკი გრანდიოზული იყო თავისი მასშტაბებით, მისი გარშემოწერილობა 250 კმ-ია. ამ პარკის ტერიტორიაზე იმდენი სასახლე იყო, რამდენი სათავადოც ჰქონდა მას დაპყრობილი. ძვ.წ. 1150 წელს იმპერატორმა ვენ ვანმა ააშენა დიდი პარკი, სახელწოდებით „ცოდნის ბაღი“. მისი ფართობი 375 ჰა-ს უდრიდა. ძვ.წ. 197 წელს იმპერატორმა უტიმ შექმნა გრანდიოზული პარკი, რომლის ფართობი 3000 ჰა-ს ტოლია.

უძველესი ჩინური პარკების უმეტესობას ერქვა – იუ ანუ ცხოველთა ნაკრძალი, ხოლო მოგვიანებით პარკებმა მიიღეს სახელწოდება იუან ანუ ყვავილნარი.

II ათასწლეულიდან საფუძველი ჩაეყარა ჩინეთის პოლიტიკურ და რელიგიურ სტრუქტურას. ამ პერიოდში ჩინეთის მმართველი იყო ვანი. ჩინეთში წელთაღრიცხვა დინასტიების მმართველობის პერიოდებად არის დაყოფილი. მმართველობა იწყება ვანის დინასტიიდან, რაც შეესაბამება ძვ.წ. XXI-XVI სს. შემდეგ პერიოდებში დინასტიები შემდეგნაირად გრძელდება: სია, შან, ჯოუ, ცინ, ხან და ა.შ. მაგ., ახ.წ. X-XIII სს. ხუნის დინასტიას შეესაბამება; XIII-XIV სს. იუანის დინასტიას; XIV-XVII სს. მინების დინასტიას; XVII-XX სს. ცინების დინასტიას, ხოლო 1912 წლიდან ჩამოყალიბდა ჩინეთის რესპუბლიკა, 1949 წლიდან კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ცნობილია, რომ ჩინური ბაღები და პარკები სახელგანთქმულია თავისი ორიგინალობით. ცინების დინასტიამდე (XVII-XX სს.) ჩინეთში არსებობდა ოთხი ძირითადი ტიპის ბაღი და პარკი. ჩინელი მეცნიერები გვთავაზობენ მათ შემდეგნაირ კლასიფიკაციას:

- საიმპერატორო პარკები სასახლეებთან;
- საკუთარი ბაღები და პარკები (უმაღლესი რანგის მსახურთა და ვაჭართა);
- პარკები სატაძრო კომპლექსებთან;
- ისტორიული პეიზაჟური პარკები.

სამწუხაროდ, ამ კატეგორიის პარკების მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, ხოლო ნაწილი აღწერილია ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. იმ პერიოდის ბალებიდან ყველაზე კარგად შემორჩენილია X საუკუნის ბალები.

ბინების (XIV-XVIII სს.) პერიოდს მიეკუთვნება ჩვენს დრომდე შემორჩენილი ტრაქტატი, სახელწოდებით „ბალების შექმნა“, რომლის ავტორად ითვლება ქი შენი. ტრაქტატი შედგება სამი ტომისაგან და წარმოადგენს პეიზაჟების შექმნის ტექნიკის ნამდვილ ენციკლოპედიას. მასში მოცემულია ბალების სხვადასხვა ტიპის ბაღის აღწერები, ასევე ბალების აგების კონკრეტული, მათი განთავსების პრინციპები და სხვადასხვა მასალის გამოყენების ტექნიკა.

ევროპული პეიზაჟისაგან განსხვავებით, რომელთა დაგეგმარება ხდებოდა გეომეტრიის კანონებზე დაყრდნობით, ჩინური ბალები ყალიბდებოდა ბუნებრივი და ხელოვნური ფორმების კომბინირებით, სხვადასხვა წერტილებიდან დაფიქსირებული პეიზაჟების აღქმის გათვალისწინებით. ჩინური კლასიკური ბალები მოიცავდა შენობების, პავილიონების და სასეირნო გალერეების რეგულარულ ელემენტებს, ბუნებრივი ან ხელოვნური ბორცვების, კლდეების, ხეებისა და წყლის სივრცეების არარეგულარობასთან კომბინაციაში.

ჩინეთში ფართოდ გავრცელებული საპარკო პეიზაჟების შექმნის ხერხები შეიძლება ჩაითვალოს მხატვრული ხელოვნების თავისებურ შემოქმედებით მიმართულებად. ეს ხელოვნება რამდენადმე უნიკალურია, რადგან არც ერთ სხვა ქვეყანაში იგი არ გავრცელდა სრულყოფილი სახით.

ევროპელები პირველად გაეცნენ ჩინურ საბაღე-საპარკო ხელოვნებას XIII ს-ში ვენეციელი, მოგზაურის მარკო პოლოს ჩანაწერებიდან, რომელიც ჩინეთში სავაჭრო მისიით იყო 1272-1293 წწ. მხოლოდ XVIII საუკუნეში იქნა მიღებული უფრო დაწვრილებითი ცნობები ჩინური საპარკო ხელოვნების თავისებურებათა შესახებ. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ცნობილმა ინგლისელმა პარკომშენებელმა უილიამ ჰემპერსმა ჩინეთში თავისი მოგზაურობის შემდეგ პირველმა ჩაიტანა ცნობები ინგლისში ჩინური საპარკო ხელოვნების შესახებ.

კლასიკური ჩინური პარკები ძირითადად ორი ტიპისაა: უზარმაზარი საიმპერატორო პარკები და შედარებით მცირე ზომის კერძო ბალები. ჩინურ საბაღე-საპარკო ხელოვნებაში დეკლარირებულია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- 1) - ბუნების მიბაძვა;
- 2) - პარკი-სურათის ჩამოყალიბება (მხატვრული ეფექტების შექმნა);
- 3) - ემოციური ელემენტების ჩართვა.

ბუნების მიბაძვა - გულისხმობს ხელოვნური ელემენტების - კლდეების, წყალსატევების, კუნძულების შექმნას, რომლებიც აღიქმება როგორც ბუნებრივი, ხელუხლებელი ბუნების წარმონაქმნი. მაგალითად, პეკინში პარკი ბეიხაი. იგი განთავსებულია ხელოვნური ტბის ირგვლივ, რომლის ცენტრში უხეში დაუშუშავებელი

ქვის ნატეხებისაგან შექმნილია ხელოვნური კუნძული ციუნხუადაო, უკვდავების ფანტასტიკური კუნძული.

ჩინურ საპარკო ხელოვნებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საპარკო ლანდშაფტში მხატვრული ეფექტების შეტანას ანუ პარკი-სურათის ჩამოყალიბებას. სუნის დინასტიის დროს 960-1270 წწ. ერთ-ერთმა ფერმწერმა თქვა: „ჩვენს უდიდეს პლანეტაზე არსად არ არის მთა, მდინარე და ტბა, რომელიც სრულად მოიცავს ბუნების ყველა სილამაზეს, მარტო ხელოვანს შესწევს უნარი შეარჩიოს და შეუსამოს ბუნების ელემენტები ისე, რომ განაზოგადოს დანახული და გადმოსცეს მისი სულიერი არსი“.

ემოციური ელემენტების ჩართვა - გულისხმობს პეიზაჟების აღქმისას მის მუდმივ მონაცვლეობას როგორც დაფიქსირებული წერტილებიდან, ასევე მოძრაობისას, ამიტომ ბაღებში ფართოდ იყენებენ მიხვეულ-მოხვეულ გზებს, საქვეითო გალერეებს დიობებით, რომლიდანაც იხსნება მხატვრულად კადრირებული ხედები. პარკში ყველა მოსახვევი ახალი აღქმის წერტილია, ახალი კადრი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მცირე ზომის მონაკვეთზე სივრცის სიდიდის ილუზიის შექმნას. მესაკუთრე თავის ბაღში ერთი ფუტის მიწის ნაკვეთზე ასეთი ხერხების გამოყენებით მეტი სიღრმისა და სიგანის ილუზიას ქმნიდა.

პეიზაჟების ფორმირების მხატვრული და ტექნიკური ხერხები გამომუშავებული და დახვეწილი იყო მრავალი თაობების მიერ და საფუძველად დაედო ე.წ. ჩინეთის საბაღე-საპარკო ხელოვნების სამხრეთულ მიმართულებას. შედარებით სრულყოფილად სწორედ ეს პრინციპები აისახა ჩინეთის სამხრეთის ქალაქების ბაღებში. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე სრულად ეს პრინციპები რეალიზებულ იქნა ჩინეთის სამხრეთი პროვინციების საქალაქო ბაღებში. შესანიშნავი კერძო ბაღები ძირითადად განთავსებულია სამხრეთის პროვინცია შანიანში, თუმცა უფრო მეტად არის ცნობილი ქალაქ სუჯოუს ბაღები. ქალაქი სუჯოუ განმანათლებლების, მხატვრების, პოეტების, მუსიკოსებისა და მდიდარი ვაჭრების ქალაქს წარმოადგენდა.

ქალაქ სუჯოუს საბაღე-საპარკო ხელოვნებამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მინებისა და ცინების დინასტიის პერიოდში (XIV-XX სს.) მიაღწია. ამ პერიოდში ბაღებს აშენებდნენ არა მარტო რელიგიური ნიშნით, არამედ პირადი სარგებლობისათვის მოსახლეობის შეძლებული ფენაც - პოეტები, მხატვრები, ვაჭრები. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მინების დინასტიის დროს აშენებულ იქნა 270, ხოლო ცინების დინასტიის დროს 130 ახალი ბაღი.

ქ. სუჯოუს ცნობილი ბაღები:

- 1) გაურკვეველობის პავილიონის ბაღი;
- 2) ლომების კორომის ბაღი;
- 3) ბაღი მმართველის პატივსაცემად;

4) - ლოდინის ბაღი;

5) - მეთევზის ბაღი (ბაღის ოსტატის ბაღი);

6) - სიმშვიდის ბაღი.

ჩვენ დრომდე შედარებით უკეთ არის შემონახული ცნობილი ბაღი სახელწოდებით 1) „ბაღი გაურკვევლობის პავილიონით“. ეს ბაღი გამორჩევა წყლისა და ბორცვების პეიზაჟების კომბინირებითა და მათი ინტერიერში ჩართვის მცდელობით. ასევე შემორჩენილია ე.წ. „ლომების ბაღი“, შექმნილი ქვების ჯგუფებისაგან, რომლებიც თავიანთი მოხაზულობით ლომებს წააგავენ სხვადასხვა პოზაში. ამ ქვების ჯგუფების შიგნით მოწყობილია ლაბირინთები, გროტები და ზიგზაგად გამავალი ბილიკები.

ქალაქ სუჯოუში შემონახული ბაღების განხილვის საფუძველზე, შეგვიძლია ხაზი გაუსვათ მათ გამოკვეთილ თავისებურებებს:

- ბაღი წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის ნაწილს და, როგორც წესი, არა აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი. მის ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია გრძელი კორიდორების მეშვეობით.
- ბაღი, გარშემორტყმული მაღალი გალავნით ან შენობათა გალერეებით, ქმნის ჩაკეტილ სივრცეს და ხელს უწყობს მისი, როგორც ერთიანი არქიტექტურული მთლიანი ელემენტის, აღქმას;
- სივრცულად ბაღი იყოფა შენობების, ხელოვნური ბორცვების, ნარგაობის ვიზუალურად იზოლირებულ და კომპოზიციურად სრულყოფილ რამდენიმე ნაწილად. პარკის ცალკეული მონაკვეთი კომპოზიციურად დამთავრებულია, მაგრამ, ამავე დროს, წარმოადგენს მთლიანის ნაწილს;

ბაღის პეიზაჟი და რელიეფი ყალიბდებოდა სხვადასხვა ტექნიკური ხერხებით: იქმნებოდა ხელოვნური წყალსატევები, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ხელოვნური კუნძულები, ფანტასტიკური ფორმის ქვების მრავალფეროვანი კომპოზიციები. ამ ქვებს ეწოდება „ხუში“. მათ ხელოვნურად ქმნიდნენ ადგილობრივი წითელი და ნაცრისფერი კირქვისაგან, შემდეგ ათავსებდნენ და ტოვებდნენ წყალში 100–150 წლის მანძილზე. ასევე ძალიან ფასობდა ქვები მოპოვებული ტაიხუს ტბიდან. ამ ქვებს ბაღებში დგამდნენ, როგორც სკულპტურულ აქცენტებს. ასეთი ქვები ძირითადად წარმოადგენდა ჩინური პარკის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას. იმპერატორი ხიუ ცანგი თავის გასართობ პარკში სახელწოდებით კენ უი აგროვებდა არა მარტო ნახატებს და ბრინჯაოს ნაკეთობებს, არამედ წყლით გაპრიალებულ ლამაზი ფორმის ქვებსაც.

პარკის კომპოზიციის შექმნაში უდიდესი როლი ენიჭებოდა აგრეთვე პეიზაჟის და არქიტექტურული ნაგებობის თავისებურ სიმბოლიკას, რომელიც ჩნდება პავილიონების, კუნძულების და სხვა ელემენტების სახელწოდებებში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნარგაობის სახეობის, მისი ფორმისა და ფერის შერჩევას, რაც უეჭველად აისახებოდა ხოლმე პარკის ან ბაღის სახელწოდებებში.

ჩინეთის საიმპერატორო პარკები

საიმპერატორო პარკები წარმოადგენს ჩინეთის საბაღე-საპარკო ხელოვნების ჩრდილოეთის მიმართულებას. საიმპერატორო პარკებმა გაიარა განვითარების უდიდესი გზა და დაიწყო იგი ცინების და ხანების დინასტიების პერიოდში. მძლავრი იმპერიების შექმნამ, დედაქალაქების მშენებლობამ, საფუძველი დაუდო საიმპერატორო პარკების მშენებლობას როგორც დედაქალაქებში, ასევე მათ გარეუბნებში. ძველ დედაქალაქებში ნაწილობრივ დღესაც არის შემორჩენილი იმ პერიოდში უზარმაზარი საიმპერატორო პარკები. საიმპერატორო პარკების მშენებლობაზე უდიდესი გავლენა იქონია სამხრეთის რეგიონის საბაღე-საპარკო ხელოვნების გაცნობამ. ამან გამოიწვია სამხრეთის ხელოვნების გავრცელება ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში.

XV საუკუნეში ქალაქ დაღუს შეეცვალა სახელი - ბეიჰინად, რაც „ჩრდილოეთის სამყაროს“ ნიშნავს. როდესაც ამ ქალაქმა მიიღო დედაქალაქის ოფიციალური სტატუსი მას გადაარქვეს სახელი და უწოდეს ჩრდილოეთის დედაქალაქი. მისი თანამეროვე სახელწოდებაა პეკინი. პეკინსა და მის გარეუბნებში დღემდეა შემორჩენილი უზარმაზარი საიმპერატორო პარკები.

ერთ-ერთი ასეთი საიმპერატორო პარკია პარკი ბეიხაი ანუ პარკი „ჩრდილოეთის ზღვა“. იგი განთავსებულია პეკინის ჩრდილოეთ ნაწილში, აკრძალულ ქალაქში. ჩინეთის დედაქალაქი XII საუკუნეში თავისი მრავალრიცხოვანი არხებით და მრავალრიცხოვანი ბაღებით აღმოსავლეთის კენეციად იქნა აღიარებული.

ამ პარკის საერთო ფართობია 104 ჰა, ხოლო ტბის 54 ჰა. X-XII სს. ლიანოს დინასტიის მმართველობის პერიოდში (907-1125 წწ.) ამოღებულ იქნა მიწა ტბის მოსაწყობად, ამოღებული მიწა დაიყარა მის ნაპირზე და წარმოიშვა ბორცვები. იუანის მმართველობის პერიოდში (1271-1368 წწ.) შეიქმნა ხელოვნური კუნძული ციუნხუადაო - რომელიც წარმოადგენდა უკვდავების კუნძულის სიმბოლოს. XVII-XVIII სს. პარკმა მიიღო შემდგომი განვითარება და გაშენდა სამი ზღვის პარკი. საიმპერატორო პარკის ტერიტორიაზე ორგანიზებულ იქნა ცენტრალური და სამხრეთის ტბები, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩრდილოეთის ტბის პარკმა, სახელწოდებით ბეიხაი („ჩრდილოეთის ზღვა“).

ამ კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე აშენებული იყო გრძელი ორსართულიანი სამოცმადიანი გაღერვა, ბოლოებში ორი კოშკით და პავილიონებით მის ცენტრში. კუნძულის სამხრეთის ფერდზე განთავსებულია ბუდისტური სატაძრო კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ნაპირთან ხიდით და ციხესიმაგრით. კუნძულის სამხრეთის სანაპიროზე ციხესიმაგრე ანუ მრგვალი ქალაქი შემოსაზღვრულია 5 მ სიმაღლის კედლით. მისი ტერიტორია 1, 45 ჰა-ს შეადგენს. მასზე აგებული ტაძრები პავილიონები და ფანჩატურები გარშემორტყმულია უძველესი კვიპაროსებითა და ფიჭვებით. ამ ადგილიდან კიდევ ერთი ხიდი აერთებს კუნძულს ტბის აღმოსავლეთის ნაპირთან.

წრილოეთის ნაპირის განაშენიანება მთავარი პარკის არქიტექტურულ აქცენტს შეადგენს.

უანმინიუანის პარკი

ძველი საზაფხულო სასახლის პარკის *უანმინიუანის* („სრულყოფილებისა და გარკვეულობის ბაღი“) მშენებლობა დაიწყო XVII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე არსებული რამდენიმე, არცთუ ისე დიდი, ბაღის ადგილას. საპარკო კომპლექსი შედგება სამი პარკისაგან:

- 1) *სრულყოფილებისა და გარკვეულობის ბაღი* – 74.8 ჰა;
- 2) *ხანგრძლივი გაზაფხულის ბაღი* – 30.3 ჰა;
- 3) *მუდმივი გაზაფხულის ბაღი* – 22.5 ჰა.

დღეს ამ პარკის არქიტექტურული ნაწილი მნიშვნელოვნად არის დანგრეული, მაგრამ პარკის ტერიტორია სრულყოფილი სახითაა შემორჩენილი.

პარკი იხეიუანი (მშვიდი დასვენების პარკი) შესანიშნავად შენახული ქალაქარე საიმპერატორო პარკია, რომელიც განთავსებულია პეკინის დასავლეთ გარეუბანში, საიმპერატორო ქალაქის კარიბჭიდან 10 კმ-ში. იგი საუკუნეების მანძილზე იმპერატორების საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. მისი საერთო ფართობი 330 ჰა-ს შეადგენს.

XII–XIII სს. *ვანშოუშანის* მთის ძირში განთავსებულმა ტბამ მიიღო ახალი სახელი *კუნმინხუ* და პარკმა *ცინიუანი*. 1770 წლისათვის პარკი მთლიანად იყო დამთავრებული, მაგრამ ინგლისურ-ფრანგული საომარი მოქმედების დროს იგი საგრძნობლად დაზიანდა. 1888 წელს *იმპერატრიცა ცინიმ* დაიწყო ახალი საზაფხულო საიმპერატორო რეზიდენციის მშენებლობა სასახლითა და ახალი საპარკო კომპლექსით და მისცა მას ახალი სახელწოდება *იხეიუანი*.

საზაფხულო რეზიდენციის ტერიტორია მოიცავს *ათასწლეულის მუდმივობის ბორცვს*, *კუნმინხუს ტბას* და დაახლოებით 3000-მდე ბრწყინვალე შენობას ბაღებით, სასახლეებით, პავილიონებით, ფანჩატურებით, თეატრებით, გალერეებით, წყალსატევებით, კუნძულებით და ა.შ.

კომპოზიციის ცენტრია ბუდისტური ტაძრის კომპლექსი *ვანშოუშანის მთაზე*. მის ღერძზე ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს შუა ნაწილში დგას ასეთივე ტიპის ტაძარი ე.წ. *დრაკონების მეფის ტაძარი*. სწორედ ასეთი გადაწყვეტით იქნა ჩართული ანსამბლის საერთო კომპოზიციაში ტბის ზედაპირი, როგორც კომპოზიციური ერთეული. პარკში მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთის კარიბჭიდან იწყება, სადაც მდებარეობს ოფიციალური პარადული ნაწილი პავილიონებით, დამხმარე და სამომსახურო ნაგებობებით. სამხრეთის ფერდზე სატაძრო კომპლექსის ირგვლივ ძალიან ღამაზად არის განთავსებული სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, ხოლო ნაპირის გასწვრივ აშენებულია გრძელი გალერეა, ე.წ. *ხენლანი* ფანჩატურებით, რომლის საერთო სიგრძე 728 მ-ია. კუნმინხუს ტბის მარგალიტად შეიძლება ჩაითვალოს ტაძარი *ღუნვანმიანო*,

რომელიც 17- მალიანი ხიდით, სახელწოდებით *ნეფრიტის სარტყელი* უკავშირდება ნაპირს.

საზაფხულო სასახლე *ჩენდე* საიმპერატორო რეზიდენციაა პროვინციაში *ხეივე*, 250 კმ-ში პეკინიდან. ეს კომპლექსი შენდებოდა 1703-1790 წლებში. მისი საერთო ფართობი მიმდებარე ტყეპარკით შეადგენს 564 ჰა-ს, ხოლო გალავნის სიგრძე 10 კმ-ს. ცინების დიანსტიის პერიოდში (1644-1911 წწ.) იგი გახდა პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. პარკის ანსამბლი მოიცავს 110 შენობას და მრავალრიცხოვან მცირე ზომის ბაღს, რომლებიც განთავსებული არიან პარკის სამხრეთ ნაწილში. სწორედ ამ ნაწილშია კომპლექსის მთავარი კარი.

ჩინეთის საიმპერატორო პარკების განხილვისას შეიძლება გამოვეყოთ მათი კომპოზიციური თავისებურებების და მხატვრული გადაწყვეტის დამახასიათებელი ნიშნები:

- 1-) საიმპერატორო პარკებს უჭირავს ვრცელი ტერიტორიები, მარტო ერთი პარკის საშუალო ზომა დაახლოებით 100 ჰა-ს შეადგენს;
- 2-) პარკების კომპოზიციაში დომინირებს სასახლის კომპლექსი, რომელიც გადაწყვეტილია ტიპურ ტრადიციულ მანერაში. მკაცრი სიმეტრიული დაგეგმარებით, თანამიმდევრობით ერთ მთავარ ღერძზე განთავსებული ეზოების სისტემით. ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით და შესასვლელით სამხრეთიდან;
- 3-) პარკის დანარჩენი ნაწილების თავისუფალი განაშენიანება სხვადასხვა ტიპის სასახლეებითა და სატაძრო კომპლექსებით, პავილიონებით, რომლებიც ასევე გადაწყვეტილია ტრადიციულ სტილში და იზოლირებულია ერთმანეთისაგან კედლებით;
 - ასევე მრავალრიცხოვანი მცირე ზომის ბაღების სიუსვე ჩინეთის სამხრეთული ბაღების სტილში, განთავსებული სასახლეებისა და პავილიონების სიახლოვეში;
- 4-) სასახლის ანსამბლების პარადული და მედიდური ხასიათი და ვრცელი საიმპერატორო პარკების ბუნებრივ ლანდშაფტებში ჩაწერილი მცირე ზომის ბაღების ინტიმური ხასიათი;
- 5-) პარკების ფორმირებისას ხელოვნურად შექმნილი წყლის სივრცეების, ბორცვების და ლანდშაფტის სხვა ელემენტების ფართო გამოყენება;
- 6-) დეკორატიულ ნარგაობებში სხვადასხვა ეგზოტიკურ მცენარეებთან ერთად ყვავილების ფართოდ გამოყენება. პეიზაჟურ კომპოზიციებში წლის დროების გათვალისწინება და ყოველი ყვავილის სიმბოლური მნიშვნელობის მინიჭება.

გარდა ასეთი დიდი ზომის პარკებისა, ჩინეთში იქმნებოდა აგრეთვე მცირე ზომის ბაღები საცხოვრებელ სახლებთან. ასეთ ბაღებში ცდილობდნენ ხაზი გაესკათ ბუნებრივი ლანდშაფტის სილამაზისათვის, რისთვისაც ზრდიდნენ მცირე ზომის ხეებს, აწეობდნენ მინიანსქერებს, მდინარის ნაცვლად დედეებს, ქმნიდნენ გადმოკიდებული

კლდეების იმიტაციას მცირე ზომის ქვებისაგან. ყოველივე ამას ჰქონდა ბუნებრივი ლანდშაფტის იერსახე და წააგავდა ბუნების ნატურალურ მაკეტს.

მონასტრებისა და ტაძრების ბაღები წარმოადგენდნენ საშუალო საფეხურს ამ ორი უკიდურესად განსხვავებული ზომისა და შინაარსის მქონე ბაღებს შორის. მაგრამ მათაც ჰქონდათ პეიზაჟური კომპოზიციის ხასიათი. წყალი იყო ბაღის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ხშირად წყლის სარკეების ირგვლივ ეწყობოდა გარშემოსასვლელი გალერეები.

საინტერესოა თვით პარკების დასახელებებიც, რომლებიც სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. საპარკო ნაგებობებსაც ჰქონდა აგრეთვე სიმბოლური სახელწოდებები, მაგალითად: „აღქმისა და მოგონების პავილიონი“, „ტყის არომატით გაჟღერებული პავილიონი“, „მოლოდინის პავილიონი“ და ა.შ.

ჩინურ პარკებში ფართოდ იყენებდნენ დეკორატიულ სკულპტურას, მაგ., დრაკონებისა და ლომების გამოსახულებებს, ბუდეების ქანდაკებებს, აგრეთვე მცირე არქიტექტურულ ფორმებს, სტელებს, გაპრიალეზულ ქვებს, მცირე ზომის კედლებს ან სვეტებს, რომლებიც გადახურული იყო კრამიტის სახურავით. მსგავს მცირე ფორმებს ეწოდება „ხუაციან“.

2.9. ლანდშაფტური სტილი იაპონიის საპარკო ხელოვნებაში

უკანასკნელ დრომდე ჩვენი წარმოდგენა იაპონურ ბაღებზე რამდენადმე ზედაპირული იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული უცხოური პუბლიკაციების წყალობით ეს სიცარიელე გარკვეულად შეივსო, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით იაპონური კულტურის თავისებურებასა და უნიკალურობას.

2) არსებობს იაპონური ბაღის ორი ძირითადი ტიპი – ტბის ან ე.წ. წყლის ბაღი და მშრალი ლანდშაფტის ბაღი. იაპონური ბაღის სულიერი და ფილოსოფიური საფუძველი მისი სიმბოლოები და ტრადიციებია.

რაშია იაპონური ბაღის კულტურის განსაკუთრებულობა და მისი თავისებურება? რითი განსხვავდება იაპონიის საბაღო ხელოვნება ევროპისა და აზიის საბაღო ხელოვნებისაგან?

იაპონიაში საბაღე-საპარკო ხელოვნება შევიდა ჩინეთიდან, დაახლოებით IV საუკუნეში, კორეის გავლით, ბუდიზმის ჩასახვის პერიოდში, მაგრამ, მიუხედავად ჩინური კულტურის უდიდესი გავლენისა, იაპონიაში საბაღე-საპარკო ხელოვნებამ შეიძინა სპეციფიკური თავისებურება და ეს ხელოვნება ძალიან მაღალ საფეხურზე ავიდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიის გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც წარმოადგენდა კუნძულურ სახელმწიფოს შედარებით თბილი და ნოტიო კლიმატით, ლანდშაფტის თავისებური ხასიათით და თვითმყოფადი სოციალურ-საყოფაცხოვრებო მსოფლმხედველობით. ყოველივე ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ იაპონელებმა შექმნეს

მინიატურული ბადის განსაკუთრებული ტიპი, დეტალების დაწვრილმანებითა და ამ დეტალებისთვის სიმბოლური და ალეგორიული შინაარსის მინიჭებით.

ცნობილია, რომ გეოგრაფიული გარემო განაპირობებს ადამიანების ცხოვრების წესს და მათ მსოფლმხედველობას. იაპონია თავისი მრავალრიცხოვანი კუნძულებით ერთი მთლიანი ქვეყანაა. იაპონიის ტერიტორიის 70% უკავია მთებს გადმოკიდებული კლდეებით შიდა და გარე ზღვების მიმართ, ქვეყანა, მრავალრიცხოვანი კუნძულებით წყნარი ოკეანის სეისმური აქტივობის ზონაში მოქმედი ვულკანებით, ცხელი წყაროებით, მთის ჯაჭვებით, ვიწრო ხეობებით – ეს არის იაპონური ლანდშაფტის ძირითადი ელემენტები. იაპონიაში კლიმატი მუსონურია, ჩრდილოეთით ზომიერი, სამხრეთით კი სუბტროპიკული, ნალექები უხვი, განსაკუთრებით ზაფხულში. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში უმეტესად ხარობს წიწვოვანი და ფართოფოთლოვანი ნარგაობა, შუა ნაწილში და სამხრეთში კი უმეტესად სუბტროპიკული ნარგაობა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული განსახლების სარტყელი მოიცავს იაპონური კულტურის ძირითად ცენტრებს – *ისე, ნარა, კიოტო (ხეიანი), ოსაკა, ტოკიო (ეღო).*

სინტოიზმი – იაპონელთა უძველესი რელიგიაა, რომელიც ასახავს მათ თავდაპირველ წარმოდგენას სამყაროზე. იაპონელების თავყანისცემის უძველესი ობიექტებია კლდის ნატეხები და ქვები.

წმინდა ქვები იყო ორი სახის – ივაკურა და ივასაკა – ერთი ქვა ან ქვების ჯგუფი შემოსაზღვრული წმინდა კანაფით ღორღიან მოედანზე. ითვლებოდა წმინდა ადგილად. ქვების ასეთი კომპოზიციები იაპონიაში შემორჩენილია დღემდე.

პირველი წმინდა ადგილი, გაფორმებული სივრცულად, დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან და წარმოადგენდა წმინდა ბრინჯის მინდორს, რომელზედაც იზრდებოდა ღმერთების შესაწირი წმინდა ბრინჯი. სქემატურად ეს გამოიყურებოდა ასე: მფარველი ღმერთების მთის ძირში, მდინარის ნაპირზე, აწყობდნენ წმინდა ბრინჯის მინდორს. ამ ტერიტორიას შესასვლელი ჰქონდა სოფლის მხრიდან და აღნიშნული იყო დიდი კარით ე.წ. ტორი თავზე ტიპური სინტოისტური ნიშნით. ბრინჯის შესანახად აქვე შენდებოდა დიდი ბეღელი, რომლის არქიტექტურული სახე საფუძვლად დაედო სინტოისტური ტაძრის პირველსახეს.

იაპონური ხის არქიტექტურის თავისებურებაა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული მყარი ტრადიცია, რაც გულისხმობს ყოველ 20 წელიწადში ტაძრის სრულ განახლებას ყოველგვარი ცვლილების შეტანის ანუ გადაკეთების გარეშე. ამ ტრადიციის წყალობით დღემდე არის შემორჩენილი იაპონური ხის უნიკალური სატაძრო და სასახლის კომპლექსები.

იაპონიაში პირველი სახელმწიფოს შექმნა თარიღდება III–V სს. ამასთან, გარკვეული როლი მის ჩამოყალიბებაში შეასრულა ჩინეთმა, თავისი განვითარებული სახელმწიფო სისტემით. ჩინურ წყაროებში მითითებულია იაპონიასთან კავშირი და იმ საჩუქრების შესახებ, რომლებიც კუნძულიდან იგზავნებოდა ხოლმე ჩინეთში.

იმპერატორი ითვლებოდა ღმერთისგან მოვლენილ მმართველად, ამიტომ მას თვლიდნენ ღმერთის შვილად და უფრო მოგვიანებით თვით ღმერთადაც კი.

იაპონიის კულტურულ განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია ქვეყნებმა, რომლებიც დასავლეთით მდებარეობდნენ, მათ შორის, ინდოეთმა და კორეამ. მაგრამ ძირითადი რელიგიური და კულტურული გავლენა მაინც მომდინარეობდა ჩინეთიდან, რომელიც ამ რეგიონში იყო ყველაზე მსხვილი და განვითარებული ქვეყანა. ბუდიზმი იაპონიაში შევიდა IV საუკუნეში ჩინეთიდან კორეის გავლით, რომელიც ასევე იყო მოქცეული ჩინეთის გავლენის ქვეშ.

მოგვიანებით VII საუკუნეში, როდესაც გაძლიერდა ბუდიზმი ქვეყანაში მოხდა რეფორმა ანუ მოხდა ქვეყნის მოწყობის რეორგანიზაცია ჩინური სახელმწიფო მოწყობის მოდელზე. იმპერატორმა კი მიიღო ტიტული *ტენო* ღმერთის შვილი და სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა *ნარა*.

იაპონიის კულტურული განვითარების პერიოდიზაცია ხდება ძირითადად ისტორიული ქალაქების სახელწოდებების მიხედვით, რომლებიც იმ პერიოდისათვის დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა ან მმართველთა რეზიდენციების მიხედვით. მაგალითად:

- *ნარას პერიოდი 645–794 წწ. – დედაქალაქი ნარა;*
- *ხეიანის პერიოდი 794–1185 წწ. – დედაქალაქი ხეიანი (კიოტო);*
- *კამაკურას პერიოდი 1185–1333 წწ. – დედაქალაქი კამაკურა;*
- *მურომასის პერიოდი 1333–1573 წწ.*

მურომასის პერიოდში ქვეყანა დაიყო ცალკეულ სათავადაზნაურობებად. იაპონიაში ჩამოყალიბდა ახალი რელიგია დზენ-ბუდიზმი, როგორც ახალი რელიგია. ჩამოყალიბდა ახალი არიტექტურული სტილი *სოინი*, მაგ., ოქროს პავილიონი, ვერცხლის პავილიონი. მშრალი ლანდშაფტის ბაღები, ტბის ბაღი, ამ პერიოდის ქალაქბარე რეზიდენციების ძირითადი ტიპი.

- *მამოიანის პერიოდი 1573–1614 წწ. – ქვეყნის გამთლიანება და ქრისტიანობის შეღწევა. ვაჭრობის განვითარება აღმოსავლეთის და ევროპის ქვეყნებთან. ჩაის ცერემონიის ტრადიციის განახლება და ბაღის ახალი ტიპის სასეირნო ბაღების მშენებლობა.*
- *ტოკუგავას პერიოდი (ედო) 1615–1868 წწ. – დედაქალაქი ედო (ტოკიო), რეზიდენციების მშენებლობა ძველი დედაქალაქის კიოტოს გარეუბნებში.*
- *მეიდზის პერიოდი 1868–1946 წწ. ხელისუფლება გადაეცა იმპერატორ მეიდზი ტენოს. ახალი კონსტიტუცია, 1889 წ.*

1871 წელს მიღებულ იქნა კანონი სატაძრო ბაღების სახელმწიფოსთვის გადაცემის, და სათავადო ბაღების საზოგადოებრივ პარკებად გადაკეთების თაობაზე. XX საუკუნეში იქმნება ახალი ტიპის ბაღები საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ ნაგებობებთან, მუზეუმებთან თეატრებთან და სასტუმროებთან.

იაპონური საბალო ხელოვნება თავისი განვითარების ათი საუკუნის მანძილზე წარმოჩნდა სხვადასხვაგვარი ფორმისა და ტიპის ბალებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში აღსანიშნავია ბაღის დაპროექტების განსაკუთრებული სუფთა იაპონური ლოგიკა, ლოგიკა, რომელიც არსებობდა ნაციონალური ტრადიციების, ადგილობრივი რელიეფის, თავისებურებების და ადგილის გენიის ურთიერთმიმართებაში.

იაპონური ბაღის სიმბოლიკაზე გავლენას ახდენდა სინტოიზმის რელიგიური წარმოდგენა, რომელთაც ასახვა პოვეს წმინდა ადგილების ფორმაში – წმინდა ბრინჯის მიწა – სინდენი, ბუნებრივი ქვების თავისებური ფორმისა და ფერის თაყვანისცემაში. ქვებს ადამიანის მსგავსად ჰქონდა თავი, ფეხები, მკერდი და ზურგი. იაპონური ბაღი წარმოდგენილია ქვებისა და ქვის კომპოზიციების გარეშე.

ინდურმა კოსმოლოგიამ – ბუდიზმის კოსმოლოგიამ – იაპონურ ბაღებში შეიტანა თავისებური სიმბოლიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამყაროს ცენტრში განთავსებული კოსმიური მთის სუმი-სენის იდეა. უძველეს ხანაში სამყარო წარმოდგინათ თეფშის ფორმის წარმონაქმნის სახით, გარშემორტყმული მთის მასივებით ე.წ. კაკრავალათი. კაკრავალა, როგორც ბუდისტური კოსმოლოგია, ცნობილია სხვადასხვა ვარიანტში, მაგრამ ყოველ ვარიანტში სამყაროს აქვს წრიული ფორმა, რომლის შუაგულში მდებარეობს მშვიდობის მთა სუმი-სენი, მის ირგვლივ კონცენტრულად წრიულად განთავსებულია ოქროს 7 მთა, ასევე გარშემორტყმული 8 რკინის მასივით. ამ მთის მასივებს შორის დევს ოკეანეები. სწორედ ეს სიმბოლური სახე მხატვრულ ასახვას პოულობს იაპონური ბაღების დაგეგმარებაში. უძველეს შემთხვევაში ცალკე მდგომი ქვა ხდება სამყაროს მშვიდობის მთის სიმბოლო და უჭირავს ბაღში განსაკუთრებული ადგილი, ხოლო საერთო იდეა გამოიხატება 9 მთით და 8 ოკეანით. ამ მხრივ ყველაზე სრულყოფილი ბაღი, რომელიც მთლიანად ასახავს ამ იდეას, განთავსებულია ოქროს პავილიონის წინ კიოტოში.

ჩინურ მითოლოგიაში არსებობს ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს აღმოსავლეთში უკვდავების კუნძულის არსებობაზე, რომელზედაც ცხოვრება უსასურულოა და მასში მუდმივი ჰარმონია სუფევს. ჩინური ლეგენდის მიხედვით, სადღაც შორს ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე 5 კუნძულია, რომელზედაც ხალხმა მიადწია უკვდავებას და ცხოვრობენ მუდმივ ჰარმონიაში. ეს კუნძულები განთავსებულია ზღვაში უზარმაზარი კუს ჯავშანზე, რომელიც იცავს მათ ზღვის დრაკონისაგან. მეორე ლეგენდის მიხედვით, საბოლოოდ კუმ დაკარგა 2 კუნძული დრაკონთან ბრძოლაში.

ეს ორი ჩინური ლეგენდა თითქოს გადაიჯაჭვა და მხოლოდ იაპონიაში სრულად შეერწყა. ლეგენდის საბოლოო სახის მიხედვით დარჩა მხოლოდ ერთი კუნძული ხორაი კუნძული ანუ ხორაი მთა, რომელიც ხანდახან გადაიქცევა ხოლმე ხან წეროდ ხან კუდ, რომლებიც ასევე წარმოადგენენ უკვდავების სიმბოლოებს. ამიტომ იაპონიაში ყველა დღესასწაულზე გამოაქვთ წეროს ან კუს გამოსახულებები, ნახატის, ყვავილოვანი ან ქაღალდის კომპოზიციების სახით.

ბუდისტურმა ფილოსოფიამ დიდი გავლენა იქონია ქვის კომპოზიციის უპირატესობაზე სამნაწილიანი ჯგუფის ფორმით, რომლებიც ვერტიკალურად განთავსებისას მოგვაგონებენ ბუდისტურ ტრიადას. სრული დაძაბულობა ამ სამნაწილიანი კომპოზიციისა აისახა არა მარტო საბალო ხელოვნებაში, არამედ წარმოადგენს თეატრ *ნო-ს* და *იკებანას*, ყვავილოვანი კომპოზიციების შედგენის ხელოვნების პრინციპსაც. ეს ტრიადა გამოხატავს სხვადასხვა სიძლიერის ველსაც, მაგალითად, *ზეცა, დედამიწა, ადამიანი, ან პორიზონტალი, დიაგონალი, ვერტიკალი*.

იაპონიის უძველესი პერიოდის ბალებზე ცოტა რამ არის ცნობილი, მაგრამ დაწყებული VII-IX სს-დან, ბალებს უკვე ემჩნევა ჩინური კულტურის გავლენის კვალი. იმ პერიოდის ბალები თითქმის სრულად ასახავს ჩინურ-იაპონური სიტყვის არსს „ლანდშაფტი“, რომლის ზუსტი თარგმანი სიტყვასიტყვით ნიშნავს *მთა და წყალი*. ამ პერიოდის ბალები დიდი ზომისანი იყვნენ და მათი პეიზაჟების სრულად აღქმა შესაძლებელი იყო მხოლოდ ნავით სეირნობის შემთხვევაში. ბალები განთავსებული იყო ხოლმე უმეტესად *სინდენის სტილში* აშენებული საცხოვრებელი ნაგებობის ან *ამიდა ბუდას ტაძრების* მიმდებარე ტერიტორიებზე.

იაპონურ ბალებს აპროექტებდა და ქმნიდა უმეტესად თვით მფლობელი - მესაკუთრე. ბალი მათთვის იყო დასვენების და გართობის ადგილი.

ხეიანის პერიოდს მიეკუთვნება წიგნი *საკუტეი-კი* პირველი წიგნი მებაღეობაზე, დაწერილი XII საუკუნის II ნახევარში. საკუტეი-კი მოიცავდა სინდენის სტილში შექმნილი სათავადო ბალების დეტალურ აღწერას. ამ წიგნში არ იყო ილუსტრაციები, ეს იყო კრებული ტრადიციული რეკომენდაციებისა და აკრძალვებისა, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო ბალის მოწყობისას.

საკუტეი-კი მოიცავდა ორი ტიპის წესს. პირველი ტიპი მიუთითებდა ჩინეთის გავლენაზე და წარმოადგენდა მითითებებს ჩინური გეომანტიის დებულებებზე და მის მითოლოგიურ მეტაფორებზე, რაც მიგვანიშნებს ხეიანის პერიოდის ჩინეთის ძლიერ გავლენაზე. მეორე ტიპის წესში ლაპარაკია ბალის მოწყობის სულიერ მხარეზე, რომელშიც უკვე ჩანს იაპონური სული.

განსაკუთრებით საინტერესოა 4 წესი, რომელიც მოყვანილია *გიუნტერ ნიცკეს წიგნში* „*იაპონური ბალები*“:

1. „მთა-წყალი ცოცხალი ბუნების“ ბუნება თვითონ გეკარნახობს, სად და როგორ განათავსო ქვა, მოაწყო ჩანჩქერი, გაიყვანო დელე და შექმნა ტბა.
2. „მოწოდება მოსმენისათვის“ ყოველ საგანს, რომელიც ქმნის კომპოზიციას, აქვს თავისი ხმა მხოლოდ უნდა მიუგდო მას ყური. ხეიანის ეპოქაში ქვა და ბუნების სხვა ელემენტები აღიქმებოდნენ როგორც ცოცხალი ორგანიზმები, გარკვეული პერსონიფიცირებით, რომელთაც სიყვარულით და პატივისცემით უნდა მოეპყრა.
3. „ასიმეტრიულად“ ანუ „გაუწონასწორებლად“ – ქვები, კუნძულები და ტბა ყოველთვის უნდა იყვნენ ასიმეტრიულები, შესრულებული სინდენის სტილში,

მოქცეული სასახლის სიმეტრიულ ჩარჩოში. ბუნების ასიმეტრიულობა გამოკვეთს ხელოვნურად შექმნილ სიმეტრიას.

4. „გრძნობების დაქროლვა“. ამ ჩვეულებრივი სიტყვების ქვეშ იგულისხმება ადგილის ატმოსფერო ანუ „ადგილის გენია“, ე.ი. ადგილის განსაკუთრებულობა. ამ სიტყვებს ორმაგი აზრი აქვს: ობიექტური მნიშვნელობა „ადგილის გენია“, ხოლო სუბიექტური – სილამაზის შეგრძნება, რომელიც უჩნდება დამკვირვებელს.

ეს ოთხი წესი ეკუთვნის იაპონელ მეცნიერს ტანაკას და გამოხატავს ხეიანის ეპოქის ბაღის მხატვრის სწრაფვას, მიუახლოვდეს ბუნებას და მიჰყვეს მის შინაგან კრიტერიებს.

ამგვარად, ხეიანის პერიოდში VIII–XI სს. იაპონიაში ჩამოყალიბდა და გავრცელდა ტბის ტიპის ბაღი. ტბის ტიპის ბაღის გეგმა ემორჩილებოდა გეომანტიის წესებს. ბაღი იყო გათვლილი აღქმაზე ნავით მოძრაობისას. ტბის ტიპის ბაღის ძირითადი ელემენტებია: ტბა, კუნძულები, მდინარე, ქვები, ხეები, ბუჩქები და მრავალფეროვანი ყვავილები.

კამაკურას პერიოდი (XII –XIV სს.) საბაღე-საპარკო ხელოვნებაში განვითარება პოვა ახალი ტიპის – ე.წ. მშრალი ლანდშაფტის ბაღმა. იაპონურად ამ ტიპის ბაღს კარა-სანსუი ქვია, ზუსტი თარგმანი ასეთია – მშრალი მთა, წყალი, ბაღი. ამ პერიოდის არქიტექტურული სტილია სოინი, საკმაოდ უბრალო სადა სტილი. მშრალი ლანდშაფტის ბაღები არ წარმოადგენენ სასეირნო და გასართობ ადგილებს. ეს იყო ბაღები განსჯისა და ფიქრისათვის. ამავე პერიოდში პარალელურად მაინც იქმნებოდა ტბის ბაღები.

XII საუკუნეში იაპონიაში ჩინური კულტურის და რელიგიის ახალი ტალღა გავრცელდა და მათი სიმპატიები გადაიხარა დზენ-ბუდიზმისაკენ. სიტყვა დზენ ნიშნავს მედიტაციას. თავისი რელიგიური მრწამსით დზენ-ბუდიზმი დაუპირისპირდა ამიდა ბუდიზმს, როგორც მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო დახმარების მიღება გარედან. დზენ მედიტაციის პრაქტიკა კი განაპირობებდა „თავის თავზე კონტროლს“ და რწმენას სრულ განწმენდაში. იმ ეპოქაში დზენ-ბუდიზმი გახდა ერთადერთი საშუალება სიცოცხლეშივე საკუთარი თავის შევლისა, რომელიც აძლევდა ადამიანს იმის შეგრძნებას, რომ იგი ერთიანია ბუნებასთან, რომელიც ასწავლიდა შეგუებას ცხოვრებისეულ უსიამოვნებებთან ყოველდღიური საქმიანობის ესთეტიზაციის გზით.

მშრალი ლანდშაფტის ბაღის ევოლუციის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს ოთხი პერიოდი:

1. ადრეისტორიული პერიოდი – ქვის ჯგუფები – ივასაკა („ქვა საზღვარი“) და ივაკურა („ქვა ადგილი“), შექმნილი ადრეულ სინტონისტურ პერიოდში, როგორც დეთიური ობიექტები.
2. ჩარასა და ხეიანის პერიოდები (VII–XII სს.) მშრალი ლანდშაფტის ბაღები ძალიან იშვიათად გვხვდება და წარმოადგენს ტბის ბაღის ნაწილს.

3. კამაკურას პერიოდი (XII–XVI სს.) მშრალი ბაღი ხდება ტბის ბაღის ნაწილი. ამის მაგალითია სატაძრო ბაღი *საიხობი*.

4. კამაკურას პერიოდის ბოლოდან დღემდე მშრალი ლანდშაფტის ბაღი ხდება დამოუკიდებელი ტიპი იაპონური ბაღის საერთო ტიპოლოგიაში.

მშრალი ლანდშაფტის ბაღი–კარა-სანსუი ანუ, უბრალოდ, მშრალი ბაღი წარმოადგენს იაპონური ბაღის მეორე ტიპს.

ქვების ბაღი როანდზი – განთავსებულია კიოტოს სამხრეთ დასავლეთით და წარმოადგენს მშრალი ლანდშაფტის ბაღის სრულფასოვან ტიპს წყლისა და ნარგაობის გარეშე. ბაღი განთავსებულია მთავარი წინამძღვარის საცხოვრებელი სახლის სამხრეთით. იგი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გარშემორტყმულია დაბალი ღობით. XII ს. თავდაპიველად ამ ადგილზე იყო სატაძრო კომპლექსი, რომელიც 1473 წ. სამოქალაქო ომის შედეგად მოღიანად დაინგრა, ხოლო 1488 წელს აღდგენილ იქნა ძირითადი ტაძარი და სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ეს ბაღიც.

ვინ შექმნა ეს მსოფლიო მნიშვნელობის შედეგრი, არავინ იცის. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს დაადგინოს ამ ბაღის ავტორის ვინაობა. გერმანელი მკვლევარს კარლ ხენინგს მიაჩნია, რომ ამ ბაღის ავტორია ვინმე *კარაეამონო*, პირველი იაპონელი პროფესიონალი ბაღის არქიტექტორი.

როანდზის ბაღს 340 მ² ფართობი უჭირავს და სრულიად თავისუფალია ნარგაობისაგან, გარდა მცირე რაოდენობის ხავსისა 15 ქვის ქვეშ. ეს თხუთმეტი ქვა განთავსებულია ფოცხით დავარცხნილ თეთრ ქვიშაზე და დაჯგუფებულია 3 კომპოზიციურ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში შესაბამისად 7,5,3, ქვაა. მრავალგზის იყო მცდელობა, რომ აეხსნათ კომპოზიციის არსი „იდუმალი გეომეტრიის“ ან „კენტი რიცხვების წონასწორობის“ წესების საშუალებით. ასევე გამოითქვა აზრი, რომ ბაღი სიმბოლოა ზღვისა და კუნძულების. იყო ვერსია, რომ ზედხედში იგი მოგვაგონებს ზღვის ღომებს მოცურავეს ზღვაში და ა.შ. იაპონური საბაღე-საპარკო ხელოვნების მკვლევარს *სიგემორი მირეის* მიაჩნია, რომ ქვის ბაღი არის, უბრალოდ, ქვის ბაღი, შექმნილი *დზენ ბერ მონაზონის* მიერ მედიტაციისათვის. თუკი ჩავთვლით, რომ ეს ასეა, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ არიან ისინი განთავსებული სრულიად ბრტყელ ზედაპირზე. თავისი კომპოზიციური გადაწყვეტით იგი ადამიანს ეპატიუება დასაჯდომად. სიტყვა „ჯდომას“ იაპონურად ასევე გააჩნია მედიტაციის მნიშვნელობა. *როანდზის ბაღი ეს არის აბსტრაქტული კომპოზიცია „ბუნებრივი ობიექტებისა სივრცეში“; რომლის მიზანია მედიტაციის გამოწვევა.*

დაისენინი – „განდევნილების დიდი ტაძარი“ – დზენ ბუდიზმის ყველაზე ცნობილი ტაძარია. ეს სატაძრო კომპლექსი მდებარეობს კიოტოს ჩრდილოეთ ნაწილში და ეკუთვნის ბუდისტურ სექტას. იგი აშენდა 1326 წელს *დაიტო კოკუსის* მიერ. დაისენინის სატაძრო კომპლექსის ბაღები სიმბოლურად გამოხატავენ ადამიანის სიცოცხლეს. ადამიანის სიცოცხლის ნაკადი სათავეს იღებს უკვდავების მთიდან, შემდეგ გადადის

სწრაფ ახალგაზრდა ნაკადებში, შემდეგ მიედინება მღოვრედ შუა ნაწილში სიმწიფის და სიბერის ქვების გასწვრივ. ქვები, რომლებიც ამ ნაკადებშია მოქცეული, ასევე საესეა სიმბოლიკით, მაგ., გემის ფორმის ქვა და მასთან განთავსებული კუს ფორმის მცირე ზომის ქვა სიმბოლოა მიღებული გამოცდილების და ახალგაზრდობის დაბრუნების სურვილისა.

ამ ბაღის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში სიმბოლურად არის გაერთიანებული *ჩინური მითი ხორაი მთაზე* და *მშრალი ლანდშაფტის ბაღის* სისადავე და გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპოზიციური ფორმები: სხვადასხვა ზომის ქვები, ქვიშა და ნარგაობა.

მესამე ტალღა ჩინეთის გავლენისა დაკავშირებულია *კონფუციანიზმის* და მისი პრაქტიკული ეთიკის გავრცელებასთან, რომლის საფუძველს წარმოადგენდა *როდზი* ბილიკი *სო-ინთან*, ბალახით დაფარულ ქოხთან, სადაც იმართებოდა ჩაის სმის ცერემონია. ჩაის სმის ცერემონიალი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ნარას პერიოდში, შემდგომში ეს ტრადიცია თითქმის ჩაკვდა და აღდგა უკვე XVI საუკუნის დასაწყისში.

ჩაის სმის ცერემონია, რომელიც დღესაც გავრცელებულია, შექმნილი იყო ბერ-მონაზვნის *მურატა სუკოს* მიერ (1422-1502). ჩაის ცერემონია მედიტაციის მეთოდია, ჩაის ქოხი და ჩაის ეზო – ეს ტაძარია. ჩაის სმის ამ ცერემონიალს უწოდებენ *დუო-სი*. თავდაპირველად უბრალო ჩაის ბაღმა იქონია გავლენა იაპონურ საბაღე ხელოვნებაზე, ისევე, როგორც უბრალო ჩაის სახლის არქიტექტურამ განაპირობა ახალი სტილი სახელწოდებით *სუკია*, რაც სიტყვასიტყვით „დახვეწილი გემოვნების სახლს“ ნიშნავს.

ჩაის ბაღი – როდზი – გაყოფილია ღობით და ჭიშკრით გარე და შიდა ბაღებად. გარეთა ბაღი წარმოადგენდა სივრცეს, სადაც დაპატიუებულ სტუმრებს უნდა მოეცადათ. შიდა ბაღი ჩაფიქრებული იყო დასვენებისა და ბაღის ლანდშაფტით დატკობისათვის, ჩაის სმის ცერემონიალში შესვენების დროს. ქვები-ნაბიჯები დალაგებულია ისე, რომ სიარულის დროს შესაძლებელი ხდებოდა ახალ-ახალი პეიზაჟური სურათების აღქმა. ამ ბაღებში უკვე აღარ იყენებდნენ ტრადიციულ იკონოგრაფიულ ელემენტებს, როგორებიცაა კუს და წეროს ფორმები. მისასვლელი სივრცე აღინიშნებოდა ხავსით გაფორმებული *ქვები-ნაბიჯებით*. მოგვიანებით ქვები-ნაბიჯები შეცვალა დეკორატიულმა ფილებმა.

არქიტექტურული სტილის „სუკიას“ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ვილა კაცურა კიოტოში აშენებული 1616–1660 წწ. ვილა მდებარეობს მდინარე კაცურას დასავლეთ სანაპიროზე და თავდაპირველად შენდებოდა ნაევით სვირნობისათვის. ვილას კომპლექსი შედგება სამ დონეზე განთავსებული სოინებისაგან და 4 განუმეორებელი სილამაზის ჩაის ქოხისაგან, რომლებიც შესანიშნავად არის ჩაწერილი პეიზაჟში.

სუკიას სტილში შესრულებული ვილა კაცურა განსხვავდება თავისი არქიტექტურული სივრცული გადაწყვეტით მცირე ზომის ჩაის ქოხებისგან. თუკი ჩაის ქოხები გამორიცხავდნენ ხედს ბაღზე ინტერიერიდან, კაცურას ანსამბლში ჩაის სახლის

სივრცე სპეციალურად არის გახსნილი ბაღზე და ამით ლანდშაფტური გარემო ერწყმის სახლის ინტერიერს. ამის გამო ადამიანს უჭირს გაარჩიოს, შენობაშია იგი თუ გარეთ, რადგან ყველა მხრიდან ერწყმის ლანდშაფტს. ამ ანსამბლის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს დიაგონალური კავშირები, მომსვლელი დიოგონალურად უახლოვდება თითქმის ყველა ნაგებობას.

ედოს (ტოკიო) პერიოდში შეიქმნა ბაღის კიდევ ერთი ახალი ტიპი. ეს იყო სასეირნო ბაღები, რომელიც აერთიანებდა თითქმის ყველა ადრე არსებული სტილისა და ელემენტების (ტბა, მდინარე, ქვა და ა.შ.) ერთაინობას. ნაგებობა ასეთ პარკებში არ ასრულებდა არანაირ როლს. ძირითადი ყურადღება ენიჭებოდა პეიზაჟის ელემენტებს ნარგაობას, ტბებს და ღელეებს.

ედოს ეპოქის შუა პერიოდიდან ბაღები აღარ იყო მხოლოდ პრივილეგირებულთათვის. ბაღს აშენებდა ყველა, ვისაც ამის ოდნავ შესაძლებლობა ჰქონდა. გაიზარდა მოთხოვნილება გამოცდილ მებაღეებზე არა მარტო ედოში, არამედ მთელ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, მოთხოვნილების შესაბამისი რაოდენობა, პროფესიონალ მებაღეების რიცხვი არ იყო საკამრისი. სწორედ ამან განაპირობა საბაღო ხელოვნებაში სახელმძღვანელოების და მითითებების შექმნის აუცილებლობა. რამაც გარკვეულწილად შეამცირა სიახლის და უნიკალურობის ეფექტი საბაღო ხელოვნებაში.

1828 წელს გამოიცა კიდევ 2 ტომი, სახელწოდებით „მთების შექმნისა და ბაღების მდებარეობის ცნობარი“, რომელიც გახდა ბაღების სტანდარტიზაციის საფუძველი. ამ ცნობარში ბაღების ორივე ტიპს ჰქონდა შემდეგი სამი კატეგორია:

- სინ – უმაღლესი და ხელოვნების წმინდა აბსტრაქტული ფორმა.
- გე – ნახევრად აბსტრაქტული, მაგრამ ჯერ კიდევ სრულფასოვანი ხელოვნება.
- სო – არაფორმალური, ხელოვნების გაუბრალოებული ფორმა.

ეს ყველაფერი გამოვლენილია იაპონური საბაღო ნიმუშების ანალიზის საფუძველზე.

2.10. ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების ეტაპები საქართველოში

• ძველი ხანა

როგორც უძველესი ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, ქართულ საბაღე-საპარკო ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორია აქვს. საქართველოში სოფლის მეურნეობა, „მტილ-სამოთხეების“ და „ბაღ-წალკოტების“ მშენებლობის ხელოვნება ადრე საკმაოდ ყოფილა განვითარებული. ისტორიულად ქართველთა ტომებს აღმოსავლეთის მრავალ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა, ამიტომ სავარაუდოა, რომ ქართული მებაღეობის ხელოვნებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ძველი აღმოსავლეთის მებაღეობის კულტურამ.

საქართველოში საბაღე-საპარკო ხელოვნების არც ერთი ადრეული პერიოდის ძველი სადღეისოდ არ არის შემორჩენილი. ამის მთავარ მიზეზს, პირველ რიგში,

ქვეყნის პოლიტიკური ბედი წარმოადგენს, რომლის ისტორია საესეა გამანანაგებელი ომებით და მატერიალური კულტურის ძეგლების სრული განადგურებით. ის ფაქტი, რომ საქართველოში თითქმის არ არის შემორჩენილი სასახლეები, მეტყველებს იმაზე, რომ ამ სასახლეების ირგვლივ გაშენებული დეკორატიული ბაღები ასევე განადგურდა, მაგრამ შემორჩენილია წერილობითი ცნობები, რომლებიც ნათელს ჰყენს საქართველოში საბაღე-საპარკო ხელოვნების განვითარებას.

ამას მოწმობს აგრეთვე ძველ ქართულ მწერლობაში მეზღვრობის აღსანიშნავი ტერმინების „სამოთხისა და წალკოტის“ არსებობა. ქრისტიანულ მწერლობაში „სამოთხე“ სანეტარო, სასიამოვნო, მშვენიერ ადგილს და ძველ ქართულ მწერლობაში სასეიდრო და დროს გასატარებელ ადგილს ანუ დეკორატიულ ბაღს ნიშნავს. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაღის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში „წალკოტიც“ იხმარებოდა. ეს სიტყვა წარმოიშვა ბერძნული, სპარსული, ლათინური, ებრაული და სომხური ანალოგებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ასე აღნიშნავდნენ დეკორატიულ ბაღებს. „წალკოტი“ და „სამოთხე“ ხშირად სინონიმებად იხმარება. ამ ტიპის ბაღებში, გარდა დეკორატიული მცენარეებისა, ხეხილოვან მცენარეებსაც რგავდნენ.

ბაღი XII საუკუნის მხატვრულ ლიტერატურულ ძეგლებში უკვე ჩვეულებრივი სიტყვაა. ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: „ამად ტირს ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“ (XII საუკუნეში სპარსეთის გავლენით დეკორატიულ ბაღებს სპარსულად „ბაგი“ ანუ „ბაღი“ ეწოდა)¹. საქართველოში რომ ძველად, შესაძლებელია ყოფილიყო დეკორატიული ბაღები, მეტყველებენ არა მარტო თქმულებები და ლეგენდები, არამედ ისიც, რომ საბაღე მშენებლობის განვითარებას ხელს უწყობდა ასურეთთან და ბაბილონთან მეზობლური ურთიერთობები, სადაც ძვ.წ. VII-VI სს. დეკორატიული საბაღე ხელოვნება განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა.

წერილობითი წყაროების, სხვადასხვა დროის ჩანახატებისა და არსებული გეგმების ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა. შედარებით ყველაზე ვრცელი ისტორიული მასალები ამ საკითხის ირგვლივ მოყვანილია ივ. ჯავახიშვილის შრომებში. „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ და „საქართველოს მატერიალური კულტურის მასალები“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველ დროში ქართველ ხალხს საბაღე-საპარკო კულტურა ისეთივე უნდა ჰქონოდა, როგორც ძველ აღმოსავლეთში და იგი განიხილავს ამ ხელოვნებას, როგორც წამოსულს ასურეთ-ბაბილონის გეომეტრიული ან რეგულარული სტილიდან.

ამასთან, როგორც ეს სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდან და განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში შესწავლილი ძველი ბაღების გეგმებიდან ირკვევა, საქართველოში დიდი ფართობის ბაღების ანუ წალკოტების მშენებლობისას, როული რელიეფის

¹ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II ტ. 1935 წ.

პირობებში ძირითადად ტერიტორიის დაგეგმარების და მცენარეთა განთავსების თავისუფალ ანუ პეიზაჟურ გეგმარებით ხერხებს იყენებდნენ.

სწორედ ბაღების ამგვარი ტიპის დაგეგმარებაა მოცემული XIX საუკუნის თბილისის სოლოლაკისა და სეიდაბადის ბაღების დეტალურ გეგმებზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ ისინი წარმოდგენდნენ ვრცელ ლანდშაფტური ტიპის ბაღებს. ყურადღებას იპყრობს მცენარეთა ჯგუფებისა და თავისუფალი მდელოების მონაცვლეობა. გეგმებზე ნაგებობიცი არის აღნიშნული, რაც დამაჯერებელს ხდის გეგმაზე მცენარეთა გამოსახვის რეალობას.

ამგვარად, საქართველოს მხატვრული მეზღოების განვითარების ისტორიულ პროცესში, გარდა გეომეტრიულისა, გამოვლინდა აგრეთვე მხატვრული მეზღოების პეიზაჟური მიმართულება, რომლის თავისებურებას ხეხილოვანი, უცხო და ადგილობრივი დეკორატიული მცენარეების, თვითმყოფადი არქიტექტურულ ნაგებობების და თვალწარმტაცი ბუნების შერწყმა განაპირობებდა.

რაც შეეხება სპარსეთისა და არაბეთის მხატვრული მეზღოების გავლენას, რომლის შესახებაც მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი, იგი, ჩვენი აზრით, მეტწილად გეომეტრიული ტიპის სასახლის ბაღებში აისახებოდა, სადაც ხშირად თვით სასახლის შენობა და სხვა ნაგებობებიც უმეტესად უცხოურ ყაიდაზე იყო აშენებული.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნეში საქართველო პოლიტიკური მდგომარეობის გამო მოექცა სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ. ამასთან, გაცხოველებული ბრძოლა მიმდინარეობდა ეროვნული კულტურის ტრადიციების დაცვისა და განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, სპარსეთის კულტურის გარკვეული გავლენა, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, მხატვრულმა მეზღომამაც განიცადა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მაშინდელი სასახლეები უპირატესად სპარსულ ყაიდაზე შენდებოდა და შესაბამისად მათი მოსაზღვრე ბაღებიც სპარსეთში გავრცელებული რეგულარული წესით ეწყობოდა. ამასთან, ბუნებრივია, ამ ბაღებში ბევრი ეროვნული ტენდენციაც იჩენდა თავს, რაც, თავის მხრივ ნაწარმოებს ერთგვარ თავისებურ ელფერს ანიჭებდა.

საქართველოსა და საბაღე ხელოვნების შესახებ გარკვეული ცნობები მოიპოვება ჩამოსულ მოგზაურთა ჩანაწერებში, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თბილისში და საქართველოში საბაღე ხელოვნების განვითარების შესახებ.

საქართველოს უძველესი სახელმწიფოების მაღალ კულტურულ დონეზე და პოლიტიკურ სიძლიერეზე, გარდა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალებისა, მეტყველებს აგრეთვე ძველი ბერძნული და რომაული მწერლობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ძველი კოლხეთის განვითარების ისტორია, რომელიც ჩამოყალიბდა ძვ.წ. - მდე II ათასწლეულის ბოლოს. ეს პერიოდი ემთხვევა ბრინჯაოს ეპოქას ანუ იმ პერიოდს, როდესაც კოლხეთი უკვე მყარად იღბა კულტურული აღორძინების გზაზე.

ბერძენთა მითები და თქმულებები გვაცნობენ ჩვენ ძველი კოლხეთის ცხოვრებას. ბერძნულ მითოლოიაში მოგონილთან ერთად, ჩვენ ვეცნობით აგრეთვე ბევრ რეალურ

ვაქტსაც. ამ მხრივ, ძველი ბერძნული ეპოსის ძეგლებიდან დიდ ინტერესს იწვევს თქმულება არგონავტების ლაშქრობის შესახებ. ძველ კოლხეთში დეკორატიული ბალების არსებობის შესახებ მოხსენიებულია თქმულების ერთ-ერთ ვარიანტში, კერძოდ, აპოლონ როდოსელის პოემაში „არგონავტები“. ამ თქმულებაში მოცემულია კოლხეთის მეფის აიეტის სასახლის ბაღის აღწერა, სადაც ჩაიდნენ არგონავტები. მასში აღწერილია ხეივანი, რომელიც უკავშირდება ვაზის ფანჩატურთან სიმეტრიულად განთავსებულ ოთხკუთხა ფოშის ბასეინებს, რაც მიუთითებს სასახლის მიმდებარე ბაღის გეომეტრიული დაგეგმარების ხასიათზე. რადგან არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში რეალური ფაქტია, რაც მრავალგზის დასტურდება სხვა წყაროებიდანაც, საფიქრებელია, რომ სასახლისა და ბაღის აღწერაც შესაძლებელია იყოს რეალური, რადგან აპოლონ როდოსელი უფრო მეცნიერი იყო, ვიდრე პოეტი; იგი იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წინამძღვარი.

როგორც ცნობილია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში საქართველოში ძლიერდება ბერძნული კოლონიზაცია, რომელმაც უცილობლად იქონია გავლენა ქართულ, კერძოდ, კოლხეთის კულტურაზე. ბერძნების მიერ შექმნილი ქალაქები: დიოსკურია (სოხუმის ტერიტორიაზე), პიცუნდა და სხვები გარშემორტყმული იყო ლამაზი ბაღებით. ამ პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე ქალაქ როდოპოლისის ანუ ვარციხის შექმნა, რომლის სახელწოდება სწორედ ვარდის კულტურის გავრცელებასთანაა დაკავშირებული. ბერძნული კოლონიზაციის გაფურჩქნის პერიოდში ერთ-ერთ ცნობილ სავაჭრო ქალაქს ვარციხე წარმოადგენდა.

დეკორატიული ბაღების მშენებლობა ძვ.წ. III-I საუკუნეებში ხორციელდებოდა იბერიაშიც. ძველ ქართულ ლეგენდებში ნათქვამია, რომ მეფე ფარნავაზის მეფობის დროს არმაზში მსხვერპლშესაწირ ადგილებს ამკობდნენ ყვავილებით.

რელიგიურ თქმულებებში ახ.წ. I საუკუნეში მოხსენიებულია მცხეთის მეფის სამოთხე, რომელიც ირწყვებოდა მთის მდინარის სუფთა წყლით. მცხეთა რომ ძალზე კეთილმოწყობილი ქალაქი იყო, დასტურდება მთელი რიგი ძველი ისტორიული წყაროებით, რაც მეტყველებს აქ დეკორატიული ბაღების არსებობის შესაძლებლობაზე.

ქრისტიანული რელიგიის გაძლიერებამ საქართველოში ხელი შეუწყო ტაძრებისა და სამონასტრო კომპლექსების მშენებლობას, მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა - გამწვანებას. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ მეფის დეკორატიულ ბაღს მცხეთაში, რომელიც თარიღდება ახ.წ. IV საუკუნით, ჰქონდა კეთილმოწყობისა და გამწვანების ისეთივე თავისებურებები, როგორც ძველ ქართულ სამოთხეებს.

ცნობები საქართველოს მებაღეობის მაღალი კულტურის შესახებ V-X საუკუნეების წყაროებში მრავლად მოიპოვება, შავშეთ-კლარჯეთში (გრიგოლ ხანცთელის ცნობით) და მესხეთში (VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის აღწერით), სადაც ქართველები მოიხსენიება როგორც დახელოვნებული მებაღეები და მიწათმოქმედები.

XI საუკუნეში ფეოდალური საქართველოს კულტურული განვითარება საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა, რაც შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ პერიოდისათვის აშენებული იყო ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორებიცაა ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი, სამთავრო მცხეთაში და სხვ. ამ ტაძრების მშენებლობისას ვითარდება დეკორატიული მებაღეობაც. ბაგრატ მესამის მეფობის დროს ქუთაისში მწვანეყვავილას მთის დასავლეთ ფერდობზე, პატარა ზომის ბაზილიკის მახლობლად გაშენებული იყო დეკორატიული ხეებითა და ყვავილებით მდიდარი ბაღი. იგი ითვლებოდა იმერეთის მეფეების დასვენებისა და გართობის ტრადიციულ ადგილად. დეკორატიული მებაღეობის განვითარებას აქ ხელს უწყობდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. აღსანიშნავია, რომ ბაღი „მწვანეყვავილა“, რაზედაც მეტყველებს ბაღის შემორჩენილი ნაშთები, როგორც ჩანს, ორგანიზებული იყო პეიზაჟურ ანუ ლანდშაფტურ სტილში.

დეკორატიული მებაღეობა მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს გაერთიანების შემდეგ. XII ს. საქართველოს ქალაქების იერსახე პოეტურად არის აღწერილი შ. რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“. საქართველოში დეკორატიული ნარგავების და ხეხილის ბაღები ანუ „წალკოტები“, გარდა მეფეებისა, ჰქონდათ აგრეთვე მდიდარ ფეოდალებს. ხშირად „წალკოტები“ გადადიოდა ხოლმე ერთი მფლობელისაგან მეორის ხელში.

როდესაც ვიხილავთ საქართველოს საბაღე-საპარკო მშენებლობის კულტურას არ შეიძლება არ შევჩერდეთ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე, კერძოდ საკულტო დანიშნულების ნაგებობათა ჰარმონიულ უხამებაზე გარემო ლანდშაფტთან. საკულტო ნაგებობების მშენებლობა ღამაზ ადგილებში და მიმდებარე ტერიტორიების დეკორატიული გაფორმება მშენებლისთვის კანონად ითვლებოდა. ეს მიმართულება საქართველოში დაკავშირებული იყო ცნობილი ქართველი მშენებლისა და მწერლის გრიგოლ ხანცთელის სახელთან. სამონასტრო და საეკლესიო ნაგებობების უმეტესობა აღმართულია უღამაზეს ადგილებში. ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი XVIII საუკუნის საქართველოს სამეფოს აღწერისას ხაზს უსვამს სწორედ ამ გარემოებას. ლანდშაფტური გეგმარება და მწვანე ნარგავთა კომპოზიცია თავისუფალი იყო მუსულმანური აღმოსავლეთის გავლენისაგან, რომლებიც ძირითადად ტერიტორიის რეგულარულ გეომეტრიულ დაგეგმარებას იყენებდნენ.

ეკლესიების და მონასტრების მშენებლობისას მხედველობაში მიიღებოდა მიმდებარე ტერიტორიების ლანდშაფტი. საკულტო ნაგებობებისათვის არჩევდნენ ყველაზე ღამაზ, მხატვრულ ადგილებს და ჰარმონიულად უხამებდნენ გარემო ლანდშაფტურ სივრცეს. ეს თავისებურება შეიძლება განხილულ იქნეს ქართულ სამონასტრო და საეკლესიო ძეგლების მაგალითებზე. ჯვრის მონასტერი მცხეთაში ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია.

X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი - *იშხანის* საკათედრო ტაძარი აღმართული იყო ერთ-ერთ უღამაზეს მხარეში ტაოში და იგი კარგად აღიქმებოდა ყოველი მხრიდან. განსაკუთრებით ღამაზია X საუკუნის შესანიშნავი ძეგლი *ოშკი*, რომელიც განთავსებულია მწვანე ლაზისში, ხოლო სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი გარშემორტყმულია შიშველი მთებით. ოშკის ტაძარი ამ ხეობის არქიტექტურულ-კომპოზიციურ დაგვირგვინებას წარმოადგენს.

დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული გელათის მონასტერი, ქართული არქიტექტურის სიამაყე, განთავსებულია უღამაზეს გარემოში, საიდანაც იხსნება შესანიშნავი ხედი მიმდებარე მთებზე. ცნობილია, რომ ქართველი მონაზვნები სამონასტრო ეზოების გამწვანების დროს, დეკორატიულობის მიზნით, რგავდნენ აგრეთვე ხეხილს, ძირითადად კაკლის ხეებს.

სატაძრო და სამონასტრო კომპლექსების ტერიტორიის კეთილმოწყობის კიდევ ერთ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ბიჭვინთის ტაძრის ეზო, რომელიც წარმოადგენდა ახ.წ. X-XII ს. ქართულ-აფხაზურ სამეფოს რელიგიურ ცენტრს. ამ ტაძრის შესანიშნავი სივრცითი ორგანიზაციის შესახებ აღნიშნულია ბიჭვინთის ტაძრისადმი მიძღვნილ რიგ ისტორიულ წყაროებში და თანამედროვე სამეცნიერო შრომებში.

XVII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველო იყო სპარსეთის უღლის ქვეშ. სპარსული კულტურის გავლენამ თავი იჩინა სასახლის არქიტექტურასა და საბაღე-საპარკო სტილებზე. კახეთში ლევან მეფის საუცხოო სასახლეს და ბაღს საქართველოს დაუძინებელი მტრის შაჰაბაზის მიერ განადგურებამდე მისივე გვარის ისტორიკოსი *ისკანდერ მუნში* დიდი ქებით იხსენიებს: „ქალაქ გრემში, რომელიც სადგომია ქართველ მეფეთა, ინება განერება შაჰმა“ - მისი სიტყვით - „ეს ქალაქი არის ნიმუში აყვავებული სამოთხის ბაღისა“, გრემის სასახლე სასიამოვნო დროს გასატარებელი და სამაგალითო ადგილია თავისი სამოთხისებრ წალკოტის წყალობით, რომელიც ამქვეყნიური მშვენიერების განსახიერებას წარმოადგენდა“ . . . და ა.შ. ქართული საეკლესიო ნიმუშები კიდევ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, რომელთაც ახასიათებთ გარემო ლანდშაფტთან ჰარმონიულობა და მედიდურობა და დომინირებენ მიმდებარე ლანდშაფტში.

• *XIX საუკუნის საადგილმამულო პარკები*

შედარებით უფრო მსხვილი მასშტაბებით და მაღალი მხატვრულობით გამოირჩევა ქალაქგარე საადგილმამულო პარკები, შექმნილი XIX საუკუნეში, რომელთა დაგეგმარება ევროპული პარკების პრინციპით ხდებოდა. იმდენად, რამდენადაც ისინი დღესაც წარმოადგენენ ქართული საბაღე-საპარკო ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს, საინტერესოა მათი მხატვრული და გეგმარებითი ორგანიზაციის განხილვა. განვიხილოთ სამი პარკი, რომლებიც შედარებით უკეთაა შემონახული და ასახავს ამ პერიოდის

საბადე-საპარკო ხელოვნების განვითარების ეტაპს. ესენია: წინანდლის, რომელიც შეიქმნა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქუთაისის (ჩომისის), რომელიც შეიქმნა XIX საუკუნის შუა პერიოდში და ლიკანის, რომელიც გაშენდა XIX საუკუნის ბოლოს. წინანდლის პარკი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქუთაისის დასავლეთ საქართველოში და ლიკანის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებთან.

1) წინანდლის პარკი – გამოირჩევა მაღალი დეკორატიულობით და მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან სასახლის პარკებს, რომლებიც სადღეისოდ შემორჩენილია საქართველოში. პარკი განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრალური კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში – წინანდალში. წინანდლის პარკი წარმოადგენს პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულს. აქედან იშლება უმშვენიერესი ხედები ალაზნის ხეობაზე და კავკასიონის შორეულ კალთებზე.

როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, წინანდლის პარკს თავდაპირველად რეგულარული გეგმარება ჰქონია, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს იგი გადააკოდა ლანდშაფტურ პარკად. ამ პარკს თავისი არსებობის მანძილზე ბევრი გამონივნილი ადამიანი სწევია, მათ შორის, 1825 წელს პუშკინი, 1832 წელს ლერმონტოვი, კონსული გამბა და სხვები. წინანდალში მრავალი უცხო მცენარეა, რომლებიც კარგად შეეგუენ კახეთის რბილ და თბილ კლიმატს. 1854 წელს შამილის რაზმმა დაანგრია პარკი და გადაწვა სასახლე, უკვე XIX საუკუნის ბოლოს 1888 წ. პარკი აღდგენილ იქნა ცნობილი რუსი პარკომშენებლის არნოლდ რეგელის მიერ პეიზაჟურ სტილში. ამ პარკის მებაღეებად სხვადასხვა პერიოდებში მუშაობდნენ ბრენერი, ბლომაზდინი, ლისოვი და სხვები.

წინანდლის პარკი დიდ ინტერესს იწვევს, როგორც საბადე-საპარკო ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი. პარკის გადაკეთების დროს შენარჩუნებულ იქნა ყველაზე ძველი და ფასეული ხის ჯიშები. მისი ფართობი 12 ჰა-ს შეადგენს. გეგმარებითი თვალსაზრისით, იგი იყოფა სამ ძირითად არქიტექტურულ-კომპოზიციურ ცენტრად, რომელთა ძირითადი სივრცულ-კომპოზიციური ელემენტები ორიენტირებულია პარკის მთავარ არქიტექტურულ ნაგებობაზე (პარკის სიღრმე 180 მეტრია).

2) ქუთაისის პარკის ანუ ჩომისის პარკის მშენებლობა XIX საუკუნის შუა პერიოდით თარიღდება. იგი განთავსებულია ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მეცნიერული თვალსაზრისით პარკი ძალიან საინტერესოა თავისი კოლორიტით, ზოგიერთი საინტერესო სუბტროპიკული, ტყის და დეკორატიული ნარგავების ინტროდუქციით საქართველოს შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონების პირობებში. ჩომისის პარკი აშენებულია ძირითადად ლანდშაფტურ სტილში, მაგრამ მასში გვხვდება რეგულარული გეგმარებითი ელემენტებიც, რომლებიც ძალიან მოხერხებულად არის ჩართული საერთო კომპოზიციაში. პარკში იზრდება ისეთი იშვიათი ნარგავები, როგორებიცაა: სამსაუენიანი მაგნოლიები, კორპის ხე, ტიტის მაღალი ხეები. ამ პარკის კეთილმოწყობისა და მასში ფასეული დეკორატიული

ნარგავების დანერგვით დიდი სამუშაოები ჩაატარა იაკობ მარმა (ცნობილი ორიენტალისტის ნიკო მარის მამა).

ჩომისის პარკი წარსულში წარმოადგენდა ქალაქის მოსახლეობის დასვენებისა და გართობის ადგილს. პარკის საერთო ფართობია 3,5 ჰა. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 2,5 ჰა, დაფარულია მცენარეული საფარით. პარკში მიედინება პატარა მდინარე რუა, მდინარე რიონის შენაკადი. ჩომისის პარკის მთავარ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს მცირე ზომის ორსართულიანი ანსამბლი, აშენებული XIX საუკუნის შუა პერიოდში. ორი კორპუსი გაერთიანებულია დეკორატიული კედლებით და იქმნება შიდა ეზო.

2) ლიკანის პარკი შესანიშნავი ძველებური პარკია სასახლით. იგი განთავსებულია კურორტ ბორჯომიდან სამ კილომეტრში. მისი მშენებლობა თარიღდება XIX საუკუნის ბოლო ათწლეულით, კერძოდ, 1892 წლით. სასახლის ასაშენებლად ლიკანის მამულის მფლობელმა მიხეილ რომანოვმა მოიწვია საუკეთესო ცნობილი იტალიელი არქიტექტორები და ცნობილი ხელოსნები. სასახლის მშენებლობა განხორციელდა არქიტექტორ ბენუას პროექტის მიხედვით, ამასთან ერთდროულად ხორციელდებოდა პარკის დაკვალვაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარკომშენებელი რამში და მოგვიანებით მშენებლობა გააგრძელა მისმა შვილმა. პარკი სასახლის ირგვლივ 7 კილომეტრზე იყო შემოღობილი. მასში უამრავი შველი და გარეული თხა ბინადრობდა. პარკის მშენებლობა 1905 წელს დასრულდა.

ლიკანის პარკი რევოლუციამდელი საქართველოს ყველაზე საუკეთესო ლანდშაფტური პარკების რიცხვს მიეკუთვნება. ამ პარკის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა პარკის მწვანე ნარგავებსა და გარემო ლანდშაფტს შორის სრული ჰარმონიის შენარჩუნება. პარკში ადგილ-ადგილ ვხვდებით გეომეტრიული დაგეგმარების ელემენტებსაც, მაგრამ ისინი კარგად ერწყმიან მის ლანდშაფტურ ნაწილებს. არქიტექტურული კომპოზიციის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სასახლის წინ მდებარე მოედანი.

პარკი აშენებულია ამაღლებულ ადგილზე, სასახლის წინ მდებარე მოედნიდან ეშვება კიბეები, რომელიც აერთიანებს პარკის ზედა და ქვედა ტერასებს. მთავარი კომპოზიციური ღერძი იწყება სასახლიდან, გადის ქვედა ნაწილში, უერთდება მდ. მტკვარსა და მთავრდება მაღალი მთით. სასახლის ქვედა ტერასაზე ამ ღერძს უერთდება მთავარი გარშემოსავლელი საპარკო გზა. კარგად არის გამოყენებული მთების მხატვრული და მიმზიდველი ადგილები. ისინი ხელოვნურადაა შეყვანილი პარკის კომპოზიციის საერთო სურათში. ამასთან, აღსანიშნავია ის ჰარმონია, რომელიც მყარდება პარკის ცენტრალურ ნაწილს, მწვანე ნარგავებსა და სასახლის ღერძულ პერსპექტივაში მხატვრულად ჩართულ პეტრეს ციხეს შორის. პარკში დეკორატიული ხეების შესანიშნავი ასორტიმენტია წარმოდგენილი: მათ შორის, ნაძვის მრავალსახეობა.

წაბლის, რცხილის, კვიპაროსის, აგრეთვე მხვიარა მცენარეების მრავალსახეობები განსაკუთრებით ღამაზია ქვედა ტერასაზე გამავალი ცხენისწაბლას ფართო ხეივანი.

გარდა უკვე აღწერილი სამი პარკისა, რომლებიც გვინვენებენ საქართველოს XIX საუკუნის პარკების განვითარების ძირითად ეტაპებს, ასევე შემორჩენილია რამდენიმე საგვარეულო პარკი: ზუგდიდში, გორდაში, გორა-ბერეჟაულში, კოჯორში, დიდ ჯიხარისში, სადაც ხარობს უნიკალური ჩილის არაუკარია და სხვ. დენდროლოგიური შემადგენლობის სიმდიდრით და კომპოზიციის საინტერესო გადაწყვეტით გამოირჩევა ძველი ბაღები სოხუმში, გულრიფში, აგუძერაში, გაგრაში (აფხაზეთი), რომლებიც შეიქმნენ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში.

ღანდშაფტური ანუ პეიზაჟური ხერხების გადატანა საქართველოში უცხოური საბაღე-საპარკო მშენებლობის გამოცდილებიდან არ იყო მექანიკური პროცესი. ბუნებრივი პირობების სპეციფიკამ (რელიეფი, მცენარეული საფარი) განაპირობა დამახასიათებელი ნიშნებით თავისებური პეიზაჟური მიმართულება საქართველოს საბაღე-საპარკო მშენებლობაში. პეიზაჟური სტილით მშენებლობით გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ ღანდშაფტური სისტემით შენდებოდა მცირე ზომის ბაღებიც და სკვერებიც.

იაკობ მარის სახელთანაა დაკავშირებული ტექნიკური და დეკორატიული მცენარეულობის გაშენება დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, ძვირფასი დეკორატიული ბაღის გაშენება ქუთაისის მახლობლად, რომელსაც „ფერმის ბაღს“ უწოდებენ დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში დეკორატიულ და სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებელ უცხო მცენარეთა შემოზიდვა-გამრავლებაში დიდი დეწლი მიუძღოდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელს 1912 წელს, პროფ. ა.ნ.კრასნოვს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაულაღავ შრომას ეწეოდნენ ქართლში ნ.კეცხოველი და ი.ფურცელაძე. ევროპიდან ჩამოტანილი უცხო წარმოშობის ხეხილისა და დეკორატიული მცენარეების გავრცელებაში.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა, ფიზიოლოგმა ივანე თარხნიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება ეკალიპტის კულტურის გავრცელებას საქართველოში. იმდროინდელი უახლესი ლიტერატურიდან თარხნიშვილისთვის ცნობილი გახდა ეკალიპტის გავლენა ჭაობების ამოშრობაზე, რაც ხშირად საქართველოში მაღარაის ეპიდემიის გავრცელების კერა იყო.

თბილისის ბაღები, XVII საუკუნის თბილისის ბაღების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური, პარიზის სავაჭრო სახლის წარმომადგენელი ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა XVII საუკუნის 70-იან წლებში. იგი აღტაცებული იყო საქართველოს დედაქალაქის სილამაზით და მას სპარსეთის მორჩილებაში შემავალ ყველაზე ლამაზ ქალაქად იხსენებოდა.

შარდენის ცნობით, საქართველოს მთავრის სასახლე ქალაქის, ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენდა, რომლის უზარმაზარი დარბაზები მიმართული იყო სასახლის ფართო ბაღებით მდინარე მტკვრისკენ, რომელიც სავსე ყოფილა ნაირგვარი ფრინველებით. აღნიშნული სასახლე აშენებული იყო მეფე როსტომის მიერ, მეფე გუარამის ძველი სასახლის ნანგრევებზე, როგორც შარდენი აღწერს, სასახლის ნაგებობა, რომელიც ამდღეებულ ადგილზე იყო აღმართული, ღია ტერასებით უკავშირდებოდა ბაღს. პირველი დიდი ღია ტერასა აქცენტირებული ყოფილა საკმაოდ მოზრდილი დეკორატიული აუზით და შადრევნებით. აღნიშნული ტერასა წარმოადგენდა სასახლისა და ბაღის ერთ-ერთ დამაკავშირებელ კვანძს, რომელსაც პერიოდულად ხურავდნენ ნადიმების ჩასატარებლად. უფრო მოგვიანებით, კერძოდ, შარდენის მოგზაურობიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ამ ბაღების შესახებ ცნობებს გვაწვდის აბატი იოზეფ დელაპორტი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში ერეკლე II მეფობის პერიოდში, კერძოდ, 1768 წელს. იგი წერს: „საუკეთესო ნაგებობა არის მეფის სასახლე, იგი შედგება მრავალი დარბაზისაგან, მათი ფანჯრები მიმართულია მდინარისა და ვრცელი ბაღებისაკენ“. იმუამინდელი თბილისი ჩაფლული ყოფილა ბაღებში, ქალაქის შიგნით თუ მის გარეუბნებში და გარემოცული მრავალი აგარაკითა და საღაღობო ადგილებით.

სოღანღულისაკენ გზად მიმავალ შარდენს დაუნახავს სასახლის ნაგებობა, რომელიც მისივე გადმოცემით “საფი-აბადად” იწოდებოდა. როგორც ჩანს, აღნიშნული ბაღი მართლაც წარმოადგენდა XVII საუკუნის საქართველოს მხატვრული მეზაღეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლს, სადაც განსაკუთრებით ყოფილა გამოკვეთილი საბაღო არქიტექტურის ტრადიციული ფორმები – შადრევნები და წყალვარდნილები. მოგვიანებით ამ ბაღებს აღწერს აგრეთვე მეორე ფრანგი მოგზაური, ბოტანიკოსი იოზეფ-პიტონ ტურნეფორი (1655–1708), რომელიც 1701 წელს ეწვია თბილისს. მისი სიტყვებით, „მეფის სასახლე“, რომელიც მდებარეობს ციხის ძირში მეტად ძველი დროისაა და ასეთი პატარა ქვეყნისათვის ძალიან მოვლელი და დაცულია. სასახლის ბაღები, საფრინველე, სასახლის წინ მდებარე მოედანი იმად ღირდა, რომ ადამიანს ენახა და დაეთვალიერებინა. სასახლის მახლობლად საუცხოო ბაღებია, რომლებსაც ბევრად უკეთესად უვლიან, ვიდრე ოსმალეთში“. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ჩამოსულ აკადემიკოს გულდენშტეინის ცნობით, თბილისის ახლოს მდებარეობს საუცხოო ბაღები. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში საბაღე ხელოვნება შედარებით დაბალ დონეზე მდგარა.

პლატონ იოსელიანი წერს, რომ სასახლე 1795 წელს მთლიანად დაუნგრევიათ სპარსელებს, ხოლო შემორჩა ბაღი, რომელიც ამჟამად ბოტანიკურ ბაღად არის ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, წავკისის ხეობაში, ვრცელ ტერიტორიაზე სამეფო ბაღები მდებარეობდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ 1845 წელს ამ ბაღის საფუძველზე დაარსდა ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ამჟამად 158 ჰა უჭირავს. ყოფილი სამეფო ბაღის ნაწილში კი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბაღია განთავსებული.

პლატონ იოსელიანის ცნობით, თბილისში XVIII საუკუნის დამლევს ქართველ მეფეთა სასახლის წინ მდებარე მოედანს, დღევანდელი ბებელის მოედნის შუა ადგილას, ამშვენებდა მარმარილოს შადრევანი, რომელიშიც წყალი მიყვანილი იყო წავკისის გორებიდან. მარმარილოს ორი ღომი პირიდან უშვებდა წყლის ჭავლს, რომლითაც ირწყვებოდა სასახლის ბაღები.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ბაღთმშენებლობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“. ვახუშტის ცნობით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი გარემოცული ყოფილა ხეხილითა და ყვავილებით მდიდარი წალკოტებით, ხოლო ვერედან მიყოლებული წყნეთამდე ტერიტორია მთლიანად ნაირგვარ წალკოტებს ეკავა. ბაღების ქალაქის ტერიტორიაზე განთავსების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა, რომელზედაც აღნიშნულია 11 ბაღი, გაშენებული უშუალოდ ქალაქის ფარგლებში და მის სიახლოვეს. ცხადია, გეგმაზე აღნიშნული ბაღების უმრავლესობა ძველი მასივებია, მაგრამ როგორც გეგმიდან ჩანს, ამ დროისათვის ქალაქის სხვადასხვა უბნებში ახალი ბაღებიც შენდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ახალი მწვანე მასივი, ე.წ. რიყის მიდამოებში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საკუთრივ თბილისი კვლავინდებურად ტიპურ ფეოდალურ ქალაქს წარმოადგენდა. იგი შემოფარგლული იყო მაღალი გალავნით, ხოლო კედლების მიღმა შემოგარენი ეკავა ახალ დასახლებებს, სეიდაბადის, სოლოლაკის, ორთაჭალის, კრწანისისა და სხვა ბაღებს, ბოსტნებს, ნათესებს, მდელოებსა და საძოვრებს. იმ დროს თბილისში მყოფი ცნობილი ბოტანიკოსი, აკადემიკოსი გულდენშტეინი დეტალურად აღწერს ქალაქის მიდამოებში არსებულ მცენარეებს, ხოლო ბაღების შესახებ წერს: „აბანოების ქვემოთ არის წინქალაქი, გართუბანი, ან უფრო უკეთ ძველი თბილისი. ქალაქსა და გარეუბნების გარშემო არის მნიშვნელოვანი ვენახები და ხეხილის ბაღები, რომლებიც მდინარის ქვემოთ აღწევს 5 ვერსამდე და პატარა წისკვილებისა და არხების საშუალებით ირწყვებიან მტკვრის წყლით. ბაღებთან და მათ ქვემოთ არის აგრეთვე ხორბლის პატარა ყანები.“

1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად ქალაქთან ერთად თითქმის მთლიანად განადგურდა ბაღებიც, დაინგრა და მოიშალა ბაღებში არსებული ნაგებობები, შადრევნები და სარწყავი ქსელი.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის გეგმებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ აღორძინდა ქალაქის ძველი მწვანე სამოსი. შემდგომი პერიოდის გეგმები შესრულებულია უკვე მაღალპროფესიულ დონეზე და შესაბამისად უფრო ზუსტად ასახავს როგორც ქალაქის იმდროინდელ დაგეგმარებას, ასევე ბაღების ადგილს ქალაქის სტრუქტურაში.

XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც ეს 1828 წლის თბილისის საერთო გეგმაზე ჩანს, ქალაქის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ნაწილთან ახლო კვლავინდებურად მდებარეობდნენ სოლოლაკის, სეიდაბადის და ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ძველი მასივები. შედარებით უფრო მცირე ტერიტორიის ბაღებს უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზეც ვხვდებით. ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით გადაშლილი იყო ცნობილი ორთაჭალის და კრწანისის ბაღები.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორთაჭალის ძველი ბაღები, რომლებიც ბევრ მნახველს იზიდავდა. თბილისში სტუმრად ჩამოსულნი მოვალედ თვლიდნენ თავს მოენახულებინათ სახელგანთქმული გოგირდის აბანოები და დაეთვალიერებინათ ორთაჭალისა და კრწანისის ბაღები. მოგვიანებით, კეძოდ, 1828 წელს, საქართველოში სტუმრად მყოფ დიდ რუს პოეტს ა.პუშკინს თბილისის იმდროინდელმა საზოგადოებამ რამდენჯერმე შეხვედრა სწორედ ორთაჭალის ბაღში მოუწყო და ნადიმიც გაუმართა. ამ შეხვედრის შესახებ პუშკინი თავის დღიურებში აღფრთოვანებით წერდა.

თბილისის შუაგულში, მტკვრის გაყოლებაზე ორბელიანების მდიდარი ბაღ-ვენახები და დეკორატიული ბაღები იყო გაშენებული (ყოფ. მათადოვის კუნძული). პ. იოსელიანის გადმოცემით, იმდროინდელ ბაღებში ადგილობრივ და უცხოურ დეკორატიულ მცენარეებთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ხეხილი, კერძოდ: ატამი, ნუში, ბროწეული, უნაბი, კომში, მსხალი, ალუბალი, ბალი, ქლიავი და ბერძნული კაკალი, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ლაზათიანს და მიმზიდველს ხდიდა თბილისის ბაღებს, ხოლო კაკლის ხეების ხეივანი ქალაქს გარს ერტყა ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან.

ძველ თბილისში რთული სარწყავი სისტემა არსებობდა, რომელთა ნაშთები მრავალ ადგილას დღესაც შემორჩენილია. ბაღების მოსარწყავად მდ. მტკვარიც გამოიყენებოდა, მასზე მოგვიანებით წყლის ამომქაჩავი მექანიკური ჩარხები ყოფილა მოწყობილი.

XIX საუკუნის 20-30 წლებიდან მკვეთრად გაიზრდა ქალაქმშენებლობის მასშტაბები, ხოლო მხატვრულ მებაღეობაში თანდათანობით დამკვიდრდა ევროპის ბაღთმშენებლობის პრინციპები.

თბილისის განაშენიანების გაფართოებასთან დაკავშირებით ინტენსიურად იხეხებოდა ძველი მწვანე მასივები და მათ ადგილს იკავებდა ქალაქის ახალი საცხოვრებელი კვარტალები და სამრეწველო რაიონები. XIX საუკუნის 40-60-იან წლებში ამ მიზნით მთელი რიგი ძველი ბაღების უმეტესობისა უკვე გაყოფილი და განეხილი იყო. მაგალითად, სოლოდაკის უბანში აიგო ახალფეხმოკიდებული ბურჟუაზიის წარმომადგენლების მრავალი კაპიტალური კერძო სახლი, რომელთა უმრავლესობის შიგა ეზო გამწვანებული იყო მწვანე ბაღების ანეხვის შემდეგ დარჩენილი ნარგაობით. მასივების დაქუცმაცებისა და მათი ევროპულ ყაიდაზე გადაკეთების გზით თანდათან გაჩნდა ახალი კერძო ბაღები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სამხედრო ადმინისტრაციულ ხელისუფალთ თან მოჰყვება პროფესიონალი სპეციალისტი ტოპოგრაფები, რომლებმაც დაიწვეს უფრო ზუსტ ტოპოგრაფიულ საფუძველზე თბილისის გეგმების შედგენა. ყველა გეგმა იძლეოდა ქალაქის განაშენიანების ზუსტ ფიქსაციას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანზე ქალაქის ახალი ნაწილების დაგეგმარების პროექტებიც კი იყო მოცემული. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „საქართველოს გუბერნიის მიწისმზომელ კოლეჯის ასესორის ტოვარნიცკის მიერ 1833-35 წლებში შედგენილი გეგმა“. ის ყველაზე სრულად და დაწვრილებით გადმოგვცემს როგორც გრაფიკული სახით, ისე ტექსტობრივი განმარტებითაც XIX საუკუნის 20-30-იანი წლების თბილისის განაშენიანების ერთიან სურათს.

აღნიშნული გეგმა თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუხეუმში ორ ეგზემპლარადაა დაცული. ნახაზის ქვემოთ ტექსტია მოთავსებული, რაც ქალაქის ზოგად აღწერასა და გეგმის განმარტებას შეიცავს.

თავის განმარტებით ბარათში ავტორი ეხება აგრეთვე თბილისის ჰავის თავისებურებას და აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ქალაქში დიდი ყინვები იცის, რაც ძალიან საზიანოა ღედვისა და ბროწეულის ხეებისათვის. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს თბილისში ხეხილის ბაღების სიმრავლის შესახებ. ავტორს შეუნიშნავს აგრეთვე ისიც, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მთებს თბილისისათვის. „ისინი ზაფხულის ცხელ ღამეებში მტკვრის ნაპირისკენ სიგრილეს აგზავნიან“. ფეოდალური ეპოქის ქალაქის ძირითადი განაშენიანება, ტოვარნიცკის გეგმით, მხოლოდ არსებულის ფიქსაციაა, ახალი რაიონები კი ავტორის საპროექტო წინადადებაა.

ამ პროექტით ახალი რაიონების გაგრძელების არე მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, ახლანდელი თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მოედნამდე (გარეთუბანი); მტკვრის მარცხენა სანაპიროზე კი - კუკიისა და ავლაბრის ნაწილს. პროექტის ავტორს დაგეგმარების საფუძველად ფრანგული კლასიციზმის მიერ დამკვიდრებული გეომეტრიული, რეგულარული სისტემა აუღია, რომელიც ფართოდ იყო გაგრძელებული XVIII-XIX საუკუნეების ევროპულ ქალაქმშენებლობაში.

პროექტის მიხედვით მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გარეთუბნად წოდებული ტერიტორია, რომელიც ორჯერ აღემატებოდა გვიანფეოდალური ქალაქის ტერიტორიას, დაყოფილია სწორკუთხოვან და ტრაპეციის ფორმის კვარტალებად, რომელთა ფართობი საშუალოდ 1-2 ჰა-ს უდრის და მისი მესამედი კვარტალშიდა გამწვანებულ ზონას წარმოადგენს. დანარჩენი ორი მესამედი კი სახლებსა და ეზოებს უკავიათ. კვარტალები პერიმეტრზეა განაშენიანებული, წყვეტილად, სახლებს შორის 10-მეტრიანი ინტრვალებით. კვარტალშიდა ტერიტორიები ბაღებსა და ეზოებსზეა მიკუთვნებული, რაც პროექტის დიდ ღირსებას წარმოადგენს და ავტორის მიერ სამხრეთის კლიმატური პირობების გათვალისწინების ფაქტზე მიუთითებს.

გეგმაზე ცალკეული სახლებისათვის ნაკვეთებია გამოყოფილი და დანომრილი. აშკარად ჩანს, რომ ეს პროექტი სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენდა, რომლის მიხედვით ხდებოდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიწის ნაკვეთების გამოყოფა ახალ რაიონებში საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად. როგორც ჩანს, ამის შედეგია, რომ სოლოლაკის, მთაწმინდის და სხვა უბნებში დღეს არსებული ბევრი ქუჩა ამ პროექტში განსაზღვრული ქუჩების ზომებსა და მიმართულებას შეესაბამება. ასეთებია: ენგელსის, ლერმონტოვის, დადიანის, ტ. ტაბიძის, მანაბლის, მახარაძის, ჯაფარიძის, კიროვის, ჭონქაძის, ძერუინსკის, ჩიტაძის, უკრაინკას, ჯორჯიაშილის, კეცხოველის, ძნელაძის, გრიბოედოვის, სასამართლოს ქუჩები და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ეს პროექტი იყო ის ძირითადი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი, რომლითაც განხორციელდა ამ უბნის მშენებლობა.

რა თქმა უნდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კაპიტალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელ ქალაქის ინტენსიური ზრდის პირობებში ბევრი რამ შეიცვალა ამ პროექტთან შედარებით და ზოგიერთი დადებითი საქალაქმშენებლო გააზრება დაიკარგა, მაგრამ ზოგი დღესაც ამ რაიონების ღირსებას წარმოადგენს. უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოცემულ პროექტთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა განაშენიანების სიმჭიდროვე. შენობები ქუჩის გასწვრივ ერთმანეთს მიეტყუა; თუმცა, არქიტექტორების მიერ ე.წ. კურდონერული გადაწყვეტის ხერხის გამოყენებით – წითელი ხაზებიდან შენობების შიგნით შეწვევისა და წინ პატარა გამწვანებული ეზოების შექმნით – ზოგიერთი ქუჩის განაშენიანების ჩაკეტილი იერი ამ გარღვევებით შერბილებულ და გამდიდრებულ იქნა.

განაშენიანების სიმჭიდროვის ზრდის მიუხედავად, პროექტით გათვალისწინებულ კვარტალშიდა გამწვანებული ზონის შექმნის პროგრესული პრინციპი ნაწილობრივ მაინც ხორციელდებოდა. სოლოლაკის ზოგიერთ კვარტალში ასეთი შიდა ეზოები დღესაც არსებობს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ფერდობების პერპენდიკულარულად გაყვანილი ქუჩების მნიშვნელობა. მართალია, ასეთი ქუჩების საექსპლუატაციო თვისებები უარესდებოდა საგრძნობი ქანობის გამო, მაგრამ მათ ერთი ფრიად დადებითი

მხარე ჰქონდათ, ისინი ღია კორიდორების როლს ასრულებდნენ, რომლის საშუალებით ჰაერის ინვერსიული ნაკადები მიემართებოდა მთის წვერიდან მტკვრის ნაპირებისაკენ.

ამ ფაქტორს დიდი ყურადღება მიაქცია თავის შრომებში XIX საუკუნის შუა წლებში თბილისში მცხოვრებმა ექიმმა *ტოროპოვმა*. უნდა ვიფიქროთ, რომ პროექტის ავტორს ეს ფაქტორი გათვალისწინებული ჰქონდა, რადგან გეგმის განმარტებაში ის ხაზგასმით აღნიშნავს ქალაქისათვის მთების მნიშვნელობას. შემდგომი პერიოდის ინტენსიური განაშენიანების დროს, ამ ქუჩა-კორიდორების დასაწყისი მტკვრის ნაპირებთან თუ სხვაგან აშენებული შენობებით იქნა ჩაკეტილი, რამაც ჰაერის ნაკადის მოძრაობის საგრძნობი გაუარესება გამოიწვია.

ზემოთ აღნიშნული ტოვარნიცკის გეგმის პროექტის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელიც გარეთუბნის ტერიტორიას მოიცავდა. ამ გეგმით დაპროექტებული ნაწილები ავლაბრისა და ახლანდელი მარქსის მოედნის მიმდებარე უბნებზედაცაა წარმოდგენილი, მაგრამ ის იმდენად სქემატურია, რომ მას ამ რაიონების შემდეგი განაშენიანებისათვის არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ამგვარად, 1833-35 წლებში შედგენილი გეგმის განხილვა გვიჩვენებს, რომ იგი იმ პირველ საწყის პროექტს წარმოადგენდა, რომლის მიხედვით XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის ახალი რაიონების გეგმიური განაშენიანება დაიწყო. მართალია, თბილისის ქალაქმშენებლობაში შემოიჭრა მისთვის უცხად ქუჩების ქსელის რეგულარული სისტემა, მაგრამ ის გააზრებულად, სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან დაკავშირებულად იქნა გამოყენებული. იმ დროისათვის კი, ეს პროექტი თავისი ფართო გამწვანებული ქუჩებითა და კვარტალებით, ფეოდალური ეპოქის გაღაენებს შორის ჩაკეტილ, შეჯგუფულ, უჰაერო მხესმოკლებულ განაშენიანებასთან შედარებით, პროგრესულ და დადებით მოვლენას წარმოადგენდა.

ქალაქის მთლიანი მწვანე მასივების დაქუცმაცებამ და ნარგავობათა საგრძნობმა შემცირებამ გამოიწვია როგორც კლიმატური პირობების გაუარესება, ასევე ქალაქში მრავალი წყაროს დაშრობა, რომლებითაც თბილისი ადრე ძალზე მდიდარი ყოფილა. ეს გარემოება თავის დროზე სპეციალური აღნიშვნისა და შესწავლის საგანი გამხდარა.

უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში დაიწვეს საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღების მოწყობაც. ევროპული ტიპის პირველი ბაღი, რომელიც საზოგადოებრივი დანიშნულების იყო, გაშენდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში სოლოდაკის ძველი მასივის ერთი ნაწილის ბაზაზე.¹ აღნიშნული ბაღი იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის საბაღე-საპარკო ხელოვნებაში დამკვიდრებული გეგმარებითი პრინციპების გამოყენების ერთ-ერთი პირველი მაგალითია საქართველოში. ბაღის გეგმარებამ შემდგომში რამდენჯერმე იცვალა სახე, მაგრამ იგი რეკონსტრუქციების პროცესში თანდათან ყალიბდებოდა და უფრო დახვეწილი ხდებოდა.

¹ ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბაღი.

გარდა სოლოლაკის ბაღისა, გარეთუბანში ადრეც არსებობდა რამდენიმე ძველი კერძო ბაღი. მათგან თავისი სიდიდით და მცენარეთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მეფე იესეს ბაღი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ბაღი შემდეგში ცნობილი იყო ინჟინერთა ბაღის სახელწოდებით და მისი ტერიტორიის ნაწილი ეკავა საინჟინრო უწყების შენობებს. იგი ვახუშტის გეგმაზეც კი არის აღნიშნული ქაიხულის ბაღის სახელწოდებით. მოგვიანებით, კერძოდ 1859 წელს, საინჟინრო ბაღის გვერდით, ყოფილ ე.წ. ყაბახის ადგილზე დაიწყო ალექსანდრეს ბაღის მშენებლობა. ხოლო ყაბახის მოსახლერედ არსებული სასაფლაო ვერაზე იქნა გადატანილი. ბაღის პროექტი შედგენილი იყო არქიტექტორ ოტო სიმონსონის მიერ, ხოლო ბაღს ეწოდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის პატივსაცემად - ალექსანდრეს ბაღი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა სწავლული მებაღე-დეკორატორი შარერი.

მდინარე მტკვარზე წყლის მექანიკური საქანის მოწყობამ ხელი შეუწყო ბაღის მშენებლობის სწრაფად წარმართვას და იგი გახსნილ იქნა 1865 წელს. მოგვიანებით ბაღს შემოაღეს თუჯის დეკორატიული ღობე, რომელიც დაუმზადებიათ ბოლნისის მახლობელ სოფელ ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში.

აღნიშნული ბაღი გასული საუკუნის საქალაქო ბაღის შესანიშნავი ნიმუშია. იგი მოხერხებულადაა გაშენებული საგრძნობი დაქანების რელიეფზე და ერთმანეთთან კარგად აკავშირებს ქალაქის ზემო და ქვემო ნაწილებს. ბაღი გადაწყვეტილია ძირითადად რეგულარულ გეგმარებითი ხერხით და გამოირჩევა როგორც მცენარეული მრავალფეროვნებით, ასევე მცირე არქიტექტურული ფორმებით და გამონეწილ ადამიანთა ქანდაკებების სიუხვით.

ახალი ბაღების მშენებლობა მიმდინარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც. ჯერ კიდევ XIX ს. 20-იან წლებში საქართველოში შიიტთა სამღვდელოების მთავარმა მუშტაიდმა, უდროოდ გარდაცვლილი ქართველი მეუღლის პატივსაცემად, მდინარის პირას საფუძველი ჩაუყარა ბაღს, რომელიც მუშტაიდის სახელმწოდებით იყო ცნობილი. სპარსულ ყაიდაზე აგებული სასახლის ირგვლივ გაშენდა საკმაოდ მოზრდილი ბაღი, რომელიც ირწყვებოდა მტკვრიდან გამოყვანილი ე.წ. „გერმანული არხის“ საშუალებით. როდესაც მუშტაიდი დაბრუნდა სპარსეთში, ხოლო თავისი მამული მიჰყიდა ვინმე მედიკ-ბეგლაროვს, რომელიც 40-იან წლებამდე პატრონობდა ამ ბაღს. ამის შემდეგ ბაღი შეიძინა მთავრობამ და მის ბაზაზე მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ფერმა. მოგვიანებით იგი გადაკეთდა მებაღეობის სასწავლებლად. მალე ეს უკანასკნელი გადატანილ იქნა ბოტანიკურ ბაღში, მუშტაიდის ბაღი გადაეცა კერძო პირებს არენდით და გადაკეთდა სასეირნო ბაღად. ამგვარ მდგომარეობაში იგი იმყოფებოდა 1887 წლამდე, შემდეგ იგი გაადაქციეს მეაბრეშუმეობის სადგურის ბაზად და გადავიდა სახელმწიფო ქონების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ბოლოს მისი

ახლანდელი 9 აპრილის ბაღი.

ყოფ. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკი.

დიდი ნაწილი საქალაქო მნიშვნელობის სასაქონლო ბაზი გახდა. 1896 წლისათვის ბაღის ტერიტორიაზე არსებობდა სხვადასხვა დანიშნულების გასართობი განყოფილებები, რომლებიც ღამე გაზით ნათლებოდა. ბაღთან არსებობდა ე.წ. „ტფილისის საკრებულო“ და თეატრი, სადაც ხშირად იმართებოდა დრამატული და მუსიკალური წარმოდგენები გასტროლებზე ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით.

მუშტაიდის ბაღში პერიოდულად იმართებოდა აგრეთვე სახალხო სეირნობები და განსაკუთრებულ შემთხვევებში სადღესასწაულო ფეიერვერკებიც. ბაღის გაგრძელებაზე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშლილი იყო კოლონიები, მრავალი ბოსტნითა და ხეხილის ბაღებით. თავის დაგეგმარებითა და მცენარეული კომპოზიციით მუშტაიდის ბაღი ერთ-ერთი თვალსაჩინო იყო იმ დროისათვის თბილისში არსებულ მხატვრულ ბაღებს შორის.

გარკვეული დროის მანძილზე სეირნობისა და გართობის ადგილი იყო თბილისის უძველესი მასივი – ბოტანიკური ბაღი. მისი ტერიტორია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარსულში სამეფო გვარეულობის კუთვნილება იყო. XIX საუკუნის დასაწყისში იგი წარმოადგენდა თბილისის სახაზინო ბაღს და რამდენიმე ხანს იჯარით ყოფილა გაცემული. ამ დროისათვის ბაღის ტერიტორიაზე ვენახი ყოფილა გაშენებული და თუთის ხეების ნარგაობა იზრდებოდა. შემდგომში ბაღი გადავიდა სასოფლო და სამანუფაქტურო მრეწველობის ამიერკავკასიის საზოგადოების დაქვემდებარებაში. 1845 წლიდან კი ბაღს ოფიციალურად დაუმკვიდრდა ბოტანიკური ბაღის სტატუსი და ძირითად ამოცანად განესაზღვრა მებაღეობის კულტურის გავრცელება და დეკორატიულ და სხვა სასარგებლო ღირსებების მქონე კავკასიის ველური ფლორის მცენარეთა კოლექციის შეგროვება. 1855 წლიდან, თბილისიდან ვორონცოვის წასვლის შემდეგ ბოტანიკური ბაღის ისტორიაში გარადამავალი ხანა იწყება. იგი განიცდის დაკნინებას და სრული დაცემის გზაზეც კი დგება. მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულში, კერძოდ 1899 წლიდან, გადალახულ იქნა მრავალი წლის დაბრკოლებები და ბაღის ნორმალურად განვითარებამ უკვე გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო.

იმხანად თბილისში ¹¹² თორმეტი მოედანი არსებობდა. მათგან ყველაზე დიდად „ერევნის მოედანი“ ითვლებოდა. მის შუაგულში დიდი ზომის ღამაზი შადრევანი ყოფილა მოწყობილი, ეს შადრევანი 1851 წელს აუშენებიათ, ხოლო წყალი მასში სოლოლაკის წყაროებიდან გაუყვანიათ. 1848 წლიდან ახლანდელი რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ მოაწყვეს რიგობრივი ნარგაობა. ეს იყო ქუჩის გამწვანების პირველი ცდა თბილისში, ხოლო მომდევნო წლიდან დაიწვეს ქალაქის ქუჩების მასიურად გამწვანება და სხვადასხვა უბნებში სკვერების მშენებლობა. ყოფილი „ერევნის მოედნის“ მოსაზღვრედ, იქ, სადაც ადრე დიდი ბაზრის ნაშთი არსებულა, 1885 წელს მოაწყვეს მცირე ბაღი, რომელიც იმ დროს „ახალ ბაღად“ იწოდებოდა. ამ ბაღის ცენტრში, სასულიერო სემინარიის მოპირდაპირედ, 1892 წელს დადგმულ იქნა დიდი

რუსი პოეტის ა. პუშკინის ბიუსტი, ხოლო ადგილს შემდგომში „პუშკინის სკვერი“ ეწოდა.

უფრო მოგვიანებით თბილისის შემორჩენილ საგარეუბნო მახვილებში ჩნდება მასობრივი დასვენებისა და გართობის სხვადასხვა სახელწოდების ბალები, კერძოდ, ორთაჭალაში არსებობდა ბალები: „ფანტაზია“, „ელდორადო“. ხოლო საბურთალოსზე – „სან-სუნი“, „სამშობლო“, „მანტეკლერი“, „ახალი სხივი“ და სხვ.

1891 წლიდან დაიწყო ქალაქის ფერდობების გატყეიანების სამუშაოები, რაც განპირობებულ იყო ნიაღვრებთან ბრძოლისა და ქალაქის კლიმატური პირობების გაუმჯობესების აუცილებლობით.

1899 წელს ექიმ ხუდადოვის ინიციატივით, ეოფილი ნაძალადევის სახაზინო მიწის აღმოსავლეთით, დაიწეს ტყის გაშენება. დღეს აქ ფტისიატრიული საავადმყოფოა განთავსებული.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გარდა მუშტაიდის ბაღისა, გაშენებული იყო მრავალი მცირე ბაღი. ეოფილ მიხაილოვის ქუჩას ამშენებდა პირამიდული აღვის ხეების მწკრივები, რომლებიც კარგად ერწყმოდა ამ ქუჩაზე განლაგებულ მძივებით აკინძული ბაღების ხშირ ნარგაობებს.

ბოლოს გვინდა მოვიყვანოთ ქობილისში XX საუკუნეში აშენებული ღანდწაფცური ობიექტების ნუსხა, რომელთა დაგეგმარება ეოფილ საბჭოთა ქალაქებში გაერცვლებული საპარკო მშენებლობის პრინციპების საფუძველზე ხორციელდებოდა:

- 1) *მოაწმინდის პლატოზე განთავსებული პარკი ე.წ. ფუნიკულიორის პარკი* – 1938 წელი, ავტორები: შ. ქურდიანი, ნ. ციციშვილი;
- 2) *ვაკის პარკი* – 1956 წელი, ავტორები: ტ. დგებუაძე, ნ. ციციშვილი (ფართობი 102 ჰა);
- 3) *თბილისის ზღვა* – 1951 წელი, ავტორები: ნ. ციციშვილი, გ. ანდრიაძე. (იგი შეიქმნა მდინარე იორის ხეობაში, როგორც სამგორის საბჭოთა მეურნეობის სარწყავი სისტემა, ფართობი 92 ჰა);
- 4) *იორის პარკი* – 1931 წელი ავტორი აგრონომი ამაჯავარიანი (ფართობი 5 ჰა).

2.11. XIX საუკუნის საქალაქო პარკები

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში კაპიტალისტური ფორმაციის დადგომასთან ერთად ევროპაში ძირეულად შეიცვალა ცხოვრების პირობები როგორც ეკონომიკურ სფეროში, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებში.

სწრაფად იზრდებოდა მრეწველობა და ტრანსპორტი, რაც მოითხოვდა მუშახელის მიზიდვას ქალაქებში. ამან გამოიწვია ევროპის ქალაქების მკვეთრი ზრდა მოსახლეობის სტიქიური განსახლებით. ქალაქებს ესაჭიროებოდა გახსნილი სივრცეები და გამწვანება, რაც შეუძლებელი იყო შუა საუკუნეების ქალაქების მჭიდრო განაშენიანების პირობებში. თავდაპირველად დაიწყო გამოუყენებელი მიწის ნაკვეთების

ათვისება, რამაც საფუძველი დაუდო მიტოვებული ტერიტორიების რეკულტივაციის პრობლემის წამოჭრას. ქალაქის ფარგლებში მიწის მაღალი ფასების გამო, ეს მიწები შედარებით იაფი ჯდება. არასწორი კონფიგურაციისა და რთული რელიეფის მქონე მიწის ნაკვეთებზე რეგულარული პარკების მშენებლობა, როგორც ეს ხდებოდა იტალიისა და საფრანგეთში, დიდ სირთულეს წარმოადგენდა, ამიტომ საჭირო გახდა გამწვანების განსხვავებული ხერხის ძიება. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქალაქების სივრცულ სტრუქტურაში, თავისუფალი, ბუნებრივ ხაზებთან მიახლოებული, ლანდშაფტური გეგმარებითი ფორმების ჩასახვა.

ჩვენ უკვე განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა საუკუნის საბადე-საპარკო ნიმუშები. ამ განხილვას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეული მიმართულებებისა და სტილების შესწავლისა და გაგებისათვის, მაგრამ ეს ბალები და პარკები არ იყო შექმნილი მასობრივი მოხმარებისათვის და ამიტომ ისინი არ წარმოადგენდნენ ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ორგანულ ნაწილს. მხოლოდ XIX საუკუნეში ჩნდება საქალაქო პარკები, რომლებიც სივრცულად უკავშირდება ქალაქს. ამ პარკებში ყველაფერი ის, რაც საჭირო და დამახასიათებელია საქალაქო პარკისთვის და აუცილებელი მოსახლეობის მასობრივი დასვენებისათვის.

ქალაქგეგმარების განვითარების იმ ეტაპზე, ევროპული ქალაქების საზღვრების გაფართოებასთან ერთად ჩნდება ახალი ტერიტორიები ბალების, პარკებისა და სკვერების მოსაწყობად. ჩნდება პარკომშენებელთა ახალი სახელებიც: *ჯოზეფ პეკსტონი და ჯონ ვიბსონი (ინგლისი), პიუკლერი (გერმანია), ალფანი და ანდრე (საფრანგეთი), მამა და შვილები ოლმსტედები და იენსენი (ამერიკა)* და სხვ. ისინი პრაქტიკულად არ იყვნენ ქალაქომშენებლები, ამიტომ მათთვის რთული იყო მიესადაგებინათ ლანდშაფტური არქიტექტურის თეორია ქალაქგეგმარების პრობლემებთან.

ახალი პარკების მშენებლობა ევროპულ ქალაქებში მოსახლეობის ინტენსიური ზრდის პირობებში, პარკომშენებელთა წინაშე აყენებდა სხვა სირთულის ამოცანებს, ანუ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ქალაქის მოსახლეობის მრავალმხრივი მოთხოვნები და ინტერესები. პარკის ტერიტორიების მასობრივი გამოყენებისთვის საჭირო გახდა ახალი ქალაქგეგმარებითი ელემენტების შეყვანა საპარკო მშენებლობაში, კერძოდ: სპორტული ბაქნების, სამაყურებლო და გასართობი ნაგებობების, სატრანსპორტო გზების, ავტოსადგომების და სხვა, რაც, თავის მხრივ, მეტად ართულებდა პარკის ტერიტორიის დაგეგმარების ამოცანებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინა საუკუნეებში არქიტექტორი თავის თავში აერთიანებდა როგორც პარკომშენებელს, ასევე ხუროთმოძღვარს. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან ეს ორი სფერო იყოფა. საპარკო ხელოვნებამ, დაკარგა რა დამკვეთი დიდგვაროვანთა წრის სახით, შემოიფარგლა და დავიდა დენდროლოგიური პრობლემების გადაწყვეტამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მცენარეთა აკლიმატიზაციისა და ინტროდუქციის საკითხებმა სწორედ იმ პერიოდში მიაღწია განსაკუთრებულ გაფურცქნას.

ათვისება, რამაც საფუძველი დაუდო მიტოვებული ტერიტორიების რეკულტივაციის პრობლემის წამოჭრას. ქალაქის ფარგლებში მიწის მაღალი ფასების გამო, ეს მიწები შედარებით იაფი ჯდება. არასწორი კონფიგურაციისა და რთული რელიეფის მქონე მიწის ნაკვეთებზე რეგულარული პარკების მშენებლობა, როგორც ეს ხდებოდა იტალიასა და საფრანგეთში, დიდ სირთულეს წარმოადგენდა, ამიტომ საჭირო გახდა გამწვანების განსხვავებული ხერხის ძიება. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქალაქების სივრცულ სტრუქტურაში, თავისუფალი, ბუნებრივ ხაზებთან მიახლოებული, ლანდშაფტური გეგმარებითი ფორმების ჩასახვა.

ჩვენ უკვე განვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა საუკუნის საბადე-საპარკო ნიმუშები. ამ განხილვას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეული მიმართულებებისა და სტილების შესწავლისა და გაგებისათვის, მაგრამ ეს ბალები და პარკები არ იყო შექმნილი მასობრივი მოხმარებისათვის და ამიტომ ისინი არ წარმოადგენდნენ ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ორგანულ ნაწილს. მხოლოდ XIX საუკუნეში ჩნდება საქალაქო პარკები, რომლებიც სივრცულად უკავშირდება ქალაქს. ამ პარკებში ყველაფერი ის, რაც საჭირო და დამახასიათებელია საქალაქო პარკისთვის და აუცილებელი მოსახლეობის მასობრივი დასვენებისათვის.

ქალაქგეგმარების განვითარების იმ ეტაპზე, ევროპული ქალაქების საზღვრების გაფართოებასთან ერთად ჩნდება ახალი ტერიტორიები ბალების, პარკებისა და სკვერების მოსაწყობად. ჩნდება პარკომშენებელთა ახალი სახელებიც: *ჯოზეფ პეკსტონი და ჯონ გიბსონი (ინგლისი), პიუკლერი (გერმანია), ალფანი და ანდრე (საფრანგეთი), მამა და შვილები ოლმსტედები და იენსენი (ამერიკა)* და სხვ. ისინი პრაქტიკულად არ იყვნენ ქალაქომშენებლები, ამიტომ მათთვის რთული იყო მიესადაგებინათ ლანდშაფტური არქიტექტურის თეორია ქალაქგეგმარების პრობლემებთან.

ახალი პარკების მშენებლობა ევროპულ ქალაქებში მოსახლეობის ინტენსიური ზრდის პირობებში, პარკომშენებელთა წინაშე აყენებდა სხვა სირთულის ამოცანებს, ანუ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ქალაქის მოსახლეობის მრავალმხრივი მოთხოვნები და ინტერესები. პარკის ტერიტორიების მასობრივი გამოყენებისთვის საჭირო გახდა ახალი ქალაქგეგმარებითი ელემენტების შეყვანა საპარკო მშენებლობაში, კერძოდ: სპორტული ბაქნების, სამაყურებლო და გასართობი ნაგებობების, სატრანსპორტო გზების, ავტოსადგომების და სხვა, რაც, თავის მხრივ, მეტად ართულებდა პარკის ტერიტორიის დაგეგმარების ამოცანებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინა საუკუნეებში არქიტექტორი თავის თავში აერთიანებდა როგორც პარკომშენებელს, ასევე ხუროთმოძღვარს. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან ეს ორი სფერო იყოფა. საპარკო ხელოვნებამ, დაკარგა რა დამკვეთი დიდგვაროვანთა წრის სახით, შემოიფარგლა და დავიდა დენდროლოგიური პრობლემების გადაწყვეტამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მცენარეთა აკლიმატიზაციისა და ინტროდუქციის საკითხებმა სწორედ იმ პერიოდში მიაღწია განსაკუთრებულ გაფურჩქნას.

XIX საუკუნის პეიზაჟური სტილი არ ჰგავს XVIII საუკუნის რომანტიკულ სტილს. კაპიტალიზმის პრაქტიკულმა საუკუნემ ჩამოაშორა მას ყველაფერი ზედმეტი და სენტიმენტალური. გზების მრუდხაზოვნება ხდება უფრო ნატიფი, მწკობრი, ხეების ჯგუფი უფრო მკვრივი, ნნდება „საქმიანი გზები“, პარკის ტერიტორიის უმოკლესი გზით გადაკვეთისთვის ან „სარტყელური გზები“, რომლებიც პარკის ტერიტორიის შემოვლის საშუალებას იძლევა როგორც ფეხით, ასევე ცხენითა და მარხილით. საპარკო კომპოზიციები ხდება უფრო მკაცრი, პრაქტიკული, აქ ბატონობს „ოქროს შუაღელი“, ნაგებობებიდან შენდება მხოლოდ ფუნქციურად აუცილებელი შენობები და მცირე ფორმები. პარკის ტერიტორიაზე მცენარეთა ასორტიმენტის სიმდიდრე, მათი გემოვნებით გადანაწილების ხერხები, საქალაქო პარკებში სხვადასხვაგვარი პეიზაჟების შექმნის საშუალებას იძლევა, რაც აყალიბებს განაშენიანებისაგან კონტრასტულ გარემოს.

ქალაქებში გახსნილი სივრცეების შეყვანის აუცილებლობამ ქალაქმშენებლების წინაშე დასვა ახალი ამოცანა – გამოძებნილიყო ქალაქის სტრუქტურაში მწვანე სივრცეების ჩართვის ქალაქგეგმარებითი ხერხები. ამასთან დაკავშირებით, მოსახლეობისათვის გაიხსნა ძველი კერძო ბაღები და პარკები, მაგალითად, *ბულონის ტყე, ლუქსემბურგისა და მონსოს ბაღები პარიზში; სამეფო პარკები – სენტ დეემსი, გრინ პარკი, პაიდ პარკი კენსისტონის ბაღით, ჩრდილოეთით რიდჟენს პარკი, სამხრეთით ბეტერსი პარკი, ქალაქგარე პარკები კიუ-რიჩმონდ პარკი, ხემპტონ კოურტი და ბიუჩი პარკი, ლონდონში, ცენტრალური პარკი (3,5კმ X 600 მ-ზე) ვაშინგტონში* და ა.შ. ქალაქში ნნდება ახალი ბულვარები, თავისუფალ ტერიტორიებზე შენდება ახალი პარკები და ბაღები.

საფრანგეთში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ პარიზის ძველი პარკები და ბაღები, რომლებიც ჩართულია ქალაქის სტრუქტურაში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1) *პარკი მონსო* – პეიზაჟური სტილის არცთუ ისე დიდი ზომის მყუდრო პარკი, შექმნილია XVIII საუკუნეში მხატვარ კარმონტელის მიერ. მასში წარმოდგენილია საფრანგეთის გამოჩენილი ადამიანების, მხატვრების, მწერლების და მუსიკოსების სკულპტურები და ბიუსტები.

2) *ლუქსემბურგის ბაღი* – საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი ბაღი როგორც ბავშვებისათვის, ასევე მოზრდილებისთვის. მისი ფართობია 28 ჰა. ეს ბაღიც ასევე მდიდარია საფრანგეთის გამოჩენილ მოღვაწეთა სკულპტურების მთელი სერით.

3) *ბულონის ტყე* – ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარკი პარიზის გარეუბანში. მისი ფართობი 863 ჰა-ს შეადგენს. იგი განთავსებულია პარიზის დასავლეთ ნაწილში, ძველ საფორტიფიკაციო ნაგებობასა და *სენას* შორის. მისი მთავარი შესასვლელია *ავენიუ ფოშის* და *ავენიუ დიადი არმიის* მხრიდან. პარკში მოწყობილია ხელოვნური ტბა

კუნძულებით, კასკადებით, ასევე სათამაშო მოედნები, პავილიონები და რესტორანი. ჯერ კიდევ 1867 წელს მის ტერიტორიაზე აშენებული იყო იპოდრომი. ამ პარკის მშენებლას წარმოადგენს სასახლე „ბაგატელი“ მცირე ზომის ძალიან ლამაზი პეიზაჟური პარკით (24 ჰა), ბულონის ტყის მთელი ტერიტორია დასერილია საავტომობილო და სასეირნო გზებით, რომელთა კუთრი წილი ტერიტორიის საერთო ბალანსში ძალიან მაღალია.

ძველ ინგლისურ პარკებს შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ჰაიდ პარკი, ლონდონში (ფართობი 160 ჰა) მასზე მიკრული კენსინგტონის ბაღით (ფართობი 140 ჰა). ორივე ობიექტის სიგრძე 2,5, სიგანე 1 კმ-ს შეადგენს, ხოლო საერთო ფართობი 300 ჰა. ჰაიდ პარკი ოდესღაც ეკუთვნოდა ვესტმისტერის სააბატოს, ხოლო მოგვიანებით, 1649 წელს, როდესაც მოხდა სამონასტრო მიწების კონფისკაცია, იგი გადავიდა საერთო სარგებლობაში. ჰაიდ პარკისა და კენსინგტონის ბაღის პროექტი შედგენილი იქნა ბრიდჟემენის მიერ 1730 წელს. მისი პროექტით ასევე შედგენილ იქნა დიდი ტბორი სახელწოდებით სერპანტინი. 1851 წ. ჰაიდ პარკში მოეწყო პირველი მსოფლიო გამოფენა, რომლის ორგანიზატორი იყო დელოფალ ვიქტორიას მეუღლე პრინცი ალბერტი. ამ გამოფენის მოწყობას ასევე ხელი შეუწყო 1754 წელს დაარსებულმა „ხელოვნების საზოგადოებამ“. ამ გამოფენის ძირითადი იდეა იყო ერთ სივრცეში თავი მოეყარათ სხვადასხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა ხალხების მრეწველობისა და ხელოვნების ნიმუშებისთვის.

ამ გამოფენისთვის სპეციალურად აშენდა შუშისა და ლითონის გრანდიოზული შენობა (ფართობი 7ჰა), ცნობილი „ბროლის სასახლის“ სახელწოდებით. შენობა ძალიან წააგავდა ორანჟერეას, რადგან წარმოადგენდა ერთიან შემინულ სივრცეს ტიხრების გარეშე. ამ შენობის ავტორი გახლდათ ჯოზეფ პეკსტონი. პეკსტონმა შენობის ასაშენებლად გამოიყენა მის მიერ გამოგონებული და სრულყოფილი ანაკრები კონსტრუქციები. შენობა წარმოადგენდა დროებით ნაგებობას, ამიტომ გამოფენის დასრულების შემდეგ იგი იქნა დაშლილი და გადატანილი ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში, ხოლო მოგვიანებით სრულიად განადგურდა ხანძრის შედეგად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯოზეფ პეკსტონის დამოკიდებულება ჰაიდ პარკის ნარგავების მიმართ, კერძოდ ცნობილია, რომ ორი ასწლიანი თელა, მათი შენარჩუნების მიზნით, მოყოლებული იყო შენობის პერიმეტრში გადახურვის ქვეშ. ნიშანდობლივია ისიც, რომ იმ პერიოდში ინგლისის პარლამენტის მიერ აკრძალული იყო ხეების მოჭრა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი რუსი ფილოსოფოსის, ისტორიკოსის და ლიტერატორის ა.ს.ხომიაკოვის გამონათქვამი. მას შემდეგ, რაც მან მოინახულა ეს გამოფენა, იგი წერდა: “ის, რაც შენდება, ვაღდეგებელია პატივი სცეს იმას, რაც იზრდება”. ბროლის სასახლის გამოსენით აღინიშნა თავისებური გადატრიალება არქიტექტურის ისტორიაში, კერძოდ, შენობის არქიტექტურული სახის ნამოყალიბებაში წინ წამოიწია ინჟინერ-კონსტრუქტორის როლმა.

კენსინგტონის ბაღის სამხრეთ საზღვარზე განთავსებულია *ალბერხოლის* შენობა, რომლის სამაყურებლო დარბაზი 10 ათას მაყურებელს იტევს. ჰაიდ პარკში დიდი გახსნილი სივრცეებია, რომელთაც მიტინგების ჩასატარებლადაც იყენებენ, ასფალტირებული ბაქანი კი ცნობილია *სპიკინგ-კორნერის* სახელწოდებით (ანუ ორატორების კუთხე) – ადგილი, სადაც ხშირად ტარდება მიტინგები და შეკრებები. პარკი ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია საცხოვრებელი განაშენიანებით. იგი ჩართულია ქალაქის ორგანიზმში და მასში შეყვავართ მრავალრიცხოვან გზებს. პარკის ტერიტორიაზე ნაგებობები ცოტაა, ძირითადად მას იყენებენ სასეირნოდ და დასასვენებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში ჩნდება ახალი ტიპის საქალაქო პარკები და ბაღები. XIX საუკუნის საქალაქო პარკის ტიპურ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პარკი, *ბიუტ-შომონი*, რომლის ტერიტორია 25 ჰა-ს უდრის. იგი მანამდე წარმოადგენდა უდაბნოს პარიზის საზღვრებს გარეთ, სადაც შუა საუკუნეებში იდგა სახრჩობელა, მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე იყო კარიერები, შემდეგ კი იგი სანაგვე ადგილად გადაიქცა.

1864–1867 წლებში არქიტექტორებმა *ალფანმა*, *ბარელიემ*, *დემანმა* და *ანდრემ* ამ ადგილზე გააშენეს თვალწარმტაცი პარკი, რომლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს ტბა და მის ნაპირზე აღმართული ბორცვი. ბორცვის ღამაზი კლდოვანი ნაპირი დაფარულია მხვიარა მცენარეებით, ღელეებით და ჩანჩქერებით. ბორცვის სიმაღლე 50 მეტრია და მის თავზე დგას როტონდა, საიდანაც იხსნება შესანიშნავი ხედი პარიზზე. როტონდას გარდა პარკში კიდევ არის ორი ბელვედერი, სამი კაფე და რამდენიმე სახლი დარაჯისა და მებაღეებისათვის. პარკის ძირითად მშენებმა მისი ხეებია. კერძოდ: ჭადარი, ფიჭვი, ვერხვები, რომლებიც ქმნიან შესანიშნავ კომპოზიციებს ხავერდოვანი გაზონების ფონზე. პარკის განაპირას ამ ხეების ჯგუფების სიმკვრივის წყალობით იგი იმდენად მყუდროა, რომ არ იგრძნობა ასეთი დიდი ქალაქის სიახლოვე.

დაახლოებით იმავე პერიოდში ლონდონში შენდება მთელი რიგი ახალი პარკები, რომლებიც ავსებენ ამ პერიოდისთვის საზოგადოებრივ სარგებლობაში გახსნილ სამეფო პარკების სისტემას. ერთ-ერთი ასეთი ახალი პარკი, რომელიც აშენდა ლონდონში, იყო *ბეტერსი პარკი*, რომლის ავტორია *ჯონ გიბსონი*. მიუხედავად იმისა, რომ პარკს შედარებით დიდი ტერიტორია უკავია (79,6 ჰა), მისი დაგეგმარების პრინციპი ისეთივეა, როგორც ბიუტ-შომონის. იგი განთავსებულია ტემზის ნაპირას და შემოსაზღვრულია სამი მხრიდან განაშენიანებით. ამ პარკს აქვს, როგორც გადამკვეთი, ასევე გარშემოსასვლელი გზები, გამიზნული ფეხით და ცხენით გასეირნებისათვის.

საქალაქო პარკების თავისებური გადაწყვეტაა მოცემული XIX საუკუნის ცნობილი პარკმშენებლის *ედუარდ ანდრეს* ნამუშევრებში. მის მიერ შექმნილია ძალიან ბევრი პარკი ნატურაში არა მარტო საფრანგეთში, არამედ რუსეთშიც (პარკი *ოტრადა ქ. სერპუხოვოსთან* ახლოს). ედუარდ ანდრემ შექმნა თავისებური სტილი პარკისა, სადაც

მოელი გეგმარება ექვემდებარება გეომეტრიული მრუდებისა და წრეების გარკვეულ სისტემას. ეს თავისებური რეგულარობაა არარეგულარობისა. ედუარდ ანდრეს პარკების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს სეფტონ პარკი ლივერპულში (156 ჰა). ამ პარკის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს ელიფსების, წრეების და მრუდების მოელი სისტემა. ეს მრუდები მათი დიდი ზომების წყალობით (ცენტრში განთავსებული მდელის დიამეტრი 400 მეტრია), ნატურაში არ ტოვებს გეომეტრიული მრუდის შთაბეჭდილებას. გეგმაზე გარკვეულწილად უსიამოვნო არაბუნებრიობა, ტერიტორიის რაციონალური გამოყენების წყალობით, ნატურაში არ აღიქმება. მიუხედავად ამისა, ედუარდ ანდრეს თანამედროვენი აკრიტიკებდნენ. მათი აზრით – „თავისებური“ რეგულარობა არარეგულარობისა, დაფარული „ხელოვნურობა“ ანდრეს პარკებისა უფრო მომაბეზრებელია, ვიდრე სიმეტრიული ხაზები რეგულარული პარკისა“. მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, ამ პარკის გეგმარება მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ პირველად არის წარმოდგენილი ტერიტორიის ზონირება. პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები: კრიკეტის სათამაშო მოედნები, რესტორანი, მუსიკალური პავილიონი, ბოტანიკური ბაღის დამოუკიდებელი სექტორი სათბურებით, ორანჟერეები, აკვარიუმები და ბასენები, რომლებიც ქმნიან პარკის ახალ ტიპს, რომელიც გამიზნულია მოსახლეობის მრავალმხრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად.

2.12. XX საუკუნის საქალაქო პარკები

ღანდშაფტური ხელოვნების თანამედროვე მიდგომასთან ყველაზე ახლოსაა ამერიკის შესანიშნავი პლეადის ნამუშევრები, რომელთაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში შექმნეს საინტერესო და დიდი მასშტაბის საქალაქო პარკები.

ამერიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი. შექმნილია XIX საუკუნის შუა პერიოდში ცნობილი ღანდშაფტის არქიტექტორის ოლმსტედ უფროსის (მამის) პროექტის მიხედვით. პარკის პროექტი შედგენილი იყო ღანდშაფტური პარკებისათვის დამახასიათებელი კანონებით და გათვალისწინებული მასობრივი მოხმარებისათვის. ეს პეიზაჟური სტილის პარკი, ფართობით 340 ჰა, მოიცავს წყალსატევების, სპორტული ბაქნების და დასასვენებელი მოედნების მთელ სისტემას.

ძებმა ოლმსტედებმა (შვილებმა) XX საუკუნის დასაწყისში (1908-1909) დააპროექტეს მოელი რიგი ახალი პარკები ნიუ-იორკში. განსაკუთრებით საინტერესოა ჯეკსონ პარკი მიჩიგანის ტბის პირას (217 ჰა) და ვაშინგტონ პარკი (148 ჰა) ნიუ-იორკის სამხრეთ საპარკო სისტემაში.

ჯეკსონ პარკის კომპოზიციურ საფუძველს წარმოადგენს ტბა, ღამაზი მრუდხაზოვანი ნაპირითა და მრავალრიცხოვანი განშტოებებით, რომლებიც ქმნიან წყლის საინტერესო ზედაპირს. მიმდებარე საცხოვრებელი განაშენიანების მხრიდან

მოწყობილია მრავალრიცხოვანი შესასვლელები. პარკში უამრავი სათამაშო და სპორტული მოედანია. ერთ-ერთი ყურე გამოყენებულია იალქნიანი ნაგების დოკად. პარკის სამხრეთ საზღვართან განთავსებულია ერთადერთი მრავალფუნქციური ნაგებობა.

ვაშინგტონ პარკის კომპოზიციურ საფუძველს წარმოადგენს გრანდიოზული მასშტაბის მინდორი. არაჩვეულებრივი სისადავით არის გადაწყვეტილი ვაშინგტონ პარკის გეგმარება - პერიმეტრზე განთავსებულია ძირითადი გზები ე.წ. „გარშემოსავლელები“, რომლებიც ქმნის პარალელური გზების ჯგუფს. ამ გზებზე ხორციელდება მომსვლელთა ძირითადი ნაკადის გადაადგილება. მათ უერთდება გზები, რომლებიც კვეთენ პარკის მთელ ტერიტორიას. ყველა გზა გადის ინტენსიურ გამწვანებაში, რომლებიც ტყის მასივს მოგვაგონებენ, ამასთან გამწვანებისაგან სრულიად თავისუფალია პარკის ცენტრალური ბირთვი - მინდორი, რომელიც წარმოადგენს ძირითად ადგილს დასვენებისა და თამაშობებისათვის. მინდორზე არ არის გზები და მოძრაობა ხორციელდება პირდაპირ ბალახზე, მისი ფართობი 40 ჰა-ს შეადგენს. პარკის მეორე ნაწილში წამყვანი ადგილი უჭირავს დანაწევრებული კონტურის მქონე წყალსატევს. მიუხედავად წყალსატევის მასშტაბურობისა, იგი არ გვეჩვენება დიდი მისი დანაწევრებული ნაპირის წყალობით, ამიტომაც ვერ ეპაექრება დიდი მინდორის დომინირებულ ადგილს პარკის საერთო კომპოზიციურ გადაწყვეტაში. თანამედროვე ლანდშაფტის არქიტექტორების აზრით სწორედ ასეთი მასშტაბი არის ახლოს თანამედროვე უმსხვილესი ქალაქების საპარკო მასშტაბთან.

არანაკლებ საინტერესოა ამერიკაში მოღვაწე წარმოშობით დანიელი ლანდშაფტის არქიტექტორის იენსენის შემოქმედება. მის პირველ ნამუშევრებს მიეკუთვნება პარკები ჩიკაგოს დასავლეთ საპარკო სისტემაში - კოლუმბუს პარკი და ხუმბოლდ პარკი, რომლებიც გამსჭვალულია იდეით, მისცენ ქალაქს ბუნების ჯანმრთელი სილამაზე, შექმნან მწვანე ოაზისები ქალაქურ გარემოში. მისი ნამუშევრები თითქოს გამოხატავენ ბუნებრივი ლანდშაფტის გამარჯვებას ქალაქური განაშენიანების უსახობაზე. იენსენი თავის პარკებში ფართოდ იყენებს ხეხილოვან მცენარეებს, მაგალითად: გარეული ჯიშის ვაშლის, კუნელის, ქლიავის, ალუბლის და სხვ., რომელთა მსხვილი ჯგუფები ავარაყებენ ტყის ნაპირებს. ადგილობრივი ენდემური ჯიშის ყვავილები და ასკილი იზრდება ყველგან.

იენსენის ამოცანა იყო, უარი ეთქვა სხვა, ქვეყნის მცენარეებზე. პარკის ყველა მცენარე შეესაბამება ადგილობრივ კლიმატურ პირობებს, გეოგრაფიასა და სათანადო ჯგუფებად არის გაერთიანებული.

იენსენის პარკები არ წარმოადგენს ბუნების სრულ ასლს, არამედ ისინი ხელოვნების დასრულებული ნაწარმოებებია. ეს პარკები აგებულია ორგანული კანონების ცოდნაზე და დაფუძნებული შეგნებულ შემოქმედებით წარმოსახვაზე. იენსენის პარკებისათვის დამახასიათებელია სისადავე და სივრცის იდეა. ჩიკაგოს საქალაქო პარკების სისტემაში

ყოველი მათგანი გათვალისწინებულია მასობრივი მოხმარებისათვის და მისი მიზანია შეუქმნას ადამიანს მოხერხებული პირობები დასვენებისათვის. მასში გათვალისწინებულია უზარმაზარი სადგომები მანქანებისათვის, დიდი მდელოები დასვენებისათვის, კეთილმოწყობილი პლაჟები წყალსატევებთან, ანუ ყველაფერი ის, რაც მთლიანობაში ქმნის ქალაქურ გარემოში ჯანსაღი დასვენების შესაძლებლობას.

იმავე პერიოდში, ევროპაში დასვენების პირობების გაუმჯობესების მიზნით, ჩნდება კიდევ ერთი ახალი ელემენტი, კერძოდ, დასასვენებელი ტყე-პარკები ქალაქის სიახლოვეში. პირველი ასეთი ტყე-პარკის მშენებლობა დაიწყო XX საუკუნის პირველ ნახევარში. 1934 წელს ამსტერდამში და შემდგომში გავრცელება პოვა სხვა ქვეყნებში. ამსტერდამის ტყე-პარკის, ავტორია კორნელიუს ვან ესტერნი.

ავტორის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შეექმნა დასვენების პირობები მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელთაც არ გააჩნდათ დასვენების სხვა საშუალება. პარკის მშენებლობა დაიწყო სრულიად ხრიოკ ტერიტორიაზე, ჭაობიან ადგილზე, რომელიც სადრენაუო მიწების საშუალებით იქნა დაშრობილი. ეს ტყე-პარკი ლანდშაფტის რეკულტივაციის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია. პარკს უჭირავს 895 ჰა და დაყოფილია ზონებად. პარკის ტერიტორია ათვისებული იქნა შემდეგნაირად: 400 ჰა უჭირავს გამწვანებას; 200 ჰა გამოყოფილია სპორტისათვის; 100 ჰა უკავია მდელოებს სხვადასხვა თამაშებისათვის, დანარჩენი კი - გზებს, მანქანების სადგომებს, და წყალსატევებს. სანაოსნო სპორტისათვის შექმნილია 2 კმ-იანი არხი და ტბების მთელი სისტემა. ერთ-ერთი დიდი მდელო 300 მეტრის დიამეტრით სხვადასხვა თამაშებისათვის. ტბის ნაპირზე ჭაობის დასაშრობად 300 კმ-ზე ჩაყრილ იქნა სადრენაუო მიწები, რისთვისაც ამოღებულ იქნა მიწა, ხოლო მიწით შექმნილი იქნა ხელოვნური ბორცვები, რამაც განაპირობა თავისებური მიკრორელიეფის შექმნა პარკის ტერიტორიაზე. ხელოვნური ბორცვის ფერდობზე, რომლის ფუძე 20 ჰა-ს უდრის, ხოლო სიმაღლე 15 მეტრს, ერთ ფერდობზე მოწყობილია დია თეატრი, ხოლო მეორეზე სათხილამურო ტრასა. პარკის ტერიტორიაზე ნაგებობები ძალიან ცოტაა - მწვანე თეატრი, კაფე, რესტორანი, საბავშვო სექტორში საჩრდილობლები, ხიდები და სხვა მცირე არქიტექტურული ფორმები. დეკორატიული ნარგავები თითქმის არ არის, მხოლოდ შევხვდებით მათ კაფესთან და რესტორანთან. მთელი ტერიტორია ძირითადად გამწვანებულია დიდვარჯიანი ხეებით. ამ ტყე-პარკის დაგეგმარების პრინციპი აგებულია გამსხვილებულ ზონებად ტერიტორიის რაიონირებაზე. ტყეს ენაცვლება დიდი მდელოები, წყალსატევები, მოედნები სპორტული ღონისძიებებისთვის. წყალსატევებს იყენებენ სპორტული შეჯიბრებების, ბანაობისა და თევზაობისათვის.

ასეთი საპარკო მასივების მშენებლობა ქალაქგარე ტერიტორიებზე ხორციელდებოდა ბევრ ევროპულ ქალაქში. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალური იყო საბჭოთა ქალაქმშენებლობაში. XX საუკუნის შუა პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა საბჭოთა ქალაქების როგორც შიდასაქალაქო, ასევე ქალაქგარე

ტერიტორიების გამწვანება. მაგალითად, იმ პერიოდში გამწვანდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია და ქალაქის შემოგარენი, სადაც დაგეგმილი იყო დასვენების ზონების შექმნა. გამწვანდა ქ. ერევნის გარეუბნები მდინარე რაზდანის ხეობა და ერევნის ტბის ნაპირები. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობდა ქალაქში გრილი ჰაერის მასების შემოსვლას და ითვალისწინებდა სარეკრეაციო ტერიტორიების გაფართოებას.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პერიოდში მის ქალაქებში გაჩნდა მსოფლიო ქალაქგეგმარებითი პრაქტიკისთვის თავისი დანიშნულებით, სრულიად ახალი მწვანე ნარგავთა კატეგორიები. ყველაზე მნიშვნელოვანი და განსხვავებული მათ შორის იყო კულტურისა და დასვენების პარკი (კაპ). ამ ახალი სოციალისტური ტიპის საქალაქო პარკის შექმნის ძირითადი იდეა იყო ის, რომ პარკი ყოფილიყო არა მარტო ღამაში თავისი შადრევნებით პეიზაჟებით, საჩრდილობლებით და გასართობი მოწყობილობებით, არამედ მას უნდა ჰქონოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი დატვირთვა. მოსახლეობისთვის პარკში უნდა განთავსებულიყო მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ჯგუფები და წრეები ანუ უნდა შექმნილიყო მწვანეში ჩაფლული თავისებური კლუბი ღია ცის ქვეშ.

კიდევ ერთი ახალი ელემენტი ქალაქის გამწვანების სისტემაში, რომელიც გაჩნდა იმ პერიოდში, იყო სპეციალიზებული საბავშვო პარკი. პირველი საბავშვო პარკი გაიხსნა 1936 წელს მოსკოვში. ამ პარკს ეკავა 3 ჰა ტერიტორია და მასში მოწყობილი იყო სხვადასხვა სახის სათამაშო და სპორტული მოედნები ბავშვებისათვის.

ბევრი რამ კეთდებოდა აგრეთვე საბჭოთა ქალაქების სამრეწველო ზონების ფაბრიკებისა და ქარხნების ტერიტორიების გამწვანებისა და კეთილმოწყობის საქმეშიც. XX საუკუნის მეორე ნახევარში სსრ კავშირის ქალაქების გამწვანების სისტემა გამდიდრდა ახალი მსხვილი ელემენტით – მასობრივი დასვენების ზონით. ეს ზონა ეწყობოდა ქალაქგარე გამწვანებულ ტერიტორიებზე, ხშირად წყალსატევების მახლობლად. მასობრივი დასვენების ზონებში შენდებოდა პანსიონატები, სხვადასხვა სახის სპორტული ნაგებობები, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები. კემპინგები, საკარვო ბანაკები. ასეთი ზონებში გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ეპიზოდური დასვენება, weekend-ებზე.

XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საინტერესო და თვითმყოფადი პარკის ნიმუშია პარკი გუელი, აშენებული ბარსელონაში ცნობილი ხელოთმოდგერის ანტონიო გაუდის (1852 -1926) მიერ.

ამ პარკის მშენებლობის ისტორია დაკავშირებულია დონ ეუსებო გუელის დიდ ჩანაფიქრთან, ბარსელონადან 20 კმ-ში აეშენებინა დასახლება საფეიქრო ფაბრიკის მუშებისათვის, ეკლესიითა და ბაღით. ინგლისში მოგზაურობის შემდეგ გუელმა გადაწყვიტა აეშენებინა ქალაქი-ბაღი, რისთვისაც შეიძინა 14 ჰა ტერიტორია მთის ფერდზე, რომელიც მაშინ ბარსელონას გარეუბნად ითვლებოდა, დღეს იგი უკვე ქალაქის სტრუქტურაშია ჩართული. ამ ჩანაფიქრიდან განხორციელდა მხოლოდ 2

სახლი, სამრეკლო და პარკი. მოგვიანებით გუელმა ქალაქის მშენებლობაზე უარი თქვა. მართალია, პარკი წარმოადგენდა მთლიანი იდეის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, მაგრამ მისი სრულად განხორციელება მაინც მოხერხდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ქალაქმა იყიდა პარკი გუელი, რის შემდეგაც იგი ტურიზმის მნიშვნელოვანი და ყველაზე პოპულარული ობიექტი გახდა. პარკის ნახვის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მისი შენახვა და მოვლა ქალაქის მესვეურების მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. პარკი გუელი ლანდშაფტური არქიტექტურის უნიკალური ნაწარმოებია და სივრცული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

XX საუკუნის ბოლოს პარიზი იქცა თანამედროვე არქიტექტურის ექსპერიმენტულ პოლიგონად, სადაც არსებულ საქალაქო ქსოვილში აშენდა მონუმენტებიდან დაწყებული ავანგარდული ჩანართებით დასრულებული მრავალრიცხოვანი შენობა. 1980-იან წლებში პარიზი გამდიდრდა გრანდიოზული პარკებით, მუზეუმებით, საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულებებით, საგამოფენო დარბაზებით, მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი კვარტალებითა და ოფისებით.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელმაც ამგვარი ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტი გახადა შესაძლებელი, იყო საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსების სერია, რომლებიც დაგვირგვინდა პარიზში და მის შემოგარენში 1989 წელს ექვსი დიდი ახალმშენებლობების გახსნის ცერემონიალებით. ამ გრანდიოზული პროექტების განხორციელებას საფრანგეთში პრეზიდენტ *მიტერანის* სახელთან აკავშირებენ, თუმცა უდიდესი ძალისხმევა ამ მხრივ გასწია პარიზის მერმა *ჟაკ შირაკმა*. შირაკის ადმინისტრაციამ გარკვეულწილად დაამუხრუჭა მოდერნისტული არქიტექტურის უკიდურესობით გამოწვეული საშიშროება, რომელიც ახალი საცხოვრებელი ზონების ფართომასშტაბიან ექსპანსიას მოჰყვებოდა და შეეცადა ქალაქის გენერალური გეგმის რეორგანიზაცია მოეხდინა. „არსებული საქალაქო ქსოვილის ტრადიციული და პარიზული ხასიათის შენარჩუნების გზით“, თუმცა შირაკის ეს მიდგომა სულაც არ მიუთითებდა მის კონსერვატიზმზე. იგი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ უნდა შენარჩუნდეს მხოლოდ კარგ კონდიციაში მყოფი შენობები, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი შესანახია. იგი წერდა: „თითოეულმა პერიოდმა უნდა დატოვოს საკუთარი კვალი ქალაქზე“. შედეგად ისტორიული პარიზი დაიყო კვარტალებად, სადაც შენარჩუნდა ჯანმრთელი კონტექსტი, ქალაქმა დაანება თავი ფართო ავტოსტრადების მშენებლობას ცენტრში, რითაც გადაარჩინა ქუჩათა არსებული ქსელი; კვარტალის ფარგლებში ახალმშენებლობების წარმოება შესაძლებელი იყო იმ პირობით, რომ ახალ ნაგებობებს კვარტალის შუაგულში ბაღების და საზოგადოებრივი ფუნქციების განლაგება მოჰყვებოდა და ასეთი პირობები მოეთხოვებოდა ახალმშენებლობებს პარიზის გარეუბნებში. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი ახალი ობიექტი, როგორცაა: პარკი ლა ვილეტი, რომლის ავტორია *ბერნარდ ჯუმი*, პირველი

დეკონსტრუქცივისტული პროექტი ლანდშაფტურ დაპროექტებაში, რომელიც 1 პრემიით დაჯილდოვდა 1982 წლის დეკემბერში.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში არქიტექტურაში გაჩნდა ახალი მოვლენა ეს არის „დეკონსტრუქციული არქიტექტურა“, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით შემოიჭრა არქიტექტურულ გარემოში. ეს არის განსხვავებული, ახლებური, გარკვეულ წილად ავანგარდულიც – საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სტრუქტურული იდიომების, თეორიული პოსტულატების და ტექტონიკური კანონზომიერებების შეგნებულ, ჩაფიქრებულ და დამაჯერებელ დარღვევაზე დამყარებული ფილოსოფიურ სივრცობრივ შეხედულებათა სისტემა. დეკონსტრუქცია ახალი მხატვრულ-სივრცობრივი, უფრო ხშირად კი სკულპტურული ფორმებით მანიპულირებს. დეკონსტრუქცია ორი საწყისით იკვებება: ფილოსოფიურით და თავად არქიტექტურულით.

ლა ვილეტის პარკის ტერიტორია ძალიან ვრცელია და დასერილია გამწვანებული საქვეითო გზების რეგულარული ბადით, რომლის თითოეულ გადაკვეთაზე ბერნარ ჩუმმა დასვა წითელი ფერის ლითონის კონსტრუქციის უფუნქციო, შოკში ჩამგდები „ფოლიოები“. პარკის შესასვლელში დადგმულ ფოლიოში ჩასმულია საინფორმაციო სტენდი პარკის ტერიტორიის დაგეგმარების სქემით. დანარჩენი ფოლიოების ფუნქციები, ჩუმის აზრით, მომავალში განისაზღვრება დამქირავებლის ან მესაკუთრის მოთხოვნების შესაბამისად. პარკის ტერიტორიაზე ჩუმმა გამოყო მცირე ზომის ტერიტორია, სულ 3000 მ² ბაღის ასაშენებლად. ამ მიზნით მან მოიწვია ფრანგი ლანდშაფტის არქიტექტორი – ალექსანდრე შემეტოფი. ბაღი განთავსებულია რამდენიმე დონეზე, ამიტომ ბაღის ტერიტორიაზე ჭარბადაა გამოყენებული საყრდენი კედლები და მოწყობილია საქვეითო ხიდები. ამ ხიდების საშუალებით ხორციელდება კავშირი ბაღის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებთან. ძირითადი დამაკავშირებელი ხიდის კონსტრუქციაში სრულიად აშკარად არის შეთავსებული საკანალიზაციო მილი. ბაღი გამწვანებულია ძალიან მქნხერად და ძირითადად გამოყენებულია ბამბუკის ხეები, რომლებიც შემეტოფმა სპეციალურად ჩამოიტანა ანდუზიიდან. მიწის ზედაპირი დაფარულია თეთრი და ზოგ ადგილას მუქი ფერის ქვებით. ლა ვილეტის პარკის ტერიტორიაზე აშენებულია გრანდიოზული მასშტაბის *ქრისტიან დე პოდზამპარკის* მუსიკის სასახლე, რომელსაც ამ ნამუშევრისათვის პრიცკერის პრემია მიენიჭა.


XX საუკუნის ბოლოს პარიზს შეემატა კიდევ ერთი მცირე ზომის პარკი, მაგრამ ძალიან საინტერესო მისი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტით. იგი დაპროექტებულ იქნა პარიზის ერთ-ერთ ახალ რაიონში *დეფანსში*. პროექტის ავტორია არქიტექტორი *სგარდი*. პარკის თავისებურებაა რელიეფის სრული გარდაქმნის საფუძველზე შექმნილი ხელოვნური ბორცვებისა და ტბების კომპოზიციები. მის ტერიტორიაზე ერთადერთი ნაგებობა, კულტურის სასახლეა განთავსებული.

იაპონური საბაღო ხელოვნების გავლენა ევროპულ საბაღო ხელოვნებაზე პირველად საგრძნობი გახდა XX საუკუნეში. იგი გამოიხატა არა მარტო მშრალი

ლანდშაფტის ბაღების და აბსტრაქტული ხასიათის ქვის კომპოზიციების გავრცელებაში, არამედ თანამედროვე არქიტექტურისა და საბაღე-საპარკო ხელოვნების მხატვრულ-ფილოსოფიური პრინციპების ჩამოაყალიბებაში. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იაპონური ბაღის ფილოსოფიამ სხვა ქვეყნებში სრულად მაინც ვერ მოიკიდა ფეხი და ყოველი მცდელობა მხოლოდ ეპიზოდურ და ფრაგმენტულ ხასითს ატარებდა.

XX საუკუნის შუა პერიოდის იაპონური ბაღის ტიპურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს *კენზო ტანგეს ტბის ბაღი*, რომელიც აშენდა 1958 წელს კაგავას პრეფექტურის შენობის წინ *ტაკამატუში*. ბაღი ასრულებს ორმაგ ფუნქციას – საზოგადოებრივი მოედნისა და სცენის, ღია ცის ქვეშ წარმოდგენების მოსაწყობად. საგულისხმოა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან და დღემდე იაპონიაში ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ბაღს, რომელშიც ბატონობს დამუშავებული ქვის კომპოზიციები. უხეშად დამუშავებული ქვის შეყვანა ბაღის კომპოზიციაში და ცალკე მდგომი ქვის გამოყენება, როგორც სკულპტურის, ეს რადიკალურად ახალი ხერხი იყო XX საუკუნის იაპონურ საბაღე ხელოვნებაში. მოგვიანებით, დამუშავებულ ქვასთან ერთად გამოყენება პოვეს ლითონმაც, პლასტიკმა და სხვადასხვა სინთეტიკურმა მასალებმაც. სწორედ ამ ტიპის ბაღი დააპროექტა არქიტექტორმა *ხასაგავა იტსუკომ, ფუძიავაში, სონანდაის კულტურის ცენტრში*. მან ბაღის ძირითად ესთეტიკურ პრინციპად გამოიყენა „*მეორე ბუნების*“ შექმნის ხერხი და ხელოვნური ნაკადულის ნაპირზე დასვა სტილიზებული *ხეების ფორმის ლითონის ობიექტები*. მსგავსი ხერხის გამოყენებით შეიქმნა კიდევ ერთი ბაღი *კიოტოში, საფეიქრო კომპანიის* შენობის შიდა ეზოში, სადაც განთავსებულია მცირე ზომის ნატურალისტური, პლასტიკური კომპოზიცია – *გამხმარი ხეები, დაფარული ვერცხლისფერი საღებავით*.

მართალია, იაპონური ბაღის კომპოზიციაში მოგვიანებით გაჩნდა სინთეტიკური მასალაც და ლითონიც, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ბუნებაში განთავსებულ ბაღს, არამედ ეს არის აზრით დაბადებული ბაღის „*ეგოცენტრული*“ პროექცია. ახალი ტიპის ბაღს თითქოს უკვე აღარ უნდა გაიმეოროს ბუნება და იგი გამოხატავს არქიტექტორის სურვილს, შეიტანოს მასში თავისი ნების გამომხატველი ინდივიდუალობის ანაბეჭდი.



თავი III



ქალაქის გამწვანების სინჯობები და
მათი გარემოსდაცვითი თანხების

მთავარი მიზანია ქალაქის გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი სილამაზისა და კომფორტის უზრუნველყოფა.

3.1. ქალაქის ლანდშაფტი

ქალაქი, როგორც სპეციფიკური ტიპი ანთროპოგენური ლანდშაფტისა, ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. ამავე დროს, სწორედ ლანდშაფტური გარემო განაპირობებს მთელი რიგი ქალაქების არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურის და მისი სივრცული კომპოზიციის თავისებურებებს. თანამედროვე ქალაქის გარემო იმ გლობალური გარემოს სპეციფიკური სახეა, სადაც მოჭარბებულად არის კონცენტრირებული ანტროპოგენური ელემენტები. ამიტომ ადამიანისა და გარემოს ურთიერთგავლენის პროცესი აქ უფრო მძაფრად ვლინდება.

ხუთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც აყალიბებს გარემოს ბუნებრივ ლანდშაფტს, მონაწილეობას იღებს ქალაქის ლანდშაფტის ფორმირებაშიც, თუმცა მნიშვნელოვნად სახეშეცვლილი. თავისებურებები კი, რომლებიც იწვევს ამ ცვლილებებს, პრაქტიკულად შესწავლილი არ არის.

თანამედროვე მსხვილი ქალაქების უმეტესობა განთავსებულია შედარებით სწორი რელიეფის მქონე ტერიტორიებზე და, სანამ განაშენიანება იყო დაბალსართულიანი, რიგი კანონზომიერებანი, რაც სწორი რელიეფის მქონე ბუნებრივი ლანდშაფტებისთვის იყო დამახასიათებელი, ვრცელდებოდა ქალაქურ გარემოზეც. დღეს ჩვენ ვიცით ისეთი ქალაქები, სადაც განაშენიანების სიმაღლე 100–150 მეტრს და ზოგჯერ უფრო მეტსაც აღწევს. როგორც ჩანს აქ ირღვევა სწორედ ის წონასწორობა, რაც სწორი რელიეფისათვისაა დამახასიათებელი და თავს იჩენს მთის რელიეფისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, მაგალითად, როგორც ბუნებრივ მთის ლანდშაფტში, დღისით შენობების „მწვერვალები“ ხურდება და ღამით დღის განმავლობაში მიღებულ სითბოს გამოსცემენ. ამასთან მთის რელიეფისაგან განსხვავებით სითბოს ცვალებადობის პროცესი ქალაქებში გართულებულია იმით, რომ შენობები, თავის მხრივ, გამოყოფს დამატებით სითბოს, რომელსაც იღებს სხვადასხვა წყაროებიდან (გათბობა, განათება და სხვ.). ამიტომ ქალაქში ტემპერატურა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური კლიმატური სარტყელის სხვა ბუნებრივ გარემოში.

სწორედ ეს მოდიფიკაციები ქმნის ქალაქის კლიმატს, რომლისათვისაც დამახასიათებელია ისეთი თავისებურებები, როგორებიცაა: სუსტი ქარების გაძლიერება, ძლიერის შესუსტება, ჰაერის მასების ტურბულენტურობის მომატება, საშუალო ტენიანობის შემცირება, წვიმების სიხშირე, უფრო ხშირი და მკვრივი ნისლი და სხვ.

ზოგადად თუ განვიხილავთ ამა თუ იმ მხარის კლიმატურ ფაქტორებს (ჰაერის ტემპერატურა, შეფარდებითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობა, მზის რადიაცია და სხვ.), ისინი იქმნებიან ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ზეგავლენით. კლიმატური ფაქტორების მაჩვენებლების ცვალებადობა დიდადაა დამოკიდებული ადგილის რელიეფზე, ექსპოზიციაზე, ტყის მწვანე საფარზე (ქალაქის პირობებში მწვანე ნარგავთა რაოდენობაზე), ნიადაგის ხასიათზე, წყალსატევებზე და სხვა ადგილობრივ პირობებზე. დასახლებული ადგილის მიკროკლიმატის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს

განაშენიანების ხასიათი, განაშენიანების სიმჭიდროვე, შენობათა სიმაღლე, ქუჩების ტროტუარების, მოედნების სივანე, მიმართულება, ტიპი და სხვ.

ქალაქის ატმოსფეროს ქიმიური შედგენილობა დაბინძურებულია სხვადასხვა სახის ნაწილაკებითა და გამონაბოლქვით. გაჭუჭყიანებული ჰაერის ლინზები დიდხანს ჩერდება ქალაქის თავზე და ამცირებს მზის რადიაციას. განსაკუთრებით, ასეთი სახის გადახურებული უმოძრაო ჰაერის გარსი ჩერდება ქალაქის ქუჩებისა და მოედნების თავზე.

ქალაქის გარემოს დისკომფორტულობა, რომელსაც განიცდის ინდივიდი, უმეტეს შემთხვევაში, ყალიბდება ქალაქის ამა თუ იმ ნაწილის ფუნქციური შევსების შეუსაბამობის გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შევსება აღემატება ამ ადგილის დატვირთვის რეალურ შესაძლებლობას. ეს ეხება მთელ რიგ შეუსაბამობებს, რომლებიც ვლინდება ამა თუ იმ სახით, მაგალითად, სატრანსპორტო არტერიების გადატვირთვა საკვანძო ადგილებში (განსაკუთრებით პიკის საათებში), წყლის დებატის უკმარისობა წყალსადენებში, წნევის დაკლება გაზსადენებში და სხვ. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ზოგადად ქალაქების და განსაკუთრებით მსხვილი ქალაქების ზრდის ტენდენციებს, ეს პრობლემები კიდევ უფრო მწვავედება. ქალაქის გარემოში ახალი ეკოლოგიური კავშირების ფორმირება ხდება ლანდშაფტის იმ კომპონენტების საფუძველზე, რომელიც არსებობს გარემოში ანთროპოგენური ფაქტორების მოჭარბებული ზემოქმედებით. ამ კავშირების რეგულირება გულისხმობს ყველა შემადგენელი კომპონენტის კომპლექსურ ორგანიზაციას.

ქალაქის განვითარების თანამედროვე ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ქალაქისა და ლანდშაფტის ურთიერთდამოკიდებულების თემა იქნეს განსაკუთრებულ აქტუალობას, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ბუნებრივი ფაქტორების შენარჩუნებისა და, მეორე მხრივ, ქალაქის სასიცოცხლო გარემოს ფორმირების საკითხებთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსხვილ თანამედროვე ქალაქში შეცვლილია ბუნებრივი გარემოს თითქმის ყველა შემადგენელი კომპონენტი, ამიტომ ქალაქის ორგანიზმის განვითარებისა და ფორმირებისას მეტად მნიშვნელოვანია განაშენიანების ახალი წარმონაქმნების გეგმარებითი გადაწყვეტისა და ეკოლოგიური მოთხოვნების შეთანაწყოება. თანამედროვე ურბანიზაციამ წარმოშვა მწვავე პრობლემა ბუნებრივ და ხელოვნურ ქალაქურ გარემოს შორის, სწორედ ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა მოიძებნოს გზები და ხერხები ლანდშაფტური დაპროექტების თანამედროვე პოზიციებიდან.

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე, მის საერთო მდგომარეობაზე, მიეკუთვნება ინტენსიური ურბანიზაცია და მრეწველობის სწრაფი ზრდა, რასაც თან ახლავს ჰაერის ძლიერი დაბინძურება და სხვა ნეგატიური შედეგები. თანამედროვე ეკოლოგიური სიტუაციისათვის დამახასიათებელია კონფლიქტი, ბუნებრივ გარემოზე მოჭარბებული ანთროპოგენური ზემოქმედების და ბუნების

თვითაღდგენის შედარებით შეზღუდული შესაძლებლობის გამო. მსხვილი ქალაქების გარემოს გაჭუჭყიანება უმეტესად ჭარბობს ბუნებრივი სისტემების თვითაღდგენის შესაძლებლობას. ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზას წარმოადგენს მწვანე ნარგავთა სისტემის კომპლექსური ორგანიზაცია.

3.2. ქალაქისა და ქალაქგარე ზონების გამწვანების სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქცია

ქალაქში ადამიანის ცხოვრებისათვის ჯანსაღი ბიოლოგიური გარემოს შექმნა შესაძლებელია მწვანე ნარგავთა სისტემის კომპლექსური ორგანიზაციით როგორც ქალაქგარე, ასევე ქალაქის ტერიტორიებზე. მწვანე ნარგავთა სანიტარულ-ჰიგიენური როლი ძალიან დიდია, ამიტომ მათ ხშირად უწოდებენ სუფთა ჰაერის ფაბრიკებს. მწვანე ნარგავები გამოყოფს დიდი რაოდენობით ჟანგბადს და შთანთქავს ნახშიროქსიდს, რომელსაც გამოყოფს ადამიანი სუნთქვის დროს. ადამიანის ნორმალური მდგომარეობისათვის მისი ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 0,03%. ცნობილია, რომ ადამიანი 1 სთ-ში გამოყოფს 10გ ნახშიროქსიდს, რომელსაც შთანთქავს იმავე დროს განმავლობაში 50 კვ. მ ფართობის გამწვანებული ტერიტორია. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტი იქნება მწვანე ნარგავები ქალაქში, მით უფრო სუფთა იქნება ჰაერი მის გარემოში.

თანამედროვე მსხვილი ქალაქების ატმოსფერო ავტომობილების ინტენსიური მოძრაობით და თავისი განვითარებული მრეწველობით, როგორც წესი, მუდმივად ჭუჭყიანდება მავნე გამონაბოლქვით. მსხვილი ქალაქების უმრავლესობის თავზე დგას ნაცრისფერი კვამლის ფენა. სამეცნიერო კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ იგი შთანთქავს 25% მზის სხივებს, აქედან ნახევარს ულტრაიისფერ მზის რადიაციას. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომელიც თავს დაატყდა ლონდონს 1952 წლის ზამთრის დღეებში. უქარო ამინდის დროს ტემპერატული ინვერსიის კონცენტრაციამ ჰაერის გარსში სწრაფად იწყო შეგუბება. ჰაერი გადაიქცა მომწხამავი შემადგენლობის აირად, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მძიმედ დაავადდა ქრონიკული, თუ მწვავე ბრონქიალური დაავადებებით.

სწორედ ამ სახის მომწხამავი აირები, რომელსაც *სმოგს* უწოდებენ, მუდმივად ჰკიდია დიდი ან მცირე კონცენტრაციით თითქმის ყველა მსხვილი სამრეწველო ქალაქის თავზე (*ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი, მეხიკო, მილანი, ტოკიო* და სხვ.). ამის გამო ზოგიერთ მსხვილ ქალაქში ავტოსტრადებზე, სადაც მცენარეთა ნაკლებობა ან სრულებით არ არის, ათავსებენ სპეციალურ ჟანგბადის ავტომატებს ქვეითად მოსიარულეთათვის.

სამრეწველო ქალაქების თავზე მომწამლავი გაზების გარდა, ჰაერში დაახლოებით

5 კმ სიმაღლეზე ქარს გადააქვს 10 ათასობით კილომეტრზე დიდი რაოდენობით კვამლი, მტვერი, ნამწვი აირები. გაჭუჭყიანებული ჰაერის ყველაზე დიდი რაოდენობა გროვდება

ხოლმე მიწის დონიდან დაახლოებით 40-50 მეტრის სიმაღლეზე. ეს დაგროვილი მავნე აირები უდიდეს ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას, რადგან შეიცავს ქიმიურად აგრესიული შედგენილობის მინარევებს. ერთმა მეცნიერმა ამის თაობაზე აღნიშნა: „ან ადამიანი გააკეთებს ისე, რომ ჰაერში იქნება ნაკლები კვამლი ან კვამლი გააკეთებს ისე, რომ დედამიწაზე იქნება ნაკლები ადამიანი“.

ფაქტია, რომ ქალაქში მცხოვრები ადამიანები, სხვადასხვა ხასიათის ქმედებებით გავლენას ახდენენ გარემოზე. იქმნება პარადოქსული სიტუაცია, კერძოდ, მოსახლეობის ყველაზე დიდი კონცენტრაცია სწორედ ქალაქებშია ანუ იქ, სადაც ადამიანებისათვის ყველაზე არაჯანსაღი პირობები ყალიბდება და ეკოლოგიური პრობლემები ვლინდება განსაკუთრებით მძაფრად. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ზრდა ქალაქებში წინ უსწრებს მოსახლეობის ზრდას მოღიანად მთელ პლანეტაზე. XX საუკუნის დასასრულს კეთდებოდა პროგნოზი, რომ XXI საუკუნეში განვითარებული ქვეყნების მსხვილ ქალაქებში იცხოვრებს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 80%.

მსოფლიოში შექმნილმა მძაფრმა ეკოლოგიურმა პრობლემამ წარმოშვა გარემოს დაცვის პროგრამის შედგენის აუცილებლობა, რომელიც არ იფარგლება მხოლოდ დაცვითი ღონისძიებებით, არამედ ითვალისწინებს აქტიური ღონისძიებების გატარებას ქალაქებსა და სამრეწველო ზონებში ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დაცვის მიზნით. ასეთი სახის პროგრამებში წამყვანი როლი უჭირავს ეკოლოგიის ქალაქგეგმარებით ასპექტებს, რაც გულისხმობს ქალაქში და ქალაქგარე ტერიტორიებზე მწვანე ნარგავთა სისტემის შექმნას, სხვადასხვა ტიპის პარკებისა და დასასვენებელი ზონების განთავსების გზით.

როგორც ცნობილია, ურბანიზაციის პროცესს თან ახლავს მთელი რიგი ქალაქგეგმარებითი ღონისძიებები, რაც დაკავშირებულია მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებასთან, ის კი, გარკვეულწილად, უარყოფით გავლენას ახდენს ქალაქის ეკოლოგიურ სიტუაციაზე და კონკრეტულად მწვანე ნარგავების საერთო მდგომარეობაზე. საქმე ის არის, რომ მცენარეული საფარი, მისი არამუდმივობის გამო, ყველაზე მეტად განიცდის ატმოსფეროში მომხდარ ცვლილებებს და შედარებით უფრო მეტად რეაგირებს ჰაერის და წყლის ბასეინების ყოველ ცვალებადობაზე. იგივე შეიძლება ითქვას პარკებზეც. მოჭარბებული რეაქციული დატვირთვა პარკებზე დამამძიმებლად მოქმედებს, ერთი მხრივ, მწვანე ნარგავებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, პარკის ტერიტორიებით სარგებლობის შეზღუდვა მოსახლეობისათვის, დააკარგვინებს აზრს ქალაქად მწვანე ნარგავთა სისტემის შექმნის აუცილებლობას. ასეთ სიტუაციაში პარკები გამოდის ორმაგ როლში: ერთი მხრივ, როგორც ბუნებრივი გარემოს ობიექტი, რომელიც მოითხოვს დაცვას ურბანიზაციის შედეგად გამოწვეული აგრესიული ფაქტორებისაგან და, მეორე მხრივ, როგორც აქტიური საშუალება, რომელიც ანიეტრალებს და არბილებს ამ უარყოფით გავლენას. მართალია, არსებობს ბუნებრივი

გარემოს დაბინძურების და მწვანე ზონების მდგომარეობაზე ნეგატიური გავლენის რეალობა, მაგრამ გადავიდეთ უკუკავშირების განხილვაზე ანუ მწვანე ნარგავთა და საპარკო მასივების პოზიტიურ როლზე ქალაქის საჰაერო ბასეინის აღდგენის საქმეში.

დავიწყოთ იქიდან, რომ მწვანე ნარგავებმა, ასრულებენ რა ფოტოსინთეზის როლს, ხელი შეუწყვეს ბიოლოგიური ევოლუციის პირობებს ანუ დედამიწაზე გაჩნდა ჟანგბადი. ფოტოსინთეზის შედეგად დედამიწაზე ყოველწლიურად ხდება 20 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგის გაზის ათვისება და ატმოსფეროში 45 მილიარდი ტონა თავისუფალი ჟანგბადის გამოყოფა, დაახლოებით 35 ტონა ერთ ადამიანზე. ფოტოსინთეზის როლი უფრო მეტად მადლდება ორგანული საწვავის გამოყენებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ხდება დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის გაზის გამოყოფა. ქალაქში ეს მავნე გავლენები მნიშვნელოვნად მცირდება მწვანე ნარგავთა გეგმაზომიერი განთავსების გზით. მწვანე ნარგავებს ქალაქის სტრუქტურაში ენიჭება *ეკოლოგიური, სანიტარულ ბიოკლიმატური, ასევე ესთეტიკური და ფსიქოლოგიური* ფუნქციები. ისინი უახლოვებენ, ქალაქის ეკოლოგიურ სისტემებს ბუნებრივს, აუმჯობესებენ ქალაქის მიკროკლიმატს, ამცირებენ საჰაერო ბასეინში დაბინძურებას, ამცირებენ ხმაურის დონეს და სხვ. დაანგარიშებულია, რომ 1 ჰა წიწვოვანი ნარგავით გამწვანებული ტერიტორია წელიწადში აკავებს 40 ტონა მტვერს, ფოთლოვანი ხეებით გამწვანებული კი დაახლოებით 100 ტონას. 1 ჰა ტყის მასივი შთანთქავს ჰაერიდან დღე-ღამეში 220-280 კგ. ნახშირორჟანგს და გამოყოფს 180-220 კგ ჟანგბადს.

მწვანე ნარგავების ზოგიერთი სახეობა (*მაგ., ალვის ხე, არყის ხე, მუხა, ფიჭვი, კედარი, ღვია*) ჰაერში გამოყოფს მფრინავ ნაწილაკებს - *ფიტონციდებს*. რომლებიც ანეიტრალებს ზოგიერთი დაავადების ბაქტერიებს, მაგ., დიზინტერიის, ტუბერკულოზის, გრიპის და სხვა ვირუსული დაავადებების ბაქტერიებს. ასეთი ხეებისა და ბუჩქების ირგვლივ იქმნება მიკრობების საწინააღმდეგო - სანიტარული აქტივობის ატმოსფერო. მაგალითად, ღვით გამწვანებული 1 ჰა ტერიტორია ატმოსფეროში დღე-ღამეში გამოყოფს 30 კგ-მდე ბაქტერიების საწინააღმდეგო მფრინავ ნაწილაკებს. ასეთი რაოდენობის ანტისეპტიკები საკამრისია, რომ გაჯანსაღდეს დიდი ქალაქის ქუჩები. მწვანე ნარგავების ამ სასარგებლო თვისებების გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში ტუბერკულოზით დაავადებულთა სარეაბილიტაციო დაწესებულებებს აშენებენ წიწვოვან ტყეებში ან მის მახლობლად.

მიკროკლიმატური კომფორტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჰაერის *ტენიანობაზე*. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის მომატება ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც ტემპერატურის დაკლება, მაგ., შეფარდებითი ტენიანობის მომატება 15%-ით ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც ტემპერატურის დაკლება 3,5⁰. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწვანე ნარგავები, რადგან ხის, ბუჩქების, ყვავილებისა და ბალახის ზედაპირიდან აორთქლება 20-ჯერ აღემატება მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას, ამდენად პარკებს აქვს უნარი, გაზარდოს ჰაერის ტენიანობა.

ასევე უნდა აღინიშნოს წყლის როლზე მირკოკლიმატის გაუმჯობესების საქმეში. ცნობილია, რომ დიდი წყალსატევები სიცხისას ხელს უწყობს ადამიანისათვის კომფორტული პირობების შექმნას. შადრევანს, მიმდებარე ტერიტორიაზე, შეუძლია გაზარდოს ჰაერის ტენიანობა 10%-ით და შეამციროს ჰაერის ტემპერატურა 2–2,5⁰-ით, ამით იგი მნიშვნელოვან კომფორტს ქმნის დამსვენებლებისათვის. სამხრეთის ქალაქებში დასასვენებელ მოედნებზე აწეობენ 2–2,5 მეტრის სიმაღლის ე.წ. წყლის ფარდებს, რომლებიც ზრდის ჰაერის ტენიანობას 40%-ით და ამცირებს ტემპერატურას 8⁰-ით.

თანამედროვე ლანდშაფტურ არქიტექტურაში არსებობს ხმაურის დაკლების ეფექტური ხერხები. ცნობილია, რომ მწვანე ნარგავები ქალაქის ქუჩებსა თუ პარკებში ასრულებს ხმაურისგან დამცავ ფუნქციას. ხეებისა და ბუჩქების მსხვილი ვარჯები კარგად შთანთქავენ ხმაურს, თუკი ისინი განთავსებულნი არიან ბგერის ტალღების განივად. ამით ისინი ასრულებენ აკუსტიკური ბარიერის როლს.

როგორც ვხედავთ, მწვანე ნარგავების როლი გარემოს გაჯანსაღებისა და დაცვის საქმეში ფართო სპექტრს მოიცავს. ამასთან, პარკებისა და დასასვენებელი ზონების დაპროექტებისადმი სწორი ქალაქგეგმარებითი მიდგომით მათი როლი მნიშვნელოვნად მაღლდება.

მიუხედავად ამდენი დადებითი თვისებებისა, მცენარეული საფარი არ წარმოადგენს ქალაქის გარემოს მდგომარეობის უნივერსალურ რეგულატორს. ეს აიხსნება შემდეგი მიზეზით: ქალაქის გარემოს მდგომარეობაზე მცენარეული საფარის პოზიტიური ზემოქმედება საგრძნობი ხდება მაშინ, როდესაც იგი არსებობს მსხვილი მასივების სახით, რომელთა ფართობიც მსხვილი ქალაქის პირობებში 250–300 ჰა-ს უნდა აღემატებოდეს. მსხვილ ქალაქებში საპარკო მასივებს უნდა ეკავოს არანაკლები 50–100 ჰა-სი. ამასთან, იქ, სადაც ცენტრალური რაიონები განთავსებულია მნიშვნელოვან მანძილზე ბუნებრივი მწვანე მასივებისაგან, ოპტიმალურად შეიძლება წიათვალოს საქალაქო ბაღების სისტემის შექმნა, რომლებიც დაკავშირებული იქნება ერთმანეთთან მიკრორაიონული ბაღების, საქალაქო პარკების, ბულვარების, საქვეითო ხეივნების, სანაპიროების, სპეციალური დამცავი ზონების გამწვანებული სივრცეების საშუალებით, რაც მოლიანობაში ქალაქის გამწვანების ერთიან სისტემას შექმნის.

ქალაქის ტერიტორიის რაციონალურ არქიტექტურულ-გეგმარებით ორგანიზაციას და მწვანე ნარგავთა სახეობების სწორ შერჩევას მნიშვნელოვნად შეუძლია გააუმჯობესოს ქალაქის გარემოს ძირითადი მონაცემები. ყველა იმ დადებითი თვისებებს გარდა, რაც უკვე აღნიშნა, მწვანე ნარგავებს აქვს, არქიტექტურულ-დეკორატიული და მხატვრულ-ესთეტიკური როლი.

მწვანე ნარგავები ქალაქის განაშენიანებას აძლევს დასრულებულ სახეს, უქმნის პეიზაჟს, მატებს მეტ გამომსახველობას და მიმზიდველობას, ავსებს და ამდიდრებს როგორც ცალკეულ ნაგებობას, ისე მთელ არქიტექტურულ ანსამბლებს. უდავოა მწვანე ნარგავების მნიშვნელობა დასახლებული ადგილების გენერალური გეგმების

გადაწყვეტაში. პარკები, სკვერები, ბულვარები და ქუჩის ნარგაობა მთლიანობაში ქალაქს მატებს მხატვრულობას, არბილებს მის სწორხაზოვნობას და ანელებს ფორმების სიმკაცრეს. მწვანე ნარგავენს ასეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქების სივრცული კომპოზიციის ჩამოყალიბებაში, რადგან ყოველმხრივი კავშირი ქალაქისა ბუნებასთან და ბუნების კომპენსაცია ქალაქად, მუდამ წარმოადგენდა ქალაქთმშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას.

3.3. ქალაქის მწვანე ნარგავთა სისტემა

ქალაქთმშენებლობის ისტორიის მანძილზე ქალაქის მთლიან კომპოზიციურ სტრუქტურაში მწვანე ნარგავების განთავსების პრინციპს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქალაქის გამწვანების სისტემა წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ერთმანეთთან შეხამებულ მწვანე ნარგავების განთავსების სქემას, რაც ეწყობა საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, ქალაქის ესთეტიკური მხარის და მოსახლეობისათვის დასასვენებელი ადგილების ორგანიზაციის მიზნით.

ქალაქთმშენებლობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია გამწვანების შემდეგი სისტემები:

- ა) რადიალური - ნარგავები სოლისებრადაა შეჭრილი ქალაქის პერიფერიული ნაწილიდან ცენტრალურ ნაწილში;
- ბ) რგოლისებრი - მწვანე ნარგავების მასივები წრიულადაა შემოვლებული ქალაქის ტერიტორიას;
- გ) მართკუთხა - მწვანე ნარგავები შეთავსებულია ქალაქის კვარტალების ბაღესთან. პარკის გზები და ბილიკები უმთავრესად სწორხაზოვანია ან სხივისებრადაა განლაგებული.
- დ) შერეული - (გეომეტრიულად არასწორი) - ნაირგვარ რელიეფზე, მართკუთხა, რადიალურ ან რგოლისებრ სისტემათა შეხამება.

ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქალაქებში უმეტესად გვხვდება ქალაქის გამწვანების შერეული სისტემები. ქალაქის გეგმაში ეს სისტემები აისახება მრავალნაირად, მაგრამ ყოველთვის შეხამებული უნდა იქნეს ქალაქის ტერიტორიის რელიეფთან, ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით.

ქალაქის მწვანე ნარგავთა ერთიანობას ქალაქის ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის პარკების, ბაღების და სკვერების თანაზომიერი გადანაწილებით აღწევენ.

ქალაქისა და ქალაქგარე გამწვანებული ტერიტორიები - პარკები, ბაღები, სკვერები, ბულვარები, ტყე-პარკები, საცხოვრებელი კვარტალების და მიკრორაიონების გამწვანება და გამწვანება სხვადასხვა შენობა-ნაგებობებთან, იმისდა მიხედვით თუ რა დანიშნულებაა, რა ზომა და ადგილმდებარეობა აქვს ქალაქის გეგმასა და ქალაქგარე ზონებში, მიეკუთვნებიან ქალაქის მწვანე ნარგავთა სხვადასხვა კატეგორიას.

ქალაქის გამწვანების სხვადასხვა კატეგორიები ერთობლივად ქმნის ქალაქის გამწვანების სისტემას. ამ სისტემის შექმნა მეტად მნიშვნელოვან გეგმარებით ამოცანაა, რომლის გადასაწყვეტად აუცილებელია, დადგინდეს ნარგავების კატეგორიების ზედმიწევნითი ზუსტი კლასიფიკაცია, განისაზღვროს ნორმატიული მაჩვენებლები და დაისახოს გამწვანების სისტემის სხვადასხვა ელემენტების განთავსების პრინციპი.

მწვანე ნარგავები მათი შინაარსით, ფუნქციური ნიშნით, მიზნობრივი დანიშნულებით, არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტითა და დაკავებული ტერიტორიის ფართობით სამი ძირითადი კატეგორიისაა:

1. საერთო სარგებლობს მწვანე ნარგავები;
2. შეზღუდული სარგებლობის მწვანე ნარგავები;
3. სპეციალური დანიშნულების მწვანე ნარგავები.

ტერიტორიული ნიშნით დეკორატიული მწვანე ნარგავები იყოფა ქალაქისა და ქალაქგარე ნარგავებად.

1-საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავები:

1. კულტურისა და დასვენების პარკი (კდპ). საზოგადოებრივი დანიშნულების საბჭოური ტიპის გამწვანებული ობიექტი, რომელიც მშრომელთა კულტურული და ჯანსაღი დასვენების ადგილია.

კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიის ოპტიმალურ ზომად მიჩნეული იყო 50-60 ჰა. პატარა ქალაქებში აწყობდნენ ერთ (კდპ-ს), ხოლო დიდ ქალაქებში ქალაქის გამწვანების სისტემა ივსებოდა კიდევ რამდენიმე რაიონული დანიშნულების პარკით. პარკებს აწყობდნენ კარგ ნიადაგზე, შეძლებისდაგვარად, წყალსატევების ახლოს, სადაც ჰაერის დაგუბებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო და გართობა-დასვენების მიზნით კდპ-ში ეწყობოდა სპორტული მოედნები, ატრაქციონები, კინო-თეატრები, ფანხატურები, ღია ესტრადები, სალექციო თავშეყრის ბაქნები, სამეცნიერო კაბინეტები, საგამოფენო პავილიონები, სასადილოები, კაფეები, სასაუზმეები, საბავშვო მოედნები, სავაჭრო კოსკები და სხვა ნაგებობები. კდპ განსხვავებული ტიპის გამწვანებული ტერიტორიაა, რომელსაც საფუძვლად ედო კულტურულ საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი ფუნქცია.

ამჟამად, ასეთი პარკების ტერიტორიები გამოიყენება, როგორც მრავალ-ფუნქციური პარკები, რომლებმაც დღეს უკვე ჩამოიცილეს საკლუბო ფუნქცია. თანამედროვე ქალაქგეგმარებით პრაქტიკაში ახალი პარკები შენდება როგორც მრავალფუნქციური (გართობა, დასვენება) საქალაქო რეკრეაცია.

2. ბაღი - შედარებით მცირე ზომის გამწვანებული ტერიტორიაა (2-10 ჰა-მდე), რომელზედაც შესაძლებელია განთავსდეს კინო-თეატრი, კაფე, ბარი, სანაყინე და სპორტული ბაქნები.

3. სკვერი - ეწყობა ქალაქის არქიტექტურულ დეკორატიული გაფორმებისა და ეპიზოდური დასვენების მიზნით. იგი წარმოადგენს მცირე ზომის (0,25-2,0 ჰა) გამწვანებულ ტერიტორიას ქალაქის სტრუქტურაში, რომლის ფუნქცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება კონკრეტული ქალაქგეგმარებითი სიტუაციიდან. მას იყენებენ როგორც დეკორატიულ ელემენტს, ეპიზოდური დასვენებისათვის და ასევე ტრანსპორტის რეგულირებისათვის.

4 ქუჩის ნარგაობა, ხეივნები - ეწყობა მზის ჭარბი სხივებისაგან ქვეითად მოსიარულეთა დაცვის მიზნით, ასევე, როგორც სანიტარულ-ჰიგიენური და ხმაურსაწინააღმდეგო საშუალება.

5. შიდაკვარტალური ნარგაობა - ეწყობა მოსახლეობის სანიტარულ ჰიგიენური პირობებისა და მიკროკლიმატის გასაუმჯობესებლად, მოსახლეობის დასვენებისა და საცხოვრებელი კვარტალების მხატვრულ-ესთეტიური გაფორმების მიზნით.

6. ტყე-პარკები - დასახლებული პუნქტების საზღვრების მახლობლად არსებული ან ხელოვნურად შექმნილი გამწვანებული მასივები, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობის დასვენებისა და სპორტისათვის. მათში ეწყობა კაფე-რესტორნები, სპორტული მოედნები, საბჭოთა პერიოდში ეწყობოდა პიონერთა ბანაკები, დღეს კი ბავშვთა დასასვენებელი სახლები, ტურისტული (ერთ ან ორდღიანი), დასასვენებელი სახლები, ფანხატურები, ჩანჩქერები და ა.შ.

7. საბავშვო პარკი - სპეციალიზებული მონოფუნქციური პარკია, რომელიც მწვანე მასივი გათვალისწინებულია ბავშვების, უმთავრესად სკოლის ასაკის ბავშვების გართობა-დასვენებისათვის.

8. ბოტანიკური ბაღი - მწვანე მასივი, სადაც ნარგავები გარკვეული სისტემითაა განლაგებული, რომელიც ორგანიზებულია კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით და მემცენარეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

9. ზოოლოგიური პარკი - მწვანე მასივი, სადაც სპეციალურ სათავსებში მოთავსებულია ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა ჯგუფები. ზოოლოგიური პარკი კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ფუნქციას ასრულებს და წარმოადგენს ზოოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბაზისო დაწესებულებას. ზოოლოგიურ პარკში მნახველები ეცნობიან ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა წარმომდგენლებს და ზოოლოგიის დარგში ახალ მიღწევებს. ქალაქებში ზოოლოგიური პარკების განსათავსებლად უმეტესად გამოყოფენ მრავალფეროვანი პეიზაჟის, რთული რელიეფის მქონე სპეციალურ ტერიტორიებს წყალსატევებთან.

10. მცენარეთა ნაკრძალი - ხასიათდება ბუნებრივი ლანდშაფტის თავისებურებებით, მცენარეების ასორტიმენტის, წყლისა და რელიეფის მრავალფეროვნებით, რომლებიც დაცულია ბუნებრივ მდგომარეობაში. მას უფრო ხილდებიან, როგორც ბუნების საგანძურს, რომელსაც აქვს დიდი სამეცნიერო და კულტურული

ღირებულება. ნაკრძალებში ეწევიან ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მცენარეთა და ცხოველთა აკლიმატიზაციისა და ინტროდუქციის სფეროში.

II-შეზღუდული სარგებლობის მწვანე ნარგავები

ამ გჯუფს მიეკუთვნება გამწვანებული ტერიტორიები, რომლითაც სარგებლობა შეუძლია მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ამ ტიპის გამწვანებული ტერიტორიების ორგანიზება ხდება. ნარგაობა ეწეობა ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, მაგალითად: სკოლებთან, ტექნიკუმებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, სამრეწველო საწარმოებთან, საავადმყოფოებთან, სანატორიუმებთან, ბავშვთა სახლებთან, საბავშვო ბაღებთან, საკარმიდამო ნაკვეთებთან და ა.შ. ანუ ეს არის ის გამწვანებული ტერიტორიები, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობის შეზღუდული კონტინგენტი.

III-სპეციალური დანიშნულების მწვანე ნარგავები

სპეციალური დანიშნულების მწვანე ნარგავების ფუნქცია მიზნობრივია, მაგალითად:

1. წყალდაცვითი ზონის მწვანე ნარგავები – აშენებენ მდინარის, არხების, ტბის, ნაპირებზე. მათი დანიშნულებაა შეამცირონ წყლის აორთქლება და ხელი შეუწყოს მდინარეებში წყლის მუდმივ რეჟიმს და დაიცვან ისინი დაბინძურებისაგან.
2. სამელიორაციო დანიშნულების მწვანე ნარგავები – მათი დანიშნულებაა წყლის ნაპირებისა და ფერდობების გამაგრება, მეწერული ნაკვეთების და ხეების შემცირება, აგრეთვე ტენიანი ტერიტორიების გაშრობა.
3. დაცვითი ზონები – აწეობენ დასახლებული ადგილების, რკინიგზის და გზების გასწვრივ მწვანე ზოლების სახით, რომლებიც იცავენ ამ ტერიტორიებს არასასიამოვნო ბუნებრივი მოვლენებისაგან (ქარი, თოვლი და ქვიშის ნაბუქისაგან, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებიდან გამოყოფილი მავნე აირებისაგან) დასაცავად, რასაც ამავე დროს დასახლებული ადგილის დეკორაციული გაფორმების, ჰავის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.
4. ხანძარსაწინააღმდეგო ნარგავები – აწეობენ საწარმოების, საწყოების და სხვა ნაგებობათა გასწვრივ, ხანძრის გავრცელების შესამცირებლად.
5. სასაფლაოების ნარგაობა – ეწეობა დეკორატიული გაფორმების მიზნით.
6. სანერგეები და საყვავილე მურნეობები – ეწეობა მცენარეების ჯიშების გამრავლებისა და ექსპერიმენტული შეჯვარების მიზნით.

ქალაქის სისტემაში მწვანე ნარგავთა განთავსების საკითხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია იმასთან, თუ როგორ ფუნქციას ასრულებს მწვანე ნარგავთა ესა თუ ის კატეგორია. ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც

უკვე აღვნიშნეთ, არსებობს *საერთო სარგებლობის, შეზღუდული სარგებლობის და სპეციალური დანიშნულების* მწვანე ნარგავები.

სპეციალური დანიშნულების მწვანე ნარგავების განთავსება მთლიანად არის დამოკიდებული მის მიზნობრივ დანიშნულებაზე. თუ, მაგალითად, ლაპარაკია სამრეწველო დაწესებულებებსა და სამოსახლო ტერიტორიას შორის დამცავი ზონების შესახებ, მათი განთავსება არსებითად დამოკიდებულია ამ დაწესებულებების ადგილმდებარეობაზე, ქალაქის გეგმაზე. ქარსაცავი ნარგავების განთავსება ასევე განისაზღვრება ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, გაბატონებული ქარების ძირითადი მიმართულებით და ა.შ..

შეზღუდული სარგებლობის მწვანე ნარგავების განთავსებისას მხედველობაში იღებენ შენობის ფუნქციას და ტერიტორიის ზომებს. სულ სხვაგვარად დგას ქალაქში *საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების* განთავსების საკითხი. მათი განთავსება ქალაქის ტერიტორიაზე უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს, კერძოდ:

1) - საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავები თანაზომიერად უნდა განაწილდეს ქალაქის ტერიტორიაზე. ყოველი საქალაქო რაიონი უნდა იყოს ერთნაირად დაკმაყოფილებული მწვანე ნარგავებით, მანძილი კი საცხოვრებელიდან გამწვანებულ ტერიტორიებამდე არ უნდა აფერხებდეს მათ ყოველდღიურ სარგებლობას;

2) - მწვანე ნარგავების ქალაქის ტერიტორიაზე თანაზომიერად გადანაწილებისათვის საჭიროა შეიქმნას თანაბარი ფართობის მქონე მწვანე მასივები გარკვეული ინტერვალებით. იმის გამო, რომ ქალაქის სხვადასხვა რაიონებში არ არის მოსახლეობის ერთნაირი სიმჭიდროვე, ამიტომ მწვანე ნარგავების ნორმატიული მონაცემების გაანგარიშება ხდება მუდმივად მაცხოვრებელი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

საგულისხმოა, რომ ქალაქის ნარგავების სხვადასხვა კატეგორიასა და საცხოვრებელს შორის მანძილები არათანაბარია და დამოკიდებულია ამა თუ იმ კატეგორიის ნარგავების დანიშნულებაზე. ასე, მაგალითად, საერთო საქალაქო კლ-ში ქალაქის მოსახლეობა დადის, თუ მას აქვს რამდენიმე საათი თავისუფალი დრო, ხოლო სკვერით, ბაღით, ბულვარით სარგებლობს ყოველდღიურად, ზოგჯერ მაშინაც, როდესაც მას სულ რამდენიმე წუთი თავისუფალი დრო აქვს დასვენებისათვის. ამას გარდა, ნარგავების ერთი კატეგორიისაკენ მოსახლეობა მიემართება ფეხით, სხვა კატეგორიისაკენ მისასვლელად სარგებლობს ტრანსპორტით. ამიტომ ოპტიმალური რადიუსების დადგენისას, სხვადასხვა კატეგორიის ნარგავობისათვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დროის ფაქტორი, დროის, რომელიც ჭირდება ადამიანს ამა თუ იმ ობიექტთან ფეხით ან ტრანსპორტით მისასვლელად. ამის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი მაგალითი: იმისათვის, რომ ფეხით მიხვიდე მოსკოვის

ცენტრიდან კდპ- „სოკოლნიკში“, უნდა დახარჯო 1,5 სთ, მეტროპოლიტენით სარგებლობის შემთხვევაში კი - 15-დან 20 წუთამდე. ამიტომ ნორმებით გათვალისწინებულია შემდეგი ოპტიმალური მანძილები კმ-ებში საცხოვრებელიდან მწვანე ობიექტამდე (ყველა ქვეყანა თავისებურად ადგენს გამწვანების ნორმებს და შესაბამის ოპტიმალურ რადიუსებს. საქართველოში ჯერ არ არის შემუშავებული ქალაქის გამწვანების ახალი ნორმები; ამდენად, ძალაში რჩება საბჭოთა პერიოდში მიღებული ნორმატიული მანქანებლები):

- ქალაქის პარკი - 2-3 კმ; →
- რაიონული პარკები - 1,5-2 კმ; →
- საცხოვრებელი რაიონის ბაღებამდე - 1-1,5 კმ; →
- მიკრორაიონის ბაღებამდე - 0,3-0,5 კმ. →

მწვანე ნარგავების განთავსება ქალაქის გეგმაზე დამოკიდებულია სხვადასხვა კატეგორიის მიზნობრივ დანიშნულებაზე. ერთ შემთხვევაში მწვანე ნარგავების დანიშნულებაა, მოსახლეობის დასვენებისათვის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა, სხვა შემთხვევაში - ქალაქის განაშენიანების დაცვა გაბატონებული ქარებისაგან და მრეწველობის გამონაბოლქვი მავნე აირებისაგან, მესამე შემთხვევაში - მიკროკლიმატური პირობების გაუმჯობესება, მეოთხე შემთხვევაში - ქალაქის ქუჩების, კვარტალების და მოედნების გალამაზება. ხშირად მცენარეები ერთსა და იმავე მონაკვეთზე გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. მაგ., ქუჩის ნარგავები იცავს ქვეითად მოსიარულეთ მტვრის, მოჭარბებული მზის სხივების, გადახურების და ხმაურისაგან, ამავე დროს მათ აქვთ დიდი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობა. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, ერთ-ერთი მიზნობრივი დანიშნულებაა ძირითადი, ხოლო სხვა დამატებითი. მაგ., თუ შევადარებთ შუა კლიმატური ზონის ქუჩის გამწვანებას ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობით, სადაც მუდმივად უბერავს ქარი, ასეთივე სიტუაციის მქონე სამხრეთის ქალაქს, სადაც ქარიანობა ნაკლებია, ამ ნარგავების მიზნობრივი დანიშნულება სხვადასხვაგვარი იქნება, მაგალითად:

პირველ შემთხვევაში მწვანე ნარგავები იცავს ქვეითად მოსიარულეებს ქარისა და მტვერისაგან, იგივე ნარგავები ზაფხულში იცავს მათ ჭარბი მზის სხივებისაგან. მაგრამ, რადგან ქალაქი განთავსებულია შუა ზონაში ზომიერი კლიმატით, ეს მიზნობრივი დანიშნულება იქნება დამატებითი, ამასთან მწვანე ნარგავებს აქვს მესამე დამატებითი მიზნობრივი დანიშნულება - ეს არის ქუჩის მხატვრულ-ესთეტიკური მხარის ამაღლება.

მეორე შემთხვევაში მცენარეების პირველხარისხოვანი მიზნობრივი დანიშნულებაა დაიცვას ქვეითად მოსიარულენი და შენობები მოჭარბებული მზის სხივებისაგან, ამ შემთხვევაში სხვა დანიშნულებები - ქუჩის გალამაზება, მტვრისა და ქარისაგან დაცვა - გადადის მეორეხარისხოვან მიზნობრივ დანიშნულებაში.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. განვიხილოთ ორი სკვერი, აქედან ერთი განთავსებულია სახლებს შორის, წყნარ ქუჩაზე, მეორეს უჭირავს მცირე ზომის მონაკვეთი მოედნის ცენტრში, სადაც ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობაა. *პირველი სკვერის* ძირითადი დანიშნულებაა – უახლოესი სახლების მაცხოვრებელთათვის დასვენების პირობების შექმნა; ამასთან, ის ალამაზებს ქუჩას. *მეორე სკვერი* არ არის გამიზნული დასასვენებლად, რადგან მასში მოსახვედრად საჭიროა ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობის ზოლის გადაკვეთა. მისი ძირითადი დანიშნულებაა მოედნის გალამაზება და ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე, პირველი სკვერის ძირითადი მიზნობრივი დანიშნულებაა მოსახლეობის დასვენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ხოლო დამატებითი ქუჩის გალამაზება. მეორე შემთხვევაში ძირითადი მიზნობრივი დანიშნულებაა ქუჩის გალამაზება, დამატებითი კი ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის ხელშეწყობა. ასეთი გამწვანებული კუნძულები ასევე გამოიყენება დიდი ზომის, ვრცელი მოედნების მასშტაბის შესამცირებლად, მისი სივრცის დანაწევრების მიზნით.

ქალაქის სტრუქტურაში სკვერების ქსელის განთავსებისას გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს ამ რაიონში სხვა კატეგორიის მწვანე ნარგავთა არსებობამ. მაგ., თუ დაეუშვებთ, რომ ქუჩა ემიჯნება პარკს, აღარ დგება სკვერის ორგანიზაციის საჭიროება. ქალაქის გამწვანების სქემის დამუშავებისას, სასურველია შედგეს ამა თუ იმ ადგილის სრულყოფილი დახასიათება სხვადასხვა მანვენებლების მიხედვით, რათა გამოვლინდეს სხვადასხვა კატეგორიის მწვანე ნარგავების გამოყენების შესაბამისი მიზნობრივი დანიშნულება.

3.4. ქალაქში მწვანე ნარგავთა განთავსების პრინციპები

პარკების შექმნის თეორია და პრაქტიკა განუყოფლად არის დაკავშირებული ქალაქმშენებლობის თეორიასა და პრაქტიკასთან. როგორც ცნობილია, ქალაქმშენებლობის ხელოვნების ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ამასთან, საბადუ-საპარკო ხელოვნების ისტორიაც მის პარალელურად ვითარდებოდა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რაც მსოფლიო ცივილიზაციას.

აღსანიშნავია, რომ დამწვანების ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლში, – „*მითოლოგიური გმირის ვილგამეშის ეპოსში*“ – მოცემულია მესოპოტამიის ერთ-ერთი ქალაქის, ძველი *ურუქის* ტერიტორიის ბაღანისი, სადაც ბაღებს ეთმობა ტერიტორიის ერთი მესამედი. ასევე შემორჩენილია ძველი ქალაქის *ნიპურის* გვერდის ნაწილი (ძვ.წ.1500), საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდი ნაწილი აქვთ დათმობილი ქალაქის ტერიტორიაზე ბაღებსა და პარკებს. ანალოგიურ სურათს ასახავს ძველი *ინდოეთის ქალაქის* გეგმაც, რომელიც შედგენილ იქნა ჩვენს დრომდე მოღწეული ტრაქტატის მიხედვით.

ევროპულ კონტინენტზე ლანდშაფტური არქიტექტურის საკითხებს ეხებოდნენ ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსები - *პლატონი და არისტოტელე*. საინტერესოა, რომ *პიპოკრატე* თავის თხზულებებში მედიცინასთან ერთად განიხილავდა ლანდშაფტის ორგანიზაციის საკითხებსაც. ქალაქგეგმარების ანტიკურ თეორიაში ცნობილი რომაელი არქიტექტორი *ვიტრუვიუსი (1ს. ძვ.წ.)* თავის ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობდა ლანდშაფტური არქიტექტურის პრობლემებს და ამ დისციპლინის ადგილს ქალაქთმშენებლობაში.

ასევე მდიდარია ქალაქთმშენებლობის თეორიული ნაშრომებით *ალორძინების ეპოქაც*. ამ პერიოდის ნაშრომებს შორის აღსანიშნავია *ლეონ ბატისტა ალბერტის ნაშრომი*, რომელშიც იგი ზედმიწევნით დაწვრილებით განიხილავს ქალაქის *კეთილმოწყობისა და გამწვანების სისტემას*. ამავე პერიოდის ფრანგი თეორიტიკოსი *ჟაკ პერე* ქალაქის დაგეგმარების პრინციპულ სქემას აყალიბებს, რომელშიც გარკვევით ჩანს ქალაქის მწვანე ნარგავთა სისტემა.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება უტოპიური სოციალიზმის კლასიკოსების *ოუენისა და ფურიეს* ნაშრომები, რომლებშიც უარყოფილია მსხვილი ქალაქები და გაიდევალებულია მცირე დასახლებები. XIX საუკუნის ბოლოს ინგლისელმა სოციალ უტოპისტმა *ებენიზერ პოვარდმა* წამოაყენა "ქალაქი-ბაღის" შექმნის იდეა.

XX საუკუნის 20-იან წლებში *ლე კორბუზიემ* დაამუშავა თანამედროვე ქალაქის პროექტი 3 მლნ მცხოვრებზე, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია 60-სართულიანი ჯვრის ფორმის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. ცენტრის ირგვლივ განთავსებულია საცხოვრებელი რაიონები 6-სართულიანი საცხოვრებელი სახლებით, დანარჩენი ტერიტორია კი დათმობილი აქვს გამწვანებას. 1950 წელს ამ სქემის მიხედვით მან დაამუშავა ინდოეთის ქალაქ ჩანდიგარხის (პენჯაბისა და ხარიანას შტატის დედაქალაქი) დაგეგმარების საინტერესო პროექტი 500 ათას მცხოვრებზე. ცხელი კლიმატის თავისებურებათა გათვალისწინებით ქალაქში შექმნილია მწვანე ნარგავების განვითარებული ქსელი საცხოვრებელ რაიონებზე გამავალი გამჭოლი მწვანე ზოლების სახით.

უცხოეთის და საბჭოთა ქალაქთმშენებლების თეორიულ ნაშრომებში არაერთგზის იქნა წამოყენებული *ქალაქში მწვანე ნარგავთა ორგანიზაციის* სხვადასხვა პრინციპული სქემები.

ყურადღებას იმსახურებს ხაზოვანი ქალაქის პროექტი შედგენილი 1928 წელს *არქ. ლადოვსკის* ხელმძღვანელობით და დამუშავებული არქ. *ლაგროვის* მიერ. 1930 წელს გამოვიდა ცნობილი საბჭოთა სოციოლოგის *მილუტინის* წიგნი. ამ წიგნში განხილულია ქალაქების ხაზოვანი სტრუქტურის საკითხები. მაგ., სტალინგრადის პროექტი დამუშავდა ხაზოვანი სტრუქტურის პრინციპით, სადაც სამრეწველო, საცხოვრებელი და მწვანე ზონები პარალელურად ვითარდებიან. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ფრანგმა ქალაქმშენებელმა *ენარმა*, ჯერ კიდევ 1904 წელს წარმოადგინა ქალაქის გამწვანების სისტემის, მისი აზრით, ეფექტური, ორი სქემა:

1. მწვანე წრეების სისტემა;
2. მწვანე ლაქების სისტემა.

ორივე შემთხვევაში ავტორი მიისწრაფოდა, რათა თანახომიერად გადაენაწილებინა მწვანე ნარგავები ქალაქის ტერიტორიაზე მომსახურების მინიმალური რადიუსების გათვალისწინებით.

გერმანელმა ქალაქმშენებლებმა *ებერშტადტმა*, *მორინგმა* და *პეტერსონმა* ბერლინის დაგეგმარების პროექტის შედგენისას, 1910 წელს დაამუშავეს სოლისებრი ფორმის გამწვანების სქემა, სადაც მწვანე სოლები იჭრება ქალაქის ცენტრში, ხოლო ქალაქის დასახლებული ნაწილის გარეთ ერთიანდება და ქმნის ერთიან მწვანე სარტყელს.

ინგლისელმა ქალაქმშენებელმა *პეპლერმა* შეადგინა გამწვანების კომბინირებული სქემა, რომელშიც მწვანე სოლების დ მწვანე რგოლების კომბინაცია შედგენილია ოპტიმალური რადიუსების გათვალისწინებით.

პოლონელ არქიტექტორთა ჯგუფმა დაამუშავა მცირე ქალაქის გამწვანების სისტემა. ამ სქემის მიხედვით ოთხი საცხოვრებელი რაიონი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და საკარმიდამო ნაკვეთები ქალაქის პერიფერიულ ნაწილში, შეესაბამება მწვანე მასივების ქსელით, რომლებიც შეერთებულია ურთიერთშორის გამწვანებული ბულვარებით; ამასთან, მომსახურების რადიუსები 1,5 კმ-ს არ აღემატება.

საბჭოთა ქალაქმშენებლების მიერ დამუშავდა ქალაქის გამწვანების სხადასხვაგვარი სქემები, მაგ., პროფ. *ბარანოვმა* – უახლოესი მომავლის ქალაქის გეგმარებით სტრუქტურაში მწვანე ნარგავების სისტემა გადაწყვიტა წაგრძელებული მასივების სახით, რომლებიც უერთდება გამწვანებულ მაგისტრალებს და ქმნის ერთიან სისტემას. *მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტთა კოლექტივმა* დაამუშავა მცირე ქალაქის დაგეგმარების სქემა, სადაც ქალაქის ცენტრი დაყოფილია ჯვარედინად, სოლისებრი ფორმის მსხვილი მწვანე მასივებით. პროფ. *კრუგლიაკოვი* თავის სქემაში ძირითადად ქმნის რაიონული პარკების სისტემას, რომლებიც გაერთიანებულია ბულვარების საშუალებით. ეს სქემა პრინციპულად წააგავს პროფ. ბარანოვის სქემას. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი *მაშინსკის* წინადადებით, სქემაზე, ქალაქის ცენტრში განთავსებულია საერთო საქალაქო სარგებლობის მწვანე მასივები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქგარე მწვანე მასივებთან.

ქალაქმშენებლობის პრაქტიკის შესწავლა ამტკიცებს ზემოთ მოყვანილი პრინციპების რეალობას. მაგ., *ლაქების* სახითაა განთავსებული მწვანე ნარგავები ლენინგრადში, პარიზში, ლონდონსა და ვარშავაში. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქალაქებში მჭიდრო განაშენიანების პირობებში, ძირითადად სწორედ ასეთი პრინციპითაა განაწილებული მწვანე ნარგავები. არსებობს

ასევე მწვანე ნარგავების წრიულად განაწილების მაგალითები, მაგ., ერევანში, ვაშინგტონში, კრაკოვში, პრატაში ასევე მსხვილი ქალაქის გამწვანების ექსპერიმენტული პროექტის სქემაზე. ასეთი სქემა მომსახურების სასურველი რადიუსების შექმნის საშუალებას იძლევა. ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ამ ხერხის აუკარგიანობა ვარშავის დაგეგმარების პროექტში, ვეტნესტერის პარკების სქემაზე, ნიუ-იორკის და ჩანდიგარხის დაგეგმარების პროექტებში.

მწვანე ნარგავების ხაზოვანი განთავსება, რომელიც გამოწვეულია განსაკუთრებული ბუნებრივი პირობებით, მოცემულია ქ.ტაშკენტის და ქ.რიგის დაგეგმარების სქემებში. მაგ., ქ. ტაშკენტში ასეთი გადაწყვეტა მიღებული იყო ირიგაციული არხების სისტემის დაგეგმარების გამო, რომელთა გასწვრივაც შეიქმნა ქალაქის ძირითადი მწვანე მასივები. ქ. რიგაში მწვანე ნარგავები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ასევე განთავსებულია არსებული არხების გასწვრივ.

ქალაქის რელიეფი, კლიმატური პირობები და არსებული მწვანე ნარგავები მნიშვნელოვნად განაპირობებენ ქალაქის დაგეგმარების სქემის ჩამოყალიბებას. პრაქტიკაში ყველაზე მეტად გამოყენებას პოულობს არსებული ხერხების კომბინირება. მაგ., სვერდლოვსკის გამწვანების სქემიდან ჩანს, რომ პარკების გარე წრე შევსებულია მწვანე სოლების სისტემით, რომელიც მიემართება გარე სარტყლიდან ცენტრისკენ. უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული სქემები სუფთა სახით თითქმის არსად არ გვხვდება.

ინგლისური ქალაქი-თანამგზავრის კროულის გამწვანების პროექტის მიხედვით, გარე მწვანე მასივების წრე შევსებულია ლაქების სისტემით. ტყე-პარკების და ტყეების წრე შევსებული არა მარტო ლაქების, არამედ სოლების სისტემით. ეს ხერხი გამოყენებულია მოსკოვის გამწვანების სქემაშიც.

პოსტსაბჭოურ მსხვილ ქალაქებს შორის, მოსკოვი ითვლება ყველაზე სუფთა პაერის მქონე ქალაქად. მოსკოვის გარშემოსავლელი გზის შიგნით საერთო ფართობსა და გამწვანებული ტერიტორიების შეფარდება 1:6 - 886,5 კმ² ტერიტორიიდან 140 კმ² უკავია მწვანე ნარგავებს. ამასთან ერთად, მოსკოვს გარს აკრავს მსხვილი მწვანე სარტყელი. XX საუკუნის მეორე ნახევრის ბოლო ათწლეულში გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე ერთ მოსკოველზე 25 მ² გამწვანებული ტერიტორია მოდიოდა. ამასთან, სამომავლოდ გათვალისწინებული იყო ამ ნორმის გაზრდა 30-მდე. საბჭოური ნორმატული მონაცემებით ერთ მცხოვრებზე საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების ნორმა 20 მ² უდრის.

მსოფლიოს მსხვილ ქალაქებში ეს ნორმა ერთნაირი არ არის. მაგალითად 1970 წლის მონაცემით ლონდონში იგი შეადგენდა 9 მ², პარიზში 3 მ², ტოკიოში 2 მ², თბილისში 5 მ², ვაშინგტონში 50 მ², ბრიუსელში 40 მ², ვენაში 25 მ² და ა.შ. მთელ რიგ ქალაქებში ახალი რაიონების მშენებლობისას ითვალისწინებდნენ არსებული მწვანე ნარგავების მაქსიმალურ შენარჩუნებას. ამ მხრივ შესანიშნავი მაგალითებია საბჭოური

პერიოდის რაიონები მოსკოვში, მინსკში, ვილნიუსში (რაიონი ლადზინაი), სადაც დაგეგმარებისა და მშენებლობისას მაქსიმალურად ცდილობდნენ არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამწვანების სხვადასხვა კატეგორიები ქალაქის ტერიტორიაზე ქმნის ქალაქის ერთიან სისტემას. ქალაქგეგმარების თანამედროვე თეორია მოიცავს ცნებას მწვანე ტერიტორიების სისტემის შესახებ, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ქალაქის გარემოს გაჯანსაღება. სწორედ ამ დანიშნულების შესაბამისად, როგორც ოპტიმალური, მიიღება „მწვანე სოლების“ სისტემა, რომელიც გარკვეულწილად ასრულებს დამცავი ზონების ფუნქციას. ისინი საზღვრავენ და იცავენ ქალაქის გარკვეულ ნაწილებს სუპერურბანიზაციის გავლენისაგან.

უმეტესი ქალაქებისათვის გამწვანების ასეთი სისტემა ორგანულად არის დაკავშირებული განმსაზღვრელ ლანდშაფტურ ფაქტორებთან და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გეგმარებით სტრუქტურასთან. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ამ მხრივ გვევლინება მოსკოვი, რომლისთვისაც „მწვანე სოლების“ გამოყენების იდეა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გამოწვეული იყო მისი თავისებურებებით უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქალაქებში. განსხვავებულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ვილნიუსი, სადაც ძირითადი მწვანე მასივები ისტორიულად ყალიბდებოდა მდინარის ხეობაში. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება და ვითარდება ქალაქის გენერალური გეგმის კორექტირების და ცალკეული ნაწილების დეტალური დაგეგმარების პროექტის შედგენისას.

საგულისხმოა, რომ 1970 წ. დამტკიცებული თბილისის მოქმედი გენერალური გეგმის საფუძველზე საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტში“ დამუშავდა „ქ. თბილისის გამწვანებისა და გაწვლოვანების გენგეგმის პროექტი 2000 წლისთვის“. ეს პროექტი ითვალისწინებდა ქალაქის გამწვანების ერთიანი სისტემის შექმნას და მის, მეტ-ნაკლებად, თანაბარ განაწილებას გეგმარებითი რაიონების მიხედვით, საბჭოური პერიოდის ქალაქმშენებლობის პრაქტიკაში მიღებული ქალაქის გამწვანების პრინციპის თანახმად, მომსახურების სამსაფეხურიანი სისტემით – საქალაქო, რაიონულ და მიკრორაიონულ დონეებზე. პროექტი ასევე გულისხმობდა 4 ძირითადი გეგმარებითი ელემენტის დამუშავებას, კერძოდ:

1. ქ.თბილისის და ქ.რუსთავის გარშემო მწვანე სარტყლის შექმნას, რომელიც ერთ სისტემაში მოაქცევდა არსებულ ტყის მასივებს, ნაციონალურ პარკებს, ნაკრძალებს და ტყეპარკებს. ამ მწვანე სარტყელში ჩართული უნდა ყოფილიყო უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტები და ისტორიულ-კულტურული ძეგლები;
2. მწვანე სარტყელი ქალაქის საზღვართან უერთდებოდა ქალაქის განაშენიანებული ნაწილის გარშემო მაღალ ნიშნულებზე მდებარე ქალაქის ლანდშაფტურ პარკებს და დასვენების ზონებს, რომლებიც საავტომობილო და საბაგირო გზებით ადვილად დაუკავშირდებოდნენ მას;

3. ქალაქის გეგმარებით სტრუქტურაში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყო მდინარე მტკვრის სანაპიროები, განაშენიანებისაგან თავისუფალ ტერიტორიებზე დაპროექტებული იყო ბულვარები, ბალები, პარკები, მდინარე ვერეს ხეობაში დაწყებულ იქნა ბავშვთა გამაჯანსაღებელი კომპლექსის “მზიურის” მშენებლობა, მდინარის ხეობის ლანდშაფტური პოტენციალის გამოყენებით;
4. ქალაქის ახალ საცხოვრებელ რაიონებში განსაზღვრული იყო პარკებისა და ბალების მშენებლობა, ხოლო მშენებლობისათვის გამოუსადეგარი ტერიტორიების – ხევების, მთის ფერდობების და ა.შ. - გამწვანება.

ამგვარად, პროექტით ერთ სულ მოსახლეზე განსაზღვრული იყო 20,5 მ² საერთო სარგებლობის მწვანე ტერიტორიების გაზრდა, ნაცვლად იმ პერიოდისთვის არსებული ნორმატიული მაჩვენებლისა 6,14 მ². ამ პროექტის ძირითადი არსი იყო ქალაქისა და მისი გარემომცველი ეკოსისტემების ერთიანობის, უწყვეტობისა და “გამჭოლი” ხასიათის შექმნა.

პროექტი ასევე გვთავაზობდა ქალაქის გაწყლოვანების იდეას წყალსატევების შექმნასა და წყლის სარკეების მასშტაბების გაზრდას. კერძოდ, თბილისის ზღვის, კუს ტბის, ლისის ტბის, მუხათგვერდის ტბის, გლდანის დიდი და პატარა ტბების, მტკვრის სანაპიროების და ახალი აკვატორიების შექმნას; წყალსატევებს ლოჭინის დასახლებაში, ლილოში, მდ.ვერეზე და მუხიანის დასახლებაში; ჰიდროპარკის მშენებლობას მტკვრის სანაპიროზე ორთაჭალაში და ა.შ. თბილისის, როგორც სამხრეთული ქალაქის, ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დეკორატიული კასკადების, შადრევნების და წყალსატევების შექმნას, რაც, უდავოდ, პროექტის დადებით მხარეს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ გაკეთდა ჩანაფიქრიდან. თბილისის გენერალური გეგმით გათვალისწინებული 19 ახალი საპარკო ობიექტიდან, არც ერთი არ განხორციელებულა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისში ყველა სახის ანუ საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიები 2000 წლისთვის 703 ჰა-ს შეადგენდა, რაც ქალაქის ტერიტორიის 2%-ია. მოქმედი სანიტარული ნორმებისა და წესების თანახმად, მსხვილ ქალაქში გამწვანებული ტერიტორიების კუთრი წილი ქალაქის ტერიტორიის 40%-ს, ხოლო ნორმა ერთ კაცზე მინიმუმ 10 მ²-ს უნდა შეადგენდეს, მაშინ, როდესაც თბილისში ეს ნორმა ერთ სულზე 5.2 მ² უდრის.

3.5. მსხვილი ქალაქების საზოგადოებრივი ცენტრების ლანდშაფტური დაპროექტება

ქალაქში შემორჩენილი ბუნებრივი გარემოს მცირე მონაკვეთი ჩართული ურბანიზებულ გარემოში, უმეტეს შემთხვევაში ქმნის ამ ქალაქის განუმეორებელ სახეს და ზოგჯერ გვამახსოვრდება უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე არქიტექტურული ძეგლი ან ანსამბლი. მაგალითად, *თბილისის* თავისებურება დაკავშირებულია მისი რელიეფის,

მდინარე მტკვრის ხეობის, მთაწმინდის, ნარიყალას და სხვა ბუნებრივ ლანდშაფტურ ფრაგმენტებთან, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან თბილისის განუმეორებელ და თავისებურ სახეს. *ვილნიუსში* ძველ ქალაქში შემორჩენილი *გედემინის მთა* თავისი ნანგრევებითა და ტყით დაფარული კალთებით ქალაქის კომპოზიციური ცენტრია.

ლენინგრადში არქიტექტურულ ანსამბლებთან ერთად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და გვაბახსოვრებდა ძველი საპარკო ანსამბლები (*Летний сад, Михайловский сад, Марсово поле*), მრავალი პატარა ხიდი და არხი, რომლებიც კარგად ერწყმის სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურულ და ლანდშაფტურ ანსამბლებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის საერთო სახის ფორმირებაში არა მარტო შემორჩენილი ბუნებრივი ლანდშაფტების ფრაგმენტებს, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხელოვნურად შექმნილ ანსამბლებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ლანდშაფტური არქიტექტურის უდიდეს ხელოვანთა ქმნილებებს. ბევრი ასეთი ძველი ძველთაგანვე შევიდა მსოფლიო მსხვილი ქალაქების ცენტრალური რაიონების სტრუქტურაში, რომელთა სახეც განუყოფლად არის დაკავშირებული ამ ქალაქების საერთო სახესთან. ლანდშაფტური ძეგლებიც, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგის, კულტურისა და ისტორიის ძეგლები, სახელმწიფოს დაცვასა და რესტავრაციას ექვემდებარება.

ქალაქურ გარემოში ჩართული საბადე-საპარკო ანსამბლის ტიპური მაგალითია *ტიუირლის ბაღი პარიზში*. მისი მშენებლობა დაიწყო 1642 წელს არქიტექტორ *გამბაუსტის* პროექტის მიხედვით, ხოლო შემდგომში 1665 წელს გადააკოდა *ანდრე ლენოტრის* მიერ. ტიუირლის ბაღი დაგეგმარებული იყო ფრანგულ რეგულარულ სტილში – 16 სწორკუთხოვანი ბოსკეტი რეგულარული ხეივნებით, მრავალრიცხოვანი სკულპტურებით, შადრევნებით და სხვადასხვა სახის პავილიონებით. ეს რეგულარული ჩარჩო კარგად ერწყმოდა ტიუირლის სასახლის არქიტექტურულ ანსამბლს. XIX საუკუნის ბოლოს *ოსმანის* მიერ ჩატარებული პარიზის რეკონსტრუქციის შემდეგ ტიუირლის ბაღი გადაიქცა საზოგადოებრივ ბაღად და გახდა პარიზის დიდი დიამეტრის ამოსავალი წერტილი – *ტიუირლის ბაღი, კარუსელის მოედანი, თანხმობის მოედანი და ვარსკვლავის მოედანი*. ამ მონაკვეთის საერთო სიგრძე 3 კმ-ია.

პარიზის დიდი დიამეტრი ორივე ბოლოთი დაკავშირებულია დიდი ზომის ქალაქარე პარკებთან – ბულონის ტყე და ვენსენის ტყე, რომლებიც განთავსებულია ქალაქის საპირისპირო აღმოსავლეთ-დასავლეთ მხარეს. ტიუირლის ბაღზე ორიენტირებულია მარსის მოედნის მწვანე სივრცეები და ინვალიდების სასახლე. ამ მონაკვეთების ერთობლიობა ქმნის ქალაქის ცენტრალური ნაწილის ლანდშაფტურ ანსამბლს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის გეგმარებით სტრუქტურაში და გავლენას ახდენს ქალაქის ცენტრის საერთო სახის ფორმირებაზე.

ლონდონის ცენტრის საპარკო ანსამბლი მსხვილი მასივია, რომელიც იწყება პარლამენტის შენობიდან და შეჭრილია ქალაქის ცენტრში. იგი მოიცავს ტერიტორიებს,

დაწყებულს *სენტ-დჯემსის პარკიდან გრინ პარკს და გაიდ პარკს კენსინგტონის ბაღთან ერთად*. მისი საერთო ფართობი 418 ჰა-ს უდრის. დიდი მდელოები, წყალსატევები, საუკუნოვანი ხეების ჯგუფები ლონდონის ცენტრში ქმნიან ბუნებრივთან მიახლოებულ გარემოს. ქალაქის ცენტრალური მწვანე ზოლი შევსებულია კიდევ მსხვილი საქალაქო პარკებით – *რიდჟენს პარკი* ჩრდილოეთით (189 ჰა), *ბეტერსი პარკი* სამხრეთით (77 ჰა) და ქალაქგარე პარკებით, *კიუ რიჩმონდ პარკი*, *ხემპტონ კოურტი* და *ბიუზი პარკი*, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ითვლებოდნენ ლონდონის გარეუბნებად და ახლა შეერწყნენ ქალაქის ქსოვილს.

XIX საუკუნეში აშშ-ს ქალაქების დაგეგმარებისას, თავიდანვე გათვალისწინებული იქნა ტერიტორიები ქალაქის ცენტრში მსხვილი მწვანე მასივების შესაქმნელად. ასეთი ქალაქის სივრცეების მაგალითია ვაშინგტონის პროექტი, რომელიც შედგენილი იყო 1781 წელს *არქიტექტორ ლანფანის* მიერ. ქალაქის ცენტრში გათვალისწინებული ფართო მწვანე სოლი (3,5 კმ X 600 მეტრზე) მიმართულია მდინარე *პოტომაკისაკენ*. დროთა განმავლობაში მოსახლეობისა და ტრანსპორტის ზრდის მიუხედავად, ვაშინგტონის ცენტრალური ნაწილი დღესაც ინარჩუნებს ლანფანის გეგმის საერთო ხასიათს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ლანფანმა სწორად განსაზღვრა ცენტრალური მწვანე სივრცის მასშტაბი.

XVII საუკუნეში ანტიკურ კლასიკის შემდეგ ფრანგებმა პირველად დაიწყეს გეგმარებითი ღერძის გამოყენება როგორც მსხვილი, ისე მცირე ქალაქების კომპოზიციურ სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, გეგმარებითი კომპოზიციური ღერძი, როგორც ხერხი, არც ისე მალე დამკვიდრდა ქალაქგეგმარებაში. *ქალაქ რიშელიეს* დაარსებისა (XVII საუკუნის 30-იანი წლები) და პარიზის დიდი დიამეტრის ჩამოყალიბების თარიღებს შორის დევს *ვერსალის* მშენებლობა. სწორედ ლენოტრის მიერ შექმნილი ვერსალი წარმოგვიდგება იმ ლაბორატორიად, სადაც პირველად მოისინჯა კომპოზიციური ღერძი, რომელმაც შემდგომში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. კომპოზიციურ ღერძს იყენებდნენ ქუჩების სხივურად განთავსებასთან შეხამებაში, რომლის ანალოგსაც პირველად საფუძველი ჩაეყარა რომში ბაროკოს პერიოდში.

1634 წელს *კარდინალმა რიშელიემ* დაარსა მისი სახელით წოდებული *ქალაქი რიშელიე*, რომელიც განთავსებული იყო რეგულარული გეგმარების მქონე მსხვილი საპარკო მასივის სიახლოვეში, რის გამოც მან მიიღო არა კვადრატული ან მრგვალი ფორმა, როგორც ეს იყო მიღებული ადრეულ შუასაუკუნეების ქალაქებში, არამედ რამდენადმე გაწვდილი სწორკუთხედის ფორმა. ამის გამო ქალაქ რიშელიეს გეგმა წარმოჩნდა არა ჩვეული კომპოზიციით, რომელსაც მიყვავდით ქალაქის გეომეტრიულ ცენტრთან, როგორც წერტილთან, არამედ, პირიქით, გეგმარებითი გრძივი სიმეტრიის ღერძი იჭიმებოდა ტრანზიტული სწორი პროფილის მქონე ქუჩით. სწორედ ამ ღერძის

წარმოშობით ჩაეყარა საფუძველი გეგმარებითი ღერძის იდეის წარმოქმნის ახალ ეტაპს, ახალ საფეხურს.

ასეთი კომპოზიციების განვითარების გზას ნათლად გვიჩვენებს *რომის, ვერსალის და პარიზის* გეგმები – *ვია ფლამინა რომში, ვერსალის პარკის და ელისეის მინდვრების პროსპექტი პარიზში.*

ამ გეგმების შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

1. ლენოტრმა კარგად იცოდა და სრულად გამოიყენა რომის ცენტრალური გზის კომპოზიცია ვერსალის მშენებლობაში.
2. ლენოტრმა ვერსალიდან პარიზში გადაიტანა არა მარტო ზომები და ძირითადი განივი კომპოზიციური პროპორციები, არამედ ცალკეული გეგმარებითი კვანძები, მოედნები და სხვა დეტალები.

მართლაც, ლენოტრმა ვერსალის კომპლექსს საფუძვლად დაუდო ძირითადი სამსხვიანი რომის ქუჩების გეგმარება, რომელიც უერთდება ერთმანეთს *დელ-პოპოლოს* კართან და გადადის შემდეგ ერთ ქალაქბარე გზაში. მაგრამ ლენოტრმა ვერსალში ამ კომპოზიციას სხვა ინტერპრეტაცია მისცა. აქ ერთმანეთს დაუკავშირდა უფრო დიდი ზომის ქუჩები და ქალაქის კარის ადგილზე ამადლებულ ტერასაზე დასვა გრანდიოზული სასახლე. ამავე დროს ლენოტრმა შეინარჩუნა საერთო კომპოზიციის ორნაწილიანობა, რომელიც იყოფოდა შიდა და ქალაქბარე ტერიტორიებად. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კომპოზიციაში ის არის, რომ ვერსალში, ისევე როგორც პარიზსა და რომში, კომპოზიციური ღერძის სიგრძე 3 კმ-ია. ვერსალის და პარიზის ღერძების თანაზომიერება არ იყო შემთხვევითი მოვლენა, რადგან ლენოტრი, მიიღტვოდა რა სივრცის, უსასრულობაში მიმავალი პერსპექტივის ეფექტურობისაკენ, მაინც შეზღუდული იყო ოპტიკის ფიზიოლოგიური კანონით, რომლის მიხედვით 3 კმ, ეს ის მაქსიმალური ზღვარია, რომელიც გაბნეული განათებულობის დროს სივრცული პერსპექტივის თვალთ მკაფიოდ აღქმის საშუალებას იძლევა.

XVII–XVIII საუკუნეებში თითქოსდა დაკანონდა, მთავარი ქუჩების და საპარკო პერსპექტივის 3 კილომეტრიანი სტანდარტი. ნიშანდობლივია, რომ ვერსალის საპარკო ანსამბლის ღერძის, პარიზში ელისეის მინდვრების, პეტერბურგში ნევის პროსპექტის (ადმირალტეისტვოდან მოსკოვის სადგურამდე), დაბოლოს, ვაშინგტონის ცენტრალური პარკის სიგრძე 3 კმ-ს შეადგენს.

ქმნიდნენ რა ასეთ გრანდიოზულ გახსნილ საპარკო პერსპექტივებს, ლენოტრი და მისი თანამოაზრენი ყურადღებას აქცევდნენ მათ დანაწევრებას განივი მიმართულებით. განივი ღერძების ინტერვალები ვერსალის და ელისეის მინდვრებისა ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ თითოეული გადაკვეთის ხასიათი მაინც თავისებურია.

იმის შემდეგ, რაც განხორციელდა ასეთი თამამი ქალაქგეგმარებითი ხერხი – კომპოზიციური ღერძი ქუჩების სხივურ გეგმარებასთან შეხამებაში – იგი ძალზე პოპულარული გახდა არა მარტო საფრანგეთში, არამედ საფრანგეთის საზღვრებს

გარეთაც. მაგალითად, რეინზე, პრუსიაში, ინგლისში ჩნდება მრავალი სხვადასხვა ზომის ვერსალები, რომლებიც შექმნილი იყო ლენოტრის ან მისი მიმდევრების მიერ. ასეთივე სხივური და გრძივი ღერძული კომპოზიციები წარმოდგენილია მოელ რიგ სხვა ქალაქებშიც.

3.6. ისტორიული ქალაქების ლანდშაფტურ-სივრცითი ორგანიზაცია (პარიზის რეკონსტრუქცია)

XIX საუკუნის პირველ ნახევარში პარიზში განხორციელებული ცალკეული არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიება ასე თუ ისე აგრძელებდა ნაპოლეონის პერიოდში დაწყებულ სამუშაოებს, რაც გამომდინარეობდა XVIII საუკუნეში შემუშავებული მხატვართა კომისიის გეგმიდან. 30-იან წლებში რკინიგზის სადგურების მშენებლობამ და 40-იან წლებში პარიზის საზღვრების გადიდება, მოიცვა ახალი ტერიტორიები, რომელთა ფართობი 8 ათას ჰა-ს შეადგენდა.

ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ღონისძიებად, რომელსაც ადრე არ ჰქონია პრეცედენტი ევროპის მსხვილი ქალაქების დაგეგმარების ისტორიაში, წარმოვიდგება სამუშაოები, რომელიც ჩაატარა პრეფექტმა ჟორჟ ოსმანმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში პარიზში. ეს ღონისძიება თავისი მასშტაბით და მასზე დახარჯული თანხებით, მართლაც რომ გრანდიოზული იყო. ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ჩამოაყალიბა ახალი პარიზის იერსახე მის ცენტრალურ ნაწილში და ეს გეგმარებითი სტრუქტურა შენარჩუნებულია დღემდე.

მართალია, ძალზე დიდია მნიშვნელობა ოსმანის მიერ ჩატარებული გრანდიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის გადაგეგმარების ეს გრანდიოზული გეგმა ძირითადად ნაკარნახევი და გამსჭვალული იყო იმით, რომ პარიზის ქუჩების ქსელი გამხდარიყო მოუხერხებელი ბარიკადული ბრძოლებისათვის და პოლიციას და არმიას საშუალება ჰქონოდათ ებატონათ მის ქუჩებში. ეს იდეა გამომდინარეობდა იმ მდიდარი გამოცდილებიდან, რომელიც განიცადა პარიზმა 1789, 1830 და 1848 წლების რევოლუციების მაგალითზე. სწორედ ამას ვკითხულობთ ჟორჟ ოსმანის მემუარებში.

ოსმანის მიერ ჩატარებული სამუშაოები უდიდეს ინტერესს იწვევს არა მარტო ქალაქგეგმარების ისტორიის შესწავლის კუთხით, არამედ თანამედროვე არქიტექტურულ-გეგმარებითი პრაქტიკის თვალსაზრისითაც. ეს პროექტი შედგენილი იყო ოსმანისა და მისი თანაშემწის არქიტექტორ ალფანის მიერ. შეიძლება გამოვყოთ ამ პროექტის ზოგიერთი საკვანძო მომენტები, რომლებიც განხორციელდა 50-იან 70-იან წლებში.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმანის გეგმა ითვალისწინებდა ვიწრო ქაოსური ქუჩების ქსელის მოსპობას, რომელიც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი, მიუხედავად XVIII საუკუნეში ნაპოლეონის პერიოდში ჩატარებული გარდაქმნებისა. ამისათვის საჭირო გახდა დანგრეულიყო 27 ათასი სახლი, მოშლილიყო 49 კმ სიგრძის ქუჩები და

გაყვანილიყო 95 კმ სიგრძის ახალი ქუჩები. ამ ახალ ქუჩებს ჰქონდა ახალი „ოსმანისეული“ გაბარიტები, რომლის მინიმალური სიგანე 24 მ-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ძველი ქუჩების სიგანე 7მ იყო. ამ პროექტის მნიშვნელოვან მიღწევად გვევლინება ძველი ბულვარების ძირითადი ღერძების დამთავრება.

ზოგიერთი ბულვარის სიგანე 40, 60 და 120 მეტრია. მაგ., *ვარსკვლავის მოედნიდან* გამოსული *ავენიუ ფოშის* სიგანე 120 მეტრია. მარჯვენა სანაპიროზე გაგანიერდა და გაგრძელდა ქუჩა *რივოლი*, ხოლო მარცხენა სანაპიროზე *ბულვარი სენ-ჟერმენი*. მნიშვნელოვნად გარდაიქმნა ელისეის მინდვრების დიდი მწვანე მასივი – *თანხმობის მოედანსა და ვარსკვლავის მოედანს* შორის, რომელიც პარიზის ერთ-ერთი ყველაზე პარადულ ქუჩაა. მისი ფართობი 18 ჰა-ს უდრის. თვითონ ქუჩამ კი მიიღო ახალი პროფილი ორ რიგად დარგული ხეებით ქუჩის შუა ნაწილში. მისი სიგანე 70 მეტრია. ძალიან დიდი სამუშაო გასწია ოსმანმა ქალაქგარე მწვანე მასივების *ბულონისა და ვენსენის ტყეების* ქალაქის სტრუქტურაში ჩართვის თვალსაზრისით.

აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ახალი პარკების მოწყობა მის დასავლეთ (ბულონის ტყე – 850 ჰა) და აღმოსავლეთ ნაწილში (ვენსენის ტყე 900 ჰა). ბულონის ტყე ფართო *ავენიუ ფოშით* შეუერთდა ვარსკვლავის მოედანს და ჩაირთო ქალაქის სტრუქტურაში. ვენსენის ტყე *კურ დე ვინსენის* ავენიუთი შეუერთდა *ნაციის* მოედანს. ამრიგად, ქალაქში შეიქმნა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძი, რომელიც ორივე ბოლოს მთავრდება ტყის მასივებით. გარდა ამისა პარიზში აშენდა ახალი ბაღები – *მონსო (8,5 ჰა), მონსური (18 ჰა), ბიუტ შომონი (25 ჰა). 8 სკვერი* საერთო ფართობით 9 ჰა და ბულვარები რამდენიმე რიგად დარგული ხეებით, რომელთა სიგრძე 64 კმ-იდან 112 კმ-მდე გაიზარდა.

როდესაც ვაფასებთ ოსმანის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მათი არქიტექტურულ-მხატვრული სრულყოფილებისა და ანსამბლურობის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ის დონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის გაჩენასა და დიდი ბულვარების შექმნის პრეცედენტებთან. ეს ღერძი და ბულვარები არა მარტო მკაფიოდ იკითხება პარიზის გეგმაზე, არამედ ასევე აშკარად აღიქმება ნატურაშიც. ამ რეკონსტრუქციის ჩატარების შემდეგ პარიზის ღერძმა მიიღო არაჩვეულებრივი ანსამბლურობა და გეგმარებითი სრულყოფა, რომელიც გვირგვინდება ვარსკვლავის მოედნით. მისი დიამეტრი 273 მეტრია, ტრიუმფალური თაღის გაბარიტებია – 45X50-ზე. ამ თაღის ავტორია *შაღგრენი*. თანხმობის მოედნის ავტორია *ანჟ ჟაკ გაბრიელი*.

3.7. სატრანსპორტო კრიზისი ევროპაში და ლანდშაფტურ-გეგმარებითი ხერხებით მისი გადალახვის გზები

XX საუკუნის დასაწყისში მსხვილი ქალაქები თავისი განვითარებული მრეწველობითა და ტრანსპორტით იდგა სატრანსპორტო კრიზისის წინაშე, რომელიც

თანდათან ღრმავდებოდა. ევროპის ქალაქებში კრიზისი დაიწყო უკვე XIX ს. შუა პერიოდში, თუმცა ეს კრიზისი მაინც არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უწყვეტი ერთიანი პროცესი. XIX საუკუნის ბოლო 50 წელიწადში ქალაქებმა განიცადა კრიზისის ორი ძალიან მნიშვნელოვანი ფაზა. პირველი, როდესაც შეიქმნა რკინიგზა და მეორე, როდესაც გამოიგონეს შიგაწვის ძრავა. პირველი ფაზა დაიწყო XIX საუკუნის 40-60-იან წლებში, მეორე კი დაახლოებით 30 წლის შემდეგ და გრძელდება დღემდე.

XIX საუკუნის კრიზისი, მთელი რიგი სხვა მიზეზების გარდა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ, როდესაც რკინიგზა თავდაპირველად შეიჭრა ცენტრალურ ქალაქებში, მას არ ჰქონდა დამაკავშირებელი ხაზები, ამიტომ სატრანზიტო და სატვირთო ნაკადები აწევბოდა დამატებით ტვირთად მოძველებულ საქალაქო ქუჩების ქსელს. როდესაც მოსახლეობის მოძრაობის ინტენსიურობა უფრო გაიზარდა და საჭირო გახდა ხალხის გადაყვანა ერთი სადგურიდან მეორეში /ჩიხური სადგურების გამო/, გაჩნდა ამ პრობლემის გადაუდებელი გადაჭრის აუცილებლობა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად წარმოჩნდა პარიზის რეკონსტრუქციის გეგმა, რამაც დისონანსი და დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქალაქმშენებელთა შორის ევროპის სხვა მსხვილ ქალაქებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი მასშტაბური ქალაქგეგმარებითი ღონისძიება ჩაატარა ოსმანმა 1852-70 წწ. სადგურებს შორის გაჭრილი სწორხაზოვანი ბუღვარები ხელს უწყობდა გამჭოლ მოძრაობას ქალაქის ფარგლებში, მანამ, სანამ გაიხსნებოდა პარიზის წრიული სარკინიგზო ხაზი. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ტრანსპორტის კრიზისის სრულ ლიკვიდაციას მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან მასში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობას და არა ტრანზიტულს.

XX საუკუნის დასაწყისისათვის კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა. ჯერ კიდევ 80-იან წლებში ევროპისა და ამერიკის ქალაქებში გაჩნდა პირველი ელექტროტრამვაები, ავტომობილები, რომლებიც მოძრაობაში მოდიოდა ორთქლით, ელექტრონით და თხევადი საწვავით — ნავთით და ბენზინით. მანამ, სანამ მოძრაობის სიჩქარე არ აღემატებოდა 20-25 კმ/სთ და მათი რაოდენობა არ იყო დიდი, ავტომობილს არ ჰქონდა კონფლიქტი საცხენოსნო ტრანსპორტთან. შიგაწვის ძრავას სრულყოფამ, მანქანა გადააქცია ტრანსპორტის მასობრივ სახეობად. ეს, თავის მხრივ, იწვევდა ქალაქის ქუჩების ქსელის რევიზიის აუცილებლობას, რადგან სწორედ ქუჩების საშუალებით ხდებოდა ქალაქში მანქანების ცირკულაცია.

შედარებით ყველაზე მეტად მომზადებული ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოვიდა ეჟენი ენარი, რომელიც გახდა პარიზის მთავარი არქიტექტორი, ოსმანის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებიდან 30 წლის შემდეგ.

ეჟენი ენარი ცნობილი გახდა, როგორც პარიზის 1889 და 1900 წლების, ორი მსოფლიო გამოფენის ავტორი. 1900 წლის გამოფენისათვის მარსის მოედანზე მან, ააშენა ორი სასახლე ე.წ. „ელექტრობის“ და „ილუზიების“, მაგრამ ენარს აფასებენ

არა მარტო ამ ეკლექტიკური და პრეტენზიული შენობებისათვის, არამედ მისი დამსახურება მის ქალაქგეგმარებითი პროექტები და სამეცნიერო კვლევებია, რომელიც მან ჩაატარა, როდესაც ემზადებოდა პარიზის მეორე მასშტაბური რეკონსტრუქციისათვის, თუმცა ეუენი ენარის ეს ჩანაფიქრი საბოლოოდ ვერ განხორციელდა.

ენარი ტრანსპორტის მოძრაობას განიხილავდა ქალაქის ორგანიზმის ცხოველქმედების ერთ-ერთ გამოვლენად. ყველაზე მეტად მას აინტერესებდა ქალაქის ცენტრის პრობლემა. ქალაქის ცენტრს იგი ადარებდა ადამიანის გულს, რომელიც ორგანიზმულად უკავშირდება მკვებავ არტერიებს. ამ შემთხვევაში ქუჩები, რომლებიც ატარებს სატრანსპორტო საშუალებების უმეტესობას, თავს იყრის სწორედ ქალაქის ცენტრში. ენარმა ზედმიწევნით შეისწავლა მთელი რიგი ქალაქების პრობლემები, კერძოდ: ბერლინის, ლონდონის, მოსკოვის და სხვა, რომელთაც პარიზთან რამდენადმე საერთო გეგმარებითი სტრუქტურა ჰქონდა. მის მიერ ჩატარებულ კვლევები უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისა იყო იმ პერიოდისთვის, რადგან ასეთივე პრობლემების წინაშე იდგა უკვე მსოფლიოს ყველა მსხვილი ქალაქი. ახალი ქალაქების პროექტებში უკვე იგრძნობოდა „ოსმანიზმი“ სული, გამოვლენილი სხვადასხვა ნაციონალურ ფორმაში. „ოსმანიზმში“ იგულისხმება ის ერთგვარი ცალმხრივი მიდგომა, რომელიც ძირითად ამოცანად ხდიდა სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგებას. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა ქუჩები და არა საცხოვრებელი კვარტალები და სხვა საზოგადოებრივი კავშირები. ამიტომ ფართოდ იყენებდნენ ქალაქის ორგანიზმში, ე.წ. „ქირურგიულ“ ჩარევებს ანუ ქუჩების გაყვანა-გაფართოებას ჩამოყალიბებული გეგმარებითი ქსოვილის უგულვებელყოფით. < . . . „ოსმანისტები“ ანხორციელებენ მიზანმიმართულ ძალადობას ქალაქებზე . . . > ასე ფასდებოდა მოგვიანებით ოსმანის მიმდევრების მოღვაწეობა. XX საუკუნეში „ოსმანიზმმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო საფრანგეთში და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში, არამედ ოკეანის მიღმაც. 1901 წელს ბურნხემისა და ოლმსტედის მიერ შედგენილ იქნა ვაშინგტონის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტი და იმავედროულად დამთავრდა ჩიკაგოსა და ფილადელფიის დაგეგმარების პროექტები. „ოსმანიზმი“ იმდენად შეიჭრა არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებით პრაქტიკაში, რომ ინდოეთის დედაქალაქის დელის, ავსტრალიის დედაქალაქის კანბერას დაგეგმარების პროექტები შემოიფარგლა მხოლოდ ქუჩების ქსელის პროექტის შედგენით. საგულისხმოა, რომ კანბერას დაგეგმარების პროექტი გამოვიდა ძალიან საინტერესო, მისი მრავალცენტრიანობის გამო. მაგისტრალების გაყვანით, სადაც არ უნდა განხორციელებულიყო იგი, ფაქტიურად წყდებოდა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი პრობლემა – სატრანსპორტო კომუნიკაციების გაუმჯობესების პრობლემა.

ეგენიზერ ჰოვარდი (1850-1928) – „ქალაქი-ბაღები“

XX საუკუნის პირველი ათწლეული აღინიშნება არა მარტო სატრანსპორტო კრიზისიდან გამოსვლის გზების, არამედ ქალაქის განსახლების ახალი ფორმების ძიებით. თუ პირველი მათგანის გადაჭრას ცდილობდა ეუენი ენარი ოსმანის მიერ ჩატარებული პარიზის რეკონსტრუქციის რევიზიითა და გეგმარებითი სრულყოფით, მეორეს დაქინებით ამუშავებდა „ქალაქი-ბაღების“ აქტიური მქადაგებელი ებენიზერ ჰოვარდი.

ებენიზერ ჰოვარდი (1850-1928) ინგლისელი სოციოლოგ-უტოპისტი მოსახლეობის გადასახლების მომხრე „ქალაქ-გიგანტებიდან“ – „ქალაქ-ბაღებში“. 1898 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „ხვალ“. მანვე ჩამოაყალიბა და დაარსა ქალაქი ლეზვორტი და ველვინი..

უკეთებდა რა კონსტატაციას კრიზისს, რომელიც დამახასიათებელი იყო ქალაქ-გიგანტებისთვის /ლევიფანებისთვის/, ჰოვარდი ვერ ხედავდა გამოსავალს ქალაქ-გიგანტების არქიტექტურულ-გეგმარებითი რეკონსტრუქციის გზაში. ქალაქ-გიგანტებში იგი ხედავდა „მძიმე ავადმყოფს“. იგი ამბობდა, რომ ამ ქალაქებს უნდა ვუმკურნალოთ არა გეგმარებითი ხერხებით, არამედ, პირველ რიგში, მოსახლეობის რიცხვის პერმანენტული შემცირებით, რაც გულისხმობდა ქალაქებიდან მოსახლეობის თანდათანობით გადასახლებას. სწორედ ამ საფუძველზე დაიბადა ჰოვარდის მიერ შემოთავაზებული განსახლების მესამე მაგნიტის შექმნის იდეა. ეს მესამე მაგნიტი, ჩაისახება რა ბუნებაში, ქალაქებისა და სოფლების მიღმა უნდა შეიცავდეს იმ დადებით მხარეებსაც, რომლებიც ახასიათებს, როგორც ქალაქებს, ასევე სოფლებს. ჰოვარდის აზრით, ეს მესამე მაგნიტი უნდა გამხდარიყო ეკონომიკურად ავტონომიური „ქალაქი-ბაღი“. ჰოვარდის ამ მოძღვრებას აქვს სამი ძირითადი ასპექტი: სოციალური, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ქალაქგეგმარებითი.

1) ამ მოძღვრების სოციალური მხარე არ მოიცავდა არაფერს ახალს, რომელიც განსხვავებული იქნებოდა წინა საუკუნის უტოპიური იდეებისაგან. სწორედ გაერთიანება და შეკავშირება ანტაგონისტურად განწყობილი კლასებისა „ქალაქი-ბაღების“ ტერიტორიაზე, იყო, ალბათ, იმ პერიოდისთვის ყველაზე სუსტი მხარე ამ მოძღვრებისა.

2) რაც შეეხება საერთო გეოგრაფიულ სქემას, იგი მოგვაგონებს პლანეტას, რომლის ირგვლივაც ვარსკვლავებით განთავსებულია ქალაქები მათ ცენტრში უმსხვილესი ქალაქით. ლონდონის ირგვლივ ჰოვარდი აყალიბებდა რამდენიმე ათეულ ასეთ ქალაქს. იგი ფიქრობდა, რომ მსხვილი ქალაქიდან გასული ზოგიერთი მრეწველობა და სავაჭრო ცენტრების ნაწილი მნიშვნელოვნად შეამცირებდა ქალაქის მოსახლეობას, თუმცა ამ მოწყვეტაშიც მსხვილი ქალაქიდან იყო ზოგიერთი უარყოფითი მხარე, რადგან მთელი რიგი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით უკვე მიუწვდომელი ხდებოდა მოსახლეობის ნაწილისათვის. ამიტომ ჰოვარდის მიერ შემოთავაზებული იყო „ქალაქი-ბაღების“ დაჯგუფება ფედერაციებად 6 ქალაქის შემადგენლობით, თითო 32 ათასი მაცხოვრებლით.

რომლებიც თავმოყრილი იქნებოდნენ კულტურული და საზოგადოებრივი ცენტრების ირგვლივ. ამ ცენტრების მოსახლეობა 58 ათასი კაცით განისაზღვრა, აქედან ფედერაციის მთლიანი მოსახლეობა 250 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო. „ქალაქი-ბაღების“ მაცხოვრებლები, ინარჩუნებდნენ რა ყველა უპირატესობას სოფლური ცხოვრებისა, მისი ცენტრიდან ღებულობდნენ ყველა სახის საზოგადოებრივ და კულტურულ მომსახურებას. ასეთი იყო ამ იდეის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მხარე.

რაც შეეხება ამ იდეის *ქალაქგეგმარებით ასპექტს*, იგი შემდეგნაირად იქნა გადაწყვეტილი: გამოდიოდა რა მკაცრად რეგლამენტირებული მოსახლეობის რაოდენობიდან და კოტეჯური ტიპის ერთ-ორსართულიანი განაშენიანების ექსტენსიური სიმჭიდროვიდან, ჰოვარდმა განსაზღვრა ამ ქალაქების ტერიტორიის ზომა, რომლის დიამეტრი 2 კმ-ს არ აღემატებოდა. ამ გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მწვანე სარტყელი, რომელიც გარს ერტყა ამ ქალაქებს, თავისი მომსახურების რადიუსით აკმაყოფილებდა ნორმატულ მოთხოვნებს, სადაც მოსახლეობას, როგორც ბაეშვებს, ასევე მოხუცებს ყოველდღიურად შეეძლოთ ესეირნათ ფეხით ამ გამწვანებულ სივრცეებში. გარდა ამ მწვანე სარტყელისა, თვით ქალაქიც ძალიან კარგად იყო გამწვანებული. ცენტრალური სკვერი გარშემორტყმული იყო საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით, შემდეგ დიდი წრიული ბულვარი სკოლითა და სპორტული ნაგებობებით და მოედნებით, დაბოლოს, რადიალურ ქუჩებზე ინდივიდუალური ნაკვეთებით, ბოსტნებითა და ხეივნებით. ანუ შექმნილი იყო ყველაფერი ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა ჰოვარდს ქალაქ-ბაღნარის შესაქმნელად.

იმისათვის, რომ განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი ნატურაში, არ ჰქონდა რა სამეფო კარის იმედი, ჰოვარდს დასჭირდა კაპიტალის დაგროვება აქციების გაყიდვით. ფულის დაგროვების პროცესმა წაართვა მას სამი წელი და ბოლოს, 1903 წელს კანტორამ, რომელიც ჩამოაყალიბა ჰოვარდმა, შეიძინა 1545 ჰა მიწის ნაკვეთი ლონდონიდან 55 კმ-ს დაშორებით. ამ „ქალაქ-ბაღს“ ეწოდა აქ მდებარე ყოფილი პატარა სოფლის სახელი *ლენქორტი*. ლენქორტის გენერალური გეგმა შედგენილი იყო *ბარი პარკერის* და *რაიმონდ ენინის* მიერ 1904 წელს. ეს ქალაქი მთლიანად შეესაბამებოდა ჰოვარდის მიერ შემოთავაზებულ სქემას. ქალაქი გაშენებული იყო კომფორტული სახლებით, რომელთა წინ გაშენდა ინგლისური სტილის ბაღები. სახლების მაღალ ქანობიან სახურავები გადახურული იყო კრამიტით, ლამაზი კარი მორთული იყო მხვიარა მცენარეებით, სახლებს სხვადასხვა ფერის ხის დარაბები ამშვენებდა. სახლების წინ ყვავილნარები იყო მოწყობილი. მიუხედავად მშენებლობის ასეთი მაღალი ხარისხისა, ლენქორტში ხალხი ძალიან ნელა სახლდებოდა. პირველ ხუთ წელიწადში იქ დასახლდა მხოლოდ 5250 კაცი, ხოლო 1908 წლიდან მოსახლეობის ზრდის ტემპი მთლიანად დაეცა. ასეთივე ხვედრი ხვდა წილად მეორე ქალაქსაც *ველინსაც*, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში შექმნილ ახალ ქალაქ *ხემპსტედში*, რომლის ავტორი გახლდათ *რაიმონდ ენინი*, მოსახლეობა უფრო დიდი სურვილით მიდიოდა.

საქმე იმაშია, რომ ხემპსტედი გაშენებული იყო ლონდონის ჩრდილოეთ გარეუბანში 1907 წელს 120 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, რომელიც შეიძინა მდიდარმა ქალბატონმა ვინმე ბერნეტმა. ამ ტერიტორიაზე გადიოდა მეტროს ხაზი, რომელიც დაკავშირებული იყო ლონდონის ცენტრთან, აგრეთვე აქ ფუნქციონირებდა ტრამვაის ხაზიც, რომელიც ხელს უწყობდა მოსახლეობის დაკავშირებას მთელ რიგ რაიონებთან. სწორედ ამან განაპირობა ხემპსტედის უფრო სწრაფი ზრდა. პროექტის შედგენიდან 8 წლის შემდეგ ხემპსტედში აშენებული იყო 1550 სახლი, რომელშიც 5 ათასზე მეტი ადამიანი ჩასახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხემპსტედის მსგავსი დასახლებები არავითარ შემთხვევაში არ ამცირებდა მოსახლეობას მსხვილ ქალაქებში, პირიქით, იგი ხელს უწყობდა ქალაქის ტერიტორიის ზრდას, სწორედ ამ დასახლებებმა მიიღო დაუმსახურებელი აღიარება და სწორედ მათი დაშტამპვა დაიწყო ევროპის და ამერიკის მსხვილ ქალაქებში იმედის მომცემი აბრით „ქალაქი-ბაღი“. აღფრთოვანებულმა თავისი წარმატებით რაიმონდ ენვინმა დაწერა წიგნი „ქალაქების დაგეგმარება პრაქტიკაში“, რომელშიც შემოთავაზებული იყო მსხვილი ქალაქის სქემები მის ირგვლივ განთავსებული „ქალაქი-ბაღებისა“ და „ქალაქი-თანამგზავრების“ სისტემით. მაგრამ ეს ეკლექტიკური წინადადება ჩამორჩებოდა ჰოვარდის იდეებს, რომლის თეორიული დეაწლი განსახლების მეცნიერებაში რჩება, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ქალაქმშენებლობაში.

ლიტერატურა

1. ორპუხის კონვენცია. დანია, 1998.
2. ქ.თბილისის ეკოლოგიური პრობლემები (სტატიების კრებული). თბილისი: შპს ლევა, 2002.
3. ეკოლოგიის პრობლემები. იუნესკოს სამთავრობათაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი: საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია, 2003.
4. აფციაური ვ. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ქალაქმშენებლობის კონცეფცია. თბილისი, 2003.
5. თევზაძე ე. თბილისის გამწვანების პრობლემა – გეგმები და რეალობა. ბიულეტენი №74, საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრი, თბილისი, 2002.
6. ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბილისი, მეცნიერება, 1977.
7. პოლიევქტოვი მ., ნათაძე გ. ძველი თბილისი. თბილისი: სახელგამი, 1930.
8. თევზაძე ე. თბილისის ძველი ბაღები და თანამედროვე ურბანიზაცია (ლექციათა კურსის კრებული), კაიზერსლაუტერნი–თბილისი, 2002.
9. კვიციანი თ. მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. სპი-ს გამოც., თბილისი, 1961.
10. ხმალაძე ი. ლანდშაფტური ხელოვნება. თბილისი: ხელოვნება, 1985.
11. მამნიაშვილი კ. თბილისის ნაციონალური პარკი. თბილისი: ხელოვნება, 1985.
12. ბეროშვილი ვ. პარკმშენებლობის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი, 2002.
13. ქ. თბილისის ახალი (მეოთხე) გენერალური გეგმის წინასაპროექტო მასალა. შპს თბილქალაქპროექტი, 2001.
14. თბილისი – ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1989.
15. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: განათლება, 1989.
16. Залеская Л.С., Микулина Е.М. Ландшафтная архитектура М.: - Стройиздат, 1979.
17. Вергунов А.П., Денисов М.Ф., Ожегов С.С. Ландшафтное проектирование. Учебное пособие. М.: Высшая Школа, 1991.
18. Саймондс Д.О. Ландшафт и архитектура. М.: Издательство литературы по строительству. 1965.
19. Курбатов Ю.И. Архитектурные формы и природный ландшафт. Ленинград: Издательство Ленинградского университета, 1988.
20. Боговая И.О., Фурсова Ю. Ландшафтное искусство. М.: ВО Агропромиздат, 1988.
21. Бунин А.В., Саверенская Ф. Т., Градостроительство XX века в странах капиталистического мира. Т.2 – М.: Стройиздат, 1979.
22. Зитте Камилло. Художественные основы градостроительства. М.: Стройиздат, 1991.
23. Лунц Л.Б. Городское зеленое строительство. М.: Стройиздат, 1974.
24. Горохов В.А. Лунц Л.В. Парки Мира. М.: Стройиздат, 1985.
25. Горбачёв В.Н. Архитектурно-художественные компоненты озеленения городов. М.: Высшая Школа, 1983.
26. Белкин А.Н. Городской ландшафт. М.: Высшая Школа, 1987.
27. Григорян А.Н.- Ландшафт современного города. М.: Стройиздат, 1986.
28. Горбачёв В.Н. Архитектурно-художественные компоненты озеленения городов. М.: Высшая Школа, 1983.
29. Аркин Д. Париж – архитектурные ансамбли города. М.: 1937.
30. Регель А.Э. Изящное садоводство и художественные сады. М.: 1896.
31. Георгберидзе Д.И. Сады и парки Грузии. М.: Издательство литературы по строительству, 1969.
32. Васенина Л.Ф. Сады Востока (Учебное пособие). Санкт – Петербург: 1997.
33. Ожегов С.С. История ландшафтной архитектуры. М.: Стройиздат, 1993.
34. Хуцишвили Г. Тбилиси через века и годы. Тбилиси: Сабчота сакарთველო, 1981.
35. Ландшафтная архитектура и дизайн городской среды. Первый информационный сборник. Приложение к журналу МАСА Архитектура, строительство и дизайн, 2001.
36. Бобров Р. Все о национальных парках. М.: Молодая гвардия, 1987.
37. Борисов В.А. Белоусова Л.С. Винокуров А.А. Охраняемые природные территории мира. М.: Агропромиздат, 1985.
38. Wengel Tassilo “The Art of Gardening Through The Ages – Leipzig – 1987.
39. Nitschke Gunter Jaapanese Gardent (Right Angle and Natural Form) Bendikt Tashen – 1993.
40. L, Art Des Jardins Japonais - Artia – 1981.
41. Illik Drahomir Traditionallle Japanishe Architectur – Artia – 1970.
42. Garret Eccbo - The Landscepe We See – 1996.
43. James Wines – Green Architeqtur – Taschen – 2000.
44. The Architectural Revieu - Paris 200, №1082 –1988.
45. The Architectural Revieu - Paris 200, №1110 – 1989.

ტერმინების განმარტება

- ალპინარიუმი (ქვის ბაღი) - ბაღის ან პარკის ნაწილი (ძირითადად ქვის ბორცვის სახით) მოის (ალპიური) მცენარეების გასამრავლებლად.
- ანთროპო. . . - (ბერძნ. antropos - ადამიანი) რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ეხება ადამიანს, ადამიანური, მაგ., ანთროპოგენეზი).
- აკვედუკი - (ლათ. aquaeductus - წყალსადენი) ხიდი, რომლითაც წყალგაყვანილობის მიწები, სარწყავი და პიდროტექნიკური არხები გადაჰყავთ ხევებზე, გზებზე, მდინარეებზე.
- ადაპტაცია - (ლათ. adaptation - მორგება, შეგუება) ძველის ისეთი გადაკეთება, რომელიც შეესაბამება მის ახალ გამოყენებას გარე სახის მაქსიმალურად შენარჩუნებით.
- ავანგარდიზმი - (ფრ. avant - წინა + gardisme) XX ს. ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობის საერთო პირობითი სახელწოდება, რომელთაც აერთიანებთ კლასიკური ხელოვნების ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა, ახალი ფორმებისა და გამოსახვის საშუალებათა ძიება.
- არქიტექტონიკა - შენობის კომპოზიციის და სტრუქტურის დამახასიათებელი წყობა, რომელიც გამოისახება ცალკეული ნაწილების გარკვეული ურთიერთკავშირით, რიტმით, პროპორციებით, ნაგებობის ელემენტების მასშტაბურობით, შეორეხარისხოვანი ელემენტების მთავრისადმი დამორჩილების ხერხით.
- ბოსკეტი - (ფრ. bosquet - ტყე, კორმი) - პარკებში, ბაღებში და მათ საზღვრებზე კედლების სახით დარგული სწორად გაკრეჭილი ხეების ან ბუჩქების ჯგუფი.
- ბორდიური - (ფრ. bordure) გვერდული ქვები, ფილები, რომლებიც საზღვრავენ ტროტუარს, გაზონს გზის სავალი ნაწილისგან; დეკორატიულ ბაღთშენებლობაში ცალკეული უბნების გზების, კლუმბების, გაზონების კონტურებზე დარგული დაბალი მცენარეული ზოლები.
- ბელვედერი - (იტ. belvedere - შესანიშნავი ხედი) შენობაზე ან მადლობზე აშენებული პავილიონი, საიდანაც იხსნება ხედი გარემოზე; ზოგიერთი სასახლის სახელწოდება, მაგ., ვარშავაში, პრელაში, ვენაში, ვატიკანში და სხვ.
- ბაროკო - (იტ. barocco) XVII საუკუნის ბოლოდან XVIII საუკუნის ნახევრამდე ევროპის ხელოვნებაში გაბატონებული ძირითადი სტილისტური მიმართულება. ბაროკო დაკავშირებული იყო აბსოლუტიზმის აყვავების პერიოდის კულტურასთან. ბაროკოს ხელოვნებისათვის დამახასიათებელია დიდი ანსამბლები, რომლებშიც ორგანულად არის შერწყმული არქიტექტურის დინამიკური ფორმები, ფერწერა, ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნება.
- ბიუსტი - (ფრ. buste) ადამიანის სედა ნაწილის (გულმკერდის ჩათვლით) სკულპტურული გამოსახულება.
- ბულვარი, ხეივანი - ხეებით ორმხრივ შემორგული განიერი საქვეითო გზა ბაღში, პარკში ან ქალაქის ამდაგვარი ქუჩა.
- გაზონი - (ფრ. gazon) - დაბალი და თანაბრად შემოკაფული ბაღისათვის გამწვანებული დეკორატიული ზოლი პარკში, ხეივანში, მოედანზე და ა.შ.
- გრაფიტები - (ბერძ. grapho - ვწერ) სახლის კედლებზე, ღობეებზე, ჭურჭელზე და ა.შ. გაკეთებული წარწერები და ნახატები.
- გირლანდა - (იტ. ghirlanda) მცენარეებისგან შედგენილი ღენტური ორნამენტი.
- გიმნასიუმი - (ბერძნ. gymnasion) ვარჯიშისა და წვრთნისათვის განკუთვნილი ნაგებობა ძველ საბერძნეთში, რომელიც წარმოადგენდა მთავარი შენობისა და ღია ბაქნებისგან შემდგარ კომპლექსს; ძველ საბერძნეთში, მაღალი წრის ახალგაზრდებისთვის სასწავლო-აღმსრუდებლობითი დაწესებულება, სადაც სწავლობდნენ პოლიტიკას, ფილოსოფიას, ლიტერატურას და ამავე დროს გადიოდნენ ფიზიკურ მომზადებას.
- გენერალური გეგმა - მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის, აგრეთვე კვარტალების, ქუჩების, მოედნების, ბაღების, პარკების, სკვერებისა, დასახლებული ადგილების და სხვა შემადგენელი ნაწილების ურთიერთგანლაგების გრაფიკული გამოსახულება.
- განაშენიანების სიმჭიდროვე - განაშენიანებული ტერიტორიის ფართობის შეფარდება (ხვეულებრივ პროცენტებში გამოსახული) შესაბამისი დასახლების, კვარტალის და ა.შ. ფართობთან.
- გროტი - (ფრანგ. grotte) საპარკო ნაგებობა (პავილიონი, წყარო, დეკორატიული ელემენტი საყრდენ კედელში და ა.შ.), რომელიც ბუნებრივი მღვიმის იმიტაციას წარმოადგენს.

ენდემი - (ბერძნ. endemos - ადგილობრივი) მცენარეთა და ცხოველთა სახეობები (ჯგუფები, ოჯახები და სხვ.) დამახასიათებელი გარკვეული შედარებით მცირე ზომის ტერიტორიებისთვის.

ეროვნული პარკი - ტერიტორია (აკვატორია), რომელზედაც ხორციელდება ლანდშაფტებისა და ბუნების უნიკალური ობიექტების დაცვა. ნაკრძალებისაგან განსხვავებით, მასში ნებადართულია მომსვლელთა ნაკადის მიღება და დასვენება; მსოფლიოში პირველი ეროვნული პარკი შეიქმნა 1872 წელს ამერიკაში, ცნობილი იულოუსტონის ეროვნული პარკის სახელწოდებით (შტატები - ვაიომონტი, მონტანა, აიხალო) ფართობით 898,3 კა.

ესპლანადა - (ფრ. esplanade) ქუჩა, მის ღერძზე მოქცეული ხეივანი; მოედანი დიდი ნაგებობის წინ.

ესტრადა - (ფრ. estrade - ბაქანი) ორატორების, მსახიობების, გუნდების, ორკესტრებისა და სხვათა გამოსასვლელად განკუთვნილი შემადგენელი ბაქანი.

იკებანა - (იაპ.) თაიგულის შედგენის ხელოვნება, გავრცელებული იაპონიაში, ასევე თვით თაიგული შედგენილი იკებანას პრინციპით.

კლასიციზმი - (ლათ. classicus - სანიმუშო) მიმდინარეობა კულტურის ისტორიაში, რომელიც აღმოცენდა საფრანგეთში და გავრცელდა ევროპაში ფეოდალურ საზოგადოებიდან ბურჟუაზიულისკენ გადასვლის ეპოქაში (XVII ს., XIX ს-ის დასაწყისი) და ხელოვნებაში შეიტანა მოვლენებისადმი რაციონალისტური მიდგომის პრინციპი. კლასიციზმი გამოირჩევა მისწრაფებით ნაწარმოებთა ამაღლებული, ნათელი და ლოგიკური წყობისადმი, რომლის საფუძველსაც ანტიკური და აღორძინების ეპოქების ხელოვნებაში პოულობს. არქიტექტურაში კლასიციზმი თანმიმდევრულად ატარებს ანტიკური და აღორძინების ხანის მემკვიდრეობის მკაცრ სისტემატიზაციას.

კონსტრუქტივიზმი - (ლათ. constructio-შენება) XX ს-ის მიმართულება დაკავშირებულია კუბიზმთან და ფუნქციონიზმთან და წარმოშვა თავისი მხატვრული მიმართულება. უარყოფს ხელოვნების იდეურ შინაარსს და უპირატესად მიმართავს აბსტრაქციულ გეომეტრიულ ფორმებს.

ლანდშაფტის რეკულტივაცია - (re . . . თავსართი - კვლავ, ხელახლა; ლათ. cultivo - (მიწის) დამუშავება), წინამორბედი სამეურნეო სამუშაოების შედეგად დაზიანებული ლანდშაფტის სრული ან ნაწილობრივი აღდგენა (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, მშენებლობის, ტყეების გაკაფვის და ა.შ.).

მიკსბორდერი - (ინგ. mix არევა + border ქობი) - მრავალრიგად დარგული სპეციალურად შერჩეული დეკორატიული მცენარეების ასორტიმენტი, რომელთა ყვავილობა გრძელდება ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. მრავალწლიან მიკსბორდერებში ნარგავების სახეობების შერწყვა ხდება სიმადლის მიხედვით. დაბალი ნარგავები ირგვება წინა პლანზე, ხოლო უფრო მაღალი უკანა პლანზე.

მოდერნიზმი - (ფრ. modernisme) - ბურჟუაზული ხელოვნების XX საუკუნის 20-იანი წლების მიმართულების საერთო დასახელება, რომლისთვის დამახასიათებელია ტრადიციული ფორმებისა და წარსულის ესთეტიკის უარყოფა.

მავზოლეუმი - (ლათ. mausoleum) მონუმენტური აკლდამის სახელწოდება, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია მეფე მავზოლის სამარხთან მცირე აზიაში, ჰალიკარნასში (IV საუკ. ძვ.წ.).

მოსახლეობის სიმჭიდროვე - მოცემული ტერიტორიის, სოფლის, ქალაქის, კვარტალის და ა.შ. დასახლების სიმჭიდროვის მანვენებელი, რომელიც გამოისახება მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით სათანადო ფართობთან


მოედანი - დასახლებულ ადგილას (სოფელში, ქალაქში და ა.შ.), განაშენიანებისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი დანიშნულების, არქიტექტურულად ორგანიზებული სივრცე.

ნიჟარა - საბაღე - საპარკო ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს პარაბოლური ფორმის გადახურვის მქონე ესტრადას ღია ჰაერზე კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.


პარკი - (ლათ. parricus - შემოღობილი ადგილი) ბუნებრივად ან ხელოვნურად გამწვანებული მიწის ნაკვეთი გაფორმებული ხეივნებით, წყლის სარკეებით, ყვავილნარებით და ა.შ. გამოიხსნის სეირნობისა და დასვენებისათვის. ქალაქის ბაღთან შედარებით, პარკი გამოირჩევა დიდი ზომებით და ნაგებობათა კომპლექსის სირთულით.

- პარკი პეიზაჟური (ლანდშაფტური) - არარეგულარული დაგეგმარების მქონე პარკი, რომელიც მეტად წააგავს ბუნებრივ გარემოს და ხშირად მოიცავს ტყეს, მინდვრებს, წყალსატევებს, ხევებს და ა.შ.
- პარკი რეგულარული - ხეივნების და ყვავილნარების გეომეტრიული დაგეგმარების მქონე გამწვანებული ტერიტორია, სადაც ჭარბობს დეკორაციული მცენარეულობა.
- პარტერი - (ფრ. parterre - მიწა) - ბაღის ან პარკის გახსნილი ნაწილი გაფორმებული გაზონებით, ყვავილნარებით, შადრევნებით, აუზებით, ქანდაკებებით და ა.შ., განთავსებული გარკვეული სისტემით.
- პირსი - (ინგლ. piers) საპორტო ნაგებობა, რომელიც წყლისკენ მკვეთრად არის გამოწეული და ორივე მხრიდან აქვს მოწყობილი ნავსაბმელი.
- პერგოლა, თალარი - (იტ. pergola) ხვიარა მცენარეებით დაფარული აუზრული საბაღე-საპარკო ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს ზემოდან მოლარტყვით შეერთებული თაღების ან ჩარჩოების რიგს.
- რეგენერაცია - (ლათ. regeneratio - აღდგენა) დაკარგული ან დაზიანებული ნაწილის აღდგენა, მისი ცალკეული ნაწილებისაგან, მაგ., თბილისის ძველი უბნების რეგენერაცია.
- რენესანსი - (ფრ. renaissance - აღორძინება) აღორძინების ეპოქა - საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა (დაიწყო იტალიაში XIV საუკუნეში, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში XV-XVI სს.), ასახავდა განვითარებადი ბურჟუაზიის ინტერესებს; იმ პერიოდის არქიტექტურული სტილი, რომელმაც შეცვალა გოთიკური და შეითვისა ბერძნულ-რომაული სტილის ელემენტები.
- რეონსტრუქცია - ძეგლისათვის მეცნიერულად დასაბუთებული, მეტ-ნაკლებად დასრულებული პირველდელი სახის მიცემა არსებული და ახალი ელემენტების გამოყენებით;
- რეკრეაცია - (ლათ. recreation - აღდგენა), დასვენება, მუშაობის პროცესში ადამიანის მიერ დახარჯული ენერჯის აღდგენა.
- რესტავრაცია - (ლათ. restauratio - აღდგენა) ძეგლის დაზიანებული ან დაკარგული ფრაგმენტების მეცნიერული მეთოდებით აღდგენა.
- როზარიუმი - (ლათ. rosarium) - ბაღი ან სათბური, სადაც გამოჰყავთ ვარდები;
- როზეტა, ვარდული - სტილიზებული ყვავილის ფორმის ორნამენტი.
- როტონდა - (ლათ. rotundus - მრგვალი) არქიტექტურული, მრგვალი ნაგებობა გადახურული გუმბათით, ხშირად კოლონებით (შენობა პავილიონი).
- როკაილი - (ფრ. rocaille - ნიჟარა) 1) ორნამენტული მოტივი, რომელსაც საფუძვლად უდევს ნიჟარის გამოსახულება დამახასიათებელი XVIII საუკუნის დასაწყისში ევროპული კულტურისთვის; 2) იგივე, რაც როკოკო.
- როკოკო - (ფრ. rococo) სტილისტური მიმართულება ევროპის მთელი რიგი ქვეყნების (საფრანგეთის, გერმანიის და სხვ.) არქიტექტურასა და ხელოვნებაში, რომელმაც გავრცელება პოვა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, აბსოლუტიზმის კრიზისის ეპოქაში. როკოკომ ბაროკოს ნაწარმოებების მონუმენტურობა შეცვალა დანაწევრებული და პრეტენციოზული ფორმებით. ტერმინის წარმოშობა დაკავშირებულია ამ პერიოდში გავრცელებული ორნამენტული მოტივის როკაილის სახელწოდებასთან. როკოკოს ხშირად ლუდოვიკო XV სტილს უწოდებენ.
- სკვერი - (ინგლ. square) საერთო ხარგებლობისათვის განკუთვნილი ან დეკორაციული მნიშვნელობის მქონე მცირე ზომის გამწვანებული ბაღი მოედანზე, ქუჩაზე, ან კვარტალშიდა ტერიტორიაზე.
- ურბანიზმი - (ფრანგ. urbanisme ლათ., urbs - ქალაქი) თეორია, რომელიც იცავს მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებას მსხვილ ქალაქებში; 2) ხელოვნებასა და ლიტერატურაში ქალაქური ცხოვრების გაიდევლება.
- ურბანიზაცია - (ფრანგ. urbanization ლათ. urbs - ქალაქი) 1) მრეწველობისა და მოსახლეობის კონცენტრაციის პროცესი მსხვილ ქალაქებში; 2) ქალაქისა და სამრეწველო ცენტრებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და ხასიათის გავრცელება; მაგ., სოფლის ურბანიზაცია.
- ყვავილნარი, კლუმბი - ბაღ-პარკული არქიტექტურის ელემენტი, ყვავილებით გაფორმებული სხვადასხვა კონფიგურაციის მქონე ნაკვეთი.
- შადრევანი - დეკორაციული ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს წყლის მაღლა ატყორცნილი ან ჩამდინარე ნაკადის ფუძეს და მთარჩოებს.
- პეროონი - (ბერძნ.) გაღმერთებული გამირებისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობა.


ილუსტრაციები




ძველი ქუჩების ზღის პროექტების სურათი




თებე. საგამრო კომპლექსები ღეირ-ეც-ბახარში. წინა პლანზე დელოფალ ხაგშეუსუკის სასახლის შუა ტერასა და ზედა ტერასის შიდა ეზო (ძე.წ. 1530-1500წწ.)



ასურეთი. ქ. დურ-შარუკინი, სარგონ II სასახლის საერთო ხედი




ბაბილონი. სემირამიდას დაკიდებული ბალები




ალგამბრას კომპლექსის გეგმა

ესპანეთი. ქ. გრანადას გეგმის ფრაგმენტი:


1. ალგამბრას კომპლექსი
2. გენერალიფის კომპლექსი




ესპანეთი. ალგამბრა - მირგის დარბაზი




ესპანეთი. ალგამბრა - ლომის დარბაზი




იგალბა. ვილა დ'ესტე




იგალბა. ვილა კაპრაროლა




იგალბა. ვილა ლანტე




იგალია. ვილა ბობოლი



იგალია. ვილა ალბანი




იგალია. ვილა გარცონი




იგალია. ვილა
ალდობრანდინი




ვილა ლანგე




ვილა ბობოლი




ვილა ბობოლი




ვილა ვარცონი




საურაბგეთი. ვერსალის პარკი




საფრანგეთი. ვერსალი. ხელი სასახლე




საფრანგეთი. ვო-ლე ვიკონგის სასახლის პარკი




ინგლისი. ლანდშაფტური პარკი სტოუ




ინგლისი. ლანდშაფტური პარკი სტოურხეირდი




რუსეთი. პეტერგოვის საშადრევნო კომპლექსი




ინდოეთი. გაჯ მაჰალის მეგობლეუმი




ჩინეთი. ვან-შოუ-შანის სამაფხულო სასახლე და პარკი



ჩინეთი. პეკინის ცენტრალური ნაწილის გეგმა





ჩინეთი. პარკი იგუვანი (მშვიდი დასვენების პარკი)



იაპონია. ოქროს პავილიონი კიოტოში


იაპონია. ქვების ბაღი "როანდზი"




იაპონია. ბაღი გაკამაცუში

იაპონია. ჩაის სმის ცერემონია ჩაის ბაღში






წინახლის პარკი




ევროპული გიჰის ბაღი თბილისში (XIX ს. 20-30-იანი წლები).

1. ბაღის გეგმა,
2. მთავარმმართველის რეზიდენცია,
3. სოლოლაკის ძველი მახვი



თბილისის ვახუშტისეული გეგმა (1735წ.): 1. თბილელის ბაღი, 2. მეფის დის ბაღი, 3. მეფის ასულის ბაღი, 4. მამასახლისის ბაღი, 5. ციხის ბაღი, 6. ბეჟანის ბაღი, 7. ქაიბულას ბაღი, 8. მეიძნის ახალი ბაღი, 9. თბილისის ბაღი (სეიდაბაღის), 10. კრწანისის ბაღი, 11. ბებუთას ბაღი




ლონდონი. ჰაიდ პარკი (ავტორი ბრიდეკემენი)




პარიზი. ლუქსემბურგის ბაღი



ლივერპული. სეფტონ პარკი (ავტორი ულუარდ ანდრე)



პარიზი. პარკი ბიუჯ-შომონი. გეგმა (ავტორი ელუარდ ანდრე)



პარიზი. პარკი ბიუჯ-შომონი. ხელი ცენტრალურ ბორცვზე




აშშ. ჩიკაგო. ჯექსონ პარკი (ავტორი ოლმსტედი)




აშშ. ჩიკაგო. ვაშინგტონ პარკი (ავტორი ოლმსტედი)




ესპანეთი. ბარსელონა. პარკი "გუელი" (ავტორი ანტონიო გაუდი)



ესპანეთი. ბარსელონა. პარკი "გუელი" (ავტორი ანტონიო გაუდი)





პარიზი. პარკი ლა-ვილეტი (ავტორი ბერნარდ ჩუმი)




პარიზი. პარკი რაიონ დე-ფანსში (ავტორი სგარდი)




პარიზი. "წითელი ფოლიოები" ლა-ვილეტის პარკში (ავტ. ბერნარდ ჩუმი)




პარიზი. მცირე ზომის ბაღი ლა-ვილეტის პარკში (ავტ. ალექსანდრე შებეგოფი)




ჯიბოს კულტურის ცენტრი" (ავტ. რენცო პიანო)



იაპონია. ტოკიო. მოდერნისტული ბალი
სასტუმრო შერატონის ტერიტორიაზე
(ავტორი მასამიჩი სუზუკი)




იაპონია. ტაკამაცუ. ქვის ბალი კაგავას
პრეფექტურის შენობის წინ (ავტორი
კენზო განგე)



იაპონია. ფუძიავა. „მეგალის ბალი“
სონანდაის ცენტრში (ავტორი იგსუეო
ჰასაგავა)

იაპონია. იოტო. „ცივი ბალი“ საფეიქრო
კომპანიის შიდა ეზოში (ავტორი
ჰიროსი მურაი)






რუსეთი. მოსკოვის გამწვანების სისტემა




რუსეთი. პეგერბურგის გამწვანების სისტემა



საფრანგეთი. პარიზის გამწვანების სისგემა



ინგლისი. ლონდონის გამწვანების სისგემა



აშშ. ვაშინგტონის გამწვანების სისტემა




აშშ. ნიუ-იორკის ძირითადი პარკებისა და საპარკო ველების ქსელი




ქ. თბილისის გამწვანების სქემა




ქ. ერევანის გამწვანების სქემა




ქ. ბაქოს გამწვანების სქემა




ლე კორბუზიე. ქალაქის დაგეგმარების სქემა 3 მლნ. მცხოვრებზე




ლე კორბუზიე. ქ. ჩანდიგარხის დაგეგმარების სქემა (ინლოეთი)




ვ.ბარანოვი (სსრკ). უახლესი მომავლის ქალაქის გამწვანება









ხაზოვანი ქალაქის სქემა დამუშავებული საბჭოთა ქალაქმშენებლების მიერ 1920-იან წლებში



ი.კრუგლიაკოვი (სსრკ). ქალაქის გამწვანების წინადადება





კიური (გურ). ქალაქის გამწვანების სქემა 200 ათას მცხოვრებზე



ქალაქის გამწვანების სისტემის თეორიული სქემები


- ა) მწვანე ნარგავების განთავსება "წრიულად" (ე. ენარი, საფრანგეთი);
- ბ) მწვანე ნარგავების განთავსება "ლაქებად" (ე. ენარი, საფრანგეთი);
- გ) მწვანე ნარგავების განთავსება "სოლებად" გერტიანებული გარე მწვანე სარგველი (რ. ებერშვალგი, ბ. მორინგი, რ. პეტერსონი, გერმანია);
- დ) მწვანე ნარგავების განთავსება ოპტიმალური რადიუსების გათვალისწინებით (ვ. პეპლერი, ინგლისი);
- ე) ქალაქის გამწვანების სქემა (პოლონეთი).



მცირე ქალაქის გამწვანების სქემა (მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტთა კოლექტივი)



ქალაქის გამწვანების სქემა (ვ. გრუნი, აშშ)

XVII საუკუნის საფრანგეთის გამაგრებული ქალაქების სქემები




იდეალური ქალაქი (ეაკ პერე)


ქალაქი ანრი შმონი



ქალაქი საარლვი


ქალაქი რომელიე





0 100 300 600m

რომის (მარცხნივ), ვერსალის (შუაში) და პარიზის (მარჯვნივ)
ძირითადი გეგმარებითი ღერძები



500 0 500 1000 1500m

რომის (მარცხნივ), ვერსალის (შუაში) და პეგერბურგის (მარჯვნივ)
სამსხვიანი ქუჩების სისტემა



ქალაქი-ბაღი ლეხვორტი



ქალაქი-ბაღი ხემსტელი

შინაარსი

- წინასიტყვაობა 3
- შესავალი 4

თავი I. ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლები

- 1.1. ლანდშაფტის დაპროექტება 15
- 1.2. ბუნება, მისი ფორმები და თავისებურებანი 19
- 1.3. ნაგებობები ლანდშაფტში 25
- 1.4. კომპოზიციის საკითხები საბაღე საპარკო ხელოვნებაში 37

თავი II. ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების ეტაპები

- 2.1. ძველი ხანა 43
- 2.2. აღმოსავლეთის საბაღე-საპარკო ხელოვნება 48
- 2.3. ფეოდალური პერიოდის ბაღები და პარკები 51
- 2.4. იტალიური აღორძინების პერიოდის რეგულარული სტილის ბაღები 54
- 2.5. საფრანგეთის რეგულარული ბაღები 60
- 2.6. XVIII საუკუნის რუსეთის საპარკო ანსამბლები 64
- 2.7. XVIII საუკუნის ევროპის ლანდშაფტური პარკები 65
- 2.8. ლანდშაფტური სტილი ჩინეთის საპარკო ხელოვნებაში 73
- 2.9. ლანდშაფტური სტილი იაპონიის საპარკო ხელოვნებაში 80
- 2.10. ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების ეტაპები საქართველოში 88
- 2.11. XIX საუკუნის საქალაქო პარკები 105
- 2.12. XX საუკუნის საქალაქო პარკები 110

თავი III. ქალაქის გამწვანების სისტემები და მათი გარემოსდაცვითი ფუნქცია

- 3.1. ქალაქის ლანდშაფტი 118
- 3.2. ქალაქის და ქალაქგარე ზონების გამწვანების სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქცია 120
- 3.3. ქალაქის მწვანე ნარგავთა სისტემა 124
- 3.4. ქალაქში მწვანე ნარგავთა განთავსების პრინციპები 130
- 3.5. მსხვილი ქალაქების საზოგადოებრივი ცენტრების ლანდშაფტური დაპროექტება 135
- 3.6. ისტორიული ქალაქების ლანდშაფტურ-სივრცითი ორგანიზაცია (პარიზის რეკონსტრუქცია) 139
- 3.7. სატრანსპორტო კრიზისის ევროპაში და ლანდშაფტურ-გეგმარებითი ხერხებით მისი გადალახვის გზები 140

- ლიტერატურა 146
- ტერმინების განმარტება 147
- ილუსტრაციები 151

რედაქტორი ე. გიორგაძე

ტექნიკური რედაქტორი ნ. ცირეკიძე

კორექტორი ნ. დოლიძე

გადაეცა წარმოებას 30.03.2005. ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.06.2005. ბეჭდვა ოფსეტური. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8. ტირაჟი 100 ეგზ. შეკვეთა № 161

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



სტუ-ს სტამბა, თბილისი, კოსტავას 75

čís. 5000.

a 2/528

ISBN 99940-40-88-X